

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

75-ე
184

ენისა

და

ლიტერატურის

სერია

1.1984

**ზაქარეიძის ხსრ შეცნობებითა აკადემიის „მაცნე“,
ენისა და ლიტერატურის სერია, 1984, № 1**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ენისა და ლიტერატურის
სერია

СЕРИЯ

ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ



თბილისი
ТБИЛИСИ

1. 1984

ჟურნალი დაარსებულია 1971 წელს, გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал основан в 1971 году, выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეგია: ალ. ბარამიძე (რედაქტორი),
თ. გამყრელიძე, ალ. გვახარია (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი,
ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე)

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლლონტი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Барамидзе А. Г. (редактор),
Гамкрелидзе Т. В., Гвахария А. А. (секретарь), Дзидзигური Ш. В. (зам. редактора),
Ломтатидзе К. В., Метревели Е. П., Цайшвили С. С.

Ответственный секретарь Г. А. Глонти

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია
1984. № 1.

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19, ტელ. 37-24-07
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19, телефон 37-24-07

გადაეცა წარმოებას 17.11.1983; ხელმოწერილია დასაბეჭდად 3.5.1984;
ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი თაბახი 17.2; სააღრიცხვო-
საგამომცემლო თაბახი 14,8; ტირაჟი 1750; შეკე. 3514; ფასი 1 მან. 20 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შ ი ნ ა პ რ ს ი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმი	5
სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვა	6
სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ა. ტიხონოვის სიტყვა	12
კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო	14
სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მ ი მ ა რ თ ვ ა კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს	15
მ. შელეგია, ერთი მხატვრული სახის გენეზისისათვის კ. ლორთქიფანიძის შემოქმედებაში	17
ი. ლორთქიფანიძე, ი. გრიშაშვილი ქართული პერიოდული პრესის თანამშრომელი	26
რ. კაეილაძე, ე. თაყაიშვილი — ქართულ სიძველეთა შემგროვებელი და დამცველი	42
ლ. მეფარიშვილი, გაზ. „ივერიის“ ერთი აკრძალული სტატიის გამო	59
ც. კახაბერიშვილი, შენიშვნა დავით გურამიშვილის ბიოგრაფიის ერთ დეტალზე	63
ა. ბარამიძე, მესხი მელექსის გარშემო	69
ზ. გამსახურდია, რუსთველი და ანტონი	75
ა. გაწერელია, ავგუსტინე და საქართველო	88
ზ. კიკნაძე, ფარნაეზის სიზმარი	112
ი. ვეშაპიძე, «ყოფნა» ზმნის ურთიერთმონაცვლე ზმნური ფუძეები ბასკურ ენაში	121
ი. ზიცარი, «ყოფნა» ზმნის შესახებ ბასკურში	127
თ. მაკარაძე, სუბიექტური და ობიექტური ორიენტაციის კომუნიკაციურ-სემანტიკური კატეგორია შეგრძნების გამომხატველი ზმნების მიხედვით	151
მ. კამენიხი, „ბრძოლის“ მნიშვნელობის მქონე ლექსიკურ-სემანტიკურ სიტყვათა ჯგუფი	162
გ. თოფურია, ერთი რიგის ზმნისართებისათვის ლეზგიურ ენაში	174
ნ. ფირცხალავა, სოფოკლეს „ანტიგონეს“ რეცეპციის ისტორია თანამედროვე დასავლეთ-ევროპულ დრამატურგიაში	179

პ ო ლ ე მ ი კ ა

თ. შარაძენიძე, აუხსნელი ტენდენციურობა	186
ქ რ ო ნ ი კ ა დ ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა	
სადოქტორო დისერტაციათა თემების დამტკიცება	192

СОДЕРЖАНИЕ

Внеочередной Пленум Центрального Комитета Коммунистической партии Советского Союза	5
Речь Генерального секретаря ЦК КПСС товарища К. У. Черненко . . .	6
Речь члена Политбюро ЦК КПСС, Председателя Совета Министров СССР товарища Н. А. Тихонова	12
Константин Устинович Черненко	14
Обращение Центрального Комитета КПСС, Президиума Верховного Совета СССР, Совета Министров СССР к Коммунистической партии, к советскому народу	15
М. Э. Шелегна, О генезисе одного художественного образа в творчестве К. Лордкипанидзе	17
И. П. Лордкипанидзе, Иосиф Гришашвили — сотрудник грузинской периодической прессы	26
Р. Я. Кавтладзе, Е. С. Такайшвили — собиратель и хранитель грузинских древностей	42
Л. Л. Мепаришвили, Об одной запрещенной статье газ. «Иверия» . . .	59
Ц. В. Кахабришвили, Замечание к одной детали биографии Давида Гурамишвили	63
А. Г. Барамидзе, Заметка о некоем стихотворце Месхи	69
З. К. Гамсахурдия, Руствели и Антон I	75
А. К. Гацерецкая, Августин и Грузия	88
З. Г. Кикинадзе, Сон Парнаваза	112
И. М. Вешапидзе, Взаимочередующиеся глагольные основы со значением «быть» в баскском языке	121
Ю. В. Зыцарь, О баскском глаголе «быть»	127
Т. Ш. Макарадзе, Коммуникативно-семантическая категория субъектной и объектной ориентации на материале глаголов ощущения	151
М. Г. Каменных, Лексико-семантическая группа слов со значением «бой, битва»	162
Г. В. Топурна, Об одном ряде наречия в лезгинском языке	174
Н. И. Пирцхалава, История рецепции софокловской «Антигоны» в современной западно-европейской драматургии	179

П о л е м и к а

Т. С. Шарадзендзе, Непонятная тенденциозность	186
---	-----

Х р о н и к а и и н ф о р м а ц и я

Утверждение тем докторских диссертаций	192
--	-----



სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი
კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმი

1984 წლის 18 თებერვალს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დავალებით პლენუმი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა აშხ. კ. უ. ჩერნენკომ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის ხსოვნას პატივი სცეს მწუხარების წუთიერი დუმილით.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, მგზნებარე პატრიოტი, ლენინელი, მშვიდობისა და კომუნიზმისათვის დაუცხრომელი მებრძოლი.

პარტიული და სახელმწიფო მუშაობის უმნიშვნელოვანეს პოსტებზე, რომლებზეც იური ვლადიმერის ძე ანდროპოვს პარტია გზავნიდა, იგი მთელ ძალ-ღონეს, ცოდნასა და უდიდეს ცხოვრებისეულ გამოცდილებას ახმარდა პარტიის პოლიტიკის განხორციელებას, მასებთან მისი კავშირის გაძლიერებას, საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას.

ი. ვ. ანდროპოვი დიდ უურადლებას უთმობდა სკკპ XIXI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების მიერ შემუშავებული ხაზის განხორციელებას, რომლის მიზანია წარმოების უოველმხრივი ინტენსიფიკაცია, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფა, კადრების პასუხისმგებლობის, ორგანიზებულობისა და დისციპლინის გაძლიერება, ხალხის ცხოვრების მატერიალური და ხულიერი დონის განუზრელი ზრდა.

დიდი წვლილი შეიტანა ი. ვ. ანდროპოვმა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების უოველმხრივი თანამშრომლობის განვითარებაში, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებაში, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ხალხთა სამართლიანი ბრძოლის მხარდაჭერაში. მისი ხელმძღვანელობით თანამიმდევრულად და მტკიცედ ხორციელდებოდა საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ლენინური საგარეო-პოლიტიკუ-

რი კურსი — თერმობირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილების, იმპერიალიზმის აგრესიული ბრძოლის ჩაშლის, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების კურსი.

პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ გლობალურ დღეებში კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ აკავშირებენ თავიანთ რიგებს პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გარშემო, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავდადებით იბრძოლონ პარტიის ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებისათვის.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა ღრმა სამძიმარი გამოუცხადეს განსვენებულის ნათესავებსა და ახლობლებს.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის არჩევის საკითხი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დავალებით ამ საკითხზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ აშხ. ნ. ა. ტიხონოვმა. მან წამოაყენა წინადადება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად აირჩიონ აშხ. კ. უ. ჩერნენკო.

პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად ერთხმად აირჩია აშხ. კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო.

შემდეგ პლენუმზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი აშხ. კ. უ. ჩერნენკო. მან გულითადი მადლობა გადაუხადა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს დიდი ნდობისათვის.

აშხ. კ. უ. ჩერნენკომ სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და კომუნისტურ პარტიას აღუთქვა, რომ ძალ-ღონეს, ცოდნასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას არ დაიშურებს, რათა წარმატებით შესრულდეს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ამოცანები, უზრუნველყოფილ იქნეს მემკვიდრეობითობა იმ ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც სკკპ XIXI ყრილობამ დასახა სსრ კავშირის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, მშვიდობის დამკვიდრებისათვის, ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში, რომელსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო აღგანან.

ამით ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ კ. უ. ჩერენკოს სიტყვა

მშვიდობის ამხანაგებო!

გულითად მადლობას მოვახსენებ ცენტრალური კომიტეტის წევრებს დიდი პატივისცემის — ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნად ჩემი არჩევისათვის. მე მთლიანად მაქვს შეგნებული უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელიც მეკისრება. მესმის, რა დიდმნიშვნელოვანი, რა განსაკუთრებით რთული მუშაობა მოგველის. აღვუთქვამ ცენტრალურ კომიტეტს, პარტიას, რომ მთელ ძალ-ღონეს, ცოდნას, მთელ გამოცდილებას გამოვიყენებ, რათა გავამართლო ნდობა, თქვენთან ერთად განვაგრძო ჩვენი პარტიის ის პრინციპული გეზი, რომელსაც თანამიმდევრულად და მტკიცედ ახორციელებდა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი.

ორგანიზატორული ნიჭი, ნათელი შემოქმედებითი გონება, თეორიასა და პოლიტიკაში ლენინიზმის ერთგულება, ახლის მახვილი გრძნობა და მასების ცოცხალი გამოცდილების აკუმულირების უნარი, შეურიგებლობა ყოველივე იმისადმი, რაც უცხოა ჩვენი მსოფლმხედველობისა და ცხოვრების წესისათვის, ჩვენი მორალისათვის, პირადი მომხიბვლელობა და თავმდაბლობა — ყოველივე ამან უდიდესი ავტორიტეტი და პატივისცემა მოუპოვა იური ვლადიმერის ძეს პარტიასა და ხალხში.

პარტია მას მუშაობის ყველაზე რთულ და პასუხსაგებ უბნებს ანდობდა. განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის საუკეთესო პოლიტიკური და ადამიანური თვისებები სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტებზე. იგი თავს არ ზოგავდა, ცდილობდა ყოველთვის ყოფილიყო მის წინაშე დასახული ამოცანების სიმაღლეზე.

იური ვლადიმერის ძემ მნიშვნელოვანი პირადი წვლილი შეიტანა თანამედროვე ეტაპზე პარტიის ყოველმხრივ აწონილ-დაწონილი და რეალისტური კურსის — განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის კურსის შემუშავებისათვის ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს კოლექტიურ საქმიანობაში. მისი ხელმძღვანელობით გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის, 1983 წლის ივნისისა და დეკემბრის პლენუმები, რომლებიც დიდმნიშვნელოვანი ნიშანს ეტები

გახდა პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში. პლენუმების გადაწყვეტილებებში შემდგომი შემოქმედებითი განვითარება და დაკონკრეტება პოვა სკკპ XXVI ყრილობის პოლიტიკურმა გეზმა.

დიდ ძალასა და ენერგიას ახმარდა ი. ვ. ანდროპოვი საბჭოთა ადამიანების აღმშენებლობითი შრომის მშვიდობიანი პირობების უზრუნველყოფისათვის, საერთაშორისო სარბიელზე სოციალიზმის პოზიციების განმტკიცებისათვის ბრძოლას.

იური ვლადიმერის ძეს კარგად ესმოდა: პარტიის ავტორიტეტის წყარო ის არის, რომ თავისი ხელმძღვანელი მდგომარეობა, თავისი საპატიო ავანგარდული როლი მან ხალხისადმი თავდადებული სამსახურით, მშრომელთა ინტერესების ზუსტად გამოხატვით, მოქმედების უტყუარი მარქსისტულ-ლენინური პროგრამით მათი შეიარაღების უნარით მოიპოვა და ამითვე განამტკიცებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის სისწორეს, დროის მოთხოვნებთან და სულისკვეთებასთან მის შესაბამისობას დამაჯერებლად ადასტურებს ის, რომ ამ პოლიტიკას მხურვალედ უჭერს მხარს მთელი ხალხი. პარტია მტკიცედ ადგას არჩეულ გზას — კომუნისტური აღმშენებლობისა და მშვიდობის გზას.

ასე იყო წინათ. ასე იქნება მუდამ!

მაგრამ ჩვენ ყველას გვესმის, ამხანაგებო, რომ ამ გზით სიარულისათვის მხოლოდ სურვილი არ კმარა. უნდა შეგვეძლოს არა მარტო დავსახოთ სწორი მიზნები, არამედ შეუპოვრად ვიღვწოდეთ კიდევ მათი მიღწევისათვის და ყოველნაირ სიძნელეებს ვძლევედეთ. რეალისტურად უნდა ვათასებდეთ მიღწეულს, არც ვაზიადებდეთ და არც ვაკნინებდეთ მას. მხოლოდ ასეთი მიდგომა აგვარიდებს თავიდან პოლიტიკაში შეცდომებს, იმის ცდუნებას, რომ სასურველი სინამდვილედ მოგვეჩვენოს, საშუალებას მოგვცემს თვალნათლივ დავინახოთ, როგორც ლენინი ამბობდა, „სახელდობრ რა „დავამთავრეთ“ და რა არ დავგვიმთავრებია“.

ხანმოკლე, გულსატკენად ხანმოკლე აღმოჩნდა, ამხანაგებო, იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის შრომა ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს სათავეში, ჩვენ ყველანი ვიგრძნობთ უმისობას.

იგი ჩვენგან წავიდა იმ დროს, როცა დიდი და დაძაბული მუშაობა გვაქვს გაჩაღებული იმისათვის, რომ მძლავრად დავაჩქაროთ სახალხო მეურნეობის განვითარება, დავძლიოთ სიძნელეები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას შეექმნა 70—80-იანი წლების მიჯნაზე. მაგრამ ჩვენ ყველამ ვიცით, თუ რაოდენ ბევრი რამის გაკეთება შეძლო პარტიამ ამ მოკლე ხნის განმავლობაში, რამდენი ახალი ნაყოფიერი რამ იშვა და დამკვიდრდა პრაქტიკულად. განვაგრძოთ და კოლექტიური ძალისხმევით წინ წავწიოთ იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის ხელმძღვანელობით წამოწყებული მუშაობა. — აი საუკეთესო საშუალება იმისა, რომ ჭეროვანი პარტივი მივაგოთ მის ხსოვნას, უზრუნველვყოთ პოლიტიკაში მემკვიდრეობითობა.

მემკვიდრეობითობა განყენებული ცნება კი არა, ცოცხალი, რეალური საქმეა. მისი არსი უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ შეუჩერებელივ ვიაროთ წინ. ამ წინსვლისას უნდა ვეყრდნობოდეთ ყოველივე უკვე მიღწეულს, შემოქმედებითად ვამდიდრებდეთ მას, კომუნისტების, მუშათა კლასის, მთელი ხალხის კოლექტიურ აზრსა და ენერგიას ვახმარდეთ გადასაწყვეტ ამოცანებს, აწმყოსა და მომავლის საკვანძო პრობლემებს. და ეს ყველა ჩვენგანს ბევრ რამეს ავალებს.

ჩვენი პარტიის ძალაა მისი ერთიანობა, მარქსიზმ-ლენინიზმის ერთგულება, იმის უნარი, რომ განავითაროს და წარმართოს მასების შემოქმედებითი აქტიურობა, იდეურად და ორგანიზაციულად შეაკავშიროს ისინი ნაცადი ლენინური პრინციპებისა და მეთოდების საფუძველზე. თქვენ იცით, ამხანაგებო, თუ რა უდიდეს ყურადღებას უთმობდნენ ამ ბოლო ხანს ჩვენი ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიურო, ღირს ვლადიმერის ძე ანდროპოვი სახელმწიფო აპარატის მუშაობის სრულყოფის, პარტიულ ხელმძღვანელობის სტილის გაუმჯობესების საკითხებს. ერთ-ერთი მათგანია პარტიული კომიტეტების ფუნქციებისა და სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების ამოცანების მკაფიო გამოქვანა, მათს მუშაობაში დუბლირების აღმოფხვრა. ეს დიდი, პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხია. და გულახდილად უნდა ითქვას, აქ ყველაფერი ჭეროვნად არ არის მოგვარებული.

ხდება ზოლმე რომ საბჭოების, სამინისტროების, საწარმოების მუშაკები ჭეროვან დამოუკიდებლობას არ იჩენენ, პარტიულ ორგანოებს აკისრებენ საკითხებს, რომლებიც თვითონ უნდა გადაწყვიტონ. სამეურნეო ხელმძღვანელთა მაგიერობის პრაქტიკა ხალხის უკარგავს კადრებს. უფრო მეტიც, იგი პარტიული კომიტეტის, როგორც პოლიტიკური ხელ-

მძღვანელობის ორგანოს, როლის შესუსტების საფრთხეს შეიცავს. პარტიული კომიტეტებისათვის მეურნეობის გაძლიერება ნიშნავს, უწინარეს ყოვლისა, იმ ადამიანების გაძლიერებას, რომლებიც მეურნეობას ხელმძღვანელობენ. ეს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს.

ამხანაგებო! თვე-ნახევრის წინათ, ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე ჩვენ ყოველმხრივ შევაფასეთ საქმის ვითარება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროში. მიღებულ დადგენილებაში საგანგებოდ აღინიშნა, რომ ახლა მთავარია შევინარჩუნოთ დაჩქარებული ტემპი, ამოცანების პრაქტიკული გადაწყვეტის საერთო განწყობილება, განუხრელად ავამძღვლოთ ეკონომიკისადმი პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის დონე, უფრო აქტიურად განვაავითაროთ პოზიტიური ტენდენციები, სტაბილური ხასიათი მივანიჭოთ მათ. ჩვენი უშუალო მოვალეობაა თანამიმდევრულად შევასრულოთ პლენუმის ეს დებულებანი.

მთელი ჩვენი გამოცდილება ადასტურებს: პარტიის ძალის უმნიშვნელოვანესი წყარო ყოველთვის იყო, არის და იქნება მასებთან მისი კავშირი, მილიონობით მშრომელის მოქალაქეობრივი აქტიურობა, წარმოების საქმეებისადმი, საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემებისადმი მათი მზრუნველი მიდგომა.

კომუნისტთა პარტიის მოვალეობაა თავის კურსს, თავის გადაწყვეტილებებს, მოქმედებას დღენიადაგ ამოწმებდეს უწინარეს ყოვლისა მუშათა კლასის აზრის, მისი უდიდესი სოციალურ-პოლიტიკური და კლასობრივი გუმანის მიხედვით.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი მუდამ დიდად აფასებდა მუშაკაცის პირდაპირობას, მის ცხოვრებით დასაბუთებულ და ნათელ მსჯელობას, ფხიზლად ადევნებდა თვალს მის აზრს, მოვლენებისა და ადამიანების მისეულ შეფასებას, ეძებდა და პოულობდა მათში პასუხს ყველაზე საკირბოროტო საკითხებზე.

ყურად იღოს მუშათა წრიდან, სოციალისტური მშენებლობის წინა ხაზიდან მოსული სიტყვა, ეთათბირებოდეს მშრომელ ადამიანებს — ეს დღესაც უნდა იყოს თითოეული კომუნისტი ხელმძღვანელის უპირველესი მოვალეობა, უდიდესი შინაგანი მოთხოვნილება.

შეგვეძლოს დროულად შევნიშნოთ და წავახალისოთ ხალხის ინიციატივა, თანაც, ამ სიტყვის უფართოესი მნიშვნელობით — სამუშაო ადგილზე საქმისადმი ყაირათიანი, შემოქმედებითი დამოკიდებულებით დაწყებული და სახელმწიფოს, საზოგადოების მართვაში აქტიური მონაწილეობით დამთავრებული, — ეს არის ჩვენი პროგრესის უდიდესი, შეიძლება ითქვას,

უშრეტი რეზერვი. ყოველ თავის დიდ მიღწევას ჩვენი ეკონომიკა მეტ-ნაკლებად შრომითი კოლექტივების შემოქმედებითა თაოსნობას, მათს საკუთარ, როგორც იტყვიან, შემხვედრ გეგმებს უნდა უმაღლოდეს.

უდიდეს კმაყოფილებას იწვევს ქვეყნის შრომითი კოლექტივების ფართო გამოხმაურება დეკემბრის პლენუმის მოწოდებაზე — მიაღწიონ I პროცენტით შრომის ნაყოფიერების ზეგეგმითს გადიდებას და დამატებით 0,5 პროცენტით პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. პატრიოტული აღმაელობა, ენერგია და გერგილიანობა, რომლებითაც მშრომელებმა, პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ხელი მოჰკიდეს ამ ამოცანის გადაწყვეტას, გვისახავს რწმენას, რომ წარმატება უზრუნველყოფილი იქნება.

ვფიქრობ, ღირს იმ საკითხის განხილვა, რომ ამის შედეგად მიღებული მთელი სახსრები და რესურსები — ისინი კი საკმაოდ დიდია — მოვახმართ საბჭოთა ადამიანების შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, სამედიცინო მომსახურებას, ბინების მშენებლობას. ეს სავესებით შეესაბამება პარტიის პოლიტიკის უმაღლეს მიზანს — ადამიანის კეთილდღეობისათვის ყოველმხრივ ზრუნვას.

საერთოდ, ამხანაგებო, როგორც ჩანს, უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ მშრომელთა შემოქმედებითი თაოსნობანი, ნოვატორობა უკეთ წახალისოთ მატერიალურად და მორალურად.

საბჭოთა წყობილებას საფუძვლად უდევს სოციალური სამართლიანობა. სწორედ ეს არის მისი უდიდესი ძალა. ამიტომ აქვს ესოდენ დიდი მნიშვნელობა იმას, რომ ეს სოციალური სამართლიანობა განუხრელად იყოს დაცული ყოველდღიურ საქმეებში, იქნება ეს ხელფასი და პრემიები, ბინებისა თუ საგზურების განაწილება, დაჯილდოება — ერთი სიტყვით, რომ ყველაფერი სამართლიანად, ჩვენს საერთო საქმეში თითოეული ადამიანის შრომითი წვლილის შესაბამისად კეთდებოდეს.

აქ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს, სამეურნეო ხელმძღვანელებს. ბევრი რამ არის დამოკიდებული თვით შრომითი კოლექტივებზე. მათ ახლა კანონმდებლობის წესით განმტკიცებული დიდი უფლებები აქვთ მინიჭებული. ახლა მთავარი ის არის, რომ ეს უფლებები სრულად გამოიყენონ.

ამ ბოლო ხანს პარტიამ სოციალისტური საზოგადოების ხელმძღვანელობის ახალი გამოცდილება შეიძინა. ჩვენ უკეთ ვიყენებთ ჩვენი წყობილების უპირატესობებსა და შესაძლებლობებს. მათ, რა თქმა უნდა, განეკუთვნება მასების ორგანიზებულობა და შეგ-

ნება. სწორედ ამიტომ არის, რომ დიდ ყურადღებას ვუთმობთ წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცებას.

ორგანიზებულობის, წესრიგის საკითხი ჩვენთვის საკვანძო, პრინციპული საკითხია. ამის თაობაზე ორი აზრი არ შეიძლება იყოს. ყოველგვარ მოღუწებას, უპასუხისმგებლობას საზოგადოებისათვის მარტო მატერიალური ზარალი როდი მოაქვს. ისინი სერიოზულ სოციალურ, ზნეობრივ ზიანსაც გვაყენებენ. ეს კარგად გვესმის ჩვენ, კომუნისტებს, ესმის მილიონობით საბჭოთა ადამიანს. და სავესებით კანონმდებრია, რომ ჰეშმარტაღ მოვლმა ხალხმა მოიწონა შრომის, საწარმოო, სავეგმო და სახელმწიფო დისციპლინის, სოციალისტური კანონიერების განმტკიცების მიზნით პარტიის მიერ დასახული ღონისძიებანი.

ამ სფეროში ზოგი რამ უკვე გაგაკეთეთ. და ვინ არ იცის, რა კეთილნაყოფიერა გავლენა მოახდინა ამან საწარმოო საქმეებზე, ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და საერთოდ ხალხის გუნება-განწყობილებაზე. მაგრამ სწორი არ იქნებოდა გვეთქვა, თითქმის უკვე ყველაფერი გაკეთებულიყოს. არა, ამხანაგებო, ცხოვრება გვასწავლის, რომ ამ საქმეში მოღუწება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

რაც შეეხება ჩვენი ეკონომიკის განვითარების ძირითად მიმართულებებს, ისინი ზუსტად განსაზღვრა პარტიამ. ინტენსიფიკაციამ, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დაჩქარებულმა დანერგვამ, დიდი კომპლექსური პროგრამების განხორციელებამ — ყოველივე ამან საბოლოო ანგარიშით თვისებრივად ახალ დონეზე უნდა აიყვანოს ჩვენი საზოგადოების საწარმოო ძალები.

სერიოზულ გარდაქმნას საჭიროებს ეკონომიკის მართვის სისტემა, მთელი ჩვენი სამეურნეო მექანიზმი. ამ მხრივ მუშაობა მხოლოდ დაიწყო. იგი შეიცავს საწარმოთა უფლებების გაფართოებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების ფართო მასშტაბის ეკონომიკურ ექსპერიმენტს. მიმდინარეობს მომსახურების სფეროში მეურნეობრიობის ახალი ფორმებისა და მეთოდების ძიება, რომელიც, უეჭველია, ბევრ სასარგებლო რამეს მოგვცემს. დავეცხმარება გადაწყვეტიტოტ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პრობლემა — ავამაღლოთ მთელი სახალხო მეურნეობის ეფექტიანობა.

მაგრამ, მოდით, ჩვენს თავს ვკითხოთ: ისე ხომ არ გამოდის, რომ ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელი ექსპერიმენტების შედეგებს ელის და ამ მოლოდინით სურს შენიღბოს თავისი პასიურობა, ძველებურად მუშაობის სურვილი? რა თქმა უნდა, ეკონომიკური სტრუქტურების განახლება პასუხსაგები საქმეა. აქ

ურიგო არ იქნება გვახსოვდეს ძველი ბრძნული ანდაზა: შეიღწერ გაზომე და ერთხელ გასკერი. მაგრამ ეს სრულიადაც არ ამართლებს იმათ, ვისაც საერთოდ არ სურს ანგარიში გაუწიოს შეცვლილ პირობებს. ცხოვრების ახალ მოთხოვნებს.

მეტი დამოუკიდებლობა გამოიჩინონ უკვეა ღონეზე, გაბედულად ეძიონ. თუ საჭიროა, გამართლებული რისკიც გასწიონ ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების გულისთვის, — აი რას მოველით ჩვენი სამეურნეო კადრებისაგან.

მოგეხსენებათ, რომ წარმან სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და მთავრობამ მთელი რიგი დადგენილებანი შეიმუშავეს და მიიღეს ეკონომიკის განვითარების პრინციპულ საკითხებზე. ამ გადაწყვეტილებებმა პარტიულ და სამეურნეო ორგანოებს მისცა წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარების გარკვეული ბერკეტები.

დასახული ღონისძიებანი, მათ კი არა მარტო სამეურნეო, არამედ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვთ, მხოლოდ მაშინ განხორციელდება, თუ მათი შესრულება თითოეული პარტიული ორგანიზაციის, თითოეული მუშაკის ყოველდღიური მუშაობის მთავარი შინაარსი გახდება.

დღევანდელ ამოცანებს რომ ეწყვეტო, ამით წანამძღვრებს ეუქმნით მომავალში გაცილებით უფრო მაღალი მიზნების მიღწევას. იქნებ, ჩვენს ზვალინდელ დღეზე, მეთორმეტე ხუთწლედზე დეტალურად ლაპარაკი ჭერ ნაადრევად კი იყოს, მაგრამ მომავალი მუშაობის მთავარი პრობლემები, მთავარი მიმართულებანი უკვე დღეს მოჩანს.

ახალი ხუთწლელი უწინარეს ყოვლისა წარმოებაში ღრმა თვისებრივი ცვლილებები დასაწყისი, ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ინტენსიფიკაციის საქმეში გადამწყვეტი გარდატეხის ხუთწლელი უნდა გახდეს. თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკურმა ბაზამ და მართვის სისტემამ ახალი, უფრო მაღალი თვისებები უნდა შეიძინოს.

ნაკლები მნიშვნელობა როდი აქვს ახლა იმას, რომ უზრუნველყოთ საბჭოთა საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური და სულიერი პროგრესის სულ უფრო მკიდრო ურთიერთკავშირი. ეკონომიკას ვერ ავიყვანთ თვისებრივად ახალ ღონეზე, თუ არ შეექმენით ამისათვის საჭირო სოციალური და იდეოლოგიური წანამძღვრები. ასევე შეუძლებელია სოციალისტური შეგნების განვითარების მომწიფებული პრობლემების გადაჭრა, ეკონომიკური და სო-

ციალური პოლიტიკის მტკიცე საძირკველს თუ არ დავეყრდენით.

ახალი სამყაროს შენება ნიშნავს დაუცხრომლად ეზრუნავდეთ ახალი სამყაროს აღამიანის ჩამოყალიბებისათვის, მისი იდეურ-ზნეობრივი ზრდისათვის. როგორც მოგეხსენებათ, სწორედ ამ თვალსაზრისით განიხილა იდეოლოგიური და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საკითხები ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა. მისი მითითებების შესაბამისად პარტია ეცდება ეს მუშაობა მთლიანად შეესაბამებოდეს განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის დიდი და რთული ამოცანების ხასიათს.

გავიაზროთ ეს ამოცანები კონკრეტულად, დაესახოთ მათი გადაწყვეტის ზუსტი გრძელვადიანი სტრატეგია, წარმოვაჩინოთ კონკრეტული პერსპექტივასთან ჩვენი მიმდინარე საქმეების კავშირი — აი რა უნდა მოგვეცეს პარტიული პროგრამის ახალმა რედაქციამ. მის მომზადებას ცენტრალური კომიტეტი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს.

ამხანაგებო! ჩვენი ქვეყნის წმინდგომი განვითარების გეგმების შემუშავებისას არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ მსოფლიოში შექმნილი ვითარება. იგი კი, როგორც მოგეხსენებათ, რთული და დაძაბულია. მით უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ამ პირობებში პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სწორი კურსი საგარეო პოლიტიკის დარგში.

მტკიცე მშვიდობის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საქმისათვის ბრძოლა მედამ იყო იური ვლადიმერას ძე ანდროპოვის ყურადღების ცენტრში. მისი ხელმძღვანელობით ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ და ჩვენი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესმა ორგანოებმა ჩამოაყალიბეს აქტიური საგარეო პოლიტიკა, რომელიც შეესაბამება ამ კეთილშობილურ პრინციპებს, პოლიტიკა, რომლის მიზანია თავიდან ააცილოს კაცობრიობას მსოფლიო ბირთვული ომის საფრთხე. მშვიდობის ეს ლენინური პოლიტიკა, რომლის ძირითადი ნიშნები თანამედროვე ისტორიულ ეტაპზე განსაზღვრეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უკანასკნელი ყრილობების გადაწყვეტილებებმა, შესაბამება საბჭოთა ხალხის ძირეულ ინტერესებს, არსებითად კი მსოფლიოს სხვა ხალხთა ინტერესებსაც. ჩვენ მტკიცედ ვაცხადებთ: ამ პოლიტიკას არც ერთი ნაბიჯით არ გადაუხვევთ.

სავსებით ცხადია, ამხანაგებო, რომ მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმას წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დიდი იქნება მსოფლიო ასპარეზზე სოციალისტური ქვეყნების გავლენა, რამდენად აქტიური, მიზანსწრაფული

და შეთანხმებული იქნება მათი მოქმედება. ჩვენი ქვეყნები უაღრესად დაინტერესებული არიან მშვიდობით. ამ მიზნის მისაღწევად ვეცდებით გავაფართოოთ თანამშრომლობა ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან. ყოველმხრივ ვავითარებთ და ვაღრმავებთ რა შეკავშირებასა და თანამშრომლობას სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან — ყველა სფეროში, რა თქმა უნდა, მათ შორის ისეთ მნიშვნელოვან სფეროშიც, როგორც ეკონომიკა — ამით დიდი წვლილი შეგვაქვს ხალხთა მშვიდობის, პროგრესისა და უშიშროების საქმეში.

ჩვენ მივმართავენ მოძმე ქვეყნებს და ვამბობთ: საბჭოთა კავშირის სახით თქვენ კვლავ გეყოლებათ საიმედო მეგობარი და ერთგული მოკავშირე.

ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ბურჯი იყო და იქნება სოლიდარობა იმ ხალხებთან, რომლებმაც მოიშორეს კოლონიური დამოკიდებულების უღელი და დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგინეს; და განსაკუთრებით, რა თქმა უნდა, ხალხებთან, რომლებიც იგერიებენ იმპერიალიზმის აგრესიული ძალების იერიშებს, იმპერიალიზმისა, რომელიც სისხლიანი ძაღლობისა და ომის ხანძრების უაღრესად საშიშ კერებს ქმნის მსოფლიოს ხან ერთ, ხან მეორე რაიონში. იყო ხალხთა სამართლიანი საქმის მომხრე, იღვწოდნენ ასეთი კერების მოსპობისათვის — ეს დღესაც ქვეყნად მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლის საჭირო და დიდმნიშვნელოვანი მიმართულებაა. ჩვენი პარტიის პრინციპული პოზიცია ამ საკითხებში ნათელი, წმინდა და კეთილშობილურია, და ჩვენ მას განუხრელად დავიცავთ.

ახლა, რაც შეეხება კაპიტალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობას. დიდმა ლენინმა გვიანდერძა სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი. ჩვენ მუდამ ერთგული ვართ ამ პრინციპისა. ახლა, ბირთვული იარაღისა და უზუსტესი რაკეტების საუკუნეში, იგი განსაკუთრებით სჭირდებათ ხალხებს. სამწუხაროდ, კაპიტალისტური ქვეყნების ზოგიერთ ზღმძღვანელს, როგორც ყველაფერიდან ჩანს, ნათლად არ ესმის ეს, ან არ სურს ესმოდეს.

ჩვენ კარგად ვხედავთ რა საფრთხეს უქმნის დღეს კაცობრიობას იმპერიალიზმის აგრესიული ძალების უგუნური, ავანტიურისტული მოქმედება, — და ამას საქვეყნოდ ვამბობთ, რათა მთელი დედამიწის ხალხთა ყურადღება მივაპყროთ ამ საფრთხეს. ჩვენ არ გვჭირდება სამხედრო უპირატესობა, არ ვაპირებთ სხვებს ვუკარნახოთ ჩვენი ნება. მაგრამ მიღწეული სამხედრო თანასწორობის დარღვევის უფლებას

არავის მივცემთ. და დაე, ყველამ კარგად იცოდეს: ჩვენ კვლავაც ვიზრუნებთ იმისათვის, რომ განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, რომ გვქონდეს საკმარისი საშუალებანი, რომელთა მეშვეობით შეიძლება დავაცხროთ ომის მოტრფიალე თავფიცხელი ავანტიურისტები. ეს, ამხანაგებო, მშვიდობის შენარჩუნების მეტად არსებითი წინამძღვარია.

საბჭოთა კავშირს, როგორც დიდ სოციალისტურ სახელმწიფოს, მთლიანად აქვს შეგნებული ხალხთა წინაშე თავისი პასუხისმგებლობა მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. ჩვენ მზად ვართ ყველა კონტინენტის სახელმწიფოებთან მშვიდობიანი ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისათვის. ჩვენ გესურს სერიოზული, თანასწორუფლებიანი, კონსტრუქციული მოლაპარაკების გზით მშვიდობიანად გადაეწყვიტოს ყველა სადავო საერთაშორისო პრობლემა. სსრ კავშირი მხარში ამოუდგება ყველა სახელმწიფოს, რომლებიც მზად არიან პრაქტიკული საქმეებით შეუწყონ ხელი საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, მსოფლიოში ნდობის ატმოსფეროს შექმნას; სხვანაირად რომ ეთქვას, იმათ, ვინც ნამდვილად წარმართავს საქმეს არა ომის მომზადებისათვის, არამედ მშვიდობის საფუძვლების განმტკიცებისათვის. და ჩვენი აზრით, საამისოდ სრულად უნდა გამოვიყენოთ ყველა არსებული ბერკეტი, მათ შორის, რა თქმა უნდა ისეთიც, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომელიც სწორედ მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების მიზნით შეიქმნა.

ამხანაგებო, ჩვენ საბჭოთა კომუნისტებს გულწრფელად გვახარებს, რომ კაცობრიობის მშვიდობიანი მომავლისა და პროგრესისათვის ბრძოლაში მხარდამხარ მივაბიჭებთ მილიონობით კლასობრივ ძმებთან, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის მრავალრიცხოვან რაზმებთან ერთად. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპის მუდამ ერთგულნი, მხურვალე სიმპათიითა და ღრმა პატივისცემით ვეკიდებით ჩვენი საზღვარგარეთელი ამხანაგების ბრძოლას მშრომელთა ინტერესებისა და უფლებებისათვის და ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია ყოველნაირად განვამტკიცებდეთ მათთან კავშირს.

აი რა მინდოდა მეტქვა დღეს საერთაშორისო საქმეებში ჩვენი პარტიის გეზის შესახებ. და დარწმუნებული ვართ, რომ მას სულითა და გულით მხურვალედ უჭერს მხარს საბჭოთა ხალხი.

ამხანაგებო!

მთელ თავიანთ მიღწევებს საბჭოთა ადამიანები განუხრელად უკავშირებენ პარტიის საქმიან-

ნობას. მასების უსაზღვროდ ერთგული პარტია მასების სრული ნდობით სარგებლობს.

ეს-ეს არის პარტიულ ორგანიზაციებში დამთავრდა საანგარიშო-საარჩევნო კამპანია. მან კვლავ გვიჩვენა კომუნისტთა შეგნებისა და აქტიურობის მაღალი დონე. ხელმძღვანელ პოსტებზე არჩეული არიან ავტორიტეტიანი, გამოცდილი, მცოდნე ადამიანები.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობენ პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების პირველი მდივნები. თქვენ, ამხანაგებო, გვინდა განსაკუთრებით მოგმართოთ. ცენტრალურმა კომიტეტმა კარგად იცის, რაოდენ ფართოა თქვენი მოვალეობების, თქვენი საზრუნავის წრე. იცის, თუ რა ბევრი რამ არის თქვენზე დამოკიდებული ჩვენი მიმდინარე, უახლოესი და სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტაში. ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური დარწმუნებულია, რომ ყველაფერს იღონებთ, რათა უზრუნველყოთ სამრეწველო წარმოების ზრდის სტაბილური ტემპი, სასურსათო პროგრამის წარმატებით შესრულება, მასების შრომითი აქტიურობის განვითარება, იმ ღონისძიებათა რეალიზაცია, რომელთა მიზანია ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება და ამით პარტიის ავანგარდული როლის გაძლიერება.

ჩვენს პარტიაში ყოველგვარი არჩევითი პოსტი პასუხსაგები პოსტია. პარტიულ კომიტეტში არჩევა უნდა მივიჩნიოთ თავისებურ ნდობის კრედიტად, რომელსაც პარტიის წევრები თავიანთ ამხანაგებს აძლევენ. და ეს ნდობა თავდადებული შრომით უნდა გავამართლოთ.

ასეთია განვლილი კრებებისა და კონფერენციების მონაწილეთა განაწესი. ახლა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების წინ, ამ მომთხოვნ განაწესს პარტია გადასცემს იმ კომუნისტებსაც, რომლებიც დეპუტატობის კანდიდატებად არიან დასახელებული და შევლენ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში.

საბჭოთა კომუნისტების დაუშრეტელი ძალაა მათი რიგების შეკავშირება. ეს ძალა სრულად ვლინდება მაშინ, როცა, როგორც ლენინი ამბობს, „ჩვენ ყველანი, პარტიის წევრნი, ვმოქმედებთ, როგორც ერთი კაცი“. სწორედ ასე ერთსულოვნად შეკავშირებულად მოქმედებს სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტი, მისი ხელმძღვანელი ბირთვი — ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური. ეს საშუალებას გვაძლევს ვიღებდეთ შემოწმებულ, ყოველმხრივ აწონ-დაწონილ გადაწყვეტილებებს, რომლებიც განამტკიცებენ მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის კავშირს, საბჭოეთის ხალხთა ძმურ მეგობრობას.

ნამდვილად პარტიული, საქმიანი და შემოქმედებითი ატმოსფერო, რომლის შექმნასაც ამდენი ძალ-ღონე მოახმარა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვმა, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის უცილობელი პირობა იყო და იქნება. ეს არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ავტორიტეტის შემდგომი ზრდის, ჩვენ წინაშე დასახული კომუნისტური აღმშენებლობის დიდი და რთული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის საწინდარი.

საკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ა. ტიხონოვის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!

კომუნისტურმა პარტიამ, ჩვენმა ხალხმა, მსოფლიო კომუნისტურმა და მუშათა მოძრაობამ დიდი დანაჯლისი განიცადეს. აღარ არის იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი — ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი, მშვიდობისა და კომუნიზმისათვის დაუცხრომელი მებრძოლი.

მოკლე ვადის, წელიწადზე ცოტა მეტი ხნის მანძილზე ხელმძღვანელობდა იური ვლადიმერის ძე ცენტრალურ კომიტეტს. მაგრამ ამ დროის განმავლობაში ძალზე ბევრი რამ მოასწრო. პარტიამ, რომელიც განუხრელად მისდევდა და შემოქმედებითად ამდიდრებდა XXVI ყრილობის კურსს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით უზრუნველყო ქვეყნის მტკიცე წინსვლა ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ყველა მიმართულებით.

მრავალმხრივი იყო იური ვლადიმერის ძის მოღვაწეობა პასუხსაგებ პოსტებზე, რომლებსაც პარტია ანდობდა, იგი მთელ ძალღონესა და ცოდნას ახმარდა ხალხის ინტერესების სამსახურს.

თითოეულ ჩვენგანს კარგად ახსოვს იური ვლადიმერის ძის ღრმაშინაარსიანი გამოსვლები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1992 წლის ნოემბრისა და მომდევნო პლენუმებზე, გამოსვლები, რომლებშიც ჩამოყალიბებულა სოციალიზმის უპირატესობათა რეალიზაციის, კომუნისტური მშენებლობის აქტუალურ პრობლემათა გადაჭრის მკაფიო პროგრამა.

იგი მარჯვედ და ენერგიულად წარმართავდა ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს საქმიანობას, რათა დაერაზმა კომუნისტები, ყველა მშრომელი ეკონომიკის დაჩქარებული განვითარებისათვის, სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფისათვის, ორგანიზებულობისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის.

იური ვლადიმერის ძე მუდამ ეყრდნობოდა კოლექტიურ გამოცდილებას, ზუსტად უღებდა ალღოს საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნილებებს და დიდ პირად წვლილს მატებდა პარტიის მუშაობას საბჭოთა სახელმწიფოს

ძლიერების გადიდებისათვის, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

იგი განუხრელად იბრძოდა პარტიის მშვიდობისმოყვარული საგარეო-პოლიტიკური კურსის — თერმობირთვული ომის საფრთხის აღკვეთის, იმპერიალიზმის აგრესიული ხრიკების მტკიცე მოგერიების კურსის თანამიმდევრული რეალიზაციისათვის.

ყველანი ღრმად განვიცდით დიდ უბედურებას, რომელიც ჩვენს პარტიას, მთელ საბჭოთა ხალხს ეწია, მაგრამ ლენინელ კომუნისტთა ვალია კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირდნენ, განამტკიცონ პარტიის და ხალხის ერთიანობა.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმში მთელი ჩვენი ქვეყნის, მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადყოფს პარტიის ურყევ მისწრაფებას — კვლავაც მტკიცედ და თანამიმდევრულად იაროს სწორი ლენინური კურსით.

განუხრელად და მიზანდასახულად განხორციელდება გეზი, რომელიც შეიმუშავეს სკკპ ისტორიულმა XXVI ყრილობამ და ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმებმა, გეზი, რომლის მიზანია უზრუნველყოფით წარმოების ინტენსიფიკაცია, ავამაღლოთ ეკონომიკის ეფექტიანობა, დაეაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, განვახორციელოთ სასურსათო პროგრამა, კიდევ უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ საბჭოთა ადამიანების მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი.

პარტია კვლავაც განამტკიცებს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის ურღევ კავშირს, ჩვენი სამშობლოს ხალხთა ძმურ მეგობრობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო მუდამ უერთგულებენ ყველა ქვეყნის ხალხთა შორის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის იდეალებს, სოციალური პროგრესის იდეალებს.

ძვირფასო ამხანაგებო!

პოლიტბიურომ განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის საკითხი და ერთსულოვნად დამავალა პლენუმს შემოეთავაზო ავირჩიოთ ჩვენი პარტიის ცენტრალური

კომიტეტის გენერალურ მდივნად ამხანაგი კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო.

კონსტანტინე უსტინის ძემ დიდი ცხოვრებისეული სკოლა გამოიარა. მან იცას ძნელი გლეხკაცური შრომაც და ჯარისკაცულ სამსახურიც, სოფლის რაიკომის ყოველდღიური მუშაობაც.

იგი მრავალი წლის მანძილზე მეთაურობდა პარტიული მუშაობის პასუხსაგებ უბნებს კრასნოიარსკის, პენზის, მოლდავეთის პარტიულ ორგანიზაციებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატში.

სადაც უნდა ემუშავა კონსტანტინე უსტინის ძეს, იგი ყველგან იჩენდა თავს მასების ნიჭიერ ორგანიზატორად, მარქსისტულ-ლენინურად იდეების მგზნებარე პროპაგანდისტად, ჩვენი დიდი პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის ურყევ მებრძოლად.

კომუნისტები. საბჭოთა ადამიანები კონსტანტინე უსტინის ძეს კარგად იცნობენ როგორც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს, ლენინური ტიპის ისეთ ხელმძღვანელთა ერთგულ თანამოსაგრეს, როგორებიც იყვნენ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი და იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და სამდივნოში მუშაობისას კონსტანტინე უსტინის ძემ ბევრი რამ იღონა პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის ლენინური სტილის განვითარება-დამკვიდრებისათვის, რომელსაც ახასიათებს საზოგადოებრივი განვითარების საკვანძო საკითხთა ღრმა გაგება, რეალისტური მიდგომა მიღწეულისა თუ გადასაწყვეტი პრობლემების შეფასებისადმი, მაღალი მომთხოვნელობა კადრების მიმართ და ამასთანავე კეთილმოსურნე დამოკიდებულება მათადმი, მშრომელთა ინიციატივასა და გამოცდილებაზე დაყრდნობა.

კონსტანტინე უსტინის ძე გამოირჩევა უნარით ფრთა შეასხას ადამიანებს თავისი ენერგიით, ნებისმიერი საქმისადმი ნოვატორული დამოკიდებულებით, შეაკავშიროს ამხანაგები ერთსულოვანი კოლექტიური მუშაობისათვის.

მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო მისი მუდმივი მოთხოვნილება იქონიოს მასებთან ცოცხალი ურთიერთობა, მისი ყურადღება ყოველი ადამიანის ბედისადმი — იქნება ეს ნიჭიერი მეცნიერი თუ წარჩინებული მეტალურგი, ჯარისკაცის დედა თუ ახალგაზრდა მწერალი.

კონსტანტინე უსტინის ძეს თვალსაჩინო როლი ეკუთვნის განვითარებული სოციალისტური საზოგადოების სრულყოფის პნიშვნელოვანი თეორიული პრობლემების დამუშავებაში, ხანგრძლივი პერსპექტივისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური საქმიანობის ერთიანი კონცეფციის შექმნაში.

კონსტანტინე უსტინის ძე უაღრესად აქტიურად მონაწილეობს ჩვენი მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ მიმართულებათა ჩამოყალიბებაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობაში საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირების განსამტკიცებლად.

ჩვენმა სამხედრო მუშაკებმა იციან, თუ რაოდენ ბევრს მუშაობს კონსტანტინე უსტინის ძე საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებასთან, შეიარაღებული ძალების თანამედროვე ტექნიკით აღჭურვასთან, არმიისა და ფლოტის პირადი შემადგენლობის იდეურ წრთობასთან.

პოლიტბიუროს სწამს, რომ კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტზე ღირსეულად გაუძღვება ჩვენი პარტიის მებრძოლ შტაბს.

კომუნისტებს, ყველა საბჭოთა ადამიანს, რომლებიც მჭიდროდ არიან შეკავშირებულნი ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და მისი ხელმძღვანელი ბირთვის გარშემო, ხელთ აქვთ ზუსტი და მკაფიო სამოქმედო პროგრამა, რომელიც პარტიის XXVI ყრილობამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმებმა შეიმუშავეს, ოპტიმიზმით შეპყურებენ მომავალს და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავდადებული შრომით უზრუნველყონ ჩვენი დიდი სამშობლოს შემდგომი აყვავება.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერენკო

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერენკო დაიბადა 1911 წლის 24 სექტემბერს კრასნოიარსკის მხარის ნოვოსელოვოს რაიონის სოფელ ბოლშაია ტესში, რუსია.

1931 წლიდან არის სკკპ წევრი. განათლება უმაღლესი — დამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტი და სკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტორგანიზატორთა უმაღლესი სკოლა.

შრომითი ცხოვრება კ. უ. ჩერენკომ ადრეული ასაკიდან დაიწყო, როცა მოჭამაგირედ მუშაობდა კულაკებთან. მთელი მისი შემდგომი შრომითი საქმიანობა დაკავშირებულია ხელმძღვანელ მუშაობასთან კომკავშირულ, შემდეგ კი პარტიულ ორგანოებში. 1929—1930 წლებში კ. უ. ჩერენკო იყო სრულიად საკავშირო ალკ კრასნოიარსკის მხარის ნოვოსელოვოს რაიონის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე. 1930 წელს მოხალისედ წავიდა წითელ არმიაში. 1933 წლამდე მსახურობდა სასაზღვრო ჯარებში, იყო სასაზღვრო საგუშაგოს პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

ჯარში სამსახურის დამთავრების შემდეგ კ. უ. ჩერენკო მუშაობდა კრასნოიარსკის მხარეში: პარტიის ნოვოსელოვოსა და უიარის რაიონების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ, კრასნოიარსკის მხარის პარტიული განათლების სახლის დირექტორად, პარტიის კრასნოიარსკის სამხარეო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილედ, პარტიის სამხარეო კომიტეტის მდივნად.

1943 წლიდან კ. უ. ჩერენკო სწავლობს სკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტორგანიზატორთა უმაღლეს სკოლაში. სწავლის დამთავრების შემდეგ 1945 წლიდან მუშაობს პარტიის პენზის საოლქო კომიტეტის მდივნად. 1948 წელს გაგზავნეს მოლდავეთის სს რესპუბლიკაში და დაამტკიცეს მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ. ამ თანამდებობაზე მუშაობისას მან დიდი ძალ-ღონე და ცოდნა მოახმარა რესპუბლიკაში ეკონომიკურ და კულტურულ მშენებლობას, მშრომელთა კომუნისტურ აღზრდას.

1956 წელს კ. უ. ჩერენკო დააწინაურეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატში სამუშაოდ, სადაც იგი სათავეში ჩაუდგა სექტორს პროპაგანდის განყოფილებაში, და ამავე დროს დაამტკიცეს ეურნალ „აგიტატორის“ სარედაქციო კოლეგიის წევრად. 1960 წლიდან იგი მუშაობს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნოს უფროსად. 1965 წელს კ. უ. ჩერენკო დაამტკიცეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების გამგედ. 1966—1971 წლებში იგი სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატია. პარტიის XXIV ყრილობაზე (1971 წლის მარტი) მას ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრად, ხოლო 1976 წლის მარტში პარტიის XXV ყრილობის შემდეგ გამართულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

1977 წლიდან იგი პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატია, ხოლო 1978 წლიდან — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი. იგი სსრ კავშირის მე-7—10 მოწვევის უმაღლესი საბჭოს და რუსეთის სფსრ მე-10 მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. კ. უ. ჩერენკო იყო საბჭოთა დელეგაციის წევრი ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო თათბირზე (პელსინკი, 1975 წელი). მონაწილეობდა ვენაში განიარაღების საკითხებისადმი მიძღვნილ მოლაპარაკებაში (1979 წელი).

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერენკო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეა. ყველა პოსტზე, რომელიც კი პარტიას მიუზღვია მისთვის, იგი ავლენდა დიდ ორგანიზატორულ ნიჭს, პარტიულ პრინციპულობას, ლენინის დიადი საქმის, კომუნიზმის იდეალების ერთგულებას. კ. უ. ჩერენკო საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში პარტიის ხელმძღვანელი როლის გაზრდის, პარტიული და სახელმწიფო მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის, სოციალისტური დემოკრატიის განვითარების აქტუალური საკითხებისადმი მიძღვნილი მთელი რიგი სამეცნიერო შრომების ავტორია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე კ. უ. ჩერენკომ გააკეთა მოხსენება, რომელშიც განსაზღვრულია თანამედროვე პირობებში სკკპ იდეოლოგიური საქმიანობის გაუმჯობესების მთავარი მიმართულებანი.

სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის კონსტანტინე უსტინის ძე ჩერენკოს ორგზის მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება და დაჯილდოებულა სამი ლენინის ორდენით, სამი შრომის წითელი დროშის ორდენით, საბჭოთა კავშირის ბევრი მედლით. იგი ლენინური პრემიის ლაურეატია.

კ. უ. ჩერენკო დაჯილდოებულია სოციალისტური ქვეყნების უმაღლესი ჯილდოებით.

სსკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

მ ი მ ა რ თ ვ ა

კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს

ქვეყნის ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა ლენინური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი, მშვიდობისა და კომუნიზმისათვის დაუცხრომელი მებრძოლი იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი.

მისი სიცოცხლე პარტიისა და ხალხის ინტერესების, ლენინის დიადი საქმის თავდადებული სამსახურის ნიშნად უკელა კოსტზე. სადაც კი პარტიის ნებთ შრომობდა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი, იგი თავის ძალ-ღონეს, ცოდნას, უდიდეს ცხოვრებისეულ გამოცდილებას ახმარდა პარტიის პოლიტიკის განუზრეულ განხორციელებას, კომუნისტური იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლას. დიდი პოლიტიკური ხელმძღვანელის თვისებები მკაფიოდ გამოვლინდა ი. ვ. ანდროპოვის მთელ მრავალმხრივ საქმიანობაში — კომკავშირულ ხალხშაოებზე და კარელიაში დიდი ხანგრძლივობის წლების მანძილზე პარტიანული მოძრაობის ორგანიზაციაში, პარტიული და დიპლომატიური მოღვაწეობის პასუხისმგებ უბნებზე. დიდი შრომა გახდა მან ჩვენი სახელმწიფოს უშიშროების განსამტკიცებლად.

ამხანაგ ანდროპოვის — ლენინური ტიპის ხელმძღვანელის უდიდესი ნიჭი და ორგანიზატორული ტალანტი მთელი ძალით გამოვლინდა სსკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტებზე მუშაობისას.

ხანმოკლე იყო ი. ვ. ანდროპოვის მოღვაწეობა სსკპ ცენტრალური კომიტეტის მეთაურად. მაგრამ ამ დროის მანძილზე პარტიამ, რომელიც XVII ყრილობის კურსს ადგას და შემოქმედებითად ავითარებს მას, უზრუნველყო ქვეყნის მტკიცე წინსვლა ეკონომიკური და სოციალური პროგრესის უკელა მიმართულებით.

პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში, მათი ურღვევი ერთიანობის განმტკიცებაში დიდმნიშვნელოვანი ნიშანდებები გახდა სსკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის, 1983 წლის ივნისისა და დეკემბრის პლენუმები. პლენუმების გადაწყვეტილებებში, ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლებში განვითარებული და დაკონკრეტებული იყო პარტიის თანამედროვე სტრატეგია — მომწიფებული სოციალიზმის სრულყოფის სტრატეგია.

ამ პერიოდში პარტიისა და ხალხის ძალისხმევა ხმარდებოდა ეკონომიკის განვითარების დაჩქარებას, სახალხო მეურნეობის მართვის გაუმჯობესებას, პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებას, კადრების პასუხისმგებლობის ამაღლებას, მასების შემოქმედებითი აქტიურობის განვითარებას.

პარტიის ღონისძიებანი ექვემდებარება ერთ მიზანს — საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებას, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების ზრდას. ყოველივე ამაში დიდია იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის დამსახურება.

მნიშვნელოვანია ი. ვ. ანდროპოვის წვლილი სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ყოველმხრივ თანამშრომლობის განვითარებაში, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებაში, თავისუფლებისა და დემოკრატიულობისათვის ხალხთა ბრძოლის მხარდაჭერაში.

მისი ხელმძღვანელობით სსკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა სახელმწიფო თანამიმდევრულად და მტკიცედ ასორციელებდნენ საერთაშორისო ასპარეზზე ლენინურ საგარეო-პოლიტიკურ კურსს — თერმოპირთვული ომის საფრთხის აღკვეთის, იმპერიალიზმის აგრესიული ბრიკების უკუგდების, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების კურსს.

ამ მწუხარების დღეებში კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ ირავებოდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის,

საკუთარ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურს გარშემო. საბჭოთა კავშირის მშრომელებს კომუნისტური პარტია მიაჩნიათ თავიანთ ნაცად, კოლექტიურ ბელადად, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავდადებით იბრძოლონ მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებისათვის, რომელიც ხალხის საარსებო ინტერესებს გამოხატავს. პარტიის ლენინური კურსი ურყევეია. პარტია აღკურვილია სკკ XIXVI ყრილობის, სკკ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების მიერ შემუშავებული მოქმედების ნათელი და მკაფიო პროგრამით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კვლავაც მტკიცედ და მიზანმიმართულად განახორციელებს წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, ორგანიზებულობისა და დისციპლინის გაძლიერების, ხალხის ცხოვრების მატერიალური და სულიერი დონის განუზრვლელი ამაღლების გეზს. იგი განამტკიცებს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის ურდვევ კავშირს, სსრ კავშირის ხალხთა ძმურ მეგობრობას, განავითარებს სოციალისტურ დემოკრატიას, აღზრდის ადამიანებს საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, კომუნიზმის დიადი იდეალების ერთგულების სულისკვეთებით.

ახლანდელ რთულ, ხაშიშად გამწვავებულ საერთაშორისო ვითარებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა სახელმწიფოს თავიანთ უპირველეს მოვალეობად მიაჩნიათ თანამიმდევრულად დაიცვან მშვიდობის საქმე, გამოიჩინონ მტკიცე ნებისყოფა და სიფხიზლე, გადაჭრით ჩაშალონ იმპერიალიზმის ავანტიურისტული ზრახვები, განამტკიცონ ქვეყნის თავდაცვითი ძლიერება.

საბჭოთა ხალხი იმის მტკიცე მოწინააღმდეგეა, რომ სადავო ხაერთაშორისო ხაკითხები ძალის მეოხებით გადაწყდეს. უომო მსოფლიო ჩვენი იდეალია. მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლაში ჩვენთან ერთად არიან მოძმე სოციალისტური ქვეყნები, კომუნისტური და მუშათა პარტიები, ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის მებრძოლნი, ხალხის ფარ-

თო მასები, რომლებიც თერმოზირთული კატასტროფის თავიდან აცილებისათვის იღვწიან.

ჩვენი პარტია და სახელმწიფო კვლავაც მტკიცედ და განუზრვლად განახორციელებს სხვადასხვა საზოგადოებრივი წუობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს. ჩვენ გვსურს მშვიდობით ვიცხოვროთ ყველა ქვეყანასთან, აქტიურად ვთანამშრომლოთ იმ მთავრობებთან და ორგანიზაციებთან, რომლებიც მზად არიან პათიოსნად და კონსტრუქციულად იმუშაონ მშვიდობის საკეთილდღეოდ.

საბჭოთა ხალხმა მტკიცედ იცის: პარტია, ცენტრალური კომიტეტი, მისი ხელმძღვანელი ბირთვი ლენინური დროშის, დიდი ოქტომბრის საქმის ურყევად ერთგულნი არიან. პარტია დიდად აფასებს ხალხის ნდობას და თავისი საქმიანობის უმაღლეს მიზნად მიაჩნია ზრუნვა საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის. პარტიისა და ხალხის ერთიანობა იყო, არის და იქნება ჩვენი ძლიერების წყარო.

კომუნისტების, ყველა საბჭოთა ადამიანის ხსოვნაში იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის ყოველთვის დარჩება როგორც მარქს-ენგელს-ლენინის მოძღვრების უსაზღვროდ ერთგული, პრინციპული და თავმდაბალი, მშრომელ ადამიანებთან დაახლოებული, მათი საკიროებებისა და საზრუნავისადმი გულისხმიერი ადამიანი, რომელსაც უნარი შესწევდა ყველაფერი სოციალისტური სამშობლოს ინტერესებისათვის დაექვემდებარებინა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი ახალი ძალით გამოიჩენენ თავიანთ კლასობრივ შეგნებასა და ორგანიზებულობას, თავიანთ მაღალ კოლექტივისტურ თვისებებს, მიზანდახებული, თავდადებული შრომით უზრუნველყოფენ სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებას, ჩვენი დიადი სამშობლოს შემდგომ აყვავებას.



ირაკლი ჯაფარიძის ძმ. ანდროპოვი

მამუკა შელეგია

ერთი მსახვრული სახის გენეზისისათვის კ. ლორთქიფანიძის
შემოქმედებაში

ქეშმარიტ, მწერალი მთელი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყნის ბედთან, მის აწმყოსა და მომავალთან. ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში თუ ვინმემ აღბეჭდა თანამედროვე ეპოქა მათ შორის კონსტანტინე ლორთქიფანიძე ერთ-ერთი პირველია. აგერ უკვე ექვსი ათეული წელია იგი თავისი ქვეყნის პირუთვნელი, ერთგული მემკვიდრეა.

ყოველ მწერალს აქვს გარე სამყაროს, ადამიანის მხატვრული ორიენტაციის საკუთარი კონცეფცია. ამ შეხედულებათა ერთიანობა მწერლის შემოქმედებას შინაგან მთლიანობას ანიჭებს. ხსნის მის მხატვრულ არჩევანსა და ძიებას.

კ. ლორთქიფანიძე ქართველ მწერალთაგან ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც იგრძნო ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში სოფლად მიმდინარე პროცესების უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა, ამ მიმართულებით ხელოვანის დაინტერესების აუცილებლობა. სწორედ მაშინ დაიწერა მისი მხატვრული ნარკვევი „ახალი გლეხები“, რომელშიაც ზემო ქედის კომუნაზეა მოთხრობილი. „ახალ გლეხებს“ მოჰყვა საქვეყნოდ ცნობილი „კოლხეთის ცისკარი“, რომანი „ნატურის თვალი“, ქართული სოფლის ქრონიკების სამი წიგნი: „რა მოხდა აბაშაში“, „მთას დაუბრუნდა მთიელი“ და „ოქროს მტევანი“.

წინამდებარე წერილი მიზნად არ ისახავს ამ თხზულებათა გამოწველილვითს ანალიზს. ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში ისინი საკმაოდ კარგადაა შესწავლილი. ჩვენ მხოლოდ ამ ნაწარმოებთა დროითს კრილში განვკრეტას შევეცდებით. თვალს გავადევნებთ ერთი კონკრეტული სახის, ამ შემთხვევაში — პარტიულ-სამეურნეო ხელმძღვანელის, ევოლუციას; იმას, თუ როგორ აირეკლა, რა გავლენა მოახდინა ამ მხატვრულ ტიპზე ქვეყნის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ცვლილებებმა.

საბჭოთა ლიტერატურამ იმთავითვე მიზნად დაისახა ეჩვენებინა არა მარტო უდიდეს გარდატეხათა ეპოქა, აესახა არა მარტო იმ ხალხის მოქმედება, რომელთაც ისტორიის ჩარხი დააბრუნეს, არამედ მხატვრულად გადმოეცა, თუ როგორ მოქმედებდნენ ისინი, რა მიზანი ამოძრავებდათ, როგორ აღიქვამდნენ სამყაროს. სოციალისტური რეალიზმის მეთოდით აღჭურვილმა მწერლობამ დახატა ეპოქის მოწინავე ადამიანი, სახალხო საქმისათვის თავდადებული, ქეშმარიტი რევოლუციონერის სახე. ყურადღების ცენტრში აღმოჩნდნენ გმირები, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ცხოვრებასთან, ხალხის ხედვას იყოფდნენ და ამასთანავე განსაზღვრავდნენ კიდევ მათ ბედს.

ამ ტიპის მხატვრული ისტორია, როგორც ცნობილია, მ. გორკის ნილით, პავლე ვლასოვით, სინკოვით იწყება.

ქართულ მწერლობასაც აქვს რევოლუციისათვის თავდადებულ ადამიანთა მხატვრული სახის შექმნის თავისი ტრადიცია. გავიხსენოთ გ. ტაბიძის „გემი და-

ლანდი“, აგრეთვე — ლ. ქიაჩელის ბოლშევიკი ნიკო და ანდრო ქარივამე („სისხლი“), მ. ჯავახიშვილის ზურაბ გურგენიძე („ქალის ტვირთი“), ბ. ჩხეიძის ლუკა ვოლკოვი („ფერო“), პ. ჩხიკვაძის ბორის ბუთხუზი („ამხანაგი ბუთხუზი“) და სხვ. მაგრამ ქართულ ლიტერატურაში პირველად კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარში“ („ძირს სიმინდის რესპუბლიკა“) სრულად და ნათლად გამოჩნდა ხალხის კეთილდღეობისათვის მეზობლი კომუნისტის სისხლსაც, ცოცხალი სახე. ამით დაედო სათავე მის შემოქმედებაში ერთ-ერთი საინტერესო მხატვრული ტიპის გამოსახვას.

„კოლხეთის ცისკრის“ ერთ-ერთი მთავარი გმირი ტარასი ხაზარაძე სოფლის კომუნისტის, მასის ხელმძღვანელის ლიტერატურული ტიპია. მისი სახე მშრალი, სქემატური, მარტოოდენ იდეების მექანიკური ხორცშესხმა როდია, არამედ ბოლშევიკის ნამდვილი, ადამიანური პორტრეტია დახატული. რომანში მას განსაკუთრებული როლი აქვს, ის ნაწარმოების იდეური ხაზის გამტარებელია. უდიდესია მისი წვლილი სოფლად პარტიის ამოცანების განხორციელებაში, ადამიანთა შეგნების გაღვივებასა და გააქტიურებაში, საერთოდ. „ადამიანის ადამიანად“ გარდაქმნაში. ტარასის ძალა ცხოვრების, ადამიანთა ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნაშია, ხალხთან მჭიდრო კავშირში. მან კარგად იცის ვის დაეყრდნოს, ვის როგორ მიუდგეს, ითვალისწინებს თითოეული გლეხის ხასიათს, ფსიქიკას. თანასოფლელები პატივს სცემენ კომუჩრედის მდივანს. რადგანაც გლეხკაცის შრომის ფასი იცის, აფასებენ იმიტომაც, რომ სიტყვაზე უფრო საქმე უყვარს. ხაზარაძისათვის არავითარი ადამიანური უცხო არ არის. მას შეცდომებიც მოსდის, მაგრამ მისი ძლიერება ამ შეცდომათა შეცნობასა და დაძლევაშია. სალიტერატურო კრიტიკაში კარგად არის შესწავლილი ტარასი ხაზარაძის სახე და ამიტომაც ჩვენ მასზე აღარ შევჩერდებით.

ზემოციხის კომუჩრედის მდივანს არტელის ჩამოყალიბებისა და შემდგომ მისი განმტკიცების პერიოდშიც სხვადასხვა სახის წინააღმდეგობის დაძლევა უხდება: კლასობრივი მტრების, ორგანიზაციული, ეკონომიკური თუ მორალური. ამას ემატება კონფლიქტი იმათთან, ვინც ამ ბრძოლაში გვერდში უნდა ედგას. საუბარია ზემოციხის აღმასკომის თავმჯდომარე ტუჩა დაშნიანზე. კ. ლორთქიფანიძეს მხედველობიდან არ გამოპარვია ახალი ხელისუფლების შენიღბული მტრები, უინიციაციო, დემაგოგიას ამოფარებული, სახელმწიფო აპარატში მოკალათებული ადამიანები. საბჭოთა ლიტერატურაში ასეთმა ტიპმა შემდგომში განზოგადებული სახე შეიძინა და მას სერიოზული შეცდომებიც დაუკავშირა. ერთი ასეთი პერსონაჟი — ტუჩა დაშნიანი — კ. ლორთქიფანიძემაც დახატა „კოლხეთის ცისკარში“. მსგავსი მუშაკები იყვნენ იმ პერიოდში და რეალისტ მწერალს უფლება არ ჰქონდა არ დაეხატა ისინი. წლების შემდეგ დაშნიანის მსგავსთ კვლავ მიუბრუნდა მწერალი და მათი სახე უფრო მსხვილი პლანით წარმოაჩინა. მაგალითად, ბევრი აქვთ საერთო ვანო მურადაშვილსა (მოთხრობა „სიტყვა იყო ღმერთი“) და ტუჩა დაშნიანს. ტუჩას გარკვეული დამსახურება აქვს საბჭოთა ხელისუფლების წინაშე. ახლა, ზემოციხის აღმასკომის თავმჯდომარის პოსტზე ყოფნისას, მეღვაწეობა მისი სულიერი სიმწირე: უინიციაციო და დემაგოგი კაცია („არტელი რომ ეგრე საჭირო იყოს, მაზრა მოწერილობას გ მოგვიგზავნიდაო“). მისი, როგორც აღმასკომის თავმჯდომარის, საქმიანობა მხოლოდ ყაჩაღების დევნით შემოიფარგლება. სხვა დროს ან კამათელს აგორებს, ან სოფლის ბობოლვებთან ქვივობს: არაღ აგდებს იმას, რომ აღმასკომში საჭირო

უცდის და საქმეები ელოდება. მისთვის დამახასიათებელია მოტყუება და სიცრუე, რაც მეტად უცხოა ქეშმარიტი პარტიული ხელმძღვანელისათვის. კრებაზე ხალხის მოსაყვანად იშვიათი ხერხი მოიგონა: ხმებს ავრცელებს, თითქოს ფართლელური უნდა დარიგდეს, ან კიდევ შაბიამანი. დაშნიანი ამოფარებია ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს. ისეთი მნიშვნელოვანი მხატვრული დეტალის საშუალებით, როგორც პერსონაჟის მეტყველებაა, ავტორი ხაზგასმით გვიჩვენებს თავისი გმირის სულიერ სიცარიელეს, იგი ბლენძი და ზედმეტად თავდაჯერებული კაცია: „ბიჭოუ! ცხენი შეუკაზმე შენს მთავრობას!“ ან კიდევ, როდესაც ტარასის მიმართავს: „მე რომ ლაი-ლაის გადავყვე, ამ კონტრევოლუციას ვიღამ სდიოს! შენ დაიჭირავ? ვერა, ჩემო ძმაო, ვერ დაიჭირავ (ხაზგასმა ჩემია. — მ. შ.) და რატომ ღალატობ საბჭოთა ხელისუფლებას, რატომ მაცდენ ერთი რაღაცა კრების გამო“. იმის მაგივრად, რომ ტარასის ხელი შეუწყოს და დაეხმაროს, ხელს უშლის კიდევ, ამტკიცებს: ნამდვილი კულაკები ზემოციხეში არ არიანო. როგორც ღვინო დაღულების შემდეგ არ იჩერებს, გარიყავს და გაინაპირებს ჭუჭყსა და ლექს, ასევე პარტიაც თავიდან იშორებს მის რიგებში შემთხვევით მოხვედრილ ადამიანებს. სულ მალე სამაზრო კომიტეტმა დაშნიანი ზემოციხის აღმასკომის თავმჯდომარეობიდან გაათავისუფლა.

პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელთა სახეებს კ. ლორთქიფანიძის შემდგომი წლების ნაწარმოებებში კვლავ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ. ისინი თავიანთი ეპოქის ღვიძლი შვილები არიან, იმ კონკრეტულ-ისტორიული ეპოქის ავ-კარგით ნიშანდებულნი, რომელშიაც ცხოვრობენ.

თუ „კოლხეთის ცისკარი“ იქმნებოდა როგორც უშუალო გამოძახილი საკოლმეურნეო მშენებლობის პირველი ეტაპისა, სადაც კონკრეტული და უცილობელი ამოცანა იდგა — სოფლის კოლექტივიზაცია, მოგვიანებით გამოქვეყნებულ რომანში „ნატერის თვალი“ ძირითადად აისახა ომისა და ომის შემდგომი ქართული სოფელი, რომლის წინაშეც წინა წლებისაგან განსხვავებული პრობლემები და ამოცანებია. ამ დროისათვის კოლმეურნე გლეხობას გარკვეული ისტორიული გზა ჰქონდა გავლილი. მათ წინაშე მდგარი სიძნელეები და დაბრკოლებანი დაკავშირებული იყო იმ დროის ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებთან, რომლებსაც ნაწილობრივ განსაზღვრავდა ადმინისტრაციულ და სოფლის მეურნეობის სფეროში მაშინ მიმდინარე ექსპერიმენტი. ამ პერიოდისათვის ჩვენს ქვეყანაში წამოიჭრა კოლექტიურ მეურნეობათა არსებული ფორმის შეცვლის აუცილებლობა. ამიტომაც მიმდინარეობდა კოლმეურნეობათა გამსხვილებები იმ მიზნით, რომ შესაძლებელი ყოფილიყო თანამედროვე მანქანა-იარაღების უფრო ეფექტური გამოყენება და სოფლად აგრონომიული მეცნიერების მიღწევების დანერგვა. ამ პროცესს თან სუბიექტური მოვლენებიც ახლდა: ცვლილებების პროცესში გამოიკვეთა ახალი შრომითი და ფსიქოლოგიური ურთიერთობანი. ყოველივე ეს თავისი უტყუარი ალლოთი იგრძნო მწერლობამ, იგრძნო კ. ლორთქიფანიძემაც. ცნობილია მისი, როგორც მოქალაქისა და შემოქმედის, მყისეული, სეისმოგრაფიული მგრძნობიარობა იმ ცვლილებებისადმი, რომლებიც ქვეყნის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე მიმდინარეობდა საზოგადოებრივ ყოფასა და ადამიანთა სულიერ სფეროში. ამის კიდევ ერთი მაგალითია რომანი „ნატერის თვალი“.

ღრმომოთხოვა და ჩვენს მწერლობაში „თანდათან გამოვლინდა მასისა და ხელმძღვანელის ურთიერთობის თემა, თუმცა მან ცალმხრივი გაშუქება პოვა: ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა ჩამორჩენილი, გადაგვარებული ხელმძღვანე-

ლი, ამ გადაგვარების პროცესის კანონზომიერებათა გახსნის პათოსი (თ. ღონეაშვილის „ალაზანზე“ და სხვა რომანები) და ჯერჯერობით ჩრდილში დარჩა ახალი ტიპის თანამედროვე ინტელექტუალური დონის ხელმძღვანელის, მასების ჭეშმარიტი წინამძღოლის შთამაგონებელი სახე“ (გ. მერკვილაძე). ამ მხრივ მეტად საინტერესოა კ. ლორთქიფანიძის რომანი „ნატვრის თვალი“. მიუხედავად იმისა, რომ ეს რომანი ჯერჯერობით დაუმთავრებელია, მასში საკმაოდ კარგადაა გამოკვეთილი ზოგიერთი პარტიული თუ სამეურნეო ხელმძღვანელის სახე.

ისტორიის სვლა რთულია და წინააღმდეგობებით აღსავსე. თითოეული ადამიანი გარდუვალად დგას იმ აუცილებლობის წინაშე, რომ ამ ნოქრათობის უმთავრეს მომენტებში თვითონ გააკვიოს თავისი ადგილი, მით უმეტეს, თუ იგი მოწოდებულია მასების ხელმძღვანელად.

სიმონ ჩოხელი (რომანი „ნატვრის თვალი“), წიფლის წყაროს რაიკომის პირველი მდივანი, პარტიის ერთგული ჯარისკაცი, — მართალი, პატიოსანი და პრინციპული კაცი. მას ბევრი დადებითი თვისება აქვს და მშრომელი ხალხიც აფასებს, მაგრამ მისი უბედურება იმაშია, რომ ეს დიდი ადამიანური მაღლი მალავს რაიკომის მდივნის მთავარ ნაკლს — იგი არ არის გამოკვდილი ხალხის მეთაურად. თანდათანობით ირკვევა, რომ მას არ შეუძლია სხვადასხვა ზნისა და ხასიათის ადამიანები ერთ მუშტად შეკრას და საქვეყნო საქმისათვის დარაზმოს. იგი რბილი, უხერხემლო ხელმძღვანელია. ვერ შეძლო განეჭვრიტა თავისი რაიონის, მშრომელი გლეხობის შესაძლებლობანი, თანდათანობით ჩამორჩა თანამედროვეობას, ალლო ვერ აუღო სამეურნეო ცხოვრების ახალ მოთხოვნებს. სიმონი თავს ვერ მოერია, ენამ გაუსწრო და ცენტრალურ კომიტეტს ისეთი პირობა მისცა, რომლის შესრულება ვერ შეძლო, არც იმის ძალა აღმოაჩნდა, რომ სიმართლე ელიარებიანა. თანდათანობით დაკარგა სულის სიმშვიდე, ფიცხი და გულნამცეცა გახდა; სიმართლეს ვეღარ ეუბნებოდა. ასე მკვიდრდება წიფლის წყაროში სიყალბე და მამებლობა. ეს ნაწილობრივ იმითაც იყო გამოწვეული, რომ „ზევიდანაც“ შესწორებულსა და შელამაზებულს ითხოვდნენ. ძნელია წინასწარ იმის თქმა, რა გზით წარიმართება სიმონ ჩოხელის ხასიათი რომანის შემდგომ თავებში, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ეს არ იქნება აქტიური, მებრძოლვი კომუნისტის სახე.

რომანში არის კიდევ ერთი საინტერესო პერსონაჟი, რომლის წარმოშობასაც დიდად შეუწყო ხელი მაშინდელმა ატმოსფერომ. ესაა არჩილ ყანჩაშვილი — წიფლის წყაროს რაიონის მთავარი აგრონომი. იგი ოცდაათ წელს გადაცილებული კაცი. არჩილის სიცილში, სიტყვა-პასუხში, სიარულში ღონემოჭარბებული კაცი სჩანს. პირდაპირია და მოუერიდებელი, ან ყველაფერი ან არაფერი — აი, ყანჩაშვილის დევიზი. ყოყმანი და ორჭოფობა მისთვის უცხოა, როდესაც სასწოროზე სახელი და ღირსება, მისი მომავალი დევს. იგი ოსტატურად არის შენიღბული; ხშირად ისე ჩანს, როგორც საქმისათვის თავდადებული. ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი კაცი. სინამდვილეში კი ყველაფერს თავისი მიზნების განხორციელებისათვის აკეთებს. თბილისიდან, სადაც მინისტრის რეფერენტად მუშაობდა, შირაქში კონკრეტული მიზნით ჩამოვიდა — რადაც არ უნდა დაუჯდეს გმირის ოქროს ვარსკვლავი უნდა მოიპოვოს, — ვარსკვლავი, რომელიც მისი აზრით, შემდგომში, ყველა კარებს გაუღებს. მისი კარიერიზმი, ბიუროკრატიზმი და უსულგულობა შეფარულია გარეგნულ ენერგიულობასა და საქმისადმი თითქოს გულწრფელ და უანგარო მიდგომაში. არჩილი ცდილობს საქვეყნო საქმე თავის ინტერესებს

დაუქვემდებაროს. თავის გამოჩენის მიზნით (აღმასკომის თავმჯდომარეობას უმიზნებს) — სახნავი ფართობების გაზრდისათვის გარდამავალ საძოვრებს გადახნავს, რაც ასეულობით ცხერის დაღუპვის მიზეზი შეიქმნება; შემდეგ კი ამ დანაშაულის კვალის დასაფარავად სიყალბის ჩადენა სურს.

სხვადასხვა გარემო პირობები ქმნიან ასეთნაირთა ბუნებას, ხასიათს, ზნე-ჩვეულებებს, რწმენას. მკითხველი უკეთ რომ ჩასწვდომოდა ამ ტიპის ადამიანის სულის უღრმეს ფენებს, გაეშიშვლებინა ამ ხასიათის სათავე, მწერალმა ცალკე მოთხრობად გამოაქვეყნა არჩილ ყანჩაშვილის ხასიათის ისტორია, რომელსაც „მწარე ფესვი“ უწოდა.

ქართული ანდაზა — „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო“, ერთი შეხედვით ნაკლებად შეეფერება მამა-შვილ ყანჩაშვილებს. არჩილი თითქოს მამის ანტიპოდია: შვილი მაღალი, წარმოსადეგი, უტეხი და უტიფარია. მამა — წითელი დათა კი დაბალი, დაგვაჯული, მეღაძუა, ლაჩარი და ვერბიჭი კაცია, მაგრამ თუ თვალს გავადევნებთ წითელ დათას ცხოვრების გზას, თერთმეტი წელი იყო იგი კოლმეურნეობის წევრი და თერთმეტჯერ არ სჭერია ხელში ნამგალი, არც ერთხელ უკან არ მიჰყოლია სახნისს. საქმე ისე მოაწყო, რომ მუდამ კოლმეურნეობის საწყობსა და მარანში ტრიალებდა. შემდეგ რაღაც მანქანებით კოლმეურნეობის თავმჯდომარეც გახდა და სარბიელიც მეტი მიეცა. თუ დავაკვირდებით მის ხასიათს, იმ ატმოსფეროს, რომელიც მან შვილებში გაჰორჩეულ არჩილს შეუქმნა (ყანჩაშვილების სხვა ბავშვებს თუ დახეული ეცვათ, არჩილს გამონაცვალსაც არ აკადრებდა, მტყუანიც რომ ყოფილიყო, მაინც ამართლებდა. არჩილი ისე გაიზარდა, რომ მამის წამქეზებელი ხმა — „ამხანაგ-მა არ გაჯობოსო“ — მუდამ თან სდევდა), მივაგნებთ არჩილის ხასიათის სათავეს, გაიკვევა, თუ საიდან გაჩნდა ასეთი თავკერძა და უკუღმართი ადამიანი, ყველაფერს თავისკენ რომ მიითლის და თავს ისე მოგაჩვენებს, აქაოდა ქვეყანაზე გადაგებული ვარო. წითელი დათასაგან განსხვავებით არჩილი განათლებული, თავდაჭერილი და ოსტატურად შენიღბული კაცია, მაგრამ მამა-შვილის საბოლოო მიზანი ერთია, ოღონდ ამ მიზნისკენ სხვადასხვა გზითა და საშუალებებით მიდიან.

არჩილ ყანჩაშვილის სახით კ. ლორთქიფანიძემ დახატა ტიპური საჩუ მედროვისა, რომელიც ქართული საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი საინტერესო, მაღალმხატვრული პერსონაჟია.

საქართველოში ყანჩაშვილებისნაირთა დრო იდგა, — დრო, როდესაც სათუო და საქმისადმი ჭეშმარიტი, შემოქმედებითი მიდგომა მაინცადამაინც დიდ მოწონებაში არ იყო: „ახლა ისეთი დროა, ჩემო კარგო, შეჩვეული ჰირი გერჩივნოს შეუჩვეველ ლხინსო... გეგმპ, გეგმა, მეტი არაფერი, არავითარი რისკი და მცდელობა“, — აი, ზოგიერთი იმდროინდელი ხელმძღვანელის კრედო. ასეთი იყო ვითარება და მომრავლდა რწმენაგაბზარული ხალხი, ხელმძღვანელიცა და რიგითებიც. ჩვენი ქვეყნის ისტორიის ამ მონაკვეთს სათანადო შეფასება მიეცა 70-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ჩვენში დაიწყო ის დიდი ცვლილებები, რომელმაც უპირველესად მორალურ-პოლიტიკური კლიმატი შეცვალა. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ლიტერატურაშიც აისახა. ამის დასტურია ის მხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც ბოლო წლებში შეიქმნა. მათ შორისაა კ. ლორთქიფანიძის „ქართული სოფლის ქრონიკების“ სამი წიგნი: „რა მოხდა აბაშაში“, „მთას დაუბრუნდა მთიელი“ და „ოქროს მტევანი“, რომლებიც დო-

კუმენტური მხატვრული პროზის ჟანრს განეკუთვნებიან. მწერალმა იგრძნო ყოფით სინამდვილეში მომხდარი სიახლე, მისი მხატვრულად წარმოსახვის შინაგანი აუცილებლობა. ამ ნაწარმოებებში მწერალი ცხოვრებას შიშვლად არ აღწერს, არც მხოლოდ ფაქტების კონსტანტირებას ახდენს. ის ეძებს, იკვლევს და წარმოაჩენს ამ გარდაქმნათა მიზეზსა და საფუძვლებს.

„ქართული სოფლის ქრონიკებში“ ახლო წარსულისა და თანამედროვეობის კონტრასტული ურთიერთდაპირისპირება ავტორს საშუალებას აძლევს თავი დააღწიოს სქემატურობასა და მშრალ ილუსტრირებას. ძველისა და ახლის შედარებისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ახლის საწყისებში გარკვევა, მისი ანალიზი და უპირატესობის წარმოჩენა იმასთან შედარებით, რაც ადრე იყო. კონტრასტი პოეტურ წარმოსახვას სივრცეს აძლევს და გარემოებებისა და ხასიათების სიღრმისეულ ძირებში ჩაწვდომის საშუალებასაც იძლევა.

„რა მოხდა აბაშაში“ მღელვარე მოთხრობაა ქართულ სოფელში წამოწყებული ახალი ექსპერიმენტის შესახებ, რომელიც დღეს უკვე გამოცდილებაა და იგი წარმატებით ინერგება მთელს კავშირში. ამ რაიონში მიმდინარე მოვლენებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ეკონომიკური, სახალხო-სამეურნეო თვალსაზრისით, არამედ, რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, სასიკეთოდ შეიცვალა ადამიანთა ირგვლივ მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი. მშრომელი კაცის ნიქსა და გარჯას ნამდვილი ასპარეზი მიეცა. პატიოსან შრომას კვლავ ფასი დაედო და შედეგმაც არ დააყოვნა.

ხელმძღვანელობის პრობლემა, მასისა და მისი წინამძღოლის საკითხი კ. ლორთქიფანიძეს ამ ნაწარმოებებში გადაწყვეტილი აქვს ფართო მოქალაქეობრივ და ჰუმანისტურ პლანში. თანამედროვე კომუნისტის, ხელმძღვანელი მუშაკის ძალა იმაშია, რომ იგი ეყრდნობა ხალხს. იგი ცდილობს შეაღწიოს ადამიანის სულში, მეტი ნდობა გამოიჩინოს და მხარი დაუჭიროს მის წინადადებებსა და ინიციატივას. სწორედ ასეთი ჰეშმარიტ ხელმძღვანელთა პორტრეტია დახატული აბაშის რაიკომის პირველი მდივნის გურამ მგელაძის („რა მოხდა აბაშაში“), კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების — შალვა ყამბარაშვილის, რობიზონ მღებრიშვილის („ოქროს მტევანი“) თუ სხვათა სახით. ეს სახეები ცდაა იმისა, რომ წარმატებით იქნეს გადაჭრილი ახალი ტიპის, თანამედროვე, ინტელექტუალური ხელმძღვანელის პორტრეტის დახატვის პრობლემა.

თანამედროვეობის პრობლემები, პრობლემები მომავლისა, განუწყვეტელ კავშირში არიან წარსულთან. არის შინაგანი კავშირი თანამედროვეობასა და ქვეყნის წარსულთან. რევოლუციის, პირველი ხუთწლეულების თუ ომის გმირებთან. სხვაგვარად აუხსნელი იქნებოდა თანამედროვეთა ბრძოლა განახლებისათვის, უკეთესი მერმისისათვის. ეს კავშირი მელანდება კ. ლორთქიფანიძის შემოქმედებაშიც, ადამიანის მისეულ კონცეფციაშიც. მწერლის ყოველი ახალი დადებითი პერსონაჟი მხატვრულად და იდეურად აღმავალი სახეა.

აბაშის რაიკომის პირველი მდივნის, გურამ მგელაძის სახით ავტორმა პოზიტიური გზების მაძიებელი ხელმძღვანელის ტიპი დახატა. რაიკომის მდივანს უყვარს თავისი საქმე, მშრომელი ადამიანი. სწორედ ამ სიყვარულმა შეაძლევინა ქალაქელ კაცს (თუმცა ქართველი კაცისათვის არასოდეს ყოფილა მიწა. ბუნება უცხო და უცნობი), ალლო აელო მიწის მუშისათვის, გაეთავისებინა სოფლის სატკივარი. ადამიანის სიყვარული გახდა მისთვის მეექვსე გრძნობა. მწერალი დარწმუნებულია, ეს სიყვარული პარტიულ ხელმძღვანელს არა მარ-

ტო გონებას უფხიზლებს და კაცის გულის გაგების ნიჭსაც კმატებს, არამედ დროზე და შეუცდომლად ატყობინებს, რა არ იცის და უეჭველად კი უნდა იცოდეს.

გურამ მგელაძეს სიმონ ჩოხელისაგან განსხვავებით იშვიათი გეში და უნარი აქვს ადამიანებთან ურთიერთობისა, ეს კი მისი წარმატების ერთ-ერთი საწინდარია. იგი მტკიცე რწმენისა და ნებისყოფის ადამიანია, რომელმაც თუკი რომელიმე საქმის გაკეთება ჩაიდო გულში, მას აუცილებლად ბოლომდე მიჰყვება, არც თვითონ მოისვენებს და არც სხვებს მოასვენებს. აბაშის რაიკომის მდივანი იმ ადამიანებს ეკუთვნის, რომელნიც ყველაფერს დიდი ინტერესითა და გულმოდგინებით აკეთებენ, მუდამ ახლის, უკეთესის ძიებაში რომ არიან.

გურამ მგელაძე საქმეს თავიდანვე შემოქმედებითად მიუდგა. შეისწავლა რაიონი, ხალხი, გაეცნო მათ ლხინსა და ჭირს. ამასთან მის უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა გარკვეულიყო შექმნილ სიძნელეებში. ახალმა მდივანმა ზუსტად აუღო ალღო და შეამჩნია რაიონის სოციალურ-ეკონომიკური და მათგან გამომდინარე მოვლენების მიზეზი (მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, მუშახელის ნაკლებობა და სხვ.) მხოლოდ ადგილობრივ ორგანოთა სუსტი პოლიტიკურ-ორგანიზატორული მუშაობა კი არ იყო, არამედ შრომის ანაზღაურების მაშინდელი სისტემა, რომელიც პირდაპირ კავშირში იყო რაიონში შექმნილ ვითარებასთან. მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელი იყო შეცვლილიყო ძველი და მოძებნილიყო ახალი, ეფექტური საშუალება. გურამ მგელაძემ აიყოლია ბიუროს წევრები, რაიონის მოწინავენი და პირველ რიგში ჯანსაღი ზნეობრივი ატმოსფერო და ადამიანებისადმი სდობის გარემო შექმნა. პარტიისა და მთავრობის მხარდაჭერით გადაისინჯა შრომის ანაზღაურების არსებული წესიც.

ძველისა და დამკვიდრებულის უარყოფა ყოველთვის დიდ რისკთან და სიძნელესთან არის დაკავშირებული. აბაშელთა ახალ წამოწყებასაც ბევრი წინააღმდეგობა შეხვდა, შეგნებულიც და შეუგნებელიც, რწმენაგაბზარული ხალხისაგან. გამოჩნდნენ ისეთებიც სოციალისტური ნორმებიდან გადახვევას რომ უკიჟინებდნენ. ასეთებს სრულიად სამართლიანი პასუხი გასცა რაიკომის მდივანმა: „მაინც მგონია, ყველაზე დიდი გადახვევა სოციალიზმის პრინციპებიდან — დაცარიელებული ბელელია“. აბაშის ექსპერიმენტის აუცილებლობა და სისწორე დრომაც დაადასტურა. სოფლის მეურნეობის აბაშური გამოცდილების ერთი უმთავრესი შედეგი სოფლის ადამიანთა ფსიქოლოგიის ძირეული გარდატეხა იყო. პატიოსანი შრომა მათთვის კვლავ სასარგებლო გახდა. აბაშელთა წარმატება უპირველესად თავად მშრომელთა დამსახურებაა, მაგრამ მათ რომ ორგანიზაციული და მორალური მხარდაჭერა არ ჰქონოდათ, ასეთ თვალსაჩინო შედეგებს ვერ მიაღწევდნენ. ამაში კი დიდია რაიონის ხელმძღვანელობის, კერძოდ პირველი მდივნის, როლი. მწერალი კარგად გვიჩვენებს, თუ რაოდენი ენერგია, მოთმინება და გულისყური დასჭირდა გურამ მგელაძეს, ბიუროს წევრებს, რომ დაერწმუნებინათ, დაეჯერებინათ და აეყოლიებინათ რწმენაგაბზარული ხალხი.

ზევით ითქვა ღღევანდელი დღის გმირების, თანამედროვე ხელმძღვანელების რევოლუციური წლების კომუნისტებთან შინაგან კავშირზე. ამას ერთხელ კიდევ ნათელყოფს კ. ლორთქიფანიძის „ოქროს მტევნის“ ერთ-ერთი პერსონაჟის — შალვა ყამბარაშვილის ისტორია, რომლის ცხოვრების ერთი ეპიზოდი

მკითხველს აუცილებლად „კოლხეთის ცისკრის“ ეპოქაში გადაიყვანს. ტარასი ხაზარაძის მსგავსად, არაშენდას კოლმეურნეობის თავმჯდომარესაც მიუვზავნეს ბარათი: „მარტო შენი წირვა სულს ვერ გვიცხონებს, ცოტა ჯოხი ღაიმოკლე, თორემ სიცოცხლეს დაგიმოკლებთ“. ერთ ღამეს ყამბარაშვილს ოჯახში თავს დაესხნენ. ყოველივე ეს გარეგნული მსგავსება როდია, ეფექტის მოსახდენად ნაწარმოებში შეტანილი, არამედ, სწორედ აქ ვლინდება თანამედროვეობის ღრმა, შინაგანი კავშირი წარსულთან. მართალია, იმ დღეებისაგან განსხვავებით შეცვლილია ჩვენი საზოგადოების კლასობრივ-პოლიტიკური შემადგენლობა და ანტაგონისტურ წინააღმდეგობებს აღგილი არა აქვს, მაგრამ დღეს არანაკლები სიმწვავეით გრძელდება დაუნდობელი ბრძოლა ყოველგვარი ანტისაბჭოთა, ანტისაზოგადობრივი გამოვლინებების წინააღმდეგ. პარტიულობის, ჭეშმარიტი ხელმძღვანელის ხასიათის გამოვლენა ტარასი ხაზარაძის ან სიმონ ჩოხელის დროსთან შედარებით დღეს, დამოკიდებულია ავტორიტეტზე, ჭკუაზე, განათლებაზე, კომპენტენტურობაზე, ახლის გამძაფრებულ გრძნობაზე, ხასიათის შინაგანი განვითარებისა და სრულყოფისათვის მუდმივ მზადყოფნაზე. კ. ლორთქიფანიძე გვიჩვენებს, რომ ხელმძღვანელს, იქნება ეს პარტიული თუ სამეურნეო მუშაკი, არა აქვს უფლება დროს ჩამორჩეს. მან ალღო უნდა აუღოს ეპოქის სულ უფრო და უფრო მზარდ მოთხოვნებს. მაღალი მოქალაქეობრივი მიდგომა ცხოვრებისადმი, ზნეობრივი მიდგომა საქმისადმი, რომელიც შერწყმულია ცოდნის დღევანდელ დონესთან და კომპენტენტურობასთან, სულ უფრო და უფრო საჭირო ხდება ხელმძღვანელი მუშაკისათვის (გაეიხსენოთ გურამ მგელაძე, რომელმაც უამრავი ნაშრომი გადაათვალიერა მებოსტნეობის შესახებ, სანამ კარლო გრიგოლიას გაესაუბრებოდა; ან ვაზისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, თავისი საქმის კარგი მცოდნე რობიზონ მღებრიშვილი, რომელიც ამბობს: „თითქმის მთელი ზვარი საკუთარ ძირზე იყო გაშენებული. ასეთმა ვენახმა დიდი მოსავალი არ იცის. ავადმყოფობაც მალე ერევა. საჭირო იყო ჩვენი ვენახების გაახლება, ნამყენი ვაზის ჩაყრა“).

— სიმართლე, გულწრფელობა, ზომიერება ადამიანური ღირსების ერთ-ერთ უმაღლეს ზნეობრივ კატეგორიას განეკუთვნება. იგი ყველა პიროვნებას ამშვენებს და ალამაზებს, მაგრამ პარტიული ხელმძღვანელისათვის კი აუცილებელი თვისება უნდა იყოს, — ეს სიტყვები გურამ მგელაძეს ეკუთვნის და თანამედროვე მოქალაქისა და ჭეშმარიტი ადამიანური მრწამსის გამომხატველია. სწორედ ამაში ალბეჰდილი ჩვენი თანამედროვე პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელის პიროვნული და მოქალაქეობრივი ღირსება. აშკარაა, რომ მას ბევრი რამ აკავშირებს თავის წინამორბედებთან, მაგრამ განსხვავებაც საკმაოდ თვალსაჩინოა. თანამედროვე კომუნისტს, რაიკომის მდივანი იქნება ის, თუ კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ტარასი ხაზარაძის მსგავსად იარაღით არ უხდება მტრებისაგან თავდაცვა, მაგრამ დღეს თვითონ ცხოვრება აყენებს ხელმძღვანელი მუშაკის წინაშე არანაკლები სირთულის შემცველ პრობლემებს, და აქ უკვე მხოლოდ მისი გონების, ალღოს, ინტელექტის ძალა იქცევა გამარჯვების საწინდრად.

М. Э. ШЕЛЕГИА

О ГЕНЕЗИСЕ ОДНОГО ХУДОЖЕСТВЕННОГО ОБРАЗА
В ТВОРЧЕСТВЕ К. ЛОРДКИПАНИДЗЕ

Резюме

В творчестве К. Лордкипанидзе значительное место занимает образ ведущего героя эпохи — образ коммуниста. Тарас Хазарадзе («Заря Колхиды»), Симон Чохели («Волшебный камень»), Гурам Мгеладзе («Что случилось в Абаше») и другие являются типичными представителями своей эпохи.

В статье дана попытка проследить путь развития одного конкретного образа (партийно-хозяйственного руководителя), присмотреться к тем сходствам и различиям, которые характеризуют персонажи произведений разных периодов, проследить за теми изменениями в образе партийно-хозяйственного руководителя, которые последовали за общественно-политическими изменениями на различных исторических этапах.

Проблема руководителя, вопрос массы и ее предводителя у К. Лордкипанидзе решаются в широком гражданственном и гуманистическом плане. В образе секретаря райкома партии Гурама Мгеладзе К. Лордкипанидзе успешно разрешил проблему раскрытия нового типа современного интеллектуального руководителя.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უახლესი ქართული ლიტერატურის
კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა
გ. ჯიბლაძემ

ოსებ ლორთქიფანიძე

O. გრიშაშვილი ქართული პერიოდული პრესის თანამშრომელი

O. გრიშაშვილმა თანამშრომლობა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში 1907 წლის აგვისტოდან დაიწყო და ორმოცდათერთამეტი წელი უანგაროდ იყო მისი ერთგული მსახური.

მისი პირველი საგაზეთო წერილი — „საზოგადოების საყურადღებოდ“ დაიბეჭდა 1910 წლის 7 სექტემბერს¹. ამ დღიდან მოყოლებული იგი სისტემატურად ბეჭდავდა წერილებს პერიოდულ გამოცემებში. მისი ნალვაწი პირობითად (თეატრალური წერილებისა და რეცენზიების გამოკლებით²) შეიძლება ხუთ ჯგუფად დანაწილდეს: I. ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები, II. ლიტერატურული წერილები, III. ნეკროლოგები, IV. წერილები თარგმანის საკითხებზე და V. კორესპონდენციები. მისი ეს მასალა ქვეყნდებოდა ფსევდონიმებითა და კრიპტონიმებით, რომელთა რაოდენობა ასზე მეტია. იგი სარგებლობდა შემდეგი ხელმოწერებით (ანბანის რიგზე): აისელი ნიაზა, ალიონელი, არ ვარ, არმან, არმან დიუვალი, ახალი ნაცნობი, ახალი ყანწელი: ბაირონის ნაგლეჯი, ბებუთი; გ., გამვლელი, გ. ი., გ-ი., გლეხი, გოლი, გრი-გრი, გრ. ი., გრ-ი., გრილი. გრიგოლაძე, გრ. გრიგოლაძე, გ. გრიგოლაშვილი, გრიშაშვილი ი., გრი-შაშვილი ი., გრიში ტლენ: დამსწრე, დედის ერთა იოთამი, დელეგატი გლეხი, დ. მ-ძე, დონჟუანი; ემე, ერთელი, ერთი ავტორთაგანი, ერთი მსახიობთაგანი, ესმერალდი, ექვსასექსისა; ვ. ზ. ხ.; თავიდან მესამე; ი., ი. გ., ი. გრი-ი, იგრი, ი. გრი-ლი, ი. გრიშა-ლი, ირგ-ირგ, ირ. გრიგ, ილიონელი, ი. მ-ს, იოანე მარუ-

¹ „სახალხო გაზეთი“, 1910, № 102.

საგაზეთო წერილამდე იგი პერიოდულ გამოცემებში აქვეყნებდა ფელეტონებსა და სცენებს („ბალაგანი და სალაზანობა“, „ნიშადური“, 1908, №27; „ტუფლები“ („ივერია“, 1909, № 40) და სხვ. „ივერიაში“ მიჰყავდა „წიკიურტის ფოსტა“. მისი პირველი ფელეტონი იყო: „გასულ წელს, ავლაბრის თეატრში, ავეტიქ მუტრუკოვის საბენეფისოდ წარმოდგინეს „ოტელო“ (კომედია ფარსი 3 მოქ.) შუქსპირიჩისა, გადმოკეთებული ავლაბრელის მიერ. პატრეცემული საზოგადოება საკმარისად დაეწრო, თუმცა აქა-იქ გაიგონებდით ბიჭებისაგან: „იმტერესნი ტელეგრამა“, „პოპ-პოპ“ და სხვ. მაგრამ ეს ჩვეულებრივი მუსიკა! ლაყბობა და ლაზღანდარობა სრულიად არ უშლიდა ხელს წარმოდგენას. ხალხი დამაყოფილებული და ნასიამოვნები დაბრუნდა სიცილისაგან ყველას მუცლები ასტკივდათ. კარგი იყო „ოტელო“ კარაპეტას როლში თეით მობენეფისე ავეტიქ მუტრუკოვი. გახსაკუთრებით საუცხოოთ ჩაატარა უკანასკნელი სცენა, როლში შევიდა და ფანჯრები და სცენის მოწყობილობა სულ ერთიანად მიღწე-მოღწეა. პატ საზოგადოებამ უხვად დააჩილოდო მობენეფისეს ხელოვნება და ლაყე კვერცხებითა და დამპალი პამიდორებით გაუმასპინძლდა. ვერ მოიქცა ლობიერად თეატრის პატრონი. შემოსავალი რა კი არ იყო... მუტრუკოვს წადები და შალვარი გახადეს. მობენეფისე. . . იმითაც კმაყოფილი უნდა დარჩენილიყო, რომ საჩუქრად გოჭის თავ-ფეხი მიართევს და ზედ წიწაკის თაფულიც დააყოლეს“ („ნიშადური“, 1908, № 27).

² თეატრალურ წერილებსა და რეცენზიებზე დაწერილებით: ოსებ ლორთქიფანიძე. ოსებ გრიშაშვილი და თეატრი, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1981, № 2.

შიძე, იოსები, იგო-იგო; კავშირის წევრი, კარგი, კვერცხი, კის-კის; ლ-ა; მამულშივილი, მარუთა შუამდინარელი, მ. შ., მასწავლებელი, მაყურებელი სოსო, მე არ ვარ, მიზრაფი, მოაგარაკე, მოსადილე მწერალთა კავშირიდან, მშიერი მამა, მწერალთა კავშირის წევრი; ნ., ნამდვილი, ნარიყალელი, ნიაზა აისელი, № 49; ორი; პატარა კაცი; რაშიდ ვარდან ოღლი; სამსონ, სანიტარი გლეხი, სკამი № 49, ს., სო., სოგრი, Sogri, სო-გრი, со-гри, სოსელ, სოსელი, სოლოლაკის მეთვალყურე, სოსო, სოსო გრ., სუფლიორი; ტიმოთეს ლელვი, ტფილისელი; უჯავრელი; ფ. მამულოვი, ფეთქაძე, ფირ-ა, ფირუზა, ფირუზი, ფირუზ წიკიპურტიძე; შანტიკლერი, შარვლის დილი, შარვლის პუგეიცა, შენი სოსო; ჩვენ (კ. გამსახურდიასთან ერთად), ჩულიანი; ძველი მოკარნახე; ხარფუხელი, ხელიკი; ჯან-გრიპ (მარიჯანთან ერთად).

ი. გრიშაშვილმა პოეტური მოღვაწეობა ე. წ. „ქუჩური წიგნებით“ დაიწყო, ხარფუხელ ჭაბუკს ეამაყებოდა კიდევ მათი ავტორობა, მაგრამ დრომ თავისი გაიტანა. განათლებამ, დახვეწილმა გემოვნებამ კრიტიკულად განსაჯა აწმყოცა და წარსულიც. 1913 წელს გამოქვეყნებულ რეცენზიაში იგი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა სახალხო გამომცემულ წიგნებს („ორთაქალის თაიგული“, „გასაცინარი ანექდოტები“, „ჯიგი-ჯიგი! ვახე-ვახე!“ და ა. შ.), რომლებშიც სხვა სიმახინჯესთან ერთად მახინჯდებოდა ჩვენი კლასიკური მწერლობის ნიმუშები (მაგალითად, აკაკის „სიზმარი“). დასკვნაში ავტორი წერდა: „მკითხველი მიგვიხვდება, თუ რა ნიჭისა და ავლადილების პატრონები არიან ჩვენებური „სახალხო“ წიგნების გამომცემლები. მათ საკუთარი ლექსების ღირსებას ვინ სჩივის, ის ვერ მოუხერხებიათ, რომ... ნამდვილი პოეტური ნაწარმოები ხეირიანად გადმოგვტდონ. კმარა! აქ გარჩეულებიც ხმამაღლა ღაღადებენ, რომ დიდი და სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს სახალხო წიგნების გამომცემას, საჭიროა შეგნებული და იდეური ადამიანები ჩაუდგნენ ამ საქმეს, თორემ ქუჩურმა წიგნებმა ლამის მთელი ბაზარი დაიპყრო და რიგიან წიგნს კი გასავალი მოუსპო“...⁴.

³ ეს ფსევდონიმები და კრიპტონიმები მან გამოიყენა ცალკე გამოცემებში („ვარდის კონა“, „ფანტაზია“, „ზურნა“, „არ შეგცივდეს, ბარამეაქან“) და ჟურნალებსა და ალმანახებში: „ნიმადური“, „ცეცხლი“, „ნობ“, „ეშმაკის მათრახი“, „ძალა“, „სალამური“, „საქართველო“, „ლეილა“, „საოჯახო ალმანახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „ილიონი“, „ალეონი“, „ლომისი“, „ჩვენი ხუმრობა“, „ეშმაკის მათრახი“, „ქართული მწერლობა“, „კავკასიონი“, „მნათობი“, „ხელოვნება“, „საბჭოთა ხელოვნება“, „პროლეტარულ მწერლობა“, „ტარტაროზი“, „ნიანგი“, „ჩვენი თაობა“, „საბჭოთა ხელოვნება“, „ჩირადანი“, „კლდე“.

გაზეთებში: „ივერია“ (1909). „კოლხ და“, „იმერეთი“, „სახალხო გაზეთი“, „სახალხო ფურცელი“, „სახალხო საქმე“, „საქართველო“, „სამშობლო“, „ხომლი“, „კლდე“, „საქართველოს რესპუბლიკა“. „ქართული სიტყვა“, „ივერია“ (1919). „სოციალ-ფედერალისტი“, „ტრიბუნა“, „ლომისი“, „სიტყვა და საქმე“, „მუშა“, „კომუნისტი“, „ლიტერატურული გაზეთი“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, „ლიტერატურული საქართველო“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „განათლების მუშაკი“, „საბჭოთა მასწავლებელი“, „სახალხო განათლება“, „რკინისგზელი“, „სოციალისტური გზით“, „სტალინელი“, „ინდუსტრიალური ქუთაისი“, „ქუთაისი“.

ერთდროულ გამოცემებში: „პიეზის დღე“, „სახობა“, „მსახიობის დღე“; კრებულებში: „ჩანგი“ (წ. I და II), „საიუბილეო კრებული“ (1922).¹

⁴ გ რ ი - გ რ ი, ქუჩური წიგნები, „სახალხო გაზეთი“, 1913, № 984. !

ამ რეცენზიის გამო გ. სკანდაროვამ არ დაინდო გრი-გრი, და ორი გამკილავი ლექსით გამოეხმაურა მას. „ქუჩური წიგნების“ ერთ-ერთი გამოჩენილი ავტორთაგანი ურჩევდა „ხარ-

პატარა რეცენზია მიუძღვნა ი. გრიშაშვილმა იროდიონ ევდოშვილის ლექსების კრებულის გამოქვეყნებას. რეცენზენტმა დადებითად შეაფასა კრებულის გამოცემა, მოურიდებლად აღნიშნა კრებულის ავტორის ღირსება-ნაკლოვანებანი⁵.

უარყოფითად გამოეხმაურა გრიშაშვილი დავით კასრაძის რომანის „როსკიპის“ გამოცემას. „მე მესმის მხატვრული რომანი თუ შიგ ჩანსალი ვნება სილამაზეს არ ჰქარგავს, — წერდა რეცენზენტი, — და ყოველთვის ჰხიბლავს მკითხველს. მაგრამ აბა გადაიკითხეთ „როსკიპი“: 54, 155 და განსაკუთრებით 217—220 კაბადონები და სთქვით არის შიგ ნასახი სილამაზისა ან პოეზიისა?... რად დასჭირდა ბატონ ავტორს ამ სიბინძურის საქართველოში გადმოტანა და სანინისებური მოთხრობის გავრცელება?! სირცხვილი! სირცხვილი!“⁶

რუბრიკაში „ახალი წიგნები“ გრიშაშვილი მიმოიხილავს 1919 წელს გამოცემულ ვ. გაფრინდაშვილის, გ. ტაბიძის, ვ. ხუროძის, გ. საგანელის, ი. მჭედლიშვილის ლექსების ახალ კრებულებს, გ. ქიქოძის „ეროვნულ ენერგიას“, „შვიდი მნათობის“ მორიგ ორ ნომერს, დ. მეგრელის „პრომეთეს“, დ. თურდოსპირელის „ზღაპრებს“, მ. ბოჭორიშვილის „ეტიუდებს“, სოფ. გლაზაშვილის „თხზულებებს“, გ. ხეჩუაშვილის წიგნებს: „ციცინათელა“, „რუიზანი“, „ოციძმა“, „დუქანში“, ობოლი მუშის (ს. თავაძის). „წამების ჯვარზე“, ბუკუ ლოლუას „ჩვენი ცხოვრების სურათებს“, თაგუნას (შ. შარაშიძის) პირველ წიგნს, ეშმაკის (ნ. კალანდაძის) „ღია წერილი სოლომონ ზურგიელიძეს“ და ზღაპრების კრებულებს: „ჩიტ-ბელურა“ და „ყვავი, ბუ და მელაკუდა“. რეცენზიაში (უფრო სწორედ ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვაში) აღნიშნულია დასახელებული ავტორების დადებითი და ნაკლოვანი მხარეები. მაგალითად, ვალ. გაფრინდაშვილის „დაისების“ მიმართ აღნიშნულია: „...ამ პოეტს ორი ნაკლი აქვს: პირველი ის არის, რომ პოეტი რითმების გულისათვის აუარებელ უცხო სიტყვებით ტვირთავს ლექსს და სულერთია მისთვის ეს სიტყვები დასავლეთის იქნება თუ აღმოსავლეთის... მეორე ნაკლი ის არის, რომ ერთიდაიგივე რითმა, ამ ერთი ციკქნა წიგნში, რამდენჯერმე არის განმეორებული... თუ მაინც და მაინც ავღნიშნე მხოლოდ ეს ორი ნაკლი, ესეც მომივიდა პოეზიის სიყვარულით და ავტორისადმი უღრმესი პატივისცემით...“

გ. ტაბიძის ლექსების მეორე წიგნის გამო იგი შენიშნავდა: „ტაბიძე სხვა-ნაირია. იგი ყველა ჩვენ პოეტებზე უფრო ფანტასტიური ადამიანია. მისი მეორე ტომი დიდად განირჩევა პირველი ტომისაგან... გ. ტაბიძემ უკვე მოიხსნა

ფუხის უნივერსიტეტში ღრმად განათლებულ“ გრი-გრის-ქვას ნუ ესერის“, თორემ „მიქარვას არ შეგარჩენ“ და „ჩალით ამოგივსებ პირსაო“:

„ბელნსკის ებაძება,
კრიტიკობა დაიწყო,
ძველ სახალხო მწერალსა

რადაც ჰორი დაუწყო...“ — წერდა სავსებით დაუმსახურებლად

გ. სკანდაროვა (იხ. ი. გრიშაშვილი, თხზ., ტ. III, გვ. 228—230).

⁵ ი., იროდიონ ევდოშვილის ლექსთა კრებული. „სახალხო ფურცელი“, 1916 წ., № 531.

⁶ გრილი, „როსკიპი“, რომანი დ. კასრაძისა, „სახალხო საქმე“, 1918, № 190. დ. კასრაძეს დაუდგენია რა „გრილის“ ვინაობა, რეცენზიის გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ქართული კლუბის ეზო-ბაღში მოსერიწე გრიშაშვილისთვის გადაკრულად უთქვამს: „სოსო, რა გრილი საღამოაო“, რითაც უგრძნობებია მისთვის, რომ ჩემთვის ცნობილია, ვინცაა ამოფარებული ამ ფსევდონიმსაო.

თეკა პროვინციული (წინათ ჰქონდა „ცვენა“) და როგორც ყოფილი სემიხარიელი და ნიჭიერი პოეტი უფრო მეტი სიყვარულით ეკიდება ქართულ ენას. გალაქტიონს თავის ღირსება-ნაკლულოვანებით ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით, მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ ჩვენი ნაფიცი კრიტიკოსები ამ „წვრილმანზე“ სდუმან. მათ უფრო ეინტერესებათ სიმბოლისტების დაბალი სკოლა... ვიდრე ნიჭი, ხალასი, უმეშვევო და თავისებური. მე ვამზადებ ვრცელ გამოკვლევას ამ სათაურით „ასონანსები ძველ მწერლებში“, ხოლო ახლებში კი უნდა ითქვას, რომ არც ერთ პოეტს არ ეხერხება ასონანსები ისე, როგორც გალაქტიონს“.

„ახალი წიგნების“ მიმოხილვაც ცოცხალი სალიტერატურო პროცესის უშუალო მონაწილის გულწრფელი და მოურიდებელი შთაბეჭდილებათა ანარეკლია⁷.

ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვაში „შვილდოსანი“ მოკლედაა ანოტირებული ქუთაისში გამოცემული ალმანახი მიმომხილველს „შვილდოსანი“ წინასწარი განზრახვით გამოცემულად მიაჩნია, რომელსაც „მიზანში ამოუღია „ლეილას“ თანამშრომლები და უფრო კი მისი რედაქტორი“ ი. გრიშაშვილი⁸.

საქმის ცოდნით გამოეხმაურა ი. გრიშაშვილი ნ. ბარათაშვილის ლექსებისა და პოემის გამოცემას ჰ. ფირცხალავას რედაქციით: „მ. გედევანიშვილის მიერ ილია ჭავჭავაძის წიგნის გამოცემის შემდეგ ასეთი წიგნი ჯერ არ გვინახავს. სამსონ ფირცხალავას რედაქციით გამოცემული ბარათაშვილის აკადემიური გამოცემაში დიდის საბუთებით არის დალაგებული ყოველი წვრილმანი, რაც მგოსნის გარშემო მომხდარა... დღეს, როცა რედაქტორობა ფრხილებში ჩასასმელი სიტყვა გახდა, პირდაპირ სანიმუშოდ ხდება ის მოკრძალება, რომლითაც წიგნის... კუნჭულში, პატარა ასოებით ვკითხულობთ: „სამსონ ფირცხალავას რედაქციით“. სამსონ ფირცხალავას უეჭველად აქვს ესთეტიური ალღო... წიგნს დართული აქვს ჩვენში ცნობილი კრიტიკოსების წერილები“⁹.

მოკლე ბიბლიოგრაფიული ცნობებით ამცნო ქართველ მკითხველს გრიშაშვილმა გ. ქუჩიშვილის ლექსების მეოთხე წიგნი^{9ა}, ნ. ლორთქიფანიძის რედაქციით ქუთაისში გამოცემული „კრებულის“¹⁰, ემილ ვერჰარნის „რიჟრავის“ ს. ფაშალიშვილისეული თარგმანის¹¹ და ქუთაისში ახალი ჟურნალის „უქიმერიონის“ გამოცემა¹².

პოეტ გ. ყორჩიბაშის „ლექსებს“ ი. გრიშაშვილმა რეცენზია მიუძღვნა, მასში იგი ახალგაზრდა ავტორს მიუთითებდა კრებულის ნაკლზე და გამოთქვამდა იმედს, რომ „მომდევნო კრებულში ყორჩიბაში უფრო დახვეწილი გვეჩვენებ“.

⁷ მ ა რ უ თ ა შ უ ა მ დ ი ნ ა რ ე ლ ი, ახალი წიგნები, „ლეილა“, 1920, № 2.

⁸ მ ა რ უ თ ა შ უ ა მ დ ი ნ ა რ ე ლ ი, „შვილდოსანი“, „სახალხო საქმე“, 1920, № 756.

⁹ მ ა რ უ თ ა შ უ ა მ დ ი ნ ა რ ე ლ ი, ნ. ბარათაშვილის ლექსები, ს. ფირცხალავას რედაქციით, ჟურნ. „ალიონი“, 1922, № 2 (ტ. V, გვ. 346).

^{9ა} ს ო ს ე ლ ი, გ. ქუჩიშვილის IV წიგნი, ჟურნ. „ალიონი“, 1922, № 1, გვ. 62.

¹⁰ ი ლ ი ო ნ ე ლ ი, ნ. ლორთქიფანიძის „კრებული“, იქვე, გვ. 60.

¹¹ მ ა რ უ თ ა შ უ ა მ დ ი ნ ა რ ე ლ ი, ემილ ვერჰარნის „რიჟრავი“, იქვე.

¹² ა რ მ ა ნ დ ი უ ე ა ლ ი, „უქიმერიონი“, № 1—2, იქვე, გვ. 61.

ნება და ქართული ლექსის კულტურას უფრო ღრმად შეიგრძნობს თანადროულობის გაგებით¹³.

მწვავე კრიტიკული ხედვითაა შეფასებული მის მიერ გაზეთ „ბახტრიონის“ გამოსვლა: „ჩვენში გაჩუმება ხშირად დამარცხებად მიაჩნიათ ხოლმე და ჩვენც ეს გვაიძულებს ამ ბიბლიოგრაფიის დაწერას“, — აღნიშნავდა ავტორი, იგი უარყოფით შეფასებას აძლევდა „ბახტრიონს“ და მის პროგრამას¹⁴.

მოკლე, მაგრამ ღრმა შინაარსისაა მისი რეცენზია შალვა ნუცუბიძის ნაშრომზე „ალეთოლოგიის საფუძვლები“, ნაწ. 1, ქეშმარიტების პრობლემა. რეცენზენტის აზრით, „ავტორს გრანდიოზული გეგმა აქვს დასახული. ის შემეცნების საკითხს სრულიად ახალ საფუძველზე აყენებს და ამასთან დაკავშირებით, როგორც სჩანს, განზრახული აქვს ლოგიკის ახალ პრინციპებზე აშენება...“¹⁵.

მიმოხილვაში „ილიონი № 3“ შეფასებულია კ. გამსახურდიას, ვ. გორგაძის, ტ. გრანელის, მარიჯანის და ი. მოსაშვილის ლექსები. გარდელის (არჩილ ჭაჭანაშვილის. — ი. ლ.) და უიარაღოს მოთხრობები, კ. გამსახურდიას, კოკი აბაშიძისა და ალ. წერეთლის წერილები¹⁶.

ვრცელ წერილში „პოეზიის ქრონიკები“ (ერთი თვალის გადავლებით) ი. გრიშაშვილის მიერ მიმოხილულია გაზეთები: „ლომისი“, „ბახტრიონი“, „საქართველოს სამრეკლო“, „ლაშარი“, „რუბიკონი“, „ასპიროზი“, „მწვერვალი“, „მსახიობის დღე“, ჟურნალები: „ილიონი“, „ხომალდი“, „კოლხეთი“, „მეოცნებე ნიამორები“, „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, „უქიმერიონი“, „ნაკადულის“ ახალი გამოცემები, „დრამატიული ნაწარმოებები“ და „ახალი წიგნები“. ეს ვრცელი ანოტირებული ინფორმაცია ქართული ბიბლიოგრაფიული მიმოხილვის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშთაგანია¹⁷.

„ახალგაზრდობა არ იცნობს განსვენებულის ნაწერებს და მომავალმა თობამ უეჭველად უნდა დაათვასო გიორგი ზდანოვიჩის (მაიაშვილის. — ი. ლ.), ამ კეთილშობილი მამულიშვილის უანგარო მოღვაწეობა“, — წერდა გ. ზდანოვიჩის ნაწერების გამოცემით დაინტერესებული გრიშაშვილი და ქართველ მკითხველ საზოგადოებას ამცნობდა ამ სასიკეთო საქმის წამოწყებას¹⁸.

მოკლე მიმოხილვით გააცნო მან საზოგადოებას ბათუმის გაზეთი „ასპიროზი“¹⁹, ივ. გომელაურის „ქართველი მწერლების“ მეოთხე გამოცემა²⁰, არჩილ ჭაჭანაშვილის „კრებული“²¹, მიხეილ აბრამიშვილის „ძველი ქართული თეატ-

¹³ ახალი უცნობი, გ. ყორჩიძის ლექსები, „ტრიბუნა“, 1922, № 328. ყორჩიძე პოეტ გენო რუსიშვილის ფსევდონიმია.

¹⁴ ჩვენ (გრიშაშვილი, გამსახურდია კ.), „ბახტრიონი“, „ილიონი“, 1922, № 1, გვ. 58.

¹⁵ მ. შ., პროფ. შ. ნუცუბიძე, ალეთოლოგიის საფუძვლები, გაზ. „ლომისი“, 1923, № 21.

¹⁶ მ. შ., ილიონი, №3, გაზ. „ლომისი“, 1923, № 22.

¹⁷ მარტოა შუამდინარელი, პოეზიის ქრონიკები, „პოეზიის დღე“, 1923, № 4, გვ. 1—2.

¹⁸ მარტოა შუამდინარელი, გ. ზდანოვიჩის ნაწერები, „ხომლი“, 1923, № 4.

¹⁹ იოანე მარუშაძე, გაზ. „ასპიროზი“, „ილიონი“, 1923, № 4, გვ. 27.

²⁰ მასწავლებელი, „ქართველი მწერლები“, გაზ. „ხომლი“, 1923, № 4.

²¹ ჯან-გრი (პარიჯანი, გრიშაშვილი), ა. ჭაჭანაშვილი, „თეატრი და ცხოვრება“, 1923, 1, გვ. 15.

რი²², ს. გერსამიას „თეატრი და სცენისმოყვარე“²³, ლ. გეგეჭკორის „საბავშვო ლექსები“²⁴ და „ქართულ მწერალ ქალთა ალმანახი“²⁵. წერილში „რედაქციის მიმართ“ ყურადღება გამახვილებულია ტექსტების დამახინჯებაზე კრებულში „რევოლუციონერი დეკლამატორი“²⁶.

მეცნიერულ დონეზე განიხილა თავის რეცენზიაში ი. გრიშაშვილმა კონსტანტინე კაპანელის ნაშრომი „სული და იდეა“²⁷.

ქართულ ბიბლიოგრაფიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ნაშრომები. როგორიცაა: „გორკი ქართულად“, „ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობა“, „პუშკინი ქართულად“ და „ლერმონტოვი ქართულ ლიტერატურაში“²⁸.

ასეთია ი. გრიშაშვილის მოკრძალებული წვლილი ქართულ ბიბლიოგრაფიაში.

ი. გრიშაშვილი მრავალი ნეკროლოგის ავტორია. იგი ეხმაურებოდა არა მარტო გამოჩენილ მოღვაწეთა არამედ რიგით მოქალაქეთა გარდაცვალებასაც და ცდილობდა აღენიშნა მათი მოკრძალებული ღვაწლი ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. მან სევდანარევი გრძნობით აღსავსე ნეკროლოგები მიუძღვნა იაკობ გოგებაშვილის²⁹, ვაჟა-ფშაველას³⁰, ქოლა ლომთათიძის³¹, ქართული კულტურის მეცენატის სტეფანე ელიაძის³², იროდიონ ევდოშვილის³³, მუსიკოსის ივანე ნატროშვილის³⁴, მსახიობის გედევან გედევანოვის³⁵, სახალხო მომღერლის გიგო სტეფანოვის³⁶, ვანო ხოსიტაშვილის (იროდიონ ევდოშვილის ვაჟის)³⁷, მსახიობ კოტე შათირიშვილის³⁸, პოეტისა და მთარგმნელის, ქართული თეატრის სუფლიორის ბეგლარ ახოსპირელის³⁹. მსახიობ კოტე ყიფიანის⁴⁰, პოეზიის მოყვარულის ივანე ბერიშვილის⁴¹, ლიტერატორის გიორგი მამრადის⁴², მსახიობ სვი-

²² ი., შ. აბრამიშვილი, ძველი ქართული თეატრი, „თეატრი და ცხოვრება“, 1926, № 14.

²³ სო სო გრ., ს. გერსამია „თეატრი და სცენისმოყვარე“, „საბჭოთა ხელოვნება“, 1927, № 5, გვ. 6.

²⁴ ს., ლ. გეგეჭკორი, ლექსები, „ქართული მწერლობა“, 1929, № 5, გვ. 96.

²⁵ სო გ რ ი, ქართულ მწერალ ქალთა... „ხელოვნება“, 1925, № 22, (ტ. V, გვ. 404).

²⁶ გ., წერილი რედაქციას, „თეატრი და ცხოვრება“, 1924, № 15.

²⁷ იო ა ნ ე მ ა რ უ შ ი ძ ე, კ. კაპანელის „სული და იდეა“, ჟურნ. „ილონი“, 1923, № 4.

²⁸ „სალიტერატურო გაზეთი“, 1932, № 21; „ლიტერატურული გაზეთი“, 1934, № 27; „კომუნისტი“, 1935, № 229; „ლიტერატურული საქართველო“, 1939, № 31; „კომუნისტი“, 1936, № 227.

²⁹ „ნაკადული“ მოზრდილთათვის“, 1912, № 6.

³⁰ „სახალხო ფურცელი“, 1915, № 349.

³¹ „თანამედროვე აზრი“, 1915, № 209; „სახალხო ფურცელი“, 6. X. 1915, (ტ. V, გვ. 273).

³² „სახალხო ფურცელი“, 1916, № 582.

³³ იქვე, 1916, № 570.

³⁴ ი. გ., ი. ნატროშვილი, „სახალხო საქმე“, 1917, № 88.

³⁵ ს უ ფ ლ ი ო რ ი, გ. გედევანოვი, „სახალხო საქმე“, 1919, 447.

³⁶ „სახალხო საქმე“, 1920, № 1018.

³⁷ „სახალხო საქმე“, 1921, № 1028.

³⁸ შ ე ნ ი ს ო ს ო, სპეტაკი მსახიობი, „სოციალ-დემოკრატი“, 1921, № 34.

³⁹ უ ჯ ა ვ რ ე ლ ი, ბეგლარა, „სოც-დემოკრატი“, 1921, № 43 და 54.

⁴⁰ უ ჯ ა ვ რ ე ლ ი, კ. ყიფიანი, იქვე, 1921, № 53.

⁴¹ უ ჯ ა ვ რ ე ლ ი, ი. ბერიშვილი, „ტრიბუნა“, 1921, № 53.

⁴² „უ ჯ ა ვ რ ე ლ ი“, გ. მამრადი, „ტრიბუნა“, 1921, № 94.

მონიძის (გოგოლაშვილის)⁴³, წიგნებით მოვაჭრე მიხეილ ზარიძის⁴⁴, სცენის-მოყვარის არჩილ შათირიშვილის⁴⁵, დიდი მომღერლის ვანო სარაჯიშვილის⁴⁶, მსახიობ ვეჩე ჭიჭიას⁴⁷, კულტმუშაკის გიორგი შათირიშვილის⁴⁸, მსახიობ დავით მგალობლიშვილის (სოფრომის ვაჟის)⁴⁹, მწერლების კონდრატე თათარაშვილის⁵⁰, ნიკო ავალიშვილის⁵¹, ანტონ განჯისკარელის⁵², ქართული სცენის გამოჩენილი მოღვაწეების უშანგი ჩხეიძისა⁵³ და კოტე მარჯანიშვილის⁵⁴ ნათელ ხსოვნას.

დიდად აღელვებდა ი. გრიშაშვილს ნათარგმნი ლიტერატურის ბედი. მთარგმნელი „სულიერად ავტორის სულის სახლში უნდა გადასახლდეს და იმისი ყოველი ნერვის ტოკვა უნდა იცოდეს“, — წერდა იგი 1921 წელს დაწერილ წერილში⁵⁵. მან ოსკარ უალდის „სალომეს“ თარგმანს რამდენიმე წერილი მიუძღვნა, რომელშიც კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა მისი მთარგმნელი, დაუწუნა ენა, უსაყვედურა ენის გრამატიკული კანონების უცოდინარობა, სიტყვათა დაწერილობის უმართებულობა, უზომო ნაცვალსახელების ხმარება და თარგმანის პროვინციული ელფერი⁵⁶.

1923 წელს გრიშაშვილმა გამოაქვეყნა სპეციალური წერილი — „ნათარგმნი ლიტერატურა“, რომელშიც გამოთქვა დიდი გულისტკივილი თარგმანის სფეროში არსებული უპასუხისმგებლობის გამო: „რასაკვირველია, არიან მწერლები, რომელნიც ღირსეული მწერლის თარგმანისათვის ღირსეულ ტაშსაც დაიმსახურებენ, ვიდრე საკუთარი ნაცოდვილევის გამოქვეყნებისათვის. მაგრამ ხელოვნების დამსახურებად არავის ჩაეთვლება ის გარემოება, რომ არ გესმოდეს ის ენა, რომლიდანაც სთარგმნი და არ იცოდეს ის ენა, რომელზედაც აქართულებ... მთარგმნელმა უნდა იცოდეს ავტორის სულის კანკალი, იგიც იმასავით გონებაგახსნილი და მგრძნობიერი უნდა იყოს, მთარგმნელსაც იგივე აზრი უნდა ჩაუფსევდეს თავში, რომელიც თვითონ მწერალს ამოქმედებს, ერთი სიტყვით, მთარგმნელმა ისეთი ნაწარმოების გადმოღება უნდა იკისროს, რომ ამ „კისრულს“ თან არ გადაჰყვეს, როგორც ილია იტყოდა... უხეირო მთარგმნელთა შორის გამოჩნდნენ საუკეთესო მთარგმნელებიც, რომელთა წყალობით აღიზარდა არა ერთი თაობა მშობლიური სულის დოვლათმანობით, რომლის ძარღვებში ჰკვიანი სისხლი ქართულად სჩქეფდა. დღეს კი პირდაპირ გულისტკენასა გრძნობს კაცი, როცა შეჰყურებ ამ ზღვა თარგმნილ ლიტერატურას, რომლის ენასაც ქართული მეტყველების ნიშანწყალი არა აქვს... წინ მიწყევია ეს ამოდენა ნათარგმნი ლიტერატურა, რომელმაც

⁴³ უჭავრელი, სემონიძე, იქვე, № 104.

⁴⁴ ლ. ა., მ. ზარიძე, იქვე, 1922, № 52.

⁴⁵ უჭავრელი, ა. შათირიშვილი, იქვე, 1922, № 301.

⁴⁶ „თეატრი და ცხოვრება“, 1924, № 16, გვ. 4.

⁴⁷ ე. „ხელოვნება“, 1925, № 22, (ტ. V, გვ. 21).

⁴⁸ ფირუზი, გ. შათირიშვილი, „მუშა“, 1928, № 1653.

⁴⁹ ი. გ., დ. მგალობლიშვილი, იქვე, 1929, № 1915.

⁵⁰ ი. გ., კ. თათარაშვილი, „კომუნისტი“, 1929, № 106.

⁵¹ გრი, ხ. ავალიშვილი, „დროშა“, 1929, № 18.

⁵² ი. გრი-ლი, ანტონ განჯისკარელი, „ვანათლების მუშაკი“, 1929, 10.

⁵³ ტ. V, გვ. 216—217.

⁵⁴ „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1933, № 97.

⁵⁵ ი. გრიშაშვილის არქივი, I—1106.

⁵⁶ მარუთაშვიამ დინარელი, სალომეს გარშემო, „სახალხო საქმე“, 1920, №№ 919, 942, 996, 997.

ლანის ორიგინალური მწერლობა აიღოს ხიშტზე და ვფიქრობ: ამ ქარგონით რომელ პროვინციაში ლაპარაკობენ? სად იხმარება ასეთი გამოთაყვანებული სტრიქონები? რა არის ეს: ქართული მწერლობის გამასხარავება თუ რა ღვთის წყრომაა ჩვენს თავზე? სად დაიკარგა ქართული გამოთქმა? ისტორია მეორდება... თარგმნა ხ ე ლ ო ბ ა დ, ხ ე ლ ო ს ნ ო ბ ა დ გადაიქცა და მას რაც შეიძლება ჩქარა უნდა მოეღოს ბოლო... ქართული კულტურა უნდა ქედმაღლობდეს თავისი წარსულით, თავისი თარგმანის ჩინებული ტრადიციით, ქართულ მწერლობას ფაქიზი მოვლა სჭირია და თუ ახლის შექმნა გვიჭირს, ძველს მაინც ნუ შეურაცხევოფთ, თუ ჭკვიანურს ვერაფერს ვიტყვით, ს ი ტ უ ტ უ ც ე ს მ ა ი ნ ც ვ ე რ ი დ ო თ⁵⁷. წერილის ავტორი რწმენას გამოთქვამდა, რომ აღნიშნულ საკითხს უყურადღებოდ არ დატოვებდა საქართველოს მწერალთა კავშირი. ამ სერიოზულმა გაფრთხილებამ ქართული მწერლობის მოყვარულნი მართლაც გამოაფხიზლა.

ი. გრიშაშვილს ქართულ პერიოდიკაში მრავლად აქვს გამოქვეყნებული ლიტერატურული წერილები, პორტრეტები, მოგონებები.

1913 წელს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში („იმერეთი“, „სახალხო გაზეთი“, „თემი“, „ერი“, ჟურნალი „კლდე“ და ა. შ.) გახშირდა პოლემიკური წერილებისა თუ სხვადასხვა მასალის პუბლიკაცია ილია ჭავჭავაძის მკვლელობის თაობაზე. იბეჭდებოდა ყოველგვარი ხასიათის მასალა (ღვარძლიანიცა და შეურაცხყოფელიც, გულისტკივილის გამოძხატველიცა და სინანულის აღმძვრელიც⁵⁸). საზოგადოებრივი აზრი იმდენად დაიძაბა, რომ რიგითი მკითხველები რედაქციებს მიმართავდნენ ასეთი თხოვნით: „ბატონებო, უმორჩილესად გთხოვთ, შეიბრალეთ მკითხველი საზოგადოება და მოსპოთ წერა ჩვენი დიდების, ჩვენი მოამაგის, ჩვენი ეროვნების სიამაყის, ჩვენი დიდი პოეტის ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზე“⁵⁹. საზოგადოება ზიზღსა და პროტესტს უცხადებდა ყველა იმას, ვინც თავისი მონაჭორითა თუ ლაყობით ბედავდა სახელოვანი მამულიშვილის, დიდი ილიას სახელის შებღალავს (ასეთი წერილების რიცხვი ძლიერ საგრძნობი იყო). ერთ-ერთი, ვინც გულისტკივილით გამოეხმაურა ამ არასასიამოვნო საგაზეთო აეიოტაეს, გახლდათ ი. გრიშაშვილი, რომელმაც „ფ ი რ უ ზ ა ს“ ხელმოწერით გამოაქვეყნა მახვილ-სატირული ფელეტონები — „ს ა პ რ ო ტ ე ს ტ ო წ ე რ ი ლ ე ბ ი“.

რა საინტერესო სატირული ფორმა აქვს მიღებული „საპროტესტო წერილების“ ავტორს. მისი მსუბუქი იუმორი ორიგინალურად მიესადაგა გამწვავებულ პოლიტიკურ ატმოსფეროს და სათანადო ზემოქმედება მოახდინა საზოგადოებრივ განწყობილებაზე: „ბატონო ალაფ! ჩვენ ჭონები, ქურქჩები, სირაჯები, ფინაჩები, აშპაშხანელები, მიკიტნები, ბაყლები და ალაფები სასტიკ... ფინთ

⁵⁷ მ ა რ უ თ ა შ უ ა მ დ ი ნ ა რ ე ლ ი, ნათარგმნი ლიტერატურა, „ხომლი“, 1923, № 1 (ტ. V, გვ. 71). საზვასმა ყველგან ავტორისაა.

გრიშაშვილს ლირიკულ მთარგმნელობაში მიეძღვნა: ი. მაჩაბლი, ი. მაქავარიანი, გრ. ყიფშიძე, თ. საბოკაი, ი. პოლუმორდუნიოვი, პ. ქავთარაძე, არ. ახნაზაროვი, ი. ზურაბიშვილი, გ. ქიქოძე (მისი ეს აზრი გულისხმობს 20-იანი წლების დასაწყის ხანას).

⁵⁸ იხ. „იმერეთი“, 1913, №№ 106, 113, 115, 117, 120, 126; 137, 139, 143, 150 და ა. შ. „თემი“ 1913, №№ 125, 133, 136, 142, 149, 150, 151 და ა. შ. „სახალხო გაზეთი“, 1913, №№ 868, 871, 879, 967, 981, 992, 985, 987, 989 და ა. შ. „განთიადი“, 1913, №№ 1—24; „ერი“, 1913, №№ 2, 3, 4, 5, 6, 7; „კლდე“, 1913, № 29.

⁵⁹ „იმერეთი“, 1913, № 139.

პროტესტს ვუცხადებთ „ნაციონალისტებს“, რომ ილია ჭავჭავაძეზე „მეზემა სწერენ...“ ი. გრიშაშვილის ჟურნალისტური მოღვაწეობის ეს მხარე (დღემდე „შეუმჩნეველი“) მიუთითებს მისი ავტორის მჭიდრო კავშირზე ქართული ცხოვრების ყოველდღიურობასთან.

1921—1925 წლებში ი. გრიშაშვილი იყო ერთ-ერთი ქმედითი წევრი „აკადემიური დაჯგუფებისა“. იგი აქტიურად თანამშრომლობდა ამ ლიტერატურული გაერთიანების ბექდვით ორგანოებში („ხომალდი“, „ილიონი“, „ლომისი“, „საქართველოს სამრეკლო“, „ლაშარი“, „კავკასიონი“, „ახალი კავკასიონი“) სხვადასხვა ხელმოწერით. კ. გამსახურდიასთან ერთად იგი იბეჭდებოდა ფსევდონიმით „ჩვენ“. აქვეყნებდა წერილებს, რომელთაგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია წერილი „ს ა გ უ ლ ის ხ მ ო ნ ი შ ნ ე ბ ი“, რომელშიც ნათლადაა გამოკვეთილი მისი ავტორის დამოკიდებულება წარსულის კულტურულ მემკვიდრეობასთან, მის სახელოვან მოღვაწეთა მიმართ, „რომელთაც შექმნეს ახალი საქართველოს სახე“.

„დღევანდელი ქართული ინტელიგენცია. — წერდა ავტორი, — ნებისთ თუ უნებლიეთ იძულებულია უკან მოიხედოს და გასდოს ერთგვარი ხიდი ახალსა და შორეულ წარსულს შორის, რომელიც კარგად თუ ცუდად საზღვრავს ჩვენს ეროვნულ სახეობასა და აზროვნებას. ტყუილი გამოდგა ზოგიერთების მოუმიწიფებელი ცდა წარსულთან ყოველნაირი კავშირის გაწყვეტისა...“ წერილის ავტორისათვის წარსულის შესწავლის გარეშე „ახალი ისტორიის დაწყება ქართულ ინტელექტუალურ ცხოვრებაში“ მიუღებელია. საქართველოს დღევანდლობა მას წარსულის გენიის წყალობად მიაჩნია და ამ გენიის უპირველეს წარმომადგენლებად მას მიაჩნდა XIX ს. ისეთი გამოჩენილი წარმომადგენლები, როგორიც იყვნენ: „დიმიტრი ყიფიანი, ეს უკანასკნელი რაინდი ქართული გულუბრყვილო და ტრაგიკული, მაგრამ დიდი რწმენისა, ილია ჭავჭავაძე — ეს მე-19 საუკუნის საქართველოს რენესანსის დიდი ბურჯი და „ახალი ბედის“ პირველი მესაქე, აკაკი წერეთელი — ეს თავისუფალი და დამოუკიდებელი, ჭერკიდევ დაუფასებელი, სიტყვა ქართული, ვაჟა-ფშაველა — ეს მსოფლიო მასშტაბის ორიგინალური სული საქართველოს, რომელსაც არა ჰქონია, არა აქვს და არ ექნება განმეორება არსად ქვეყნიერებაზედ...“⁶⁰.

ჰაზირას მოღვაწეობის 50 წლისთავთან დაკავშირებით გრიშაშვილმა გამოაქვეყნა გულთბილი წერილი, რომელშიც მიმოიხილა თბილისის ლიტერატურული ბოჰემის თვალსაჩინო წარმომადგენლის აბრამ აბრამოვის — ჰაზირას პოეზია. „ჰაზირა, — წერდა გრიშაშვილი, — იმით ჰგავს ძველ აშუღებს და ახლებიდან კი იმით განირჩევა, რომ ჰქმნის ლექსებს, ამ ლექსებს ჰანგს უგონებს, უკრავს და მღერის კიდევ... ჰაზირა თავისი დასტით დადიოდა სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში, მღეროდა ლხინსა თუ დღეობებში, ხალხში აღვიძებდა სამშობლოს სიყვარულს, კაცთმოყვარეობას, მისი სიტყვები მსმენელს აპრიალეებულ შამფურივით ესობოდა, რომ შეეგნოთ თავიანთი ვინაობა. ადამიანობა, მოქალაქეობა... ჰაზირა, ეს თითქმის არაქართველი ადამიანი, მთელი ნახევარი საუკუნე ქართულად ლაპარაკობდა და ყოველ მის სიმღერაში სამი რამ ისმის: საქართველო, საქართველო, საქართველო!...“⁶¹.

⁶⁰ ი., „ლომისი“, 1922, № 10.

⁶¹ მ ა რ უ თ ა შ უ ა მ დ ი ნ ა რ ე ლ ი, ჰაზირა, „სახალხო საქმე“, 1920, № 232. ეს წერილი გაფართოებული სახით ავტორმა შეიტანა „ძველი თბილისის ლიტერატურულ ბოჰემაში“.

წერილში „მუშა პოეტი გიგო ხეჩუაშვილი“ სწორად არის გახსნილი და წარმართული აზრი, რომ „გიგო ხეჩუაშვილი მუშაა და ამიტომ მისი ლექსებიც თითქმის მუშის აზრებისა და ფიქრების, მუშის ნალექის გადაშლაა. ის „მუშის გულის პასუხებია“ გვაზღვრავს“⁶².

პოლემიკურია წერილი „რითმით აშორდიობა“⁶³, რომელიც წარმოადგენს გაზეთ „რუბიკონის“ 1923 წლის № 4-ში დაბეჭდილ ვალ. გაფრინდაშვილის წერილის „რითმები 1922 წელში“ პასუხს, კერძოდ, ეხება, იმ მრავალი ახალი რითმის ხმარების შემთხვევას, რომლებიც გამორჩენილი აქვს მხედველობიდან ვალ. გაფრინდაშვილს. ი. გრიშაშვილის, კ. მაყაშვილის, გ. ქუჩიშვილის, კ. გამსახურდიას, ი. მჭედლიშვილის, ვ. ტუქსიაშვილის, ი. მოსაშვილის, ს. აბაშელის, გ. ტაბიძის და თავის ლექსებიდან მოჰყავს უამრავი მასალა ახალი რითმების ხმარებისა 1922 წელს და დასასრულს ახალგაზრდა პოეტების საყურადღებოდ საგანგებოდ შენიშნავს: „რითმა ერთი სიმია იმ საკრავისა, რომელსაც იდეა და სახე ეწოდება. ნიჭიერი პოეტი უნდა ერიდოს თითებიდან გამოწოვილ რითმას. ზოგიერთ პოეტს რითმა ძალზე დაუმწიფდა, აქ საჭიროა მუსიკალური შესვენება ახალი სიურპრიზის აღმოსაჩენად. რითმას ხშირად თვით მკითხველი აკეთილშობილებს თავის ფარული სმენით. არიან ჩვენში პოეტები, რომელნიც აგვიანებენ რითმას, რომ რამდენიმე წამით დასტკბენ თავიანთი სიუჟეტით, არის ბევრი უკანონო რითმა, როგორც სხვის დერეფანში მიგდებული ბავშვი. ნიჭიერი პოეტი ინტუიციით გრძნობს უეცარი რითმის რიტმს, რომელსაც უნიჭო პოეტი, როგორც ჭაშნიკ აუღებელ ქალს, დიდხანს ვერ იგდებს ხელში. ხშირად ერთი რითმა მთელი ლექსის აზრს იწვევს, მაგრამ ეს საიდუმლო დაკავშირებულია პოეტის ინდივიდუალობასთან. არის რითმა ქალური და ვაჟური, ჭირვეული რითმა, ნერვებამოცლილი რითმა, რითმა კუზიანი და სხვ... მე არ მინდა დავიჯერო, რომ პოეტ გაფრინდაშვილის მიერ ეს შეცდომა თავისი ნიჭისადმი აბუჩად მოპყრობას ნიშნავდეს... მართალია, აშორდია აზნაურობას არიგებდა, მაგრამ მე არ მინდა, რომ ეს აშორდიობა პოეზიაშიც შემოვიდეს“.

ცოცხალი ლიტერატურული პროცესის უშუალო გამოძახილია ი. გრიშაშვილის მძაფრი პოლემიკა პოეტ ი. მჭედლიშვილთან. ამ კამათს დღეს არავითარი ღირებულება არ გააჩნია, მაგრამ უმართებულო იქნებოდა ამ ფაქტის უგულებელყოფა. არ შეიცოდა მარუთა შუამდინარელმა მოდავე კოლეგა 1908 წლიდან და დაუნდობელი კრიტიკის ქარცეცხლში გამოატარა იგი⁶⁴.

ოციანი წლების წერილებიდან განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მისი „საბავშვო მწერლობა“⁶⁵, საბავშვო მწერლობისადმი ლტოლვა გრიშაშვილს ადრევე გასჩენია. 1910 წლიდან მისი ეს ინტერესი და მიდრეკილება არ შენელებულა მოღვაწეობის მთელ მანძილზე, ჩანს, საბავშვო მწერლობის პრობლემები სისტემატურად აინტერესებდა, რაც გამოხატულია კიდევაც ზემოთ დასახელებულ წერილში: „საბავშვო მწერლობა წმინდა ნაკადულია, — წერდა იგი, — რომელშიც უნდა იხატებოდეს ბავშვის თვალთა უღრუბლო ცქერა, მისი გაუტეხელი სახის ცქრიალი. ბავშვი პაწია შემომქმედია ყველგან და ყველაფერში.

⁶² გ-ლ ი. მუშა პოეტი გ. ხეჩუაშვილი, ჟურნ. „ჩიბრადანი“, 1923, № 2, გვ. 6.

⁶³ მ ა რ უ თ ა შ უ ა მ დ ი ნ ა რ ე ლ ი, რითმით აშორდიობა, გაზ. „ლომისი“, 1923, № 26.

⁶⁴ მ ა რ უ თ ა შ უ ა მ დ ი ნ ა რ ე ლ ი, ერთი ავტორის საყურადღებოდ. „ტრაბუნა“, 1923, № 480, „ჩაიორია ბუზი ბადაგმა“, № 488, „გაელენა?“, № 496 და „წერალი რედაქციას“, № 546.

⁶⁵ მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი, „საბავშვო მწერლობა“, „ქართული სიტყვა“, 1924, № 29.

ყოველი ახალი საგნის თუ მოვლენის ასახვა, ყოველი ახალი წარმოდგენა, შეგრძნებები და განცდები მასში იწვევს შემოქმედების უსაზღვრო აღმადგენას... აქედან არის, რომ ბავშვის ცხოვრება აჩქარებულია, მღელვარე, მოუსვენარი...“ ამ წერილში, რომელიც დაიწერა იმ დროს, როცა საბავშვო მწერლობას საფრთხე ემუქრებოდა, მრავალი საყურადღებო საკითხია აღძრული და გაშუქებული. რომლებმაც საბავშვო მწერლობის შემდგომი განვითარების პირობებში მეტად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მოზარდი თაობის ლიტერატურის შემოქმედებითი აღმავლობისათვის.

პერიოდული პრესის ფურცლებზე გრიშაშვილმა გამოაქვეყნა პორტრეტები: „ალექსანდრე მიქაბერიძე“⁶⁶, „დ. ნ. მამინ-სიბირიაკი“⁶⁷, „მიხეილ ბოჭორიშვილი“⁶⁸, „იოსებ იმედაშვილი“⁶⁹, „ვასილ ბარნოვი“⁷⁰, „ივანე მაჭავარიანი“. „დიმიტრი ერისთავი“, „ილია ალხაზიშვილი“, „ავეტიქ ისააკიანი“, „აკოფ აკოფიანი“, „მარტიროს სარიანი“, „ი. გოგებაშვილი“⁷¹ და მოგონებები: ლაზარე კარაპეტიანზე⁷², გ. ტაბიძეზე⁷³, აკაკიზე⁷⁴, ლალიონზე, გ. ქუჩიშვილზე, ფ. გოგიჩაიშვილზე, ნ. ნაკაშიძეზე და „ჩემი მეგობრები“⁷⁵, აგრეთვე სხვა წერილ-წერილი წერილებიც⁷⁶.

თავის საგაზეთო წერილებში ი. გრიშაშვილი დიდ ადგილს უთმობდა ახალგაზრდობას, მის იდეურ აღზრდას, ცხოვრებაში სწორი გზის არჩევას და საერთოდ მათ მისწრაფებებს. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა წერილები: „ახალგაზრდათა ფურცელი“⁷⁷, „ახალგაზრდობა“⁷⁸ და „ახალგაზრდათა ლიგა“⁷⁹. თუ როგორი იყო ეს დაინტერესება, ამას ცხადყოფს თუნდაც პირველი წერილი: „ახლო მომავალში ჩვენი გაზეთის („ტრიბუნა“. — ი. ლ.) ერთი გვერდი დაეთმობა „ახალგაზრდათა ფურცელს“. ბეჭდვითი ორგანო უდიდესი იარაღია საერთოდ პოლიტიკური ბრძოლისა და საზოგადოებრივი აზროვნებისა. მოაშორეთ პრესა საზოგადოებრივ ცხოვრებას და თქვენ გადაგეშლებათ ბნელი ზეწარი და საზოგადოებას მოესპობა ყოველივე საშუალება კულტურული ცხოვრებისათვის. თუ საერთოდ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს პერიოდულ გამოცემებს. კერძოდ კიდევ მეტი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდათა ორგანოს, რადგან ის სულიერ საზრდოს აწვდის მომავალ თაობას და გზას უკაფავს საკუთარი ინიციატივის ასამოძრავებლად, სადაც კი არსებულა ახალგაზრდათა ორგანიზა-

⁶⁶ გ რ ი-გ რ ი. ალ. მიქაბერიძე, ჟურნ. „ილიონი“, 1922, № 2 (ტ. V, გვ. 400).

⁶⁷ „ლიტერატურული საქართველო“, 1937, № 28, (ტ. V, გვ. 391).

⁶⁸ უ ქ ა ე რ ე ლ ი, მ. ბოჭორიშვილი, „ილიონი“, 1922, № 5 (ტ. V, გვ. 398).

⁶⁹ „თეატრი და ცხოვრება“, 1925 № 12, გვ. 1.

⁷⁰ ი. გ., ე. ბარნოვი, „ლიტერატურული გაზეთი“, 1934, № 26 (ტ. V, გვ. 359).

⁷¹ ტ. V, გვ. 286; 402, 289, 382, 387, 389 და 208.

⁷² „სალიტერატურო გაზეთი“, 1933, № 15 (ტ. V, გვ. 316), „ლიტერატურული გაზეთი“, 1959, № 13 (ტ. V, გვ. 320), „კომუნისტი“, 1959, № 71.

⁷³ „სალიტერატურო გაზეთი“, 1933, № 14.

⁷⁴ ფ ი რ ე ზ ა, პაწია მოგონება, „სახალხო ფურცელი“, 1916, № 487, „სიტყვა და საქმე“, 1934, № 1; „ლიტერატურული გაზეთი“, 1935, № 7, „კომუნისტი“, 1935, № 245 (ტ. IV, გვ. 341, ტ. V, გვ. 351; 356, 360, 254, 247).

⁷⁵ ტ. V, გვ. 260, 312, 283, 361, 247.

⁷⁶ აქვე, გვ. 368, 375, 354, 345, 392.

⁷⁷ კ ა ვ ე შ ი რ ი ს წ ე ე რ ი, ახალგაზრდათა ფურცელი, „ტრიბუნა“, 1922, № 156.

⁷⁸ უ ქ ა ე რ ე ლ ი, ახალგაზრდობა, გაზ. „ლომისი“, 1923, № 22.

⁷⁹ გ რ ი ლ ი, ახალგაზრდათა ლიგა, „ტრიბუნა“, 1922, № 189.

ციები, ყველგან ყოფილა ცდა საკუთარი ორგანოს გამოცემისა. დღეს ევროპისა თუ აზიის. ამერიკისა თუ ავსტრალიის კონტინენტებზე თითქმის არ მოიპოვება მხარე თუ ქალაქი, სადაც არ გამოდიოდეს ახალგაზრდათა ორგანო. ჩვენშიაც განდიოდა ასეთი ორგანო და დღესაც გამოდის. კერძოდ, ჩვენი პარტიის ახალ კავშირს ჰქონდა განზრახვა ცალკე ორგანოს გამოცემისა, მაგრამ ერთი მხრით მატერიალური დაბრკოლებანი და მეორე მხრით სოციალისტური მუშაობის დაყენება ხელს უშლის ცალკე ორგანოს გამოცემას. ამიტომ ჯერ საკმაოდ ნივთიერებით „ახალგაზრდათა ფურცელი“, რომელიც მჭიდრო კავშირს გააბამს ახალგაზრდათა ორგანიზაციებს შორის... ჩვენ მომავალი ნებრძოლები ვართ. ჩვენთვის საჭიროა მეტი მუშაობა, რომ აღვიჭურვოთ ცოდნით და მახვილით გავკვეთოთ ის ჯაჭვი, რომელიც შემორტყმული აქვს ჩაგრულ კლასსა და ჩაგრულ ერს. ახალგაზრდათა ორგანიზაციებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ ეროვნულ-სოციალისტური დროშით ვიდოდა საქართველოს შეგნებული ახალგაზრდობა და დღესაც ამავე დროშის ქვეშ მოიყრიან თავს ისინი, რომელნიც სოციალისტური გზით მიდიან საქართველოს თავისუფლებისაკენ“ (ამ სტრიქონების ავტორს არც პოლიტიკური სიმწიფე აკლია და არც პოლიტიკური ცხოვრებისაგან განდგომა, როგორც ამას გაიოზ იმედაშვილი გვიხატავს, იხ. „კრიტიკა“, 1980, № 4, გვ. 133—134).

საუბარი ი. გრიშაშვილზე როგორც ქართული პერიოდული გამოცემების თანამშრომელზე არ იქნება სრულყოფილი, თუ ზოგადად მაინც არ მიმოვიხილავთ მის კორესპონდენციებს. აქ, მართლაც, ბევრი აქვს მას გამოქვეყნებული, განსაკუთრებით ყოველდღიურ საჭირობოროტო საკითხებზე. აქი წერდა კიდევ, რომ „ხანდახან „მოწერილი ამბები“ უფრო მიტაცებს“.

მისი კორესპონდენციები, იქნება ის პირადული⁸⁰ თუ საზოგადო⁸¹ ხასიათისა, მრავალ საკითხს ეხება.

1919 წლის 8 აგვისტოს კორესპონდენციაში იგი შემოფოთებული წერდა: „წალვერის ქუჩები — ლიტერატურული ენით რომ ვილაპარაკოთ — ჰყარს, როგორც ეტყობა აქ ცოცხი ძვირად უნდა ფასობდეს... დიდი ნაკლია ისიც, რომ სახლები აშენებულია უსისტემოდ—არავითარი გეგმა, არავითარი ლაზათი... სიძვირე! ო. სიძვირეს ხომ ნუ იკითხავთ, ყოველ მატარებლის მოსვლაზე ფასი მატულობს... ხელმოკლე ინტელიგენტი ერთ-ორ კვირაზე მეტს ვერ სძლებს, ვერ უძლებს სიძვირეს, არ ჰყოფნის ოფლით მონაგარი გროშები...“⁸² კორესპონდენციის ავტორს აწუხებს, რომ „აგარაკ წალვერს თანდათან ეკარგება თავისი მიმზიდველობა... ვერ მოგვარდა წყლით მომარაგების საქმე..., რომ გავრცე-

⁸⁰ იხ. „სახალხო გაზეთი“, 1912, № 733, „სახალხო ფურცელი“, 1914, № 13; „სახალხო საქმე“, 1919, № 687; „ტრიბუნა“, 1922, № 218; „რკინის გზელი“, 1923, № 9, „სოციალისტური გზით“, 1935, № 100, „კომუნისტი“, 1936, № 212.

⁸¹ გ რ ი-გ რ ი, მოწერილი ამბები, „სახალხო გაზეთი“, 1913, № 932; გ რ ი-გ რ ი, წალვერი, „იმერეთი“, 1913, № 105; ე. „კლდე“, 1913, № 932 (დამსწრეს წერილი); „სახალხო გაზეთი“, 1913, № 954 (გრ-გრ-ი), 1914, № 1090; „თეატრი და ცხოვრება“, 1915, № 15; „სახალხო ფურცელი“, 1915, № 402, 1916; № 428, (პატარა კაცი), №№ 596, 645, 653, (მარუთა შუამდინარელი), 653 (გ. ი.), „სახალხო საქმე“, 1929, № 898 (დამსწრე), № 900 (მარუთა შუამდინარელი), № 946, (მშობრი მამა), „ტრიბუნა“, 1921 (ერთი მსახიობთაგანი), 1922, № 120, 187 (ფირუზა), 190, 225, 257 (უჯაყრელი), „თეატრი და ცხოვრება“, 1924, № 9; „მუშა“, 1935, № 60.

⁸² მ ა რ უ თ ა შ უ ა მ დ ი ნ ა რ ე ლ ი, წალვერი, „სახალხო საქმე“, 1919, № 596.

ლებულია ყომაზბაზობა, თამაშობენ დღისით, ღზისით...“⁸³, რომ „ქურდბაცაცე-ბი არ ისვენებენ და დაწრწიან ყოველ ცისმარე ღღეს და რასაც მოიხელთებენ მიაქვთ. ცნობილია, რომ ასეთი ბაცაცები არ არიან გულადნი... ამიტომ მათი მოსპობა იოლი საქმეა თუ ადგილობრივი კომისარი მეტ ენერგიას და სიმკაცრეს გამოიჩენს...“⁸⁴.

კორესპონდენციაში „შეიბრალეთ სტუდენტები“ დაყენებულია საკითხი სტუდენტების სწორი დატვირთვის თაობაზე და შენიშნულია, რომ „არდადაგე-ბის დროს სტუდენტები მსახურობენ საბინაო განყოფილებებში, რიგი „ფარუ-ლად“ ემსახურება რომელიმე დაწესებულებას, რიგი სპეკულიანტობს. რის შე-დეგადაც, ნებისთ თუ უნებლიეთ, რამდენიმე სტუდენტიც კი სხვა ბანდიტებ-თან ერთად ზის „ჩეკაში“... შეიბრალეთ სტუდენტები. ნუ აძლევთ ორჭოფულ სამსახურს, ნუ აკისრებთ ისეთ მოვალეობას, რომელიც საჩოთირო და საე-კვოა...“⁸⁵.

„აღმასკომო, გაწმინდე ქუჩები ღორლისაგან“⁸⁶, „მოსპეთ თავხედობა, ალა-გმეთ მკლავაძეები“⁸⁷, „ერთი ხარფუხსაც მიხედეთ“⁸⁸, — მიმართავდა კორეს-პოდენციების ავტორი ქალაქის ხელმძღვანელობის სათანადო ინსტანციებს. იგი თანამოქალაქეებს მიმართავდა თხოვნით: „გაუფრთხილდეთ ქალაქის ტყეს“⁸⁹, „ნუ ანაგვიანებთ ტყეს“⁹⁰, როგორც მოქალაქე წუხილს განოსტქვამდა, თუ „რა იქნა მუშკოპის რძე?“⁹¹, რომ „ტრამვაის ვაგონებს თავისუფლების მოედანზე (ღღეს ლენინის სახ. მოედანი. — ი. ლ.) გასაჩერებელი ადგილი შეუცვალეს... აქ კი ქვაფენილი აყრილ-დაყრილია და დაზნეჭილი, რომ ტრამვაის მომლოდინე მგზავრები თავბედს იწყევლიან...“⁹². სხვა კორესპონდენციებში შეშფოთებული ავტორი მოითხოვდა: „დაინიშნოს ერთი მილიციონერი“. რამდენადაც „საფხუ-ლი დადგა და კოჯრის გზაზე აუარებელმა ხალხმა დაიწყო სიარული... ქურდბა-ცაცებსაც ეს უნდათ, მათ შედგენილი აქვთ პატარა „ამხანაგობა“ და მოსეირ-ნეებს უღარაჯებენ... თუ მოსეირნე გასცილდა ხალხს და მძარცველებმა გაი-მარტოვეს, დაესხმიან თავს და სძარცვავენ, საჭიროა ზომების მიღება და მოდა-რაჟე მილიციონერის დანიშვნა“⁹³.

„ეს ერთი ხანია ხარფუხის საუბნო წყალსადენს მოხსნეს ონკანი, მთელი უბანი და მისი მცხოვრებნი უწყლოდ დარჩნენ... რატომ მოგვექცნენ ასე?“ — კითხულობდა გულისტკენით მოქალაქე და კორესპონდენტი⁹⁴. „იერუსალიმის ქუჩაზე (ღღეს იცკა რიჟინაშვილის. — ი. ლ.). სადაც აუარება ხალხი იყრის თავს, გამვლელ-გამომვლელს აწუხებს ერთი ახალგაზრდა, რომელიც ჭკუაზე

⁸³ მ ა რ უ თ ა შ უ ა მ დ ი ნ ა რ ე ლ ი, წალვერი, „სახალხო საქმე“, 1920, № 900.

⁸⁴ კ ა რ გ ი, წალვერის რამერუმი, „სახალხო საქმე“, 1920, № 916.

⁸⁵ მ ა ს წ ა ე ლ ე ბ ე ლ ი, შეიბრალეთ სტუდენტები, „ტრიბუნა“, 1921, № 27.

⁸⁶ ხ ა რ ფ უ ხ ე ლ ი, გაწმინდეთ ქუჩები, „მუშა“, 1924, № 813.

⁸⁷ ს ო ლ ო ლ ა კ ი ს მ ე თ ე ა ლ ყ უ რ ე, როდის მოსპობა მკლავაძეობა? „მუშა“, 1925, № 713.

⁸⁸ ნ ა რ ი ყ ა ლ ე ლ ი, ერთი ხარფუხსაც მიხედეთ, „მუშა“, 1925, № 813.

⁸⁹ გ ა მ ვ ლ ე ლ ი, გაუფრთხილდეთ ქალაქის ტყეს, „მუშა“, 1925, № 816.

⁹⁰ მ-ძე, ნუ ანაგვიანებთ ტყეს, „მუშა“, 1925, № 832.

⁹¹ ნ ა რ ი ყ ა ლ ე ლ ი, რა იქნა მუშკოპის რძე? „მუშა“, 1926, № 1036.

⁹² უ ჭ ა ვ რ ე ლ ი, ქვაფენილი მაინც გაასწორონ, „მუშა“, 1926, № 1036.

⁹³ ბ ე ბ უ თ ი, უნდა დაინიშნოს მილიციონერი, „მუშა“, 1926, № 1086.

⁹⁴ ნ ა რ ი ყ ა ლ ე ლ ი, რათ მოგვიხსნეს ონკანი, „მუშა“, 1926, № 1088.

შემცდარია, ხშირად გამოვარდება ხოლმე დედიშობილა ქუჩაში. სამწუხაროა, რომ ის უბედური ქალიწვილია. მოათავსეთ ის თავშესაფარში⁹⁵. აქვთა მისი კორესპონდენციების ცონი. კრიტიკულის პარალელურად ი. გრიშაშვილი ავტორია მეტად საინტერესო და სასიამოვნო ინფორმაციებისა. მაგალითად, „საიბნოვას საღამო“⁹⁶, „არტურ ლაისტის იუბილე“⁹⁷, „ლომისი სტუდია“⁹⁸, „განდეგილის გასამართლება“⁹⁹. ამ უკანასკნელში ავტორი გვამცნობდა, რომ „კვირას, რუსთაველის თეატრში გაიმართება ილიას „განდეგილის“ გასამართლება. ბრალდებულად გამოდიან: შოთა დადიანი და აკაკი ფაღავა. ჩოლო დამცველებად — დიტო უზნაძე, ვახტანგ კოტეტიშვილი და კოწია გამსახურდია... „განდეგილის“ შესახებ ატეხილი დავა და კამათი ჩვენს საზოგადოებაში თავიდანვე ყალბ ნიადაგზე აეგო, რომელსაც საფუძვლად ჰქონდა ილიას პიროვნების შეფასება და პოლიტიკური სპეკულაცია, რომელშიც იჩრდილებოდა ღრმა ნააზრევის და დიდი პრობლემის ძირეული ბუნება... დღეს მისი გასამართლება მეტად საინტერესო მოვლენაა...“ მომდევნო ნომერში (№ 257) შეფასებულია ჩატარებული გასამართლება, რომელიც, კორესპონდენციის ავტორის აზრით, „მეტად მკრთალი და სუსტი გამოდგა. ეტყობოდა, რომ ბრალდებულს და დამცველს დაკვირვებით არ გადაუკითხავთ „განდეგილი“...».

სიამოვნებით უზიარებდა მკითხველს ი. გრიშაშვილი ცნობას ჩუმი მუშაკის — მათე იანჭოშვილის, მწიგნობარისა და ტელეგრაფის მუშაკის, მოღვაწეობის 30 წლისთავის იუბილეზე¹⁰⁰.

დიდი კმაყოფილება იგრძნობა კორესპონდენციაში „თბილისის მუნიციპალური მუზეუმი“¹⁰¹. ავტორი წერდა: „იმისთანა დიდი და მრავალფეროვანი წარსულის მქონე ქალაქს, როგორიც თბილისია, დიდი ხანია უნდა ჰქონდეს თავისი შესაფერი მუზეუმი. ეს პატარა მუზეუმი, ალბათ, ჩანასახი და კვაკუთხედია მომავალი დიდი მუნიციპალური მუზეუმისა. აქ დაცულია მხატვრული სურათები, მაკეტები, მოდელები და ნივთები, რაც ძველ თბილისის წარსულს მოგვაგონებენ“. დამთვალეირებელი გრიშაშვილი აღტაცებაში მოუყვანია ვანო ხოჯაბეგოვის ჩანახატებს. მოსწონებია ლევან ნობათოვის მოდელები თბილისური სახლებისა, სააკიანის მიერ შესრულებული ამქრის დროშები, ფრანგი მხატვრის რუბოს სურათი მე-17 ეგერთა პოლკის შემოსვლა თბილისში, უცნობი ავტორების ძველი სკოლის ყაიდაზე დახატული სურათები (ერეკლე მეორე, თამაზ ორბელიანი და სხვ.). დადებითად ერთად ავტორი მიუთითებდა ნაკლზეც, რომ არ არის გამოფენილი ნ. ფიროსმანიშვილის არც ერთი სურათი, ერმაკოვისა და როინიშვილის მშვენიერი კოლექცია, სადაც თბილისის ძველ მოქალაქეთა ყოფა-ცხოვრება საუცხოოდაა ნოცემული და სხვ. რაც მთავარია, „მუზეუმი ცუდ შენობაშია. მას შესაფერი შენობა უნდა გამოეძებნოს“.

პოეტის აღშფოთება გამოუწვევია ქუთაისის გაზეთში გამოქვეყნებულ

⁹⁵ ფ ი რ უ ზ ი, მოათავსეთ თავშესაფარში, „მუშა“, 1927, № 1329.

⁹⁶ ტ თ ი ლ ის ე ლ ი, საიბნოვას საღამო, გაზ. „ლომისი“, 1922, № 7.

⁹⁷ გაზ. „ლომისი“, 1922, № 9.

⁹⁸ ფ ი რ უ ზ ა, თოიძის სტუდია, „ტრიბუნა“, 1922, № 120.

⁹⁹ ს., „განდეგილის“ გასამართლება, „ტრიბუნა“, 1922, № 252 და 257.

¹⁰⁰ ს., ჩუმი მუშაკი, „თეატრი და ცხოვრება“, 1924, № 19, გვ. 14.

¹⁰¹ „ტფილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს მოამბე“, 1927, № 5.

ცნობას, რამაც საბაბი მისცა გრიშაშვილს დაეწერა რეპლიკა „გაუგებრობა“ (1937 წ. 29 ივნისი): „ქუთაისის ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა კომუნალურ განყოფილებას, რათა შესცვალოს ქუჩების ძველი სახელწოდებანი... ძველი სახელების შეცვლა მართლაც, რომ მისასაღმებელია, მაგრამ გაოცებას იწვევს ის ამბავი, რომ ქუთაისის ქუჩებისათვის წაუერთმევიათ ჩვენი ზოგიერთი დიდად ცნობილი საზოგადო მოღვაწის სახელი. რომელთა სახელწოდების ქუჩები საქართველოს დედაქალაქში — თბილისში — არის და ფიქრად არავის მოსვლია მისი შეცვლა. უფრო გასაკვირალია ის ამბავი, რომ ამ სახელშეცვლილ ქუჩებში აღნიშნულია ლადო მესხიშვილისა და ნიკო ნიკოლაძის ქუჩებიც.“

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა ღვაწლი მიუძღვის ჩვენი თეატრის წინაშე ლადო მესხიშვილს. გარდა იმისა, რომ ამ გენიალურმა მსახიობმა თავისი საუკეთესო ხანა ქუთაისის სცენაზე გაატარა. იგი, როგორც მოქალაქე-მსახიობი, 1905 წელს ამავე ქალაქის ბარიკადებზე იბრძოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ვინ არ იცის მისი შესანიშნავი პასუხი თავად-აზნაურთა მიმართ, ან მის მიერ დადგმული სააგიტაციო პიესები: „კაი გრაცხი“, „ჟან და მადლენა“ და სხვა. ამ რამდენიმე წლის წინათ გადაწყდა თბილისში მისთვის ძეგლიც კი დაედგათ და ეს გადაწყვეტილება არავის გაუუქმებია. მაშ ვის დაებადა ეს უცნაური აზრი?

ასევე ითქმის ნიკო ნიკოლაძეზე. ეს ადამიანი ილია ჭავჭავაძის, აკაკი და გიორგი წერეთლებთან ერთად სამოციანი წლების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია და ნუთუ ღირსი არ არის მისი სახელი ეწოდოს ქუჩას მაშინ, როდესაც იგი საბჭოთა მთავრობის დადგენილებით ქართველ მოღვაწეთა პანთეონშია (მთაწმინდაზე) დაკრძალული... ჩვენ ვფიქრობთ, ქუთაისის აღმასკომის პრეზიდიუმი უეჭველად გადასინჯავს თავის ნაჩქარევ გადაწყვეტილებას...¹⁰². „სტალინელის“ რედაქციამ ი. გრიშაშვილის ეს რეპლიკა არ გამოაქვეყნა, მაგრამ ქუთაისის საქალაქო აღმასკომის პრეზიდიუმმა ყურად იღო ქართველი პოეტის გულგამეხებული მითითება და თავისი „ნაჩქარევი გადაწყვეტილება“ ყოველგვარი ყოყმანისა და დავის გარეშე გააუქმა.

ასეთია ზოგადი სურათი ქართულ პერიოდულ გამოცემებში ი. გრიშაშვილის თანამშრომლობისა (ამჟამად არას ვამბობთ მის თანამშრომლობაზე რუსულ და მოძმე ხალხების ენაზე გამომავალ პერიოდულ გამოცემებში).

ი. გრიშაშვილის პერიოდულ პრესაში თანამშრომლობა საფუძვლიან შესწავლა-გამოკვლევას მოითხოვს.

И. П. ЛОРДКИПАНИДЗЕ

ИОСИФ ГРИШАШВИЛИ — СОТРУДНИК ГРУЗИНСКОЙ
ПЕРИОДИЧЕСКОЙ ПРЕССЫ

Резюме

Свою деятельность в грузинской периодике И. Гришашвили начал в 1907 году (ж. «Нишадури», №9, с. 1) и на протяжении 58 лет был его бескорыстным сотрудником. Его очерки, полемические заметки, обзоры и корреспонденции оставили значительный след в грузинской периодике.

¹⁰² ი. გრიშაშვილის არქივი, I—1080.

Его первая статья «К сведению общества» была напечатана в «Сахалхо газети» 7 сентября 1910 года (№ 102). До этого он публиковал стихотворения, фельетоны и сцены в журналах «Нишадури» (1907 -- 1908 гг.), «Сакартвелო» (1908 г.) и в газете «Иверия» (1909 г.) — здесь он вел юмористический отдел.

Свои письма, рецензии, библиографические обзоры, статьи (в том числе полемические) и очерки он публиковал под разными псевдонимами и криптонимами. В труде перечислены установленные автором 110 разных подписей.

Наследие И. Гришашвили в периодической печати (исключая театральные письма и рецензии, поскольку речь о них подробно изложена в очерке «И. Гришашвили и театр», см. «Мацне», 1981, серия языка и литературы, № 2), условно можно разделить на пять групп: 1. библиографические обзоры; 2. литературные письма, очерки, полемика; 3. некрологи; 4. статьи, посвященные вопросам перевода; 5. корреспонденции на разные темы.

В труде дан подробный обзор деятельности И. Гришашвили в периодике и сделаны соответствующие выводы.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სანგროს ლიტერატურის განყოფილება
წარმოადგინა შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

რუსულან კანელიძე

მ. თაყაიშვილი—ქართულ სიმბოლეთა შემგროვებელი და დამცველი

ე. თაყაიშვილის პირად საარქივო ფონდში, რომელიც კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება, დაცულია ნ. მარისა და ე. თაყაიშვილის მიმოწერა.

ამ მიმოწერის საფუძველზე შესანიშნავად იკვეთება ე. თაყაიშვილის საბე, როგორც ქვემარტი მამულიშვილისა, რომელმაც თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი, დრო და ენერგია მთლიანად ქართული სიმბოლეებისა და წერილობითი წყაროების მოპოვება-შეგროვებას და მათ დაცვას მოახმარა.

ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ ე. თაყაიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სწორედ ეს მხარე. ნ. მარისა და ე. თაყაიშვილის მიმოწერის გარდა ვსარგებლობთ აგრეთვე ე. თაყაიშვილის მოგონებებით, მისი პირადი და სხვა ქართველ მოღვაწეთა საარქივო ფონდებში დაცული წერილებით. მიმოწერიდან ჩანს, რომ ე. თაყაიშვილსა და ნ. მარს ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს გადაუწყვეტიათ მომავალში ერთად ემუშავათ საქართველოს ისტორიული წარსულის შესწავლასა და წერილობითი წყაროების პუბლიკაციაზე. პირობის თანახმად, თუ ნ. მარს მიეცემოდა პეტერბურგში დარჩენის საშუალება, მას იქვე უნდა განეგრძოთ თავისი სამეცნიერო მოღვაწეობა¹. მართლაც, ნ. მარი დარჩა პეტერბურგში და ე. თაყაიშვილს მართო მოუხდა სამშობლოში დაბრუნება. აქ ის სულ მალე დაუახლოვდა დ. ბაქრაძეს და მისი დახმარებითა და ხელმძღვანელობით დაიწყო ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების, ხელნაწერებისა და საეკლესიო ნივთების შეგროვება და შესწავლა. შეიძლება ითქვას, რომ არსებითად დ. ბაქრაძესთან თანამშრომლობამ განაპირობა ე. თაყაიშვილის ისტორიკოსად გახდომა და, საზოგადოდ, მთელი მისი მომავალი მეცნიერული მოღვაწეობა. დ. ბაქრაძემ მისცა გეზი და მიმართულება მის შემდგომ სამეცნიერო მუშაობას².

1888 წელს ე. თაყაიშვილს დაუსწრებლად ირჩევენ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრად. „წევრი რომ გავხდეთ. — იგონებს ე. თაყაიშვილი. — მივიხედ-მოვიხედე, შევატყვე, რომ ამ ძვირფას ხელნაწერებს კაცი პატრონი არა ჰყავს და ძალაუნებურად მოვკიდე ხელი. დავუწყე პატრონობა, მერე თანდათან გამიტაცა, შემეყვარდა და დავიწყე ზრუნვა დაღუპვისაგან მათ გადარჩენაზე, თან ახალ-ახალსაც ვაგროვებდი. შეწირულსაც აღარ

¹ ე. თაყაიშვილის ფონდი, № 1198/115, 1888 წ.

² რ. მეტრეკელი, შ. ბადრიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1962, გვ. 9; გ. ლომთათიძე, ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრება და ღვაწლი, კრებული, თბ., 1966, გვ. 21; აკ. სურგულაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1977, გვ. 37.

ვჯერდებოდი. საზოგადოების ხარჯზე შეძენაც დავიწყე. სხვადასხვა კუთხეებში მიმოწერა გავაჩაღე. აგენტები გავიჩინე“³.

ე. თაყაიშვილს კარგად ესმოდა, რომ ქართული ძეგლების მოპოვება და შემგროვება უშუალოდ იყო დაკავშირებული მათ დაცვა-პატრონობასთან. ამიტომ ზრუნავდა იგი ასე თავდადებით წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკის მოწყობაზე.

ე. თაყაიშვილს ყოველი თავისი წამოწყების კურსში ჰყავდა ნ. მარი, მას აბარებდა ექვთიმე თავისი საქმიანობის ანგარიშს და ხშირად თვით ნ. მარსაც აბამდა აქტიურად ამ მოღვაწეობაში. ექვთიმე ავალეზდა მას. შინ თუ საზღვარგარეთ სხვადასხვა ბიბლიოთეკაში მუშაობის დროს თვალყური ედევნებინა ქართული ხელნაწერებისათვის.

საინტერესოა ე. თაყაიშვილის ერთი წერილი ნ. მარისადმი, რომელშიც იგი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკის საქმიანობას ეხება: „მე მინდოდა შენთვის მომეწერა მაშეინ, როდესაც წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკის მოწყობის აზრს ანუ პროექტს მივალე ბიბლიოთეკის მმართველობას ამ საზოგადოებისას. ამ საქმეზე ეგ ექვსი თვეა ვზრუნავ და როგორც იყო, ეხლა დავაბოლავე ფორმალურად მაინც... ბიბლიოთეკა ჩვენი ისეთ დაწესებულებად უნდა გადაიქცეს ჩემის პროექტით, სადაც შეკრებილი უნდა იყოს უმთავრესი საუნჯე ქართველების გონების ნავარჯიშევისა და იყოს დაახლოებით გამომხატველი ჩვენი კულტურის, ამისათვის, გარდა ხელნაწერებისა, ვაპირებთ შეკრებას გუჯრებისას, სიგელებისა და ყოველგვარი საისტორიო და სალინგვისტიკო აქტებისა, აგრეთვე ეთნოგრაფიის მასალას და საარქეოლოგიო ნივთებს; ის წიგნები, რომელნიც საქართველოს ეხებიან, ან ქართული შრიფტით არის დაწერილი და აგრეთვე პალეოგრაფიული კოპიები და ძველი ნანგრევების და მონასტრების პლანები შეძლებისამებრ შეგროვილი იქნება“⁴.

ამავე წერილიდან ვგებულობთ, რომ ე. თაყაიშვილი ზრუნავდა ბიბლიოთეკის მოვლა-დაცვისა და მასალათა გამოცემისათვის საჭირო თანხის შეგროვებაზეც⁵. „ჩვენ ქართველებს, — განაგრძობს ექვთიმე, — მეტი არაფერი გვაქ, ჩვენი ავლადიდება და აკადემია ის ბიბლიოთეკაა და საჭიროა მცოდნე კაცებიც იქ შევყაროთ“. აქვე ექვთიმე აცნობებს ნ. მარს: „საეკლესიო მუზეუმი იხსნება და იქაც უნდა ჩავეწერო წევრად და შექლებისამებრ ვიმუშაო. იქ უფრო ბევრი საინტერესო მასალა შეგროვდება“⁶.

1889 წელს ე. თაყაიშვილი ახლად გახსნილი საეკლესიო მუზეუმის წევრი ხდება და მუზეუმის ცხოვრებაშიც ასევე აქტიურად ებმება. გახარებული ექვთიმე აცნობებს ნ. მარს: „ეხლა საეკლესიო მუზეუმში შეგროვდება ყველა მონასტრებიდან წიგნები. მე იქ წევრი ვარ გამგეობისა და ვეცდები მეცნიერული ხასიათი მივსცე ჩვენს შრომას და გამოცემას. ეხლა მე და ბაქრაძე მცხეთაში ვიყავით და იქაური ხელნაწერები აღვწერეთ და წამოვიღეთ კიდეც“⁷.

³ ე. თაყაიშვილი, მოგონებანი, რჩეული შრომები, ტ. I, თბ., 1968, გვ. 304.

⁴ ნ. მარის ფონდი, № 34, 1889 წ. წერილებში დაცულია ავტორისეული სტილი და ორთოგრაფია.

⁵ იქვე.

⁶ იქვე.

⁷ ნ. მარის ფონდი, № 35, 1889 წ.

მაგრამ ხელნაწერთა შეგროვების მარტო ეს გზა როდი აკმაყოფილებდა ე. თაყაიშვილს. მან კარგად იცოდა, რომ ეკლესია-მონასტრების გარდა ძველი ხელნაწერები, სიგელ-გუჯრები და სხვა ისტორიული ნივთები კერძო პირებსაც ბევრი მოეპოვებოდა (განსაკუთრებით კი თავადაზნაურობას). ე. თაყაიშვილი სწუხდა იმის გამო, რომ ოჯახებში შემორჩენილი ძველი ნივთები ნიავედებოდა, ხშირად უგზო-უკვლოდაც იკარგებოდა, ხოლო საეკლესიო მუზეუმს კი ხელი არ მიუწვდებოდა მათზე. ასეთივე მდგომარეობაში იყო ქართულ ეკლესია-მონასტრებში დაცული სიძველენი (ნივთები თუ ხელნაწერები).

„ჩვენდა სამწუხაროდ, — წერს ე. თაყაიშვილი, — ჩვენი ეკლესიის განძეულობა დღითი-დღე იკარგება, ბევრი რამ, რომელზედაც ცნობა გვქონდა ლიტერატურული თუ კერძო წყაროებიდან, თავის ადგილზე არ აღმოჩნდა. ხელნაწერები სულ დაკარგულია, ან გაფუჭებული. ჭყონდიდის მიტროპოლიტის ამბროსისაგან მქონდა ცნობა ზოგიერთი ხელნაწერების შესახებ. ეს ხელნაწერები მას ენახა და ზოგი რამ კიდევაც ამოეწერა. მაგრამ ეხლა იქ აღარ მოიპოვებიან და უარსაც ამბობენ, რომ ოდესმე ყოფილა; განსაკუთრებით გვაინტერესებდა პეტრე ქართველის ცხოვრების ყველა ვარიანტი, რომელიც წინათ მიქარწმინდაში ყოფილა და დღეს აღარ არის“⁸.

დროთა განმავლობაში საეკლესიო მუზეუმში ხელნაწერთა შემოსელა მთლიანად შემწყდარა. როგორც ექვთიმე იგონებს, შეუგნებელი ბერები ხშირად ვაჭრობდნენ საეკლესიო ნივთებით და საერთოდ ყოველნაირად აბრკოლებდნენ ხელნაწერთა და სხვა სიძველეთა გადაცემას საეკლესიო მუზეუმისათვის, ეპისკოპოსი ლეონიდე ოქროპირიძეც კი წინააღმდეგი იყო მონასტრებიდან ხელნაწერთა გამოტანის, ხოლო როცა საეკლესიო მუზეუმს სათავეში ეპისკოპოსი კირიონ საძაგლიშვილი ჩაუდგა, მაშინ ეკლესია-მონასტრებიდან საეკლესიო მუზეუმში დიდძალი ხელნაწერები იქნა გადატანილი.

ხელნაწერთა შეგროვების მიზნით ე. თაყაიშვილი აქტიურ პროპაგანდასაც მიმართავდა. იგი ქართველ ინტელიგენციასა და საზოგადოების ფართო მასებს მოუწოდებდა მუზეუმისათვის შემოეწირათ ხელნაწერები. ამან, რასაკვირველია, სათანადო შედეგი გამოიღო. ე. თაყაიშვილი საკუთარი სახსრებითაც იძენდა ხელნაწერებს ბუკინისტებისაგან. ყოველი მოგზაურობის დროს კი საგანგებოდ დაეძებდა ქართულ ხელნაწერებსა და სხვა სიძველეებს.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მოგზაურობის დროს ე. თაყაიშვილმა ბევრი ხელნაწერი მოიპოვა. ზოგიერთი ხელნაწერი ნაპოვნი აქვს უპატრონოდ მიტოვებულ ეკლესიასა თუ ეზოში. ასე მაგალითად, რაჭაში მოგზაურობის დროს სორის ეკლესიაში მან ნახა ეტრატზე ნაწერი სახარება: „ამოვიღე ნაგვიდან, — წერს იგი, — სორის ეკლესიაში, რომელიც ებარა სრულიად უვიც მნათეს და უყურადღებოდ იყო დატოვებული“⁹. სახარება შემკული ყოფილა საუცხოო ფერადოვანი კამარებით, ექვთიმემ იგი თბილისში ჩამოიტანა და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმს გადასცა¹⁰. რაჭაში, სოფ. ხოტევის ეკლესიაში, რომელიც უკვე გაუქმებული და

⁸ ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, თბ., 1963, გვ. 7.

⁹ ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, თბ., 1963, გვ. 33.

¹⁰ ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, H—1707.

მიტოვებული იყო ე. თაყაიშვილის ჩასვლის დროს, მან ეზოს ნაგავში იპოვა ზატიკი¹¹.

დიდი სიხარული მოჰგვარა ე. თაყაიშვილს ატენის ხეობაში ნაპოვნი ხელნაწერის ნაწყვეტმა, რომელიც ქართული სამართლის ისტორიის უნიკალური ძეგლი „ხელმწიფის კარის გარიგება“ აღმოჩნდა¹². „შენი წერილის მიღების შემდეგ — სწერს ექვთიმე ნ. მარს, — ატენის ხეობაში წავედი ერთი დღით, იქ სხვათა შორის ერთი ხელნაწერი ნაწყვეტი ვიპოვნე, რომელსაც ჩვენი ინტელიგენტები ფეხით თელავდნენ და რისთვის არ გინდა ქაღალდს ხმარობდნენ. ეს ნაწყვეტები წარმოადგენს ნაკლულს გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დებას“ და ამ „ძეგლის დებას“ ზედვე მოსდევს „განგება მეფის კარისა“, ანუ „დასტურლამალი“, რომელიც, ჩემი აზრით, უნდა ეკუთვნოდეს გიორგი ბრწყინვალეს. შიგა და შიგ სანახევროდ არის დაცული და ბოლოს რამდენი აკლია ღმერთმა უწყის, მაგრამ რაც დაცულია, ისიც ძრიელ საინტერესო ცნობებს იძლევა“¹³.

ამ მონაპოვრით აღფრთოვანებული ე. თაყაიშვილი თავის სიხარულს ივანე ჯავახიშვილს უზიარებს: „ერთ ამბავს გახარებ, ვიცი, გეამება, გიორგი ბრწყინვალის კარის გარიგება, ანუ დასტურლამალი ვიპოვე, მაგრამ, სამწუხაროდ, სრული არ არის, სულ 35 პარაგრაფია დაცული. შესანიშნავ ცნობებს იძლევა“¹⁴.

განსაკუთრებული გულისყურით ეკიდებოდა ე. თაყაიშვილი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებს. იგი ოცნებობდა აღმოეჩინა XVII საუკუნეზე უფრო ძველი ხელნაწერი, მაგრამ მის მიერ მოპოვებული ნუსხათა შორის არც ერთი არ იყო XVIII საუკუნეზე ადრეული. ე. თაყაიშვილმა „ვეფხისტყაოსნის“ 17 ხელნაწერი მოიპოვა და ცნობა შეაგროვა 24 ხელნაწერის შესახებ. „მათ შორის უძველესნი და უმნიშვნელოვანესნი დიდი ცდით შევიძინე წ. კ. გ. საზ-ბის ბიბლიოთეკის მუზეუმისათვის, ზოგი მათგანის შეძენა პირდაპირ საარაკო თავგადასავლად იქცა თვით ხელნაწერისათვის, მათი პატრონებისათვის და ჩემთვისაც“¹⁵, — წერს იგი თავის მოგონებებში და მოგვითხრობს საინტერესო ეპიზოდებს ამ ხელნაწერთა მოპოვების შესახებ.

ე. თაყაიშვილს ფეხით ჰქონდა დავლილი მთელი საქართველო და ყველგან, იქნებოდა სტუმრად ოჯახში, თუ ღია ცის ქვეშ, ძეგლის პირისპირ, ყოველთვის იმის ცდაში იყო, რაიმე ახალი და საინტერესო ეპოვა ჩვენი ისტორიისა თუ კულტურის შესასწავლად. საზოგადოდ, ე. თაყაიშვილი ისეთი ფანტიკური სიყვარულით ეძიებდა ქართულ სიძველეებს, რომ ყველა, ვისაც კი უხდებოდა მასთან შეხვედრა თუ თანამშრომლობა, ლ. გუდიაშვილის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „ექვთიმოსანი“ ხდებოდა.

ქართული ისტორიული, არქეოლოგიური, ლიტერატურული და ეთნოგრაფიული ნაშთებისა და სიძველეების უკეთ შემგროვების, დაცვისა და შესწავლის მიზნით ე. თაყაიშვილმა გადაწყვიტა დაეარსებინა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება. ჩვეულებისამებრ, თავისი ახალი წამოწყების გე-

¹¹ ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, თბ., 1963, გვ. 47. კ. ძეგლების სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, H—1718.

¹² კ. ქველიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, H—3094.

¹³ ნ. მარს ფონდი, № 79, 1908 წ.

¹⁴ ივ. ჯავახიშვილის ფონდი, № 1820, 1908 წ.

¹⁵ ე. თაყაიშვილი, მოგონებანი, რჩეული ნაშრომები, ტ. 1, თბ., 1968, გვ. 311—325.

გმა მან ნ. მარს გააცნო და სთხოვა, გაეწია მისთვის დახმარება: „თუმცა მუშაკნი მცირენი არიან, მაგრამ მაინც ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ვაარსებ, რომ როგორმე ეზუზუმი ცალკე ვიქონიოთ და სამუშაო ცენტრი შევქმნათ, იმედი მაქვს, თავდაზნაურობა დაგვეხმარება და სიძველენის გამოცემას შევუდგებით. შენ უნდა დამეხმარო“¹⁶.

მართლაც, ე. თაყაიშვილის თაოსნობით 1907 წელს დაარსდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება. საზოგადოების გახსნის ამბავი მან პირველ რიგში ნ. მარს აცნობა: „ჩვენი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება გაიხსნა და ორი საზოგადო სხდომა უკვე იყო, ვაპირებთ კრებულის გამოცემას სათაურით „საქართველოს სიძველენი“ და ველით შენგან ყოველგვარ დახმარებას. წევრად უკვე არჩეული ხართ შენ და ჯავახიშვილი. წესდებას სიმონ პოლტორაკის ხელით გამოგიგზავნი“¹⁷.

ახალ საზოგადოებაზე ზრუნვა მთლიანად ე. თაყაიშვილის მხრებზე გადადიოდა. ჯანმრთელობა უკვე ლალატობდა მას და ველარც იმდენს იცლიდა, რამდენიც ამ საქმეს სჭირდებოდა. საგონებელში ჩავარდნილი, იგი სწერდა ნ. მარს: „თუ გაკვეთილებს თავი არ დავანებე, ვერაფერს გავაკეთებ, და თავი დავანებო, რით ვიცხოვრო! აუარებელი საქმე მაქვს, მინდა ისე არ მოვკვდე, რომ მუზეუმი არ ავაშენო და ჩვენს კულტურულ ნაშთებს ბინა არ უშოვნო... ბევრ ნივთს ვაგროვებ, ბევრ წიგნებს და ხელნაწერებს ვშოულობ. უფრო მეტის შოვნა და გაკეთება შეიძლება, რომ მოცალეობა მქონდეს. ძრიელ საქიროთა გავზარდოთ და გავაძლიეროთ ეს საზოგადოება. მართო ამ საზოგადოებას შეუძლია გადაარჩინოს განადგურებას ჩვენი კულტურული ნაშთები“¹⁸.

ამიტომაც მთელ თავისი დროის უდიდეს ნაწილს ე. თაყაიშვილი ახმარდა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებაზე ზრუნვას. სამეცნიერო მუშაობისათვის კი მას სრულიად აღარ რჩებოდა თავისუფალი დრო, მაგრამ ამაზე დიდად არ წუხდა, რადგან საზოგადოების საქმე კარგად მიდიოდა. მთავარი კი მისთვის ეს იყო. „მე მგონია, — სწერდა იგი ნ. მარს, — ამით უფრო მკვიდრ საფუძველს დაუდებ ჩვენი წარსულის შესწავლას, ვიდრე წერით ან სხვა მოღვაწეობით“¹⁹.

ე. თაყაიშვილის ინიციატივით საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება რეგულარულად აწყობდა ექსპედიციებს და ექსკურსიებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, სადაც აგროვებდა ჩვენი წარსულის კულტურულ ნაშთებს, ისტორიულ დოკუმენტებს, სიგელ-გუჯრებს, ხელნაწერებს და ეპიგრაფიკულ მასალას. ეს მასალები ქვეყნდებოდა საზოგადოების კრებულებში „ძველი საქართველო“ და „საქართველოს სიძველენი“.

ლექციების კითხვით, ექსკურსია-ექსპედიციების ჩატარებით საზოგადოება ახერხებდა საქართველოს წარსულის კულტურული სიძველეების შეგროვების საქმეში მთელი ქართული მოსახლეობის ჩაბმას. „ძველი საქართველოს“ ფურცლებზე ე. თაყაიშვილი ასე მიმართავდა ქართულ საზოგადოებას: „ჩვენი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ჯერ ნორჩი საზოგადოება არის, ხოლო ყოველ საზოგადოების წარმატება ერის თანაგრძნობაზეა დამყარებული. ნუ ვინ

¹⁶ ნ. მარს ფონდი, № 75ა, 1907 წ.

¹⁷ ნ. მარს ფონდი, № 76, 1907 წ.

¹⁸ ნ. მარს ფონდი, № 81, [1910].

¹⁹ იქვე.

იფიქრებს, რომ სპეციალურ საზოგადოებას ნაბრტყ სპეციალისტების დახმარება ეჭირებოდა. ჩვენი საზოგადოების მიზანი ძლიერ ფართოა. მას საგნად აქვს შესწავლა საქართველოს წარსულისა და აწმყოსი, მაგრამ საქართველოს ყოველგვარი შესწავლისათვის მასალაა საჭირო და მასალის შეკრება ანუამად უმთავრეს მიზანს შეადგენს ჩვენი საზოგადოებისათვის. ყოველ შეგნებულ ქართველს შეუძლია დიდი დახმარება აღმოუჩინოს ჩვენ საზოგადოებას, ვის არ შეუძლია, მაგალითად, შეკრიბოს და მოგვაწოდოს ძველი ხელნაწერები, სიგელ-გუჯრები, ძველი იარაღები, ძველი სამკაულები?“²⁰.

ე. თაყაიშვილის პირად საარქივო ფონდში დაცული წერილებიდან ჩანს, თუ როგორი მზადყოფნით შეხვდნენ საზოგადოების გახსნას ქართული კულტურის სხვადასხვა დარგის მუშაკები და. საერთოდ, მთელი ქართველი ინტელიგენცია. საზოგადოების გამგეობას სხვადასხვა კუთხიდან მოსდიოდა წერილები, რომლებშიც ქართველი საზოგადო მოღვაწეები. ინტელიგენციის წარმომადგენლები და უბრალო მოსახლეობა, ბევრ საინტერესო ცნობას აწვდიდა მას ქართულ სიძველეთა შესახებ: ხშირ შემთხვევაში საზოგადოებას პირდაპირ ეგზავნებოდა ხოლმე მათგან ხელნაწერი, სიგელ-გუჯარი თუ ეთნოგრაფიული ხასიათის მასალა. ასე მაგალითად, ე. თაყაიშვილის პირად საარქივო ფონდში დაცულია ნიკო ერისთავ-შერვაშიძის წერილები²¹, საიდანაც ჩანს, რომ იგი ხშირად აწვდიდა ექვთიმეს სხვადასხვა მასალას; ერთ-ერთ წერილში შერვაშიძე დაწვრილებით აუწერს ექვთიმეს ნეძვის ეკლესიის მდგომარეობას და აცნობებს, თუ რა მასალისაგანაა იგი ნაგები. როგორც საზოგადოების ნამდვილი წევრი, იგი ზრუნავს ისტორიული ნანგრევებისა და ეკლესიების მოვლა-პატრონობაზე, აწვდის ცნობებს ტბეთის ეკლესიაზე; სწერს, რომ „გააკეთებინა დიდის გაქირვებით არტანუჯის ციხეზე ასასვლელი კიბე“. სხვა წერილში კი ატყობინებს, რომ უგზავნის მას ძველ საბუთებს. 1912 წელს ნ. ერისთავ-შერვაშიძე სპარსეთშია. ქოიდან მოწერილ წერილში ის პირდება ე. თაყაიშვილს, რომ ყურადღებით შეისწავლის და შეკრებს ისტორიულ მასალას. „ეს მხარე. — სწერს იგი, — ჩვენი ისტორიისა მეც მქონდა აზრში შემესწავლა და ეს იყო სწორედ მიზეზი, რომ სხვა ადგილზე ვარი განვაცხადე... შემხვდა ერთი საინტერესო ბარძიმ-ფეშხუმის გადასათარებელი, რომელიც ოქროს მკედით არის ნაკერი, და თვით ბარძიმ-ფეშხუმში თეთრი სირმით, მას ზევით წმინდა გიორგი ქვეითი (რამზედ არ ზის) აკერილია ყვითელი სირმით და ყვითელი სირმითვე წარწერა, რომლის აზრი ის არის, რომ ეს ბარძიმ-ფეშხუმის გადასათარებელი აუკერია და შეუწირავს მეფე ერეკლეს რძალს სალომეს, თარიღი ქართული ქორონიკონით უზის 1793“. ნ. ერისთავ-შერვაშიძეს გადაწყვეტილი ჰქონდა ეს ნივთი საზოგადოების მუზეუმისათვის შეეძინა, მაგრამ შემდგომი ბედი ამ ნივთისა წერილიდან არა ჩანს.

მღვდელი ანტონ ფირცხალავა თავის წერილში²² აცნობებს ექვთიმეს, რომ მან დაპირების თანახმად ინახულა წახურის ეკლესია, სადაც გარდა ერთი მთავარანგელოზის ხატისა, ვერაფერი იპოვა, ა. ფირცხალავა სწერს, აგრეთვე, მას იმ სახარების შესახებ, რომელიც ვინმე დოლაბერიძეს მიუყიდა რუსეთის სამეცნიერო აკადემიისათვის. წერილიდან ჩანს, რომ ამ საქმეში აქტიურად ჩარეულა ნ. მარი. სწორედ ნ. მარს ურჩევია დოლაბერიძისათვის, რომ ეს სახა-

²⁰ ძველი საქართველო, ტ. 1, 1909, გვ. III—IV.

²¹ ე. თაყაიშვილის ფონდი, № 1326.

²² ე. თაყაიშვილის ფონდი, № 1408, 1913—1914 წწ.

რება მიეყიდა პეტერბურგის აკადემიისათვის, რადგან პეტერბურგის აკადემიის წყალობით საზღვარგარეთი გაიცნობდა კავკასიას. როგორც ა. ფირცხალავას შემდეგი წერილიდან ირკვევა, ბ. დოლაბერიძეს ეს ხელნაწერი, მართლაც, საზოგადოებისათვის გადასაცემად სდომებია. ამ ხელნაწერის გარდა, მას განზრახული ჰქონდა საზოგადოებისათვის შეეწირა აგრეთვე გარკვეული ფულადი თანხა.

პროფ. შალვა ბერიძე სწერდა ექვთიმეს: „ბ-ნო ექვთიმე სიმონის-ძე! უდროობის გამო დღემდე ვერ შეგისრულეთ თქვენი სურვილი. გაახლებთ იმ ქართულ ხელნაწერებს და ქართულ ძველ ნაბეჭდ წიგნებს, რომელნიც შევეკრიბე სამეგრელოში მოგზაურობის დროს. აზრად მაქვს ერთი კვირის შემდეგ კვლავ გავემგზავრო სამეგრელოში და თუ ფაქულტეტი შეძლებას მომცემს, შევიძენ ფრიად საინტერესო ხელნაწერებს იოანე ხელაშვილისას“²³.

საყურადღებოა, აგრეთვე, ცნობილი საზოგადო მოღვაწის ივ. ელიაშვილის მიერ 1909 წელს ბაქოდან გამოგზავნილი წერილი. იგი წერს: „ეს ჩვენი ახალშობილი საზოგადოება ფრიად და ფრიად საყურადღებოა ყოველი შეგნებული ქართველისათვის და საიმედო ისეთი გულმოდგინე მშრომელის ხელქვეით, როგორადაც შენ მიმაჩნისარ მეც და ჩემთან ერთად ბევრსაც. ერთ თანამშრომლად, სხვათა შორის, მეც გეგულებოდე და თუ რაიმე შემწეობის შემძლე ვიქნები, პირადად მე ჩემს თავს ბედნიერად ჩავთვლი“²⁴.

ასე რომ, თანამგრძნობნი და დამხმარენი საზოგადოებას ბევრი აღმოუჩნდა საქართველოში, ამ მამულიშვილურ წამოწყებაში თანდათან ჩაება მოსახლეობის ფართო მასა. მეტი დაინტერესებისა და წახალისების მიზნით საზოგადოების გამგეობამ გარკვეულ ღონისძიებას მიმართა: პრესაში („ივერია“, „სახალხო გაზეთი“) იგი სისტემატურად აქვეყნებდა მადლობის წერილებს იმ პირთა მისამართით, რომლებმაც გაიღეს შემოწირულება. ე. თაყაიშვილის პირად საარქივო ფონდში ინახება ერთი წერილი, რომელიც ეკუთვნის დ. ლეონიძეს. «„სახალხო გაზეთის“ მე-130 ნომერში, — წერს დ. ლეონიძე, — დაბეჭდილი იყო საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს მიერ ჩემდა მომართ მადლობა ჩემგან მცირე შეწირულებისათვის. ფრიად სასიხარულო არის ჩემთვის, რომ ესრედ საყურადღებო აღმოჩნდა ჩემი შეწირულებანი! ვიმეცადინებ შემდგომადაც ამგვარი რამ მოვიპოვო და ვუძღვნა პატივცემულ მთელი ხალხოსნობისათვის და განსაკუთრებით საქართველოსათვის დიდად სასარგებლო და ჩვენი წარსულის ბნელში მდებარე ცხოვრების ნათლის მომფენს საზოგადოებას. თუ ვიცოცხლებ და გაისად ჩემთან მობრძანდით, ვეცდები აღმოვაჩინო რაიმე საინტერესო. ამასთანავე გაახლებთ სოლომონ ლეონიძეზე, მეფე ერეკლეზე და რაჭის ერისთავ როსტომზე ზოგიერთ ცნობებს. აგრეთვე ერთ სიგელს, რომლითაც ზემო იმერეთის ჯარის სარდალი ქაიხოსრო წერეთელი სწირავს მღვიმის მონასტერს ერთ გლეხს გვარად სიკინჭილაშვილს»²⁵. „ყოველი ქართველი, — ასე ამთავრებს იგი ერთ-ერთ წერილს, — ვისაც მცირედი სიყვარული აქვს თავის სამშობლოსი და კეთილი სურს მისთვის, თანაუგრძნობს თქვენს საზოგადოებას“.

ამ საზოგადოების მუშაობასთან დაკავშირებით ინტერესს მოკლებული არ

²³ ე. თაყაიშვილის ფონდი, № 1627.

²⁴ ე. თაყაიშვილის ფონდი, № 1350.

²⁵ ე. თაყაიშვილის ფონდი, № 1360, 1910—1913 წწ.

უნდა იყოს ე. თაყაიშვილის მიერ კ. საძაგლიშვილისადმი მიწერილი წერილი, რომელშიც ექვთიმე ერთგვარ ანგარიშს აბარებს კირიონს საზოგადოების ორი წლის მუშაობის შესახებ. ექვთიმე დაწვრილებით აცნობებს მას, რა მღვდმარეობაშია საზოგადოება, რა სამუშაო ჩაატარა მან ამ ხნის განმავლობაში და აქვე უზიარებს თავის გეგმას ქართული მუზეუმ-ბიბლიოთეკის დაარსების შესახებ. ექვთიმე სთხოვს კირიონს, ითანამშრომლოს მათთან და მეორე კრებული-სათვის გადასცეს რაიმე მეცნიერული ხასიათის სტატია. დაბოლოს, ექვთიმე მთელი „საზოგადოების“ საბჭოს სახელით თხოვნით მიმართავს კირიონს, დაუთმოს მათ საკუთარი ბიბლიოთეკა და ნუმისმატიკური კოლექცია: „ამ თხოვნას უერთდება ყველა ჩვენი წარჩინებული თანამემამულენი... უნდა გაუწყოთ, რომ ჩვენთვის სულერთია ინებებთ შემოწირვას თქვენი ბიბლიოთეკა-კოლექციისა საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის თუ წ. კ. გამარცვლებელი საზოგადოებისათვის, რამდენადაც ეს შეეხება მუზეუმსა და ბიბლიოთეკას, ერთი მიზანი აქვს, ე. ი. დაარსდეს ცალკე ქართული მუზეუმი და ბიბლიოთეკა, რომელიც უნდა იყოს სპეციალისტების გამგეობაში და რომელიც უნდა ემსახურებოდეს მართო სამეცნიერო მიზანს, ე. ი. საქართველოს წარსულის და აწმყოს შესწავლას და ამ შესწავლისათვის ყოველგვარი მასალის შეკრებას და მუზეუმ-ბიბლიოთეკაში მოთავსებას. თქვენი კოლექცია და ბიბლიოთეკა ცალკე იქნება დაცული ამ მუზეუმში“²⁶.

კირიონ საძაგლიშვილს ჯერ კიდევ ადრე ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ მთელი თავისი ქონება საეკლესიო მუზეუმისათვის შეეწირა. ამ წერილის მიღების შემდეგ კი მან აზრი შეიცვალა და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას გადასცა თავისი ბიბლიოთეკა (ხელნაწერები და ნაბეჭდი წიგნები), ხატები, ჯვრები და ნუმისმატიკური კოლექცია²⁷.

რაც დრო გადიოდა, ე. თაყაიშვილი მით უფრო ვერ აუდიოდა საქმეებს. თანაც უკვე ცხადად გრძნობდა იმის საჭიროებას, რომ ამ საქმეს სათავეში კარგად მომზადებული მეცნიერი ჩასდგომოდა. არჩევანი ექვთიმემ ივ. ჯავახიშვილზე შეაჩერა. 1913 წ. 17 ნოემბრით დათარიღებულ წერილში იგი სწერს მას: „როგორც თქვენს შეგნებას, მამულიშვილობას და საზოგადო საქმის სიყვარულს შეეფერებოდეს, ისე ასწონ-დასწონეთ ჩვენი წინადადება და ეცადეთ ჩვენი თხოვნა დააკმაყოფილოთ. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი საზოგადოება და მისი ბიბლიოთეკა-მუზეუმი დღითი-დღე იზრდება, მათი საქმეები რთულდება და დიდ დროს, შრომას და ცოდნას თხოულობს, რომ საქმეები ჯეროვნად წავიყვანოთ. ხოლო ჩვენ აქ ერთი მომზადებული, თავისუფალი კაცი არა გვყავს, რომ ამ საქმეს ჯეროვნად გაუძღვეს. რიგიანი მეთაურობა იკისროს და დღე და ღამე ამაზე ზრუნავდეს, ამაზე ფიქრობდეს და მთელი თავისი ძალ-ლონე ამას მოანდომოს. ჩვენისთანა მოუცლელ და მოუშზადებელ პირთა ხელში ეს საქმე ჯეროვნად ვერ წავა. ამას აშკარად ვამჩნევთ და ეს გვტანჯავს. ამას გარდა, მე პირადად ჯანით ძრიელ სისუსტეს ვგრძნობ და ვშიშობ, ეს კარგად დაწყებული საქმე ზრდის გზას არ აცდეს და არ ჩაგვეშალოს. წინეთაც მოგახსენეთ რა ეხლაც გავიმეორებ, თქვენთვის პირადად, თქვენი მშვენიერი მეცნიერული გამო-

²⁶ კ. საძაგლიშვილის ფოიდი, № 723, 1909 წ.

²⁷ ე. აბრამიშვილი, კირიონის პირადი საარქივო ფონდი, მრავალთავი, I, თბ., 1971, გვ. 363—364.

კვლევისათვის აქ გადმოსახლება საიმისო სარგებლობა იქნება ვერ შოგცეთ, ვერ დაგაკმაყოფილოთ, რადგან აქ ყოველგვარ მეცნიერულ წიგნებს ვერ იშოვით, მაგრამ თამამად მოგახსენებთ, საქართველოსათვის, ჩვენი ისტორიისათვის და კულტურისათვის ამას ფასდაუდებელი მნიშვნელობა ექნება. რასაც ახლა მოვასწრობთ, გადავარჩინთ განადგურებას და შევინახავთ, მარტო ის დაგვრჩება მუზეუმში, ამ კულტურის ტაძარში, ხომ ხედავთ, როგორ დღითი-დღე გვეცლება ხელიდან აუარებელი მასალა, საისტორიო, საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო, ყველაფერს იტაცებენ, ანგრევენ, ანადგურებენ²⁸. წერილში ექვთიმე აცნობს მას პირობებს და დახმარებას აღუთქვამს ამ საქმეში. „მე არ ვამბობ, — განაგრძობს იგი, — რომ ეხლავე თავი დაანებოთ უნივერსიტეტს... ხოლო ნებაართვა თქვენი იმთავითვე უნდა ვიცოდეთ, რომ აქ თავდარიგი დავიჭიროთ და გზა მოგიმზადოთ... მეცნიერული საამდლეო მუშაობა იქნება ცოტა შეგიფერხდეთ..., მაგრამ ჩვენი კულტურის ნაშთების შეგროვებისათვის, შესწავლისა და შენახვისათვის, რომ ეს უმჯობესი იქნება, ამაზე უარს ვერც თქვენ იტყვიან და მე კიდევ ვიტყვი: დღეს ჩვენგან ამგვარ შრომას დაღწას უფრო თხოულობს სამშობლო, საფუძველი თუ დაგვეკარგა, ყველაფერი დაკარგული გვექნება“²⁹.

როგორც ცნობილია, ივ. ჯავახიშვილმა მაშინ არ დააკმაყოფილა ე. თაყაიშვილის თხოვნა, მხოლოდ 1924 წ. 2 თებერვალს საზოგადოების წლიურ კრებაზე იქნა არჩეული ივ. ჯავახიშვილი საზოგადოების თავმჯდომარედ (არაოფიციალურად ამ მოვალეობას იგი ასრულებდა 1922 წლიდან)³⁰.

ეს ამბავი ე. თაყაიშვილმა საფრანგეთში გაიგო და 1924 წ. 17 მარტს წერილი მისწერა ი. სონლულაშვილს: „მეტად ვერაფრით გამახარებდი ისე. როგორც ცნობით, რომ ივანე ჩვენი საზოგადოების თავმჯდომარეთ აგირჩევიან და ის დათანხმებულა. ივანე პირადათაც უმწიკვლო ადამიანია, დიდი პიროვნებაა და დიდი ჩვენი მეცნიერია. ეხლა კი სრულიად დამშვიდებული ვარ და დარწმუნებული ვარ, რომ საზოგადოების მეცნიერული მუშაობა და საქმეები კარგად წავა“³¹.

ქართულ სიძველეთა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმში თავმოყრის შემდეგ ე. თაყაიშვილმა მიზნად დაისახა ამ სიძველეთა გაერთიანება და საერთო მუზეუმის დაარსება³².

მუზეუმისათვის ცალკე შენობის აგების გამო ზრუნვა ქართული საზოგადოებრიობის მიერ ადრევე იყო დაწყებული. როგორც ცნობილია, დ. სარაჯიშვილის ანდერძით მუზეუმისათვის უნდა გამოეყოთ 600 ათასი მანეთი. სამუზეუმო კომისიამ, რომლის თავმჯდომარეც ე. თაყაიშვილი იყო, შენობის აგება ფიქრის გორაზე გადაწყვიტა. მუზეუმისათვის ბინის შერჩევისა და მისი გეგმის შედგენის

²⁸ ივ. ჯავახიშვილის ფონდი, № 1822.

²⁹ ე. თაყაიშვილის ფონდში № 1727 ინახება ამ წერილის შავი.

³⁰ ა. კაკეიძე, ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება, კრებული მიძღვნილი აკად. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი, თბ., 1977, გვ. 9; რ. მეტრეველი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, თბ., 1982, გვ. 121.

³¹ ი. სონლულაშვილის ფონდი, № 131.

³² რ. მეტრეველი, შ. ბადრიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, გვ. 29—30; ა. სურგულაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, გვ. 129, 177—178; რ. მეტრეველი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, გვ. 71—72.

საქმეში დიდი აქტიურობა გამოიჩინა ალ. ცაგარელმა. მან ვრცელი წერილი მისწერა ე. თაყაიშვილს: „ჩემის აზრით, ქართული მუზეუმის აშენება ვერაზედ ან ქალაქის სხვა გარეთ უბანში (предместье) მოუხერხებელია — მუზეუმი უნდა იყოს მოთავსებული შუაგულ ქალაქში, როგორც ყველა ქალაქებში არის შემოღებული, რომ გაადვილდეს იქ შესვლა...“ ალ. ცაგარელი ურჩევს მას მუზეუმის შენობა ააგონ ანჩისხატის უბანში, ეგზარხოსის სახლის წინ პატარა მოედანზე... „მთელი ანჩისხატის უბანი თითქმის სიძველეთ სავანეა და, ჩემის აზრით, ეს საუკეთესო ადგილია ქართული მუზეუმისათვის ტფილისში“.

ალ. ცაგარელი სთხოვს ექვთიმეს, დააჩქაროს არზის გაგზავნა ქალაქის საბჭოში და სწრაფად მოჰკიდოს ხელი შენობის აგებას, — „თორემ ხომ იცი ჩვენი ქართველების ხასიათი და დაუდევრობა, — წერს იგი, — იქნება საქმე სულ ჩაიშალოს. გთხოვთ, მაცნობეთ ხოლმე, როგორ წავა ეს საშვილიშვილო და მთელი ერის სასურველი საქმე, მე, ჩემის მხრით, შემწეობას არ მოვაკლებ, რითაც შემძლია“³³. მაგრამ საქმე, როგორც ცნობილია, აქამდე არ მისულა. „ზოგიერთების თავისებური საქციელის გამო, — წერს ექვთიმე თავის მოგონებებში, — ეს თანხა დარჩა აუთვისებელი, ხოლო ქართული მუზეუმი — აუშენებელი“³⁴. ასე დასრულდა მაშინ მუზეუმის აგების ისტორია.

ახლად დაარსებული საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმს ე. თაყაიშვილის ენერგიული მოთხოვნის წყალობით დაუთმეს სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობის III სართული. 1912 წ. ექვთიმესავე რჩევით ამავე შენობაში მოთავსდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმი. 1916 წ. ნოემბერში კი ისევ ე. თაყაიშვილის ინიციატივით აქვე გადმოვიდა საეკლესიო მუზეუმიც³⁵.

ქართულ სიძველეთა შემგროვებისა და დაცვის გარდა ექვთიმეს ისიც ძალიან აწუხებდა, რომ არ განიავებულყო საქართველოს ეკლესია-მონასტრებში დაცული ხელნაწერები თუ სხვა ისტორიული ნაშთები.

ე. თაყაიშვილის პირად არქივში შემონახულია მისი წერილები მიწერილი საიმპერატორო აკადემიის მუდმივი მდივნის ს. ოლდენბურგისადმი³⁶. წერილები უთარილოა, ისინი დაწერილი უნდა იყოს ე. თაყაიშვილის სევანეთში მოგზაურობის მომდევნო 1911 წელს. ე. თაყაიშვილი სწერს ს. ოლდენბურგს სევანური ხელნაწერების დიდი მეცნიერული მნიშვნელობის შესახებ: «Рукописей в Свани сохранилось не много, но среди них имеются очень ценные и редкие по своей древности экземпляры, которые для изучения Священного писания имеют первостепенное значение»³⁷. წერილებიდან ვგებულობთ, რომ ე. თაყაიშვილს ძალიან აწუხებდა სევანეთის ხელნაწერებისა და სიძველეების მდგომარეობა, მათი არასაიმედო დაცულობის გამო. გარდა იმისა, რომ ხელნაწერები

³³ ე. თაყაიშვილის ფონდი, № 1359, 1910 წ.

³⁴ ე. თაყაიშვილი, მოგონებანი, რჩეული ნაშრომები, ტ. I, გვ. 331.

³⁵ 1921 წ. 9 ივნისს საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა კოლექცია გადაეცა უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმს. 1926 წ. 1 მარტს მას შეუერთდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმის კოლექცია. 1929—1930 წლებში საქართველოს მუზეუმის შენობაში გადავიდა უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმი და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის კოლექციები.

³⁶ ე. თაყაიშვილის ფონდი, № 1704.

³⁷ იქვე.

ფუძლებოდა და ზიანდებოდა ეკლესიებში, ადგილი შესაძლებელი იყო ხელნაწერთა მოპარვა და საქართველოდან გატანაც კი. ე. თაყაიშვილს კარგად ესმოდა, რომ «Получить от сванов легальным путем эти рукописи нет никакой возможности, а прибегать к хитрости и обману не достойно никакого учреждения. Все, что принадлежит церкви, сваны считают священным»³⁸, ამიტომ მან გადასწყვიტა სვანური ხელნაწერების გადარჩენის მიზნით მათი ერთად თავმოყრა მესტიის რომელიმე ეკლესიაში. აქვე უნდა შემოსულიყო სვანეთის სხვა არქეოლოგიური სიძველეებიც. შემდეგ ე. თაყაიშვილმა უფრო მიზანშეწონილად ჩათვალა ხელნაწერების შეკრება-დაცვა კალას კვირიკესა და ივლიტეს ეკლესიაში, რადგან ამ ეკლესიას ორი შეიარაღებული მცველი იცავდა, მაღალ ადგილზე იყო აშენებული და დაზღვეული იყო ზვავისგან. ხელნაწერების კალას ეკლესიაში თავმოყრის თაობაზე ე. თაყაიშვილი თბილისში მოელაპარაკა მღვდელ ბესარიონ ნიქარაძეს და პრისტავ ეგნატე გაბლიანს, რომლებიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ სვანებში. სვანებთან მოლაპარაკებამ სასურველი შედეგი გამოიღო და წლის ბოლოსათვის უკვე აპირებდნენ კიდევ ხელნაწერთა გადატანას კალას ეკლესიაში. ე. თაყაიშვილი იმედოვნებდა, რომ გარკვეული დროის შემდეგ ამ ხელნაწერებს თბილისში მოუყრიდა თავს. «Конечно, желательно было бы, чтобы эти рукописи были перевезены в Тифлис для хранения в церковном древнехранилище или в других музеях, где имеются собрания грузинских рукописей, но пока нет никакой возможности добиться разрешения сванских обществ на это. Со временем, когда рукописи будут сосредоточены в Кальской церкви, скорее можно будет осуществить это желание»³⁹.

ე. თაყაიშვილის ეს წერილი განიხილეს საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ-ფილოლოგიური განყოფილების სხდომაზე 1912 წ. 18 აპრილს⁴⁰. განყოფილებამ მოიწონა ე. თაყაიშვილის მოსაზრება ხელნაწერთა კალას ეკლესიაში თავმოყრისა და დაცვის შესახებ და აღიარა იგი იმდროინდელ პირობებში სვანურ ხელნაწერთა გადარჩენის ერთადერთ რეალურ საშუალებად. გაურკვეველი მიზეზების გამო ე. თაყაიშვილმა ვეღარ განსაზღვრავდა თავისი ჩანაფიქრი.

1921 წელს ე. თაყაიშვილი საფრანგეთში მიემგზავრება და იქ აგრძელებს თავის მოღვაწეობას. ემიგრაციაში მყოფ ექვთიმეს არასოდეს გაუწყვეტია კავშირი ქართველ მეცნიერებთან. განსაკუთრებით მჭიდრო კონტაქტი შეიმართეს მან ნ. მართან. უცხოეთიდანაც ასევე ინტენსიურად უგზავნიდა ექვთიმე ნ. მარს თავის სტატიებს. ჩვეულებისამებრ, იგი სთხოვდა ნ. მარს, სათანადოდ გაემართა ეს წერილები, შეესწორებინა და შემდეგ სადმე დაებეჭდა. ნ. მარტივ თავის მხრივ სისტემატურად ამარაგებდა ექვთიმეს საბჭოური სამეცნიერო ლიტერატურით, რომელზედაც მას ვეღარ მიუწვდებოდა ხელი.

1923 წ. საბჭოთა კავშირის მთავრობის დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკას დაუბრუნდა რუსეთის ფედერაციის მუზეუმებსა და საცავებში თავმოყრილი ქართული ხელნაწერები, ისტორიული დოკუმენტები და ხელოვნების ნაწარმოებები. პროფ. შ. ამირანაშვილმა ამის შესახებ დაწვრილებით მისწერა

³⁸ ე. თაყაიშვილის ფონდი, №1704.

³⁹ იქვე.

⁴⁰ ე. თაყაიშვილის ფონდი, №2147.

ე. თაყაიშვილს საფრანგეთში⁴¹. ამ ფაქტმა ე. თაყაიშვილი ძალიან გაახარა და მან 1923 წ. 10 აპრილს საპასუხო წერილი გაუგზავნა შ. ამირანაშვილს და დ. ჯგუშას, რომელიც იმ პერიოდში საქართველოს აკადემიური საქმეების წარმომადგენელი იყო მოსკოვში. წერილში ე. თაყაიშვილი დამატებით ცნობებს აწვდის მათ საქართველოდან გატანილ სიძველეთა შესახებ და მიუთითებს ამ უკანასკნელთა აღვილმდებარეობას. წერილი⁴² ბევრ საინტერესო ცნობას შეიცავს და იგი მცირეოდენი შემოკლებით მოგვყავს:

„... თქვენი ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოდან რუსეთში გაზიდული სიძველენი უბრუნდება საქართველოს, ჩემთვის მეტად სასიამოვნოდ დარჩა. თქვენ იწერებით: „ყველა ქართული სიძველენი, რომელნიც რუსეთის ტერიტორიაზე გაფანტულნი არიან, დაუბრუნდა საქართველოს სრულიად უსასყიდლოდ“. ალბათ, გინდოდათ გეთქვათ დაუბრუნდება, ვინაიდან 15 იანვარს, როდესაც თქვენი წერილია დაწერილი, სიძველენი ჯერ კიდევ დაბრუნებული არ ყოფილა. ეხლა, როგორც სჩანს მიღებული ცნობებიდან, ეს გადაწყვეტილება ნაწილობრივ შესრულებულა. ესეც კარგი საქმეა. ხოლო მეტად სამწუხაროა ცნობა, რომ ომიანობის დროს თათრების მოლოდინის გამო ტფილისიდან და ქუთაისიდან ჩრდილო კავკასიაში გაზიდული არქივების დიდი ნაწილი სამოქალაქო ომის დროს დაღუპულა. ეს აუნაზღაურებელი დანაკლისია. შალვა ამირანაშვილმა სიამოვნებით მაცნობა სია იმ ნივთებისა, რომელნიც თქვენ მიგიღიათ მოსკოვის მუზეუმ-საგანძურებიდან, ამათგან რაც შეეძლო, ერთი რომ აკლია სიას. ეს არის სამსჯვალის ბუდე, რომელიც სობოროს (ვგონებ მიძინების სობოროს) საგანძურში ინახებოდა. ბუდეს აწერია ხუცურად: „მეფე ყოვლისა საქართველოჲსა დავით ძე რუსუდანისა აღმაშენებელი წმიდისა სამსჯვალისა სასუენებელისა ამის“. იმედია, ამ ბუდესაც მოიკითხავთ, საგანძურის სიაში იქნება.

იმავე შალვას ცნობიდან სიხარულით ვტყობილობ, რომ რუსეთის საგანძულოდან თქვენ უნდა მიიღოთ ქართული მინანქრიანი ხატები. რომელნიც წინეთ ბოტკინის კოლექციას ეკუთვნოდენ. უნდა მოგახსენოთ, რომ საქართველოს სიძველენის ცარცვა სისტემატიურად სწარმოებდა და იმდენი ძეგლებია საქართველოდან გატაცებული, რომ ეხლა მეთაღის მიგნებაც ძნელია, ოთხი მეხუთედი ზვენიგოროდსკის, ბოტკინის და ბალაშევის კოლექციებისა საქართველოს მონასტრებიდან არის მოტაცებული⁴³. ესენი ბიზანტიური ქართული ხელობის მინანქრიანი ნივთებისაგან შესდგებიან და უმეტეს ნაწილს ბერძნული წარწერები აქვს და ამიტომ ვინმეს ეგონება, რომ ისინი საქართველოს მონასტრების კუთვნილებას არ შეადგენს. ამ კოლექციონერებმა მოუხერხეს თავის აგენტს საბინ-გუსს მე-80 წლებში ეგზარხოსის და სინოდალური კანტორის საშუალებით გაეცარცვა მარტვილის, გელათის, შემოქმედის, ჟუმათის და სხვა ეკლესია-მონასტრების საგანძურები. მარტო ზვენიგოროდსკიდან მიიღო საბინ-

⁴¹ შ. ამირანაშვილი, საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობა და მისი დაბრუნება, თბ., 1978, გვ. 9—10; ა. სურგულაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, გვ. 197—202.

⁴² ე. თაყაიშვილის ფოტო, № 1710.

⁴³ Ш. Амиранашвили, История грузинского искусства, Тб., 1963, гв. 257. Л. Хускивадзе, Грузинские эмали, Тб., 1981, гв. 16. შ. ამირანაშვილი, ხახულის კარელი, თბ., 1972.

გუსმა 30000 მანეთი, ამის გამო მე რომ უნივერსიტეტიდან ტფილისში ჩამოვედი, დ. ბაქრაძესთან ერთად მოხსენება-საჩივარიც წარუდგინეთ მთავრობას, მაგრამ ყურადღება არ მოგვაქციეს, ვინაიდან ეგზარხოსი ერია საქმეში და ზვენიგოროდსკიმ თავის კოლექციის მდიდრული გამოცემა ალექსანდრე III უძღვნა. მერმე თქვენ მოგეხსენებათ, რომ ზვენიგოროდსკის კოლექცია სამასი ათას მანეთად მორგანმა იყიდა და ეხლა ნიუორკის მუზეუმში ინახება და ზოგ ეტიკეტებს აწერია: „ჯუმათის მონასტრიდან“. ბოტკინის კოლექციაც გამოცემულია, მაგრამ ის რუსეთიდან გატანილი არ არის. არ ვიცი რა ბედი ეწვია ბალაშევის კოლექციას, ხოლო დანამდვილებით შემოძლია ვთქვა, რომ კონდაკოვის მიერ ზვენიგოროდსკის კოლექციის გამოცემის სათაურში რომ ღვთისმშობლის ხატის სურათია მოთავსებული, ის ხატი ბალაშევის კოლექციას ეკუთვნის და საქართველოდან არის მიტაცებული. მისი მეორე სურათი მხატვრის ვასილიევის ალბომშიც მოიპოვება, რომელიც ეხლა აქ კერძო პირს აქვს. ამ ალბომში მარტო გელათის, ქუთაისის, შემოქმედის და ჯუმათის ნივთების სურათებია მოქცეული და სხვა არაფერი. დიდ სამსახურს გაუწევთ საქართველოს სიძველენის საქმეს. თუ ბოტკინის⁴⁴ და ბალაშევის კოლექციების გზა-კვალს მიაგნებთ და საქართველოს დაუბრუნებთ.

თქვენ იცით და, ალბათ, ზრუნვასაც შეუდგებოდით, მიიღოთ მინაქრიანი ქართული ხატები ლივადიის სასახლისა, ქართული სიძველენი კიევის სასულიერო აკადემიისა, ვახუშტი ბატონიშვილს რუქები⁴⁵, რომელნიც ყაზანის უნივერსიტეტში ინახებიან, სურათები და ნივთები, რომელნიც მაქ მოსკოვის გარეშე საქმეთა სამინისტროს არქივში და ორუქეინაია პალატაში ინახებიან და სხვა. ხოლო მივაქცევ თქვენს ყურადღებას, რომ განსვენებული ალ. ხახანაშვილის ბიბლიოთეკა მაქ ლაზარევის ინსტიტუტს დარჩა, ხახანაშვილს ბევრი ხელნაწერი ჰქონდა წალეხული დროებით საქართველოს ეკლესია-მონასტრებიდან და მუზეუმებიდან, კარგი იქნება, მოიკითხვიდეთ და მიიღებდეთ ხელნაწერებს მაინც საქართველოსათვის დასაბრუნებლად⁴⁶. თქვენ აგრეთვე გეცოდინებათ, რომ ყოფილმა ტფილისის გუბერნატორმა შერვაშიძემ თავის შესანიშნავი ბიბლიოთეკა საქართველოს მუზეუმს შესწირა და დარჩა გატჩინოში მისი გარდაცვალების შემდეგ. არ ვიცი აგრეთვე, რა ბედი ეწვია ჩვენი პროფესორი ალ. ცაგარელის წიგნთსაცავს⁴⁷ ცაგარელის ბიბლიოთეკაში საყურადღებო ხელნაწერებიც იყო⁴⁸.

პეტერბურგში, ალექსანდრე III მუზეუმში ბევრი ნივთებია საქართველოდან გატანილი. სხვათა შორის ომიანობის დროს 1916 თუ 1917 წელს ერთმა აგენტმა დასტყუვა ხევსურეთის ხევისბერებს საუცხოვო ვერცხლის დოქები და სხვა ჭურჭლები. დაბრუნებისას აგენტმა ღამე სოფ. სტეფანწმინდაში ღენერალ გიორგი ყაზბეგისას გაათია, მას აჩვენა ნივთები და ისიც უთხრა, თუ როგორ

⁴⁴ ბოტკინის კოლექციის ქართული მინაქრიანი ხატები 1923 წ. დაუბრუნდა საქართველოს. ამჟამად ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია.

⁴⁵ 1923 წ. დაუბრუნდა საქართველოს, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, H—2079.

⁴⁶ 1925 წ. დაუბრუნდა საქართველოს, საქ. ცენტრალური საისტორიო არქივის ქართული ხელნაწერები, №№ 112—200; კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, Q—24,25.

⁴⁷ ალ. ცაგარელის წიგნთსაცავი გადაეცა თბილისის სახ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას.

⁴⁸ ალ. ცაგარელის კუთვნილი ხელნაწერები დატულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, A—1754, 1755, 1757, 1762, 1767.

მოატყუა ხევისბერები, უფრო დიდი დაბალი ვერცხლის ჭურჭელი მიეცეო და ამას დაეხარბენო. გიორგი ყაზბეგმა მე ამის გამო წერილი მომწერა, და მთხოვდა ყურადღება მიმექცია ასეთი ცარცვისათვის. თანაც დასძენდა, რომ მას ასეთი მშვენიერი ფორმის ვერცხლის ძველი ჭურჭელი თავის დღეში არ ენახა. მე ყაზბეგს ვუსაყვედურე, რომ ჭურჭელი მისას იყო და აგენტს დაანება, იმის მაგიერ, რომ გაეჩერებია, ხევისბერები დაეხარებია და მათთვის აეხსნა საქმე. კარგი იქნება, რომ ამ ნივთებს მონახვიდეთ და საქართველოს დაუბრუნებდეთ.

იმ სიაში, რომელიც მე ამირანაშვილმა მაცნობა, ქართლის ცხოვრების ხელნაწერი რუმიანცევის მუზეუმისა⁴⁹ არა სჩანს და აგრეთვე ხელნაწერები, რომელნიც სტოიანოვმა სვანეთიდან გამოიტანა და რუმიანცევის მუზეუმს გაუგზავნა⁵⁰. ხახანაშვილს აქვს ესენი აღწერილი. არ ვიცი, შევიდა რომელიმე რუსეთის საგანძურში თუ კერძოთ უგზოუკლოდ გაქრა ჩამოდენიან ძვირფასი ნივთი (მდიდრული პანაგია, ხატი და ჯვარი), რომლებიც გორის მაზრის მეტეხის ეკლესიიდან წაიღეს, ამ საქმის გამოძიება მთავარმართებელმა თავის მოხელეს პეტრე გრუზინსკის მიანდო და როდესაც გამოირკვა, რომ ეგზარხოსი ერია ამ საქმეში, საქმე მიაფუჩეჩეს. ლევაშოვის მიერ გატაცებული გელათის სახარების ძვირფასი ყდა, ალბათ, მიღებული გექნებათ ერმიტაჟიდან. საზოგადოთ ერმიტაჟში აუარებელი სიძველენი და ნივთებია საქართველოდან წაღებული, ვინაიდან კანონით ნაპოვნი ნივთები ერმიტაჟში უნდა გაგზავნილიყო მთელი ყოფილი რუსეთის ტერიტორიიდან. სხვათა შორის, იქ არის მცხეთაში, სობორის გალავანში, ჰიდან ამოღებული ვერცხლის სარკე. ბერძნულ-რომაული ხელობისა აკადემიკოს სტეფანის მიერ შესწავლილი ლა 'ხვა მრავალი. არ ვიცი, ამგვარი ნივთები შედის თუ არა დასაბრუნებლად თქვენს გადაწყვეტილებაში? რასაკვირველია, მე არა მაქვს პრეტენზია ოდნავადაც აღვწუსხო, რაც გაზიდულია საქართველოდან, მეტადრე აქ, სადაც არავითარი მასალა არ მომეპოვება, თქვენ ეს უკეთ გეცოდინებათ და მეტი მასალაც გექნებათ ხელში. და თუ მე ეს მაინც გაუწყეთ, მარტო იმ მოსაზრებით, რომ იქნებ ზოგიერთი მათგანი თქვენი მიზნისთვის და მოვალეობისათვის გამოგადგეთ, რაც მე სასიამოვნოთ დამრჩება.

ექვთიმე თაყაიშვილი“.

საფრანგეთში გადახვეწილ ექვთიმეს თან გაჰყვა მოუგვარებელი და დაუბოლოებელი საქმეების დარდი. განსაკუთრებით აწუხებდა მას მუზეუმისა და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ბედი და ყოველთვის დიდი ინტერესით კითხულობდა მათ ამბავს. ამ მხრივ საგულისხმოა გ. ჩუბინაშვილის მიერ 1930 წელს მისდამი მიწერილი წერილი⁵¹. როგორც ჩანს, ექვთიმეს შეუტყვია ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმის გაძარცვის ამბავი, რაკი გ. ჩუბინაშვილი ამშვიდებს მას, რომ «Я имею основания думать, что пострадало очень немного, при этом едва-ли хонская икона. В общем же, конечно, музейные коллекции охраняются и сохраняются, ведется и консервирующая

⁴⁹ 1923 წ. დაუბრუნდა საქართველოს, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, H—2080.

⁵⁰ რუმიანცევის მუზეუმის ქართული ხელნაწერების კოლექცია (მათ შორის სტოიანოვის მიერ სვანეთიდან ჩამოტანილი 5 ეტრატის გრაფილი) 1923 წ. დაუბრუნდა საქართველოს, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, H 2081—2093.

⁵¹ ე. თაყაიშვილის ფონდი, № 1537.

работа». მომდევნო წერილში გ. ჩუბინაშვილი აცნობებს, რომ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი გადაიტანეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შენობაში: «Все укладывалось,—წერს იგი,—лично и под непосредственным наблюдением И. Ф. Сонгулашвили и им же было в значительной мере уже при моем отъезде расставлено в новом помещении»⁵².

ე. თაყაიშვილი თავის მოღვაწეობას ემიგრაციაშიც აგრძელებს. მას იქაც არ ასვენებს ზრუნვა ქართული კულტურის ძეგლების შეგროვებაზე, მოვლა-პატრონობასა და მათ პუბლიკაციაზე. პარიზში ნახა და აღწერა ე. თაყაიშვილმა ქართული ხელნაწერები⁵³, ხატები და სხვა სიძველეები (იერუსალიმის ჯვარის მონასტრისეული „თთვენი“, ანუ „საგალობელნი“ XI საუკუნის. იოანე ოქროპირის უამის წირვა, გრაგნილი XV—XVI საუკუნის, ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონი მზექაბუჯ ორბელიანისათვის გადაწერილი, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი ელენე თარხან-მოურავისეული, პეტრე ლარაძის „დილარიანის“ უცნობი ხელნაწერი, ღვთისმშობლის მინანქრიანი ხატი, ათონური რიგის ჯვრები, მღივანბეგ ორბელ ორბელიანის ხატი, თბილისის სიონის ტაძრის მოქარგული ფარდა, იერუსალიმის ქრისტეს საფლავის ტაძრის დაფარვა და ენქერი, სანაწილე ხატი ქეთევან დედოფლის ნაწილითურთ და სხვ.)⁵⁴.

ე. თაყაიშვილი ყოველნაირად ცდილობდა, რომ საფრანგეთში მყოფ ქართველ ემიგრანტთა შორისაც გაედვივებინა ის ინტერესი და სიყვარული საქართველოს ისტორიისა და კულტურისადმი, რომლითაც თვითონ იყო ანთებული. ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა მისი მიმართვა ქართველი ემიგრანტებისადმი. მოგვაქვს ამ მიმართვის შემოკლებული ტექსტი: «ყველა მოვალე ვართ, ხელი შეუწყოთ ჩვენი კულტურის საფუძვლიანად შესწავლას, რაც პირველ რიგში უნდა გამოიხატოს საკულტურო მასალების შეკრებაში და უკვე შეკრებილის გამოქვეყნებაში, უამისოდ ჩვენ ვერ აღვადგენთ ჩვენი კულტურის ნამდვილ სახეს და ვერ შევიგნებთ მის ცხოველმყოფელ ძალას, რომელიც იხატებოდა, პირველ ყოვლისა, მდიდარი ქართული ენის განვითარებაში, სასულიერო და საერო ლიტერატურაში, პოეზიაში, ფილოსოფიაში, ხუროთმოძღვრებაში და სხვა ყველა ხელოვნების დარგში, რჯულის და ზნეობის სიმტკიცეში. სოციალურ წყობილებაში, მეურნეობაში, ეკონომიკაში და სხვა.

ქართველთა მიერ ქართული ძეგლების შეკრება იწყება მხოლოდ წერა-კითხვის საზოგადოების დაარსებიდან, ამას ხელი შეუწყო კიდევ საეკლესიო მუზეუმის დაარსებამ და განსაკუთრებით გააცხოველა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსებამ. ესლა მას აგვირგვინებს ჩვენ დროს დაარსებული ქართული უნივერსიტეტი და ხელს უწყობენ ჩვენი მუზეუმები.

კვებნაში ნურავინ ჩამომართმევს. თუ ვიტყვი, რომ მე წილად მხვდა სხვებთან ერთად ჩემი სუსტი ღონე და მცირე თავისუფალი დრო, სპეციალურ საპედაგოგიო მოღვაწეობიდან გადარჩენილი, მთლად შემეწირა ქართული საისტორიო და საკულტო საგნების და მასალების შეგროვებისათვის, ცნობაში მოყვანისათვის, აღწერისა და გამოცემისათვის, ამ მიზნით ხშირად მიხდებოდა მოგზაურობა და ექსპედიციების მოწყობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. შეგ-

⁵² ე. თაყაიშვილის ფონდი, № 1537.

⁵³ ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიმუში, პარიზი, 1933.

⁵⁴ ე. თაყაიშვილის ფონდი, № 651.

როვილი დიდძალი მასალა დაცულია ჩვენს მუზეუმებში, მცირე ნაწილი გამოცემულია და ვინც ჩვენს ლიტერატურას თვალს ადევნებდა, დაინახავდა, თუ როგორ შეუწყვეს ხელი ამ გამოცემებმა ჩვენი ისტორიის, ლიტერატურის და ხელოვნების შესწავლას. ხოლო ერთი ნაწილი მასალებისა თანა მაქვს და გამოუცემელი მრჩება. საქმე კი საშუარია, დრო მიდის. მე მივიწურე აღსასრულისაკენ „ადამის ტომთა წესითა“ და ჩემს შემდეგ ამ მასალას თავს ვერავინ გაართმევს...

ამიტომ გავკადნიერდები, ვინაიდან ეს საზოგადო ქართული საკულტურო საქმეა და მივმართავ ყველა საზღვარგარეთ მყოფ ქართველ ორგანიზაციებს და თვითეულ საზღვარგარეთ მყოფ ქართველს განურჩევლად პარტიისა, კეთილინებონ და ვისაც რა შეუძლია, რამდენიც შეუძლია, დაგვეხმარონ ამ საქმეში. ვისაც ეხერხება ერთდროული თანხა მოგვაწოდოს, ვისაც ეს არ ეხერხება, თვითრად ერთი წლის განმავლობაში ათ-ათი ფრანკი შემოიტანოს, უფრო ხელმოკლეთ შეუძლიათ თვითრად ხუთ-ხუთი ფრანკი გადადვან, რასაკვირველია, ვინც უმუშევარია, მას ეს მიმართვა არ ეხება. კერძოდ იმ ორგანიზაციებისათვის, რომელნიც გაზეთებს სცემენ, ჩემი წინადადება არის ერთი ორი ნომერი გამოცემა შეაჩერონ და მათი ფასი ამ საქმისათვის გადადვან, ამით მე მგონია დიდი არაფერი დაშავდება. თუ გული გულობს და ყველანი შევერთდებით, საერთო წვლილითაც ამ საქმეს ეშველება. ეს არის პირველი და უკანასკნელი ჩემი თხოვნა ქართველი ემიგრაციისადმი. ვინც პატივს დაგვდებს და დაგვეხმარება ამ საქმეში, მათ ვთხოვ წინდაწინვე მიიღონ ჩემი უღრმესი მადლობა და თანაგრძნობა“⁵⁵.

წარმოდგენილი მასალის მიხედვით, ვფიქრობთ, ნათლად ჩანს. რა სისხლხორცეული იყო ექვთიმე თაყაიშვილისათვის ქართულ სიძველეთა შეგროვების, მათი სისტემაში მოყვანის, აღწერისა და დაცვის საქმე. ქართველ მეცნიერთა შორის ე. თაყაიშვილი ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელსაც ღრმად ჰქონდა შეგნებული, რომ ქართული მწერლობისა და საქართველოს ისტორიის ნამდვილი, მეცნიერული შესწავლისათვის საფუძველის მომზადება იყო საჭირო, ხოლო ასეთი საფუძველის მომზადება პირველ რიგში სწორედ ამ რიგის სამუშაოს ჩატარებას მოითხოვდა მკვლევართაგან.

ე. თაყაიშვილმა ყველაფერ ამას ბრწყინვალედ გაართვა თავი. ქართულ სიძველეებზე ფანატიკურად შეყვარებული, იგი დიდი ენერგიითა და ენთუზიაზმით იღვწოდა ამ გზაზე, როგორც ერის ქეშმარიტი მზრუნველი და მოჭირნახულები.

Р. Я. КАВИЛАДЗЕ

Е. С. ТАКАЙШВИЛИ — СОБИРАТЕЛЬ И ХРАНИТЕЛЬ
ГРУЗИНСКИХ ДРЕВНОСТЕЙ

Резюме

В личных архивах Н. Я. Марра и Е. С. Такайшвили представлена обширная переписка за период 1888—1931 гг., в которой отражена их научная и общественная деятельность.

⁵⁵ ე. თაყაიშვილის ფონდი, № 1148, 1936 წ.

Используя, помимо данной переписки, и другие материалы, в настоящей статье мы задались целью показать одну из сторон деятельности Е. С. Такайшвили, а именно, его целенаправленную и непрерывную работу по собиранию и хранению грузинских древностей и письменных памятников.

Среди грузинских ученых Е. С. Такайшвили был одним из первых, глубоко осознавших необходимость построения прочного фундамента для создания истинно научной истории грузинской литературы и истории Грузии. Для этого требовалась большая и кропотливая работа, которую неустанно проводил Е. С. Такайшвили и которой он как истый патриот посвятил большую часть своей сознательной жизни.

Представленный материал отражает деятельность Е. С. Такайшвили в Грузии и за ее пределами именно в этом направлении.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის
ხელნაწერთა ინსტიტუტის არქეოგრაფიის განყოფილება
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსმა ე. მეტრეველმა

ციალა კახაბრეშვილი

შენიშვნა დავით გურამიშვილის ბიოგრაფიის ერთ დეტალზე

დავით გურამიშვილის ბიოგრაფიის ყველაზე საბედისწერო ეპიზოდად, ალბათ, უნდა ჩაითვალოს მისი „ლეკთაგან“ დატყვევება. როგორ მოხდა ეს, ამას თვითონ პოეტი გვიყვება „დავითიანში“. აკად. კორნელი კეკელიძე ძველი ქართული მწერლობის ისტორიის მეორე ტომში „დავითიანის“ ამ ადგილის შინაარსს ასე გადმოგვცემს: „პოეტს, ვახტანგის რუსეთში გადასახლების შემდეგ, თავი შეუფარებია ქსნის ხეობაში, სოფ. ლამისყანაში, ერთ შეძლებულ ოჯახში. 1729 წელს გაზაფხულზე, მკის დაწყების წინ, როდესაც დავითი მოყვრის ყანაში მიდიოდა მუშებთან, მას თავს დასხმია 15 კაცისაგან შემდგარი ლეკთა რაზმი, რომელსაც ის ტყვედ წაუყვანია. ლეკებმა ის ტყვედ მიიყვანეს ოსოქოლას. იქ ჯერ მოიმსახურეს და მერე გაყიდვა დაუპირეს. როდესაც დავითმა გაიგო ეს, გაიპარა, მაგრამ დაიჭირეს და „დააპაღურეს“¹ და ა. შ.

როგორც ამ თხრობიდან ჩანს, აკად. კ. კეკელიძეს მიაჩნია, რომ დავითი მარტო იყო, როცა ლეკებმა მოიტაცეს. ასევე მარტოა ის, როცა იპარება და ა. შ.

ასეთივე თვალსაზრისი ჩანს ამ საკითხის შესახებ აკად. ალ. ბარამიძის, აგრეთვე სხვა მეცნიერთა ნაშრომებიდან. აზრთა სხვადასხვაობაა მხოლოდ მოტაცების თარიღის შესახებ. აკად. ალ. ბარამიძეს მიაჩნია, რომ დავით გურამიშვილის ლეკთაგან დატყვევების სავარაუდო თარიღია 1728 წლის ივლისის პირველი ნახევარი².

როგორ მოიტაცეს დავით გურამიშვილი, ამის შესახებ ამჟამად სხვა თვალსაზრისია წარმოდგენილი ქართული ლიტერატურის ისტორიის მეორე ტომში, რომელიც ავტორთა კოლექტივის ნაშრომია. დავით გურამიშვილზე გამოკვლევა ეკუთვნის პოეტ-აკადემიკოს გიორგი ლეონიძეს.

მას მიაჩნია, რომ დავით გურამიშვილი მარტო არ მოუტაცნიათ ლეკებს. დავითთან ერთად ლეკებს დაუტყვევებიათ მისი ბიძაშვილი მერაბ გურამიშვილი და ცოლისძმა გარაყანიძე.

ამ თვალსაზრისის წამოყენების უფლებას, მკვლევრის აზრით, იძლევა ის გარემოება, რომ, როგორც დავით გურამიშვილი აღნიშნავს, ის იმ დღეს ყანაში ჩასულა ორი კაცი. აი, სწორედ ამ ორ კაცთან ერთად უნდა იყოს ის მოტაცებული. ვინ უნდა ყოფილიყვნენ ეს კაცები, თუ არა მისი ან მისი მოყვრების — გარაყანიძეების ახლობლები? ამასთანავე დასტურდება, რომ, როცა დავით გურამიშვილი მოსკოვში ჩავიდა — ეს არის 1729 წელი, სწორედ იმ დროს ჩანს

¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, თბ., 1981, გვ. 639.

² ალ. ბარამიძე, დავით გურამიშვილი დაღესტანში, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. IV, თბ., 1964, გვ. 188—195.

მოსკოვში ჩასული მერაბ გურამიშვილიც, ე. ი. იმ ორი კაციდან, რომელიც დავითთან ერთად მოიტაცეს, ერთი მერაბ გურამიშვილი უნდა იყოს, მეორე კი იქნებოდა დავითის ცოლისძმა — გარაყანიძე.

მოვეუსმინოთ თვით მკვლევარს: „ჩვენში მიღებულია აზრი, რომ ლეკებმა პოეტი მარტოდმარტო დაატყვევეს. მაგრამ მისი პოემის მიხედვით, ამ საბედისწერო დღეს მამითადის მოსამზადებლად დავითი ორი კაცით წასულა:

დილაზე ავდექ. წინაწინ
წაველ კაცი თა ორი თა.
ჩვენ თურმე გვნახეს. მოგვმართეს
ლეკთა ირტოზის გორითა.
მუნ ახლოს წყარო დიოდა,
მასთან ტყე იყო ხშირადო,
იქ მოგვეპარნენ, დაგვისხდენ
თხუთმეტი კაცი მზირადო.

ამრიგად, ლექსში პოეტი მარტო თავის თავზე არ ლაპარაკობს. აქედან აშკარაა, რომ დატყვევების მომენტში დავითი მარტო არ იყო. რომ დავითთან ერთად იმ წყაროსთან მასთან კიდევ ორი კაცი ყოფილა.

მაშასადამე, თხუთმეტი ლეკი თავს დასხმია სამ კაცს და, ცხადია, დავითთან ერთად ის ორი კაციც ვერ გადაურჩებოდა ტყვეობას. ახლა საკითხავია. ვინ იყვნენ ის ორნი? ეჭვი არაა. დავითის, ანუ დავითის მოყვრის ახლობელი აღამიანები, შეიძლება ოჯახის წევრებიც. ვფიქრობთ, მისი მოყვარე, ან ცოლისძმა, რომლის შესახებაც ამბობს პოეტი:

„აწ ნუ გამყარე კაი მოყვარე,
მოსთვის მწუხარე აწ გამახარე“.

ისიც შესაძლოა, რომ ამ „ორში“ თვით გურამიანთ ოჯახის რომელიმე წევრიც იგულისხმება. ყოველ შემთხვევაში, საცნაურია, რომ დავითის ბიძაშვილი (და არა ბიძა, როგორც დღემდე აღიარებულია), მერაბ გურამიშვილი მოსკოვს ჩასულა სწორედ დავითის რუხეთში ჩასვლის ხანს, სახელდობრ, 1729 წელს. ხომ არ იყო მერაბ გურამიშვილი ერთ-ერთი იმ „ორი კაციდან“. რომელნიც ლამის ყანის წყაროსთან დაატყვევეს პოეტთან ერთად?

თუ ეს ასეა, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ დავითთან ერთად ლამისყანაში გახიზნულან გურამიანთ ოჯახის სხვა წევრებიც და მათ შორის მერაბ გურამიშვილიც.

ამრიგად, შესაძლებელია, რომ დავითთან ერთად დაატყვევეს მისი ბიძაშვილი მერაბ გურამიშვილი და მისი ცოლისძმა, „მოყვარე“ — გარაყანიძე. თვით წევრი იმ ოჯახისა, რომელსაც მამითადი ჰყოლია მოწვეული³.

ეს თვალსაზრისი, ჩვენი აზრით, მოკლებულია დამაჯერებლობას. გაკვირვებას იწვევს. ჯერ ერთი, ის, რომ დავით გურამიშვილი, რომელიც საკმაოდ დეტალურად აგვიწერს თავისი დატყვევებისა და შემდეგ ლეკებისაგან გაქცევის ამბავს, ყოველ შემთხვევაში, მნიშვნელოვანს არაფერს ტოვებს, საგანგებოდ არ აღნიშნავს იმას, რომ იგი ბიძაშვილთან და ცოლისძმასთან ერთად მოიტაცეს.

³ ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1966, გვ. 554—555.

მეორე ის, რომ მკვლევარი განსაკუთრებით უსევამს ხაზს იმ სიტყვებს, სადაც დავითი მრავლობით რიცხვში ლაპარაკობს: „ჩვენ თურმე გ ე ნ ა ხ ე ს, მ ო - გ ე მ ა რ თ ე ს“, „მ ო გ ე ე პ ა რ ნ ე ნ“, „დ ა გ ე ი ს ხ დ ნ ე ნ“. მაგრამ ყურადღების გარეშე ტოვებს იმ გარეწოებას, რომ დავითი ამ სიტყვების შემდეგ თხრობას აგრძელებს ნხოლობით რიცხვში. ის მხოლოდ თავის თავზე ლაპარაკობს. დავითი ორ კაცთან ერთად კი ჩავიდა ყანაში, მაგრამ, როგორც შემდეგ მისი თხრობიდან ჩანს, იგი რამდენიმე წუთით განმარტოვდა, თოფი და ხმალი აიხსნა და მუხის ძირას მიაყუდა, პირის დასაბანად მივიდა იმ წყაროსთან. სადაც სწორედ ის ლექები იყვნენ ჩასაფრებულები. სწორედ ამ დროს სტაცეს მას ხელი:

დავითი ასე ყვება:

„მუნ ახლოს წყარო დიოდა, მასთან ტყე იყო ხშირადო,
იქ მოგვეპარნენ, დაგვისხდნენ, თხუთმეტი კაცი შხირადო;
ა ე ი ხ ს ე ნ თოფი და ხმალი, მ ი ე ყ უ დ ე მუხის ძირადო,
იმ წყალზე პირის საბანად მე მიველ თავის ქირადო.
შ ე მ ი პ ყ რ ე ს, წ ა მ ო მ ი ყ ე ა ნ ე ს, ხ ე ლ - ფ ე ხ ს მ ო მ ი დ ე ე ს გ ე ნ ა ო“

და ა. შ.

მაშასადამე, იმ წუთიდან, როცა დავითი წყაროზე ჩავიდა, იგი მარტოა. მის თხრობაში აღარ ჩანს ის ორი კაცი. ასევე მარტო ზის იგი ხაროში, მარტო იპარება. დავითი ამას საგანგებოდ აღნიშნავს კიდევ, რომ მარტო იყო ტყვეობაში:

„მ ა რ ტ ო ვ ი ყ ა ე, არვინ მყვანდა მე ღვთის მეტი სხვა პატრონი,
არცა მაქვნდა საიმედოდ საჭურველი სამხედრონი.
ღმერთს მივენდე, მან ისმინა იგი ჩემი სავედრონი,
ხელმეორედ გაეიპარე, რაკი ეპოვე ჟამი, დრონი“.

შემდეგ დავითი მარტო მიიკვლევს გზას რუსეთისაკენ და ა. შ.

დაეუშვათ, რომ როგორც დაიწყო, დავითი ასევე ბოლომდე აგრძელებდეს თხრობას მრავლობით რიცხვში. აღნიშნავდეს, რომ ისინი სამივენი ერთად ჩავიდნენ წყაროზე, სამივე ერთად შეიპყრეს და წაიყვანეს დაღესტანში. შემდეგ მათ კოლექტიური გაპარვა მოახერხეს და სხვა.

შესაძლებელი იქნება თუ არა მაშინ, რომ იმ „ორ კაცში“ ჩვენ დავითის ბრძაშილი მერაბ გურამიშვილი და ცოლისძმა გარაყანიძე ვიგულისხმეთ. ეფიქრობთ, არა. ეს ეწინააღმდეგება დიდგვაროვან პირთა მოხსენიების წესს და რიგს, რომელიც არსებობდა ფეოდალური ხანის საქართველოში.

სიტყვით „კაცით“, ყოველგვარი განსამარტავი სიტყვის გარეშე, თავადი-შვილები, მემატონეები, მოიხსენიებდნენ ხოლმე მხოლოდ თავიანთ ყმებს, მსახურებს, ქვეშევრდომებს. ამას გვიმტკიცებს როგორც ლიტერატურული, ისე ისტორიული წყაროები.

სიტყვა „კაცი“ ქართულ ენაში, ზოგადად „კაცის“, ე. ი. „ადამიანის“ გარდა გარკვეულ კონტექსტებში სხვადასხვა მნიშვნელობას იძენს და იძენდა. ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ აღნიშნულია მისი შემდეგი მნიშვნელობები: „ქმარი“, „მამაკაცი“, „სული“. სამწუხაროდ, ლექსიკონებში აღნიშნული არ არის ის მნიშვნელობა, რომელიც, როგორც ზევით ვთქვით, ამ სიტყვას ეძლევა დიდგვაროვანთა მიერ მისი ხმარებისას.

როდესაც მემატონე, ან, საერთოდ, დიდი თანამდებობის პირი, ახსენებს თავის კაცს, ეს სიტყვა აუცილებლად აღნიშნავს მის ქვეშევრდომს, მსახურს,

ყმას. ამ შემთხვევაში სიტყვა „კაცი“ დგება ისეთსავე რიგში, როგორც არის „ბიჭი“, „გოგო“. მაგრამ „ბიჭები“ და „გოგოები“ თუ მხოლოდ ახალგაზრდა შინაყმებს, შინამოსამსახურეებს აღნიშნავდნენ, „კაცი“ უფრო ზოგადი ტერმინი იყო, საერთოდ, ყმის, ქვეშევრდომის აღსანიშნავად. „კაცი“ შინაყმაც შეიძლება ჰქონოდა ყოფილიყო და არაშინაყმაც, ე. ი. ცალკე მცხოვრები ყმაც.

ჩვენ მოგვეპოვება უამრავი ისტორიული საბუთი — ყმა-მამულზე დავის, საჩივრის წიგნები, რომლებიდანაც ნათლად ჩანს, რომ „კაცი“ ყმის სინონიმი იყო.

ბეჟან რატიშვილი ჩივის ერეკლე მეფესთან (Hd 6556): „მერე ჩემს განაყოფს ჩემი ყმა-მამული ისევ იმას უჭირავს. ორი ოქმი გიბოძებია და იასაული მოვიდა, ხელი ამიმართა და მომაბარა. ჩემმა განაყოფმა ისევ წამართო ჩემი კაცები — ტატუნაშვილები“.

აქ აშკარად „კაცები“ ყმების სინონიმებად არის ნახმარი. არზას ერეკლე მეფის ოქმი აქვს: „ქ. ბატონო სალთხუცესო მუხრანის ბატონო იოანე. ეს რატიშვილი ბეჟან რომ ამ არზით რომ თავის განაყოფს ასე უჩივის მუდამ, ამათი სამართალი თქვენთვის დაგვიდვია... კაცებზე ჩივის..., გაურიგე სამართლიანის საქმით“.

ამ ოქმიდან ჩანს, რომ ერეკლე მეფეც „კაცებს“ ყმების სინონიმად ხმარობს.

კოსტანტინე ციციშვილი ჩივის მეფის წინაშე: „ჩვენი ბარათით ნარგები ერთი კომლი კაცი აგვეყარა და ბრეთს გახლავთ“... (Hd 14283).

აქ საინტერესოა გამოთქმა „ერთი კომლი კაცი“. კომლში არ შეიძლება მხოლოდ მამაკაცები ვიგულისხმოთ. ე. ი. აქ „ერთი კომლი კაცი“ პირდაპირ ერთი კომლი ყმის მნიშვნელობით არის ნახმარი.

იულონ ბატონიშვილი ბრძანებს: „ქ. გორის მამასახლისო, კალაურელთსახასო კაცთ გდღისა თექვსმეტი ლიტრა ფქვილი მიეც“ (Hd 12603).

აქ საინტერესოა გამოთქმა „სახასო კაცთ“ — ე. ი. სახასო გლეხებს.

იგივე იულონ ბატონიშვილი გორის მამასახლისს სხვა ბრძანებაში სწერს, რომ „სავაჩნაძეო კაცთ სამოცი ლიტრა ფქვილი მიეციო“. (Hd 12972). „სავაჩნაძეო კაცთ“ აქ ვაჩნაძიანთ ყმებს ნიშნავს.

საინტერესოა, რომ ერთ ასეთსავე ბრძანებაში იულონ ბატონიშვილს „ბიჭიც“ ჰყავს ნახსენები: „ერთი ბიჭი რჩება, ამასაც სამ დღეს ყური მიუგდე“, — უბრძანებს იგი გორის მამასახლისს“ (Hd 12930).

დასავლეთ საქართველოს საბუთი (Hd 11272, 1793 წ.) — ჯვარის მამა ათანასი კაცების მიბარების წიგნს აძლევს ნაკაშიძეებს: „...ასე რომე ჩვენი კაცნი — ხომერიკენი — თავისის მამულისაგან უსჯულოს მტრისაგან გადმოვარდნილნი, თქვენს მამულშიდ დაგვეყენებიათ და გერჩინათ. მერმე მოვედით თქვენს სახლშიდ და ჩვენც ვსცანით, შეგენახათ და მოგველოთ. ჩვენც მადლიერი და მლოცველნი შევიქმენით. ვინც ამ თქვენ ჩვენგან მობარებულს კაცებს რამე საქმე გაუჭირვოს და უსამართლოს ან გაყიდვით, ან სიკვდილით, ან წართმევით, შეჩვენებულ იყოს ყოვლად წმიდისა სულისაგან“... და წყევლას აგრძელებს.

ამრიგად, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში მიღებული იყო ყმის მაგიერ სიტყვა „კაცის“ ხმარება.

„კაცის“, ზოგადად, ქვეშევრდომის მნიშვნელობით ხმარება ხშირად გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“: „მოსახნეს კაცნი, გაგზავნეს ოთხთავე ცისა კიდეთა“ (115,1); „კაცნი იხმნა მასვე წამსა“ (639,1) და სხვ.

„კაცის“ ასეთი ლექსიკური მნიშვნელობის შედეგად შეიქმნა. ალბათ, ქართულ ენაში კომპოზიტები: გლახაკი, გლახაკობა (შდრ. ყმა გლახი, ყმა გლახობა).

ვფიქრობთ, უფლება გვაქვს დაბეჭდებით ვთქვათ, რომ ის „ორი კაცი“, რომლებზეც ლაპარაკობს დავით გურამიშვილი, უნდა იყვნენ ყმები. ისინი რომ დავითის თანმხლები და არა თანასწორუფლებიანი პირები არიან, ამაზე მიგვანიშნებს სიტყვის მოქმედებითი ბრუნვის ფორმაც: „კაცით...“ — „წაველ კაცითა ორითა“ და არა ორ კაცთან ერთად.

დავითი ამ „კაცების“ წაყვანის მიზანსაც აცხადებს: მან ისინი ყანაში წაიყვანა მუშებისათვის სადილის მოსამზადებლად:

„დილაზე ავდექ, წინაწინ წაველ კაცითა ორითა,
ესტყვი, მუშას სადილს ვუმზადებთ ქროხით, ცხვრითა და ღორითა“.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი სტრიქონი გამოტოვებულია გ. ლეონიძის მიერ მოხმობილ ციტატაში.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ჩვენი დასკვნები ასეთია:

1. დავით გურამიშვილის პოემის შინაარსი გამორიცხავს იმას, რომ დავითთან ერთად სხვა პირებიც მოიტაცეს.

2. სიტყვა „კაცის“ ლექსიკური მნიშვნელობა იმგვარ კონტექსტში, როგორშიც იგი პოემაშია ნახმარი, გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ იმ ორ პირში, რომლებიც ყანაში წაყვნიან დავითს, თავადიშვილები (პოეტის ბიძაშვილი და ცოლისძმა) ვიგულისხმობთ.

მაშასადამე, დავით გურამიშვილის მოტაცების ეპიზოდი ასე უნდა წარმოვიდგინოთ: ლამისყანაში გახიზნული პოეტი მოყვრების — გარაყანიძეთა ყანის მკას ხელმძღვანელობდა: „მუნ მოყვრის მუშას თავს ვადექ, მკას უპირებდით ყანასა“. დავითი დილაადრიან ადგა და წაიყვანა ორი კაცი, ორი ყმა, მუშებისათვის სადილის მოსამზადებლად. ეს სამი კაცი — დავითი და მისი ყმები — შორიდან, ირტოზის გორიდან, შეამჩნიეს ლეკებმა და მათკენ გამოემართნენ. ისინი ჩასაფრდნენ ტყის პირას, წყაროსთან.

ყანაში ჩასულ დავითსა და მის კაცებს მუშები არ დახვდნენ:

„არ შეყრილიყო ჭერ მუშა, იყვნენ მოსასვლელ შორითა!“

დავითმა იარაღი აიხსნა, მუხის ძირას მიაყუდა და წყაროზე პირის დასაბანად ჩავიდა. ამრიგად, იგი უნებურად მიუახლოვდა ჩასაფრებულ ლეკებს. უიარაღო დავითი ადვილად შეიპყრეს ლეკებმა.

შეეძლოთ, თუ არა, ლეკებს ერთდროული თავდასხმა დავითსა და მის კაცებზე. კაცებამდე ისინი ტყიდან გამოსვლის გარეშე ვერ მივიდოდნენ. კაცები მათ დაინახავდნენ და, ალბათ, გაიტყუოდნენ. ამავე დროს, ეს კაცები დავითსავე უიარაღო არ იქნებოდნენ. ლეკებმა უფრო ძვირფასი ნადავლი იგდეს ხელთ — თავადიშვილი. ამიტომ სწრაფად გაიტაცეს იგი. რა მოიმოქმედა იმ ორმა კაცმა დავითის მოტაცების შემდეგ — ეს დავით გურამიშვილმა არ იცის. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მათ განგაში ატეხეს და მღევარიც დაედევნა ლეკებს. მაგრამ უშედეგოდ.

რაც შეეხება მერაბ გურამიშვილს, მისი რუსეთში ჩასვლის მიზეზად ლეკებისაგან მოტაცება რომ მივიჩნიოთ, ეს, ვფიქრობთ, ყველაზე ნაკლებ სავარაუდოა.

ლექებისაგან გაქცევა რომ აღვილი არ იყო. ეს ჩანს დავით გურამიშვილის თავგადასავლიდან. იმ ხანებში მრავალი ქართველი ჩადიოდა რუსეთში, ან, პირიქით, მოდიოდა იქიდან. მერაბ გურამიშვილის რუსეთში ჩასვლის წელი, უბრალოდ. დაემთხვა დავით გურამიშვილის რუსეთში ჩასვლის წელს.

Ц. В. КАХАБРИШВИЛИ

ЗАМЕЧАНИЕ К ОДНОЙ ДЕТАЛИ БИОГРАФИИ ДАВИДА ГУРАМИШВИЛИ

Резюме

В настоящее время во втором томе Истории грузинской литературы содержится предположение, что Давид Гурамишвили был похищен лезгинами не один, как это считалось раньше, а вместе с двумя другими лицами, под которыми подразумеваются дядя поэта — Мераб Гурамишвили и брат жены — Гараканидзе. Предположение это основано на словах самого поэта, что он пошел в поле в сопровождении двух «человек» («каци»), и на том, что приезд поэта и его дяди в Москву совпадают по дате.

Эта версия, однако, не предусматривает следующего: в той части «Давитиани», где поэт рассказывает о своем приключении, ясно видно, что он пошел в поле действительно в сопровождении двух «человек» («каци»), но потом расстался с ними и был в одиночестве, когда на него напали лезгины. Один был Давид и во время побега от лезгин.

Кроме того, как подтверждается историческими документами и литературными памятниками, в феодальную эпоху в Грузии словом «человек» («каци») называли подчиненных, слуг, крепостных, крестьян, а не равных себе по положению людей. Поэтому те два «человека» («каци»), которые сопровождали Давиду Гурамишвили в поле, не могли быть лицами княжеского достоинства — дядей поэта и братом жены. Давида сопровождали двое его крепостных.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სა-
ხელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის არქეოგრაფიის განყოფილება
წარმოადგინა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა

ალექსანდრე ბარამიძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

მესხი მელექსის ბარუემო

(რეპლიკის წესით)

მრავალთაგან X წიგნში გამოქვეყნდა ცილა კახაბრიშვილის დიდად საინტერესო ნარკვევი — მესხ მელექსეზე „თქმული“ (გვ. 167—188).

ამ ნარკვევის უმთავრეს ღირსებად ის მიმაჩნია, რომ აქ თავმოყრილია დიდადი ფაქტობრივი მასალა, რომლის ერთი რიგი ავტორის დებულების სასაზღვრებლოდ მეტყველებს, რიგი — საწინააღმდეგოდ. ავტორის დებულება კი ისაა, რომ ვინმე მესხი მელექსე ვეფხისტყაოსნის გამგრძელებელი (ინტერპოლატორი) კი არ არის, არამედ ამ პოემის გადამნუსხავ-გადამწერ. მკვლევრის შემაჯამებელი დასკვნაა: „ამრიგად, მესხი მელექსე და ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთი გამგრძელებელი სხვადასხვა პირები არიან. მესხ მელექსეს ვერ მივაწერთ რაიმე, ავტორობას. იგი არაა ჩანს რაიმეს „მთქმელი“. მესხი მელექსე უნდა იყოს პოემის (რასაკვირველია, ვრცელი რედაქციის) მხოლოდ გადამწერი და მასზე ლექსად ანდერძის დამრთავი“ (გვ. 185, კურსივი აქაც და ქვემოთაც ჩემია. — ა. ბ.). უფრო კატეგორიული ხასიათისაა დასკვნის რუსული ვარიანტი: «В нашей статье... наглядно показано, что стихотворец «Некий Месхи» является (შდრ. უნდა იყოს. — ა. ბ.) переписчиком пространной редакции «Витязя в тигровой шкуре» (გვ. 187).

ც. კახაბრიშვილი თავის დასკვნას ამყარებს „წერ“ სიტყვის მისებურ გაგებაზე („ვწერ ვინმე მესხი მელექსე“). მკვლევრის მოსაზრებით, „მეტად საეჭვოა, რომ ჩვენთვის საინტერესო ტაეპში [წერ] „თხზვის“ სინონიმად იყოს ნახმარი“ (გვ. 168). „თხზვის“ აღსანიშნავად ძველ ქართულში სხვა ტერმინი იყო მიღებული — „თქმა“. ავტორები ამბობდნენ: მე ვთქვი, ჩემი ნათქვამია, თქმულია“ (იქვე). მკვლევარი მაინც საგანგებოდ შენიშნავს, რომ „წერ“ ძირიდან ნაწარმოები სიტყვებით კი უმთავრესად გადამწერები აღნიშნავდნენ თავიანთ ღვაწლს“ (გვ. 168). ასევე კომპრომისულია ც. კახაბრიშვილის განცხადება: „ველად ქართველი პოეტები თუ მწერლები, მწიგნობრები „წერ“ ძირიდან ნაწარმოებ სიტყვას მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში უკავშირებდნენ მხატვრულ-შემოქმედებით პროცესს — „თხზვას“ (გვ. 168). დამოწმებულ ნაწყვეტში სიტყვა „ძველად“ ზოგადი მნიშვნელობით არის ნახმარი. საინტერესოა, რასაკვირველია, ამ მხრივ თვითონ ვეფხისტყაოსნის მონაწილეები. ც. კახაბრიშვილი ამბობს, რომ: „რუსთველი სიტყვა „წერას“ „თხზვის“ მნიშვნელობით არ ხმარობს“ (გვ. 176). სწორია, „თხზვის“ აღსანიშნავად რუსთველი ჩვეულებრივ იყენებს „თქმას“, მაგრამ ჩვენი მკვლევრისავე მოწმობით დიდი პოეტი ერთგან თავმდაბლობით წერს (თინათინის ქორწილის შემდეგ გმირების ერთი

ჯგუფის გაყრის ამბებთან დაკავშირებით): „რომე მწადდეს, ვერ დავწერენ მე სიტყვანი ნათალნი“ (1573,4). ც. კახაბრიშვილის ინტერპრეტაციით. „ვერ დავწერენ“ თითქოს არ ნიშნავს „ვერ შევთხზენ“. „სიტყვების შეთხზვა არაბუნებრივი გამოთქმაა. შეთხზვა შეიძლება ლექსის, ნაწარმოებისო“ (გვ. 176). მე მგონი, პირიქით, სიტყვამთხველობა (СЛОВОТВОРЧЕСТВО) სრულიად ბუნებრივი, კანონზომიერი და ფართოდ გავრცელებული ცნება-ტერმინია. მოხმობილ ტაეპში „დავწერენ“ სწორედ „შევთხზენის“ (ლექსად გამოვთქვის) გამომხატველი სიტყვაა და იმ აზრს შეიცავს, რასაც ც. კახაბრიშვილის განმარტება გულისხმობს — „რაც მინდოდა, იმის მეთაფივ ვერა ვთქვიო“ (გვ. 176).

ამრიგად კი, „ვეწერ“ „ვთხზავ“ სიტყვის მნიშვნელობით მოიპოვება ვეფხისტყაოსანშიც. რაც შეეხება ე. წ. ალორძინების ხანას, აქ სავსებით ნათელი სურათია, „ვეწერ“ სიტყვით ჩვეულებრივ აღინიშნება — ვთხზავ, ვქმნი და ა. შ. ამიტომაც გამოთქმა „ძველი ქართული მწერლობა“ ავტორს დიფერენცირებულად (და არა ზოგადად და განყენებულად) უნდა მოემარჯვებინა თავის ნარკვევში. სწორი არ არის ინფორმაცია: „ძველ ქართულ მწერლობაში არა გვაქვს შემთხვევა, რომ თხზულების შესახებ ამბობდნენ — დაწერილია ამა და ამ ავტორის მიერო“ (გვ. 170). ამ დებულებას აბათილებს მკვლევრისეული შემარბილებელი ხასიათის განცხადება: „ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში უიშვიათესი შემთხვევები შეიძლება ვუწოდოთ იმ მაგალითებს, სადაც „წერა“ სიტყვა „თხზვის“, ზოგადად „თქმის“ მნიშვნელობით უნდა გავიგოთ“ (გვ. 174).

ც. კახაბრიშვილს ბევრზე ბევრი მაგალითი აქვს მოყვანილი იმის საბუთად, რომ ძველად წერს ნიშნავდა გადაწერას ეწეოდა (უხეირო გამოთქმაა, მაგრამ საჭირო აზრს ზუსტად გადმოსცემს). ოღონდ ძველი მწერლობის გარკვეული დროიდან ამ სიტყვის („წერს“ სიტყვის) მნიშვნელობა გაფართოებულა, მას შესძენია მთხვევლობის (მთქმელობის) მნიშვნელობაც. ც. კახაბრიშვილის მასალებიდან კარგად ჩანს, რომ „წერს“ სიტყვის ეს მეორე მნიშვნელობა ძალიან ხშირად (და არა „უიშვიათეს“ შემთხვევებში) არის გამოყენებული ე. წ. ალორძინების პერიოდის ქართულ მწერლობაში XVI საუკუნიდან მოკიდებული, ე. ი. სწორედ იმ დროიდან, როცა გახშირდა ვეფხისტყაოსნის ტექსტის ინტერპოლირება (განა XVI—XVIII საუკუნეების ქართული მწერლობა ძველ მწერლობას არ ეკუთვნის?).

ც. კახაბრიშვილის მიერ დამოწმებული მაგალითებიდან საძიებელი საკითხისათვის განსაკუთრებით ფასეულია „როსტომიანის“ მაგალითი. XVII საუკუნის ოთხმოციანი წლების დასაწყისში (არა უგვიანეს 1682 წლისა) ცნობილი მოაზროვნე-პოეტი და ბიბლიოფილ-კრიტიკოსი არჩილ ბაგრატიონი წერდა:

როსტომიანი უთქვამსო თურმანიძესა ხოსრისა,
სხვა ლექსი მაშინ ძვირობდა, დაუწერია მას როსა.

აქედან სრულიად გარკვევით, ნათლად და მკაფიოდ დასტურდება, რომ არჩილისათვის უთქვამს და დაუწერია სინონიმური სიტყვებია. მაშასადამე, არჩილის ცნობით, ხოსრო თურმანიძე არის ქართული როსტომიანის დამწერი, ანუ მთხვევლი ავტორი (ზუსტად რომ ვთქვათ, მთარგმნელი ავტორი), მთქმელი. უფრო საყურადღებო ისაა, რომ XVII საუკუნის პოეტი ამ შემთხვევაში ემყარება (ემყარება დოკუმენტურად) XVI საუკუნის ავტორის ლიტერატურულ წყაროს. თვითონ ხოსრო თურმანიძე როსტომიანის ანდერძში ამბობს:

მე, ხოსრო თურმანიძემან, ამბავი ეპოვე ესია,
უცხო, ტურთა და ლამაზი, სპარსულად იყო ესია,
პატრონმან ჩემმან მიბრძანა: ქართულად სწერე ესია.

ამავე ანდერძში ხოსრო თურმანიძე ასახელებს თავისი პატრონის ვინაობას, იგი ყოფილა სვიმონ მეფე (1558—1599). სვიმონ მეფეს დაუვალებია ხოსროსათვის უცხო სპარსული თხზულება „ქართულად სწერეთ“, ე. ი. ქართულად გადმოიღე, ქართულად თქვიო. XVI საუკუნის მეორე ნახევრის პოეტი ხოსრო თურმანიძე ავად თუ კარგად ქართულად წერს (თარგმნის, თხზავს, ქმნის) მნიშვნელოვან ლიტერატურულ ძეგლს. ისე როგორც არჩილისათვის, ხოსრო თურმანიძისათვის წერა და თხზვა, წერა და თქმა სინონიმური სიტყვებია. შემდეგ, XVII—XVIII საუკუნეებში, წერის, როგორც მთხზველის, მნიშვნელობა ჩვეულებრივი ხდება. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ორიოდ მაგალითს ც. კახაბრიშვილის მიერვე შეკრებილი მასალებიდან:

ხელეყავ მიწამან ფეშანგომ ამა წიგნისა წერასა. (ფეშანგი)
ეგ ღმერთმან იცის, თქვენთვის ეწერ საკეთოდ, არ თუ ზიანად. (თეიმურაზ პირველი)
ცხრა გათავდა კარი ლექსით, აწ მათეს ხელეყავ წერად. (თანაშვილი) ;
ზოგი რამ სამლოდ დავსწერე, სიტყვა ვთქვი წმინდათ ქებისა. (ოსებ ტფილელი)
ე წერ მეფე ვახტანგ ქართველთა, თესლ-ტომთ დავითთანი.

ყოველივე აღნიშნულის გამო ჩვენ საფუძველი არ გვაქვს, მესხი მელექის მიერ ნათქვამს „ეწერ“ სიტყვას წავართვათ ეს გავრცელებული მნიშვნელობა, მით უფრო, რომ ავტორისავე აღიარებით იგი ყოფილა პროფესიონალი მელექსე (პოეტი, მოშაირე).

ეს არის საქმის ერთი მხარე.

ახლა შევეხოთ საქმის მეორე მხარეს, გავაანალიზოთ მესხი მელექის შაირი:

გასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა,
გარდახდეს, გავლეს სოფელი, — ნახეთ სიმუხთლე ჟამისა! —
ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა არის ერთისა წამისა.
ეწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა.

ამ შაირის ავტორი აცხადებს: აი, დამთავრდა მათი, ე. ი. ვეფხისტყაოსნის გმირთა ამბავი. დამთავრდაო ისე, როგორც ღამის სიზმარი. გმირებმა დაასრულეს ამქვეყნიური ცხოვრება (გარდაიცვალნენ). ნახეთ რა მუხთალია, რა მოკლეა ეს წუთისოფელი. იმისთვისაც კი, ვისაც გრძლად ეჩვენება, ერთილა წამია ეს წუთისოფელი. ამას ეწერ მე, ვინმე მესხი მელექსე...

შაირი ასრულებს, ამთავრებს პოემას. ავტორი ძლიერ მტკივნეულად განიცდის და ღრმა ფილოსოფიურად აფასებს წუთისოფლის წარმავლობას. მისი ფიქრით, ადამიანის ცხოვრება მაშინაც კი ძლიერ მოკლეა, დიდხანს რომ მოუხდეს მას ამქვეყნად ყოფნა. ბოლოსა და ბოლოს ეს ცხოვრება მხოლოდ ერთი წამია, ისე გაგეცლება, ისე გაქრება, როგორც ღამეული ზმანება. ასე განვლეს ეს წუთისოფელი, ასე დაასრულეს ამქვეყნიური ცხოვრების გზა ვეფხისტყაოსნის გმირებმა, ასე დამთავრდა მათი ცხოვრების ამბავი. ამას ეწერ მე, ვინმე მესხი მელექსე.

ვეფხისტყაოსნის ამბის, ვეფხისტყაოსნის გმირების თავგადასავლის ასეთი, ვიმეორებ, სევდანარევი ღრმა ფილოსოფიური გააზრიანება შეეძლო მხოლოდ და მხოლოდ უკვდავი პოემის ან საკუთრივ ავტორს, ან იმას, ვინც ეს პოემა გააგრძელა და გაასრულა.

საანალიზო შაირით მეტყველებს ავტორისეული აზრი, ლირიკული გმირის მძაფრი გულისმიერი განცდა. სხვა საქმეა, ვინ არის ეს ავტორი. იგი რუსთველია თუ რუსთველის მიმბაძველი, პოემის გამგრძელებელი და დამსრულებელი. რამდენადაც შაირის ავტორი იცნობს და აფასებს ვეფხისტყაოსნის გმირების მთელი ცხოვრების გზას (გმირები მას გარდაცვლილად ეგულება), უფრო საგულვებელია, რომ იგი ვეფხისტყაოსნის გამგრძელებელ-ინტერპოლატორია (თუმცა მთელი პოემის მსგავსი გააზრება შეეძლო წარმოედგინა თვითონ შოთა რუსთველსაც). ამაზე უნდა მიუთითებდეს შაირის ბოლო ტაეპი: „ვეწერ ვინმე მესხი მელექსე ჩე რუსთველისად ამისა“. მართალია, ეს ტაეპი ძლიერ დამახინჯებულადაა შემორჩენილი პოემის ხელნაწერებში და სხვადასხვაგვარად იბეჭდება გამოცემებში. ამჟამად უფრო მიღებულია და გავრცელებულია წაკითხვა: „ვეწერ... რუსთველისად ამისა“. ამით ტექსტი ასე განიმარტება: „ვეწერ... რუსთველის მსგავსად, რუსთველის მიხედვით, რუსთველის კვალობაზე, რუსთველისამებრ“. ც. კახაბრიშვილი ამას არ უარყოფს, მაგრამ ტაეპის შინაარსს მაინც მისი თვალსაზრისის შესაფერისი ფორმით გვთავაზობს: „ეფიქრობთ, მესხი მელექსე აქ უნდა გვეუბნებოდეს, რომ მან ტექსტი გადაწერა რუსთველის მიხედვით, ისე, როგორც რუსთველს ჰქონდა. ე. ი. აქ დედნის ზუსტად გადაწერაზე უნდა იყოს ლაპარაკი“ (გვ. 186).

ჩვენი საბოლოო დასკვნა ისაა, რომ სერიოზული ცდის მიუხედავად, ცილა კახაბრიშვილმა ვერ შეაჩერა ტრადიციული შეხედულება ვინმე მესხი მელექსის მოღვაწეობის ხასიათის თაობაზე.

„დაიწერას“ მისეულ გაგებას ც. კახაბრიშვილი უცილობელსა და უნივერსალურ მნიშვნელობას ანიჭებს ძველი დროისათვის. ამის მიხედვით ის ცდილობს სინათლე შეიტანოს და შეასწოროს გიორგი მერჩულეს თხზულების ანდერძის ტექსტი: „ხოლო ხანძთისა წინამძღურისა და იოვანე ძმისა მისისა და წიგნისა ამის აღმწერელისა გიორგი მერჩულისა—სამთავე ამათ ერთად გულსმოდგინებითა და იწერა ხანძთას შინა ნეტარისა გრიგოლის ცხოვრებაჲ ესე“. კ. კეკელიძესა და სხვებს, ამბობს ც. კახაბრიშვილი, საქმე ისე წარმოუდგენიათ, თითქოს ხანძთის წინამძღვარი თეოდორე და მისი ძმა იოვანე „თანავტორები“ ყოფილან მერჩულისა, რადგან დასახელებულ პირებს მისთვის დახმარება გაუწევიათ, „თხზულების დაწერაში“ (გვ. 187). მკვლევრის სიტყვებით, ანდერძში „ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ წიგნის აღმწერელი, ე. ი. თხზულების ავტორი, გიორგი მერჩულეა, დასახელებული ორი პირი აღმწერებად არ იხსენიებიან. მათ თხზულების აღწერაში, შექმნაში არ მიუღიათ მონაწილეობა. ისინი გიორგი მერჩულეს დახმარებიან მხოლოდ თხზულების „დაწერაში“, რაც გადაწერაში დახმარებას უნდა ნიშნავდეს. ე. ი. „დაიწერა“ ზემომოყვანილ კონტექსტში „გადაწერას“ მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი“ (იქვე).

ჩემი ფიქრით, მკვლევრის მსჯელობა არ არის სწორი. განა დახმარება თანავტორობას ნიშნავს? რომ გიორგი მერჩულე „ცხოვრების“ ავტორია (აღმწერელია), ეს ანდერძში გარკვევით არის ნათქვამი. რაც შეეხება დახმარებას. იგი შეიძლება მართლაც თხზულების გადაწერით გამოხატულიყო, ან სხვა რაიმე საშუალებით, მაგალითად, ნივთიერად და მორალურად ხელის შეწყობით, საწერი მასალის მომარაგებით (მიწოდებით), სამონასტრო ყოველდღიური საქმიანობიდან განთავისუფლებით და შემოქმედებითი ზუზაობის მყუდრო პირობების

შექმნით და ა. შ. ძეგლში აღნიშნულია, რომ იგი შეითხზა გრიგოლის გარდაცვალებიდან ოთხმოცდაათი წლის შემდეგ, რომ ბევრი რამე წმინდანის ცხოვრებიდან მიეცა „სიღრმესა დავიწყებისასა“. საჭირო იყო გრიგოლის შესახებ ჯერ კიდევ შემორჩენილი გადმოცემების შეკრება, წერილობითი წყაროების მოძიება. ერთი სიტყვით, დახმარების სარბიელი დიდი იყო. ანდერძის ავტორი ჩვეულებისამებრ თავმდაბლობით აღნიშნავს, რომ თუმცა იგი ნამდვილად აღმწერელია, მისთვის გულმოდგინე დახმარება აღმოუჩენიათ მონასტრის წინამძღვარსა და მის ძმას — „სამთავე ამათ ერთად გულმოდგინებითა და იწერა ხანძთას შინა ნეტარისა გრიგოლის ცხოვრებაჲ ესე“. აქედან არ ჩანს, რომ ხანძთის წინამძღვარი თეოდორე და ძმა მისი იოვანე გიორგი მერჩულეს მაინცდამაინც „დახმარებია“ მხოლოდ თხზულების „დაწერაში“, რაც გადაწერაში დახმარებას უნდა ნიშნავდეს. პირიქით, კონტექსტიდან უფრო ის აზრი გამომდინარეობს, რომ დაიწერა აქ სწორედ შეთხზვას ნიშნავს — შეითხზა, შეიქმნა.

რომ ჩვენი მოსაზრება სწორია, ამას ამტკიცებს ცნობა ძეგლის შექმნის თარიღის თაობაზე: „გარდაცვალებითგან მისით („გრიგოლისით“.—ა. ბ.) და იწერა ცხოვრებაჲ ესე მისი შეზღვრულად ოთხმოც და ათისა წლისა“ (ნ. მარის გამოცემით, გვ. 3). აქ „დაიწერა“ უეჭველად ნიშნავს შეითხზა. ამასთან დაკავშირებით უნდა მოვიგონოთ გრიგოლის „ცხოვრების“ ერთი მნიშვნელოვანი ნაწყვეტი. როგორც ცნობილია, ძეგლი იუწყება: „აწ არს ხანძთას ხელითა მისითა (-გრიგოლისითა.—ა. ბ.) და იწერილი ... საწელიწდოჲ იადგარი“ (იქვე, გვ. 115). ტექსტს ნ. მარი ასე თარგმნის: «Сейчас имеется в Хандзте годичный Иадгар, написанный ... его рукою» (იქვე, გვ. 115). თარგმანი ზუსტი არაა, უნდა переписанный, ნაცვლად სიტყვისა написанный, რადგანაც საანალიზო ტექსტის „დაწერილი“ უთუოდ გულისხმობს გადაწერას (გადაწერილი გრიგოლის ხელით). მაშასადამე, გრიგოლ ხანძთელი ყოფილა „საწელიწდო იადგარის“ არა შემთხვევითი ავტორი (როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობდა), არამედ გადამნუსხავ-გადამწერი. საყურადღებო ისაა, რომ ნ. მარი არ ასახელებს სხვადასხვა კონტექსტის „დაიწერას“ მნიშვნელობას. „ცხოვრების“ ზემოთ დამოწმებული ანდერძის ორივე ტექსტის მარსეული თარგმანია написано: «Житие его написано спустя 90 лет после его преставления» (გვ. 148); «Это Житие блаженного Григория написано в Хандзте совокупным усердием всех трех лиц—игумена Хандзты, брата его Иоанна и автора этой книги Георгия Мерчула» (გვ. 149).

როგორც ვნახეთ, იგივე სიტყვაა მოხმობილი პირველ შემთხვევაშიც (Иадгар, написанный его рукою). ნამდვილად კი გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრებაში“ და იწერა რაი მნიშვნელობით იხმარება: დაიწერა—შეითხზა, დაიწერა—გადაწერა (написано, переписано).

მინაწერი: რეპლიკის სახით გამიზნული ეს პატარა ნარკვევი დამთავრებული მქონდა, როდესაც ფოსტით მივიღე (30.09.83) „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ (1983, № 1), რომელიც ძირითადად ეძღვნება გიორგი მერჩულის თხზულებას — „ცხოვრებაჲ გრიგოლ ხანძთელისაჲ“. სხვა ნაშრომთა შო-

რის აქ დაბეჭდილია ბეჟან კილანავას საინტერესო წერილი — „აღმწერი წიგნისა“ (გვ. 42—47). ც. კახაბრიშვილისაგან სრულიად დამოუკიდებლად ბ. კილანავაც იხილავს „დაიწერას“ მნიშვნელობის საკითხს გრიგოლის „ცხოვრების“ მიხედვით.

ბ. კილანავა ასაბუთებს, რომ ამ ძეგლში „დაიწერა“ იხმარება ორი მნიშვნელობით, რომ იგი ნიშნავს „როგორც შექმნა-შეთხზვას, ასევე ტექსტის გადაწერა-გადანუსხვასაც“. (გვ. 45). კერძოდ ძეგლის ანდერძის გამო — „გარდაცვალებითგან მისით და იწერა ცხოვრებაჲ ესე მისი შემდგომად ოთხმეოცდაათისა წლისაო“, მკვლევარი სავსებით მართებულად ამბობს: „ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს, რომ ამ კონტექსტში „დაიწერა“ მწერლის შემოქმედებითს პროცესთან არის დაკავშირებული და გულისხმობს ნაწარმოების შეთხზვას, დაწერას თანამედროვე გაგებით“ (გვ. 46). ანდერძის მეორე ადგილის (ხანძთის წინამძღვარი, მისი ძმა იოანე და წიგნის აღმწერელი გიორგი მერჩულე რომ არიან ერთად მოხსენებული) „დაიწერას“ გაგებაში ბ. კილანავა გადაწერის სასარგებლოდ იხრება. ხანძთის წინამძღვარი და მისი ძმა იოანე გიორგი მერჩულეს დახმარებიან „თხზულების დაწერაში, ანუ, დღევანდელი გაგებით, გადაწერა-გადანუსხვაში“ (გვ. 46, კურსივი ავტორისაა. — ა. ბ.) საქმე ისაა, რომ გიორგი მერჩულის ანდერძი ორი ნაწილისაგან შედგება და სიტყვა „დაიწერა“ ორივე შემთხვევაში ერთი და იმავე მნიშვნელობით იხმარება: „გარდაცვალებითგან მისით და იწერა ცხოვრებაჲ ესე მისი შემდგომად ოთხმეოცდაათისა წლისაო“.

ხოლო ხანძთისა წინამძღურისა და იოვანე ძმისა მისისა და წიგნისა ამის აღმწერელისა გიორგი მერჩულისა, სამთავე ამათ გულსმოდგინებითა და იწერა ხანძთას შინა ნეტარისა გრიგოლის ცხოვრებაჲ ესე“.

ვფიქრობთ, საკითხი ნათელია და დამატებითს კომენტარს აღარ საჭიროებს. ანდერძის ორივე ნაწილის და იწერა ნიშნავს შეითხზა.

5.10.83

А. Г. БАРАМИДЗЕ

ЗАМЕТКА О НЕКОЕМ СТИХОТВОРЦЕ МЕСХИ

Резюме

Автор статьи оспаривает мнение канд. филол. наук Циалы Кахабришвили о том, что стихотворец Некий Месхи является только переписчиком, а не поэтом-интерполятором поэмы Руставели.

ზვიად გამსახურდია

რუსთველი და ანტონი I*

1. ღვთისმეტყველება და სახისმეტყველება (პარალელები)

„ამისა ჩვენ მიერ მწერალ-მეტყველებასა საღმრთოთა მათ გონიერთა მეორეთა მზეთა მათ მრავალთა ბრწყინვალისა ბუნებისასა დაგვირდა მეტყველებად თქმულნი საღმრთოისა ყოვლად სამღვდელთა ღვთისმეტყველებასა შინა ყოვლადისა დიონოესისი და მიხმს უფსკრულსა მისისაგან ცვარნი აღმოღებად, პოი, რჩეულნო!“

ანტონი I, „მზამეტყველება“

[რუსთველის პოეტური სამყაროს, მისი მსოფლმხედველობისა და შემოქმედებითი მეთოდის შესწავლა შეუძლებელია შუა საუკუნეთა იდეოლოგიის ღრმა და ყოველმხრივი გაშუქების გარეშე. შუა საუკუნეთა ძირითადი იდეოლოგია იყო ღვთისმეტყველება, რომელსაც უკავშირდებოდა ყოველი დარგი ადამიანური ცოდნისა. მეცნიერება, ფილოსოფია, ხელოვნება—ღვთისმეტყველების მსახური იყვნენ და მისი ძირითადი იდეებით საზრდოობდნენ.

თუ რა მიმართებაში იყო ღვთისმეტყველებასთან მხატვრული ლიტერატურა, პოეზია, ამას ყველაზე უკეთ თავად რუსთველი განგვიმარტავს თავისი შემდეგი სიტყვებით:

„შაირობა პირველადე სიბრძნისაა ერთი დარგი
საღმრთო, საღმრთოთ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი,
კვლა აქაცა ეამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი,
გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი“.

იმ ეპოქაში ღვთისმეტყველების გარეშე არ არსებობდა სხვა რამ სიბრძნე, რომელსაც შესაძლოა გულისხმობდეს აქ რუსთველი, მით უმეტეს რომ იქვე ნათქვამია: „საღმრთო, საღმრთოთ გასაგონი“. ვინ არიან ეს „საღმრთონი“, რომელთა გასაგონიც იყო შაირობა? ესენი არიან ღვთაებრივი იერარქიების ღვთივსულიერი არსებები და ამსოფლად, ცხადია, სასულიერო პირნი, ღვთისმეტყველნი. ამას ნათელყოფს შემდეგი სიტყვებიც: „კვლა აქაცა ეამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი“, „აქაც“, ე. ი. ერად, საერო საზოგადოებაში.

ამრიგად, რუსთველის კონცეფციის მიხედვით, უპირველესი აუდიტორია პოეზიისა არის სასულიერო წრე, ხოლო შემდგომი — საერო წრე. შაირობა, პოეზია დარგია ღვთისმეტყველებისა. მისი უპირველესი მსმენელნიც და დამფასებელნიც ღვთისმეტყველნი არიან. მაგრამ რომელი ღვთისმეტყველების დარგია პოეზია, ლიტერატურა? ცხადია, სახისმეტყველებითი ღვთისმეტყველებისა. რა არის სახისმეტყველებითი ღვთისმეტყველება?

უწინარეს ყოვლისა მოვუსმინოთ შუა საუკუნეთა ღვთისმეტყველს, რუს-

* ავტორის ზოგიერთ მოსაზრებას რელაქცია არ იზიარებს (რედ.).

თველის მიერ „ბრძენ ღივოსად“ სახელდებულს, დიონისე არეოპაგელს¹, რომელიც თავის წიგნში „ზეცისა მღვდელმთაფრობისთვის“ შემდეგნაირად განმარტავს სახისმეტყველებითი ღვთისმეტყველების დანიშნულებას:

„რამეთუ ყოვლით კერძოი რაჲ სიტყვის მოქმედთა მრავალფერობაჲ დაუსახველთა მათ გონებათათვის იხუშია ღვთისმეტყველებმან, ვითარცა პირველ თქმულ არს, ჩუენსა გონებასა აღიყვანებდა და თვისისა მისისა ერთ ბუნებაობისა მოგონებათგან ამალღებასა მისსა წინა განაგებდა და თვით მათ სახის-მეტყველებათა მიმართ წმიდისა წერილისათა შეიყვანებდა.

ვინაიცა ესრეთ განცდად საგონებელ მიჩნს, რაითა წმიდანი იგი შეწყობილებანი მივითუალნეთ, ვითარცა მეცნიერთა, ვითარმედ მარტივად თავით თვისით და ვითარ იგი არიან, უცნაურ და უხილავ ჩუენდა არიან. ხოლო გამოჩინებად საგონებელ არიან წმიდანი იგი გონებანი წერილთა სიტყუებისა სახის მწერლობასა შინა. და ყოველსავე, ვითარ იგი სათქუმელ არს, მკუთებობასა ანგელოსებრთა სახელებთა კარვისასა. რომლითა ხუმევად ვიტყვით ღმრთის-მეტყუელთა მიერ სახესა რასმე ზორციელად შემოღებულსა ყოვლად უხორცოთა მათთვის, ვითარმედ ჯერ-იყო, რაითა დაღაცათუ სახესა რასმე შემოიღებდეს, რაითამცა უთვისესნი-რე მათდა და რაოდენ შესაძლებელ არს უნათესავესნი რაიმე ემსგავსნეს მათდა და ჩუენ შორის უპატიოსნესთა და უფროის უნიეთოთარე, არსებათგანნი უზეშთაესნი-რე შემოეხუნეს სახედ მათდა“... (შრომები, გვ. 104). ამრიგად, პეტრე იბერი განგვიმარტავს არა მხოლოდ სახისმეტყველებითი ღვთისმეტყველების, ანუ სიმბოლური თეოლოგიის, არამედ სიტყვაკაზმული მწერლობის დანიშნულებასაც: სახეების, ანუ სიმბოლოებისა და ალეგორიების მეშვეობით, წარმოჩენას და შექებას ღვთაებისას და ზეშთასოფლისმიერი სინამდვილისას. საღმრთო პოეზია არის სახისმწერლობა, ანუ ხატოვანი მეტყველება. მას სახისჩვენებითი, ანუ სიმბოლიურ-ალეგორიული, ხასიათი აქვს. სიმბოლო, ალეგორია, მხატვრული იმაგინაცია პეტრე იბერთან გადმოიცემა ტერმინებით: სახეთ-მწმასნელობა, სახის-მოქმედება, სახის მსგავსება, სახის შემოღება („სახის შემოღებას“ საბაჲ მსგავსად განმარტავს, როგორც იგავის მოყვანას).

პირველდედანი ქრისტიანული სახისმწერლობისა თავად სახარებაა, რომელიც აგებულია იგავური მეტყველების პრინციპზე. ყველა ჰეშმარტი ღვთისმეტყველი, რომელიც ეყრდნობა სახარებისმიერ ტრადიციას, სახისმეტყველია, განსაკუთრებით კი ეს ეხება პოეტ-ღვთისმეტყველთ.

პეტრე იბერის ესთეტიკა ცალკე შესწავლის საგანია, მაგრამ შეუძლებელია რუსთველის ესთეტიკის გაგება პეტრე იბერის გარეშე. იგი არის შთამაგონებელი რუსთველის პოეზიისა და პოეტიკისა, რუსთველის მსოფლმხედველობა მჭიდროდაა დაკავშირებული მის ნააზრევთან, როგორც ამას მართებულად აღნიშნავდა აკად. შ. ნუცუბიძე/

არეოპაგიტული ტრაქტატების საღვთისმეტყველო იდეები აირეკლა რუსთველისა და დანტეს პოემებში. ოდოსდ დანტეს შემთხვევაში ერთგვარი დამაკავშირებლის როლი შეასრულა წმ. თომა აკვინელმა. XIII საუკუნის დიდმა სქოლასტიკოსმა, რომელმაც მოახდინა ერთგვარი ადაპტაცია არეოპაგიტული ფილოსოფიისა XIII ს. სქოლასტიკის ენაზე. ხოლო რუსთველის შემთხვევაში ამგვარი დამაკავშირებელნი არიან მართლმადიდებელი ბერძენი მამები, განსა-

¹დიონისე არეოპაგელი — ნუცუბიძე-პონოზმანის თეორიის მიხედვით პეტრე იბერი. (აბტ.).

კუთრებით მაქსიმე აღმსარებელი და იოანე დამასკელი. ამიტომაც არის რუსთველი ხელაპყრობილად გამოსახული შუა საუკუნეთა საღვთისმეტყველო აზროვნების ამ ორი ბუმბერაზის ფრესკებს შორის იერუსალიმის ჯერის მონასტერში.

/ რუსთველის ესთეტიკის ქვაკუთხედია პოეზიის აღიარება საღვთისმეტყველო სიბრძნის ერთ-ერთ დარგად. ამიტომაც შეუძლებელია რომ მას თავის პოემაში სხვა რამ მიზანი დაესახა, გარდა საღვთისმეტყველო ჭეშმარიტებების პოეტურად ასახვისა, საღმრთო მიჯნურობისა და მისტიური ქორწინების ალეგორიულად, იგავურად შექებისა ამსოფლიური მიჯნურობისა და ქორწინების ისტორიის მოთხრობის საფარველ ქვეშ, როგორც ამას მართებულად აღნიშნავდნენ ვახტანგ მეექვსე და დავით გურამიშვილი.

ამჯერად ჩვენი მიზანია გავარკვიოთ, თუ რაგვარ მიმართებაში იყო რუსთველთან ანტონ I, ქართული საღვთისმეტყველო აზროვნების კორიფე XVIII საუკუნეში, ოფიციალური საეკლესიო იდეოლოგიის მთავარი წარმომადგენელი, თავად ძე იესე მეფისა, დავითიან-ბაგრატიონი, ერეკლე მეფის მამიდაშვილი, (ხოლო სულიერად ძმა მეფისა).

ანტონ კათალიკოსი, ისევე როგორც რუსთველი, პოეზიას და მითოლოგიას ღვთისმეტყველებასთან ღრმა ურთიერთკავშირში განიხილავდა: „ძუელთა ვიეთმე შორის (ესე იგი ელლინთა) სამგუარად იყო ღვთისმეტყველებამ, ესე იგი არს: 1. მეტალოლიკამ, რომელიცა ჰყუაოდა შორის სტიხის მოქმედთა და რომელიცა უმეტეს თვისეყვოდა თეოგონიასა (იხილე ზღაპარმეტალოლიკამ და თეოგონიამ), 2. პოლიტიკებრი, რომელსაცა იპყრობდიან ხელმწიფენი, მთავარნი და მღუდელნი და ერთა საზოგადოობა, ვითარცა თვით უსარგებელესსა და უსაჭიროესსა და უშიშობისათვის და განსვენებისა და კეთილშემთხვევასა და საზოგადოებისა სწავლათა. 3. ფისიკებრი, რომელსაცა იპყრობდიან ფილოსოფოსნი, ვითარცა ესე ვითარსა გნოსისსა, რომელიცა უმეტეს ეშესაბამების ბუნებასა და გონიერებასა და რომელსაცა არა რაიმე უცნობიეს თვინიერ მხოლოისა ღმრთისა მალლისა და დემონთა“ (იხილე დემონთათვის და სულთა)². იქვე ანტონი თეოგონიას შემდეგნაირად განმარტავს: „თეოგონიამ არს რომელსა ელინნი ზღაპრობდიან ნათესავსიტყვაობასა ღმერთთა საძაგელთასა“, (ცხადია, წარმართთა ღმერთებს სხვაგვარად ვერ მოიხსენიებდა ქრისტიანი იერარქი).

„ზღაპარმეტალოლიკა“ ანტონის ტერმინოლოგიით ნიშნავს მითოლოგიის მეტალოგიკას, „ზღაპარი“ მითის მნიშვნელობითაც იხმარებოდა, ხოლო გამოთქმა „ზღაპრობა“ ნიშნავს „მითების შექმნას“. ამრიგად, ანტონის თქმით, „ზღაპარმეტალოლიკა“, რომელიც ჰყუაოდა „სტიხის მოქმედთა“, ე. ი. პოეტთა შორის, იყო ერთ-ერთი დარგი ღვთისმეტყველებისა, ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში, ხოლო „მწერალ-მეტყველებას“ ქრისტიანული თვალსაზრისით ანტონი თავისი საღვთისმეტყველო მოღვაწეობის განუყრელ ნაწილად თვლის.

ამრიგად, ნათელია რუსთველისა და ანტონის შეხედულებათა ერთობა პოეზიის საღმრთო წარმოშობასა და დანიშნულებაზე, ღვთისმეტყველებისა და პოეზიის განუყრელ ერთობაზე, რაც შუა საუკუნეთა იდეოლოგიის უაღრესად დამახასიათებელი ტენდენცია იყო.

² იხ. ანტონ კათალიკოსი, ღვთისმეტყველება, 402, ტ. 1.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შუა საუკუნეთა სქოლასტიკოსი თომა აკვინელის დანტეს უკავშირდება თავისი „სუმმათი“, ანუ ღვთისმეტყველების შეჯამებით (Summa Theologiae). ასევეა დაკავშირებული რუსთველთან ანტონი I, ოღონდ განსხვავება ის არის, რომ თომა აკვინელი წინამორბედია დანტესი, ხოლო რუსთველი გაცილებით უფრო ადრეულ ეპოქაში ცხოვრობდა, ვიდრე ანტონი I.

თომა იდეურად ისევეა დაკავშირებული დანტეს სამყაროსთან, როგორც ანტონი — რუსთველის სამყაროსთან. მაგრამ თუ პირველ შემთხვევაში თეოლოგი არის მოძღვარი და შთამაგონებელი პოეტისა, მეორე შემთხვევაში პოეტია ღვთისმეტყველის მოძღვარი და შთამაგონებელი, როგორც ამას დავინახავთ ქვემოთ რუსთველისა და ანტონის ნააზრევის პარალელური განხილვისას. ეს სავსებით ბუნებრივი მოვლენაა ქართული სინამდვილისათვის, სადაც რელიგია და პოეზია მუდამ განუყოფელ შთლიანობას წარმოადგენდა ამასთან, უნდა აღვნიშნოს, რომ ჩვენი სასულიერო მწერლობის შესწავლის შედეგად ცხადი ხდება, რომ ქართულ ღვთისმეტყველებას არასოდეს ახასიათებდა სქოლასტური სიმშრალე დასავლეთის თეოლოგიისა. იგი ცხოველყოფლად ავითარებდა არეოპაგიტულ ტრადიციას პოეტური, სახისმეტყველებითი აზროვნებისას თეოლოგიურ ქმნილებებში. ასე რომ, ღვთისმეტყველება არასოდეს იყო გათიშული ხატოვანი აზროვნებისა და პოეზიისაგან.

ეს ტრადიცია დიდებულად აღორძინდა XVIII საუკუნის ქართულ ღვთისმეტყველებაში, კერძოდ ანტონი I-ის ნააზრევში¹ როგორც აღვნიშნეთ, ანტონი I-მა, ისევე როგორც თომა აკვინელმა, მოგვცა ერთგვარი „სუმმა“, ანუ შეჯამება შუა საუკუნეთა იდეოლოგიისა, შუასაუკუნეთა ღვთისმეტყველებისა თავის ნაშრომებში, განსაკუთრებით „ღვთისმეტყველებაში“, „მზამეტყველებაში“ და „წყობილსიტყვაობაში“. ანტონი როგორც ღვთისმეტყველი — პოეტი ჯეროვანად არც არის შესწავლილი. ანტონის თეოლოგიურ ქმნილებებში ჩვენ ვხედავთ, თუ რაოდენ უცხო იყო სქოლასტური რეზონიორული სქემატიზმი ქართული საღვთისმეტყველო აზროვნებისათვის. პოეტური გზება და ემოცია, სულის თავისუფლება ანტონს არასოდეს ღალატობს, თვით ურთულეს თეოლოგიურ საკითხებზე მსჯელობისას, ისევე როგორც შუა საუკუნეთა ქართული ფრესკებისა და ჰედური ხელოვნების ოსტატებს, რომელთა ქმნილებანი მუდამ განირჩეოდა ბიზანტიური ერთსახოვანი, უემოციო სქემატიზმისაგან.

| ანტონის სიბრძნისმეტყველება და სახისმეტყველება გაცილებით უფრო ღრმად არის დაკავშირებული რუსთველთან, ვიდრე აქამდის აქცევდნენ ამას ყურადღებას ჩვენი მკვლევარნი. რუსთველი მოძღვარია ანტონისა არა მხოლოდ მწერლობაში, არამედ ღვთისმეტყველებაშიც, იგი არის მისი იდეალური ინიციატორი, ანუ ხელდამსხმელი, სპირიტუალური გაგებით, როგორც ეს მოჩანს ანტონის შემოქმედებაში (ასეთივე ინიციატორები იყვნენ დანტესთვის ვირგილიუსი და თომა აკვინელი მისი „დივინა კომედიას“ მიხედვით).

| მართალია, დღეს უკვე აღარ ითვლება სადავოდ, რომ ვერსია ანტონის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ცალების განადგურებისა ყოველგვარ საფუძველს მოკლებული გაუგებრობაა, დღეს აღიარებულია, რომ ანტონი დიდად აფასებდა რუსთველს, მაგრამ ორგანული დაკავშირება ქართული სიტყვიერების ამ ორი კორიფესი ჯერაც არ მომხდარა.

ა. როგავამ თავის ნაშრომში „ანტონ I-ის დამოკიდებულება საერო მხატვრულ მწერლობისადმი“ (1981) მართებულად აღნიშნა, რომ ანტონი არ ეკუთვნ

ნოდა შეზღუდულ, რეაქციულ ფრთას ქართული სამღვდელოებისას, როგორც, მაგალითად, რომანოზ მიტროპოლიტი და ზაქარია ხუცესი, და რომ ამიტომ მის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ დაწვა დაუჯერებელია. ოღონდ, ჩვენი აზრით, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, თუ რამ წარმოშვა ამგვარი ვერსია, რად დაუკავშირეს პოემის დევნა ანტონს და არა სხვა ვინმეს. საქმე ის გახლავთ, რომ, ზ. ჭიჭინაძის ცნობის მიხედვით, ვეფხისტყაოსნის მიმართ უარყოფითად იყო განწყობილი კათალიკოსის ცენზორი, ხოლო ეს ცენზორი გახლდათ ხუცესი ზაქარია გაბაშვილი, რომელმაც თავისუფალი აზროვნებისათვის მალე თვით ანტონიც გადააყენებინა საკათალიკოსო ტახტიდან თეიმურაზ II-ს და აიძულა რუსეთს წასვლა. ზაქარია ცილს სწამებდა არა მარტო რუსთველს, არამედ ანტონსა და ერეკლე მეორესაც. „მწვალებლებს“ უწოდებდა მათ, ე. ი. ეს გახლდათ ერთგვარი დიდი ინკვიზიტორის მსგავსი პიროვნება იმჟამინდელ ქართულ ეკლესიაში. ზაქარიას ძლიერება აიხსნება იმით, რომ ქართული სამღვდელოება XVIII საუკუნის შუა წლებისა უკვე აღარ იყო ის, რაც უწინ, თუნდაც XVIII საუკუნის დასაწყისში. მასში თანდათან იმარჯვებდა რეაქციული ბნელეთის მოციქულობის ტენდენცია, ხოლო ჭეშმარიტ ღვთისმეტყველთა: იაკობ სამეხელ-შემოქმედელის, ვახტანგ VI-ის, იესე ტალაშაძის, მიტრ. იოსებ სააკაძის, და თვით ანტონის ნააზრევო უკვე მწვალებლობად ითვლებოდა, მათი ჰორიზონტის სიფართოვის გამო, სულის თავისუფლების გამო. აი, რად გახდა იძულებული ანტონ I თავის სათაყვანო მოძღვარზე ეთქვა:

„შოთა ბრძენ იყო, სიბრძნისმოყვარე ფრიად,
ფილოსოფოსი, მეტყველი სპარსთა ენის,
თუ სამ სწადოდა — ღვთისმეტყველიცა მაღალ,
უცხო საკვირველ პოეტიკოს მესტიხე,
მაგრა ამოდ დაშურა საწუხ არს ესე“.

ეს იყო „ხარკი“ ზაქარია გაბაშვილის ჯგუფისადმი. ასეთივე „ხარკი“ იყო ტიმოთე გაბაშვილისეული დახასიათება რუსთველისა და მისი პოემისა: „ესე მთქმელი ლექსთა ბოროტთა“. (სულიერი განმარტოების ეპოს როგორც ანტონი, ისე ტიმოთე უთუოდ ქეჩნიდნენ თავის თავს ამგვარი უკანდახევის გამო და იხსენებდნენ პეტრე მოციქულს, რომელმაც მამლის მესამედ ყივილამდე სამგზის უარყო თავისი მოძღვარი კაიაფას სამსჯავროს შიშით. თუმც ამგვარი სამსჯავრო ანტონს მაინც ვერ ასცდა).

ეს ყოველივე გახლავთ სინამდვილეში წყარო ლეგენდისა „რუსთველის დევნის“ შესახებ ეკლესიის მიერ. ეს ლეგენდა შეითხზა მეთვრამეტე საუკუნის შუა წლებში მომხდარი ამბების ვერგაგების საფუძველზე და არამც და არამც უადრესამისა. ასევე არ შეიძლება მსგავსი „დევნა“ დავაბრალოთ დომენტი კათალიკოსს, რომელიც, ანტონის მსგავსად, ფართო განათლებისა და ჰორიზონტის სასულიერო პირი იყო. ყოველივე ამას სამართლიანად აღნიშნავდა აკადემიკოსი კ. კეკელიძე. ასე რომ, თანამედროვე მეცნიერებაში დროა შეიქმნას ნათელი წარმოდგენა რუსთველთან ქართული სასულიერო წოდების დამოკიდებულებაზე და განქარდეს მითი ვეფხისტყაოსნის სამღვდელოების მიერ დევნისა და „რუსთველის სარწმუნოებიდან განდგომილების“ შესახებ.

იქნებ ვინმე თვლის, რომ ანტონი იმდენად შეზღუდული პიროვნება იყო, რომ ვერ გაიგო, თუ რად „დაშურა“ რუსთველი? ჩვენ ვერც აკად. კ. კეკელიძის მოსაზრებას გავიზიარებთ, რომ თითქოს ეს იყო გულისტკივილი, ისეთივე, როგორსაც იჩენდნენ ფეშანგი და თეიმურაზი, როდესაც უსაყვედურებდნენ რუს-

თველს ფანტასტიკური და არარსებული პირების ქებას და არაისტორიული სინამდვილის აღწერას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ „ანბანთქებაში“ ანტონი ამას თავისთავსაც უსაყვედურებს: „პოი ცუდად შემრჩეს შრომანი, პირნი მერმეცა თქმობანიო“. საქმეც ის გახლავთ, რომ ზაქარიას მსგავსი ცენზორების წინაშე რიდით ანტონი თავისთავსაც არ ზოგავდა! სინამდვილეში კი მან კარგად უწყობდა შოთას მიზანიც და თავისი და ვახტანგ VI-ის ალეგორიულ-სატრფიალო პოეზიის მიზანიც. (ხოლო ფეშანგისა და თეიმურაზის არაკომპეტენტური მსჯელობა ასეთ საკითხებზე არ უნდა გვაკვირებდეს, ვინაიდან ისინი ღრმად არ იცნობდნენ სახისმეტყველებით ღვთისმეტყველებას). ზაქარია გაბაშვილის ჯგუფის წინაშე რიდი რომ არ ჰქონოდა, ანტონი I თავად დასწერდა გაცილებით უკეთეს თარგმანებას „ვეფხისტყაოსნის“ ალეგორიული შინაარსისას, ვიდრე ვახტანგ VI: იგი გაცილებით უფრო ღრმა მცოდნე იყო ქრისტიანული ღვთისმეტყველებისა და სახისმეტყველებისა. ვით შეიძლებოდა ანტონი შოთას პოემის მღევნელი ყოფილიყო, როდესაც სიბრძნისა და ადამიანობის იდეალის გამომხატველ ტერმინად იგი ხმარობდა გამოთქმას: „შოთაებრი კაცი“ (ასე უწოდებს იგი სარგის თმოგველს წყობილსიტყვაობაში).

ანტონი I რუსთველის დიდ გავლენას განიცდიდა თავის სატრფიალო და ლირიკულ პოეზიაშიც, მაგალითად, თამარ მეფის მშვენიერების შექებაში და ანბანთქებაში, რომელიც აგრეთვე ქალის მშვენიერებას აქებს. მაგრამ ჩვენ ვერ დავეთანხმებით მკვლევარ ა. როგავას, რომ ეს ყოველივე სატრფიალო ლირიკაა დღევანდელი გაგებით. ეს ისეთივე მისტიკურ-ალეგორიული პოეზიაა, როგორც სოლომონის ქებათა ქება და ვახტანგ VI-ის „სატრფიალონი“, ასევე დავით გურამიშვილის „ზუბოვკა“. მაგრამ ანტონის თანამედროვე საზღვდელეობის ნაწილს დაკარგული ჰქონდა საღვთისმეტყველო ცოდნა, მას აღარ ძალედა გაგება მისტიკურ-ალეგორიული სახისმეტყველებისა და სიტყვასიტყვით იგებდა ამგვარ პოეტურ ნიმუშებს, ამიტომაც ანტონი იძულებული იყო ხანდისხან „მოებოდიშებინა“ თავისი კოლეგებისა და მრევლის წინაშე როგორც რუსთველის მაგიერ, ასევე თავისი თავის მაგიერაც.

(რუსთველისა და ანტონის შემოქმედების ზოგი ასპექტის შესწავლა გვარწმუნებს აგრეთვე, თუ რაოდენ პირობითია ქართული მწერლობის დაყოფა „საეროდ“ და „სასულიეროდ“. ეს დაყოფა დიდი სიძნელეების წინაშე გვაყენებს. იგი ჩვენს დროში შემუშავდა და აირეკლავს უახლესი საზოგადოებრივი ცნობიერების მდგომარეობას, როდესაც „სასულიერო“ და „საერო“ ორ დამოუკიდებელ, ურთიერთისგან მკვეთრად გამიჯნულ სფეროებადაა დაყოფილი. ამ საზომით ვცდილობთ გათიშვას იმისას, რაც შუა საუკუნეებში არ იყო გათიშული და ერთ მთლიანობას წარმოადგენდა. ხშირად ერთი და იგივე მწერლის სხვადასხვა ნაწარმოები შეიძლება თამამად მივაკუთვნოთ როგორც საერო ჟანრს, ასევე სასულიეროს. ასე მაგალითად, სასულიერო მწერლის ანტონი I-ის სატრფიალო ლირიკა ფორმით „საერო“ პოეზიას განეკუთვნება, ხოლო ბესიკის „შესხმა ღვთისშობლისა“ შედევრია „სასულიერო“ პოეზიისა:

„ჭერისებრი შესხმა შენი არვის ძალუძს ღვთისა სძალო
ჯემლად შეკრბენ ქებად შენდა ანგელოზნი, კაცნი, ქალო,
ხამს რომ გიძღვნან კონა მკასი საკმელ გუნდრუკ მური ალო,
ქვარცმულისა წმინდა დედავ, ცოდვა მკურნე დედუფალო“.

ან თუნდაც შემდეგი სტრიქონები:

„ვის გსურს სოფლით იქმნა არა დაგული,
საღმრთოს სიბრძნეს მიეც გონი და გული,
ბოროტისთვის გრძნობა მტკიცედ დაგული
ნეტარება ესრეთ მყოფთა ეგების,
ესრეთ იქმს საწუთრო ბევრ სახელ ავით,
ფრიად მის მკაცრ ჭერეტა ხამს სახელადით,
რეცა მაგალით ჰყო სახე დავით:
მით განერო სოფლით საცთურო ეგების“.

(ხსენებული ლექსები პირველად გამოაქვეყნა გრ. ფერაძემ, პარიზელ ქართველთა ჟურნალ „ჯვარი ვაზისაში“ 1931 წ. ხელნაწერი ეკუთვნის ოქსფორდის უორდროპისეულ კოლეჯციას).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკიდურესად „საერო“ პოეტი ბესიკი „სასულიერო“ პოეტის ანტონი I-ის მოწაფეა სატრფიალო ლექსების წერაში, ხოლო ანტონი, როგორც წმინდა სასულიერო პოეტი, ვერ ამალღდა ბესიკის სასულიერო შედეგების დონემდე.

მსგავსი თვალსაზრისით თუ მივედგებით შავთელის, ჩახრუხაძის, დავით გურამიშვილის შემოქმედებას, დავასკვნით, რომ „მზეთამზის ჰიმნი“ და „ტირილი ღვთისმშობლისა“ სასულიერო პოეზიის შედეგებია, ხოლო „ქაცვია მწყემსი“ და „ქართლის ჳირი“ საერო პოეზიისა. ასევე რთულია შავთელისა და ჩახრუხაძის ოდების მიკუთვნება მხოლოდ საერო ან სასულიერო მწერლობისადმი/თუმცა ამ საკითხზე აქ ჩვენ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, ვინაიდან ეს საგანგებო კამათის საგანია და უფრო სოლიდურ არგუმენტაციას მოითხოვს, ვიდრე ჩვენი შრომის რეგლამენტის ფარგლებშია შესაძლებელი.

რუსთველის საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური ტერმინოლოგიის ანალიზში, მის მიერ გამოყენებული ცნებებისა და ხატოვანი პოეტური თქმების, მისი პოეტური სამყაროს ინტერპრეტაციაში დიდად გვეხმარება ანტონისეული განმარტებანი საღვთო წერილისა და მამების ღვთისმეტყველებისა. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ეს ორი ავტორი ერთი და იგივე საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური სკოლის წარმომადგენელი არიან, კერძოდ, აღმოსავლური ეკლესიის მისტიკურ-საღვთისმეტყველო სკოლისა, რომლის მამამთავარია დიონისე არეოპაგელი.

ანტონი დიონისეს „უსაღმრთოეს“ უწოდებს: „რამეთუ უსაღმრთოესი დიონოსოას საღმრთოთა სახელთა შინა იტყვის...“ ასევე აფასებს ანტონი დიონისეს მიერ შემუშავებულ წართქმით და უკუთქმით ღვთისმეტყველებას, რომელიც დამასკელის შრომებში განვითარდა: „მეორედ არა თუ თქვენთაებრ მოძღვართა აქვს წესი მოძღვრებასა საღმრთოსა დამასკელისასა, რათა ოდესმე წართქმით და ოდესმე უკუთქმით ღვთისმეტყველებდეს სარწმუნოებისა დოღმატსა“ (იხ. „მიწყალეს“ თარგმანება ანტონისა, მ. ქ ა ვ თ ა რ ი ა, XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, 1977, გვ. 262, 268). ხოლო ექსორიაქმნილი ანტონი დიონისეს წიგნის გაგზავნას ემუდარება საქართველოში დარჩენილ ნათესავებს, როგორც ამას ვიგებთ ვახტანგ ბატონიშვილის ერთი წერილიდან მისდამი. აქედანაც ჩანს მისი დიდი სიყვარული ამ ავტორისადმი.

რუსთველის საღვთისმეტყველო მაქსიმების სტილი დიდ გავლენას ახდენდა ანტონ I-ზე, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება „ღვთისმეტყველებისა“ და

„შზამეტყველების“ ტერმინოლოგიასა და სტილზე დაკვირვებისას³ ხშირია შინაარსობრივი დამთხვევებიც რუსთველისა და ანტონის პასაჟებს შორის. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითს. 1. ღმერთი ვითარცა ძალი.

რუსთველი:

„რომელმან შეჰქმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა
მისგან არს ყოვლი ხელშეიფე სახითა მის მიერითა“.

ამ სტროფში ძალი ღვთისა ფიგურირებს უწინარეს ყოვლისა როგორც სამყაროსა³, ქვეყნისა და სულიერ არსთა შემქმნელი.

ანტონი I: „ძალითა ყოვლად სრულითა და ყოვლად ძლიერითა შექმნა ღმერთმან არსებანი არსთანი... ძალი აწარმოებს მოქმედებასა... აქუს ღმერთსა ძალი, რა ყოფად მოიყვანესმცა ყოველნი შესაძლებელნი, რომელთა თანა და რომელთა შორის აღირაცხვიან ძალნიცა სოფლისა ზედათანი. ჩვენისამებრ ღვთისმეტყველებისა, ხოლო ძალისა ამის მიერ ყოვლად სრულისა მოიყუანა ღმერთმან სოფელი ესე, ვინა შეუძლებელ არს იქვნეულყოფად, ვითარმედ ჯერ არს ღვთისადმი შერაცხვად ყოვლისშემძლეობაი, ანუ არა რომელმან დასაბამსა შინა ჰქმნა ცაი და ქუეყანაი და ნათელი და სამყაროი შორის წყლისა და წყლისა და შეჰკრბნა წყალნი და ნერგნი და მნათობნი და ცხოველნი ყოველნი მკონებელნი ზიცოცხლისანი დ კაცი ხატებისაებრ და მსგავსებისა თვისისა და ანგელოსნი მისნი სულად და მსახურნი მისნი ალად ცეცხლისა. და ესე ყოველნივე ყოვლად ძლიერი თა შეჰქმნა ძალითა თვისითა“ (ღვთისმეტყველება, ტ. I, გვ. 33).

ხსენებული თავი „ღვთისმეტყველებისა“ ერთგვარი განმარტებაა რუსთველის შესაქმნისმიერი სტროფისა, თუმც თავად რუსთველი არ არის ნახსენები. იგი განვრცობილად, დეტალურად გვაძლევს რუსთველისეული შესაქმნის მიერი სტროფის შინაარსს. მართალია, ის რაც რუსთველს ლაკონურად, მინიშნებითა აქვს მოცემული. ანტონთან ამომწურავი დახასიათებით გვეძლევა. მაგრამ აშკარაა კონცეფციათა ერთობა და სტილისმიერი ნათესაობა.

2. ახლა ენახოთ, თუ ვით აი ს ა ხ ა ღმერთი. ვითარცა სიყვარული რუსთველისა და ანტონის შემოქმედებაში.

რუსთველი:

1. ვთქვა მიწნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა,
ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა,
იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა,
ვინმცა ეცდების თქობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა“.
2. „ქელა მიწხურსა მიწნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს!“

³ როგორც უწინაც აღვნიშნავდით „სამყარო“ რუსთველთან იმ მნიშვნელობით როდი იხმარება, რაც დღევანდელ ქართულში შეიძინა ამ სიტყვამ. სამყარო განსხვავდება „ქუეყანისაგან“, ანუ მიწისგან, და ნიშნავს უძრავ ვარსკვლავთა ცას ბიბლიას, როგორც ამას განმარტავენ აგრეთვე საბა და თეიმურაზ ბაგრატიონი. საინტერესოა ანტონისეული განმარტებაც: „გამოვიძიოთ ბუნებისათვის, ამყაროსა. სიმგრგულე სამყაროსა არს შემომკრებ ვარსკვლავთა ერთსა შინა სიმგრგულესა, უძრავად ზედწოდებულთა მათ ვარსკვლავთა“ (ტ. I, გვ. 124). შესაქმნის დეტალიზაცია ხდება „ღვთისმეტყველების“ § 384—394-ში. ამ პასაჟების ნათესაობა „ვეფხისტყაოსანთან“ თვალსაჩინოა.

3. „წაგივითხავს სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ სწერენ?
ვით იტყვიან, ვით აქებენ ცან, ცნობანი მიაფერენ,
სიყვარული აღგვამაღლებს, ვით ეფვანნი ამას უღერენ“.
4. „ზოგთა აქვთ საღმრთო სიახლე, დაშურების აღმაფრენითა,
კელა ზოგთა ქვე უც ბუნება კეკლუცთა ზედან ფრფენითა“.

ანტონი: „იტყვის ყოვლად ბრძენი იოანე, მეტყველი ვითარედ: ღმერთი სიყუარულ არს! (1 ი, 4,8). ვინაითგან სიყუარულ ზედწოდებულ არს ღმერთი, ღვთისმეტყველთაგან სათანადო ჩუენდა არს მებრვე მოძღვრებად, რამეთუ ესრეთ გვასწავებს საღმრთო წერილი, ვითარმედ: ნუ ჰსცუალებ საზღუართა⁴ საუკუნეთა, რომელნი დაჰსდუეს მამათა შენთა.

აღვიაროთ ჩვენცა, ვითარმედ ღმერთი, სიყუარულ არს, ხოლო განმარტებაი ამისი, ვპგონებ, ვითარმედ ესრეთ სახმარ არს, რამეთუ ყოველთა აღგებულთაგან საყუარელ და სატრფიალო არს იგი, რამეთუ ბუნებით შეჰსწირუენ მისდა სიყუარულსა და ტრფიალებასა, რომელი ბუნებით საყუარელ არს და სატრფიალო, ნებითა ნიჭებულნიცა და არა მომადლებულნი ნებებითა და ესე არს ესე, ვითარმედ თუ სადმე გარეგან წესით ბუნებისა თვისისათა არა იქცევის ვინმე მნებებლთაგანი ანგელოსებრი ანუ ჩვენებრი ნებისაებრ ბუნებისა თვისისა, ჰსტრფის და ჰსწყურის და ჰსურის სატრფიალომსა მის მიმართ არსთა შემოქმედისა დატევნისაებრ და მიმადლებისა ტრფიალებისა მათისა.

ხოლო რომელნიცა არიან ღირსნი ანუ მგრძნობელთაგანი, რომელთა აქუსთ წადილი ცხოვრებისა თვისისა ანუ ნერგობითნი, ანუ სხუანი მპყრობელნი წესთა ბუნებითა თვისთანი. პყრობა იგი მათგან წესთა ბუნებისა თვისისათა არს ტრფიალება და სიყუარული უოცნოისა მის მიმართ სიყვარულისა და ტრფიალებისა“ (იხ. ღვთისმეტყველება, ტ. I, გვ. 23, 24).

ანტონის გაგებით ეს ტრფიალება „მპყრობელ არს და წინა დასაბამ და ყოველთა მიერ კერძო ყოვლისა ტრფიალებისა მიზეზი იგი ვერარაიდმე შესაპყრობელ. ესე ყოველი სიყუარული და ტრფიალებაი ერთბამობით აღიპყრობის მისდამი, ვითარცა ამათ ყოველთა მისდამი აღტყინების მიზეზისა“. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ აგრეთვე ავთანდილის ლოცვა: „შენ დაჰბადე მიჯნურობა, შენ აწესებ მისსა წესსა“.

ახლა მოვუსმინოთ რუსთველისა და ანტონის საერთო მოძღვარს, ბრძენ დივნოსს: „ტრფიალებაი, გინა საღმრთოი ანუ ანგელოზებრი, ანუ საცნაურებრი გინა მშვინვიერებრი ანუ ბუნებითი და ნერგობითი რაჟამს ვთქუათ, ერთობითსა რასმე და შეზავებითსა ძალსა გულისხმა ვპყოფთ. რამეთუ რომელიმე უზეშთაესთა აღძრავს განმგებელყოფად უდარესთა, ხოლო კუალად თანა — მონივთეთა ზიარებითად ურთიერთ არსობად და უკუანაისკნელთა და უდარესთა უზეშთაესთა მათ და უმეტესთა მიმართ მიქცევისა ყოფად“ (იეროთეოსის სატრფიალო ქებანი, გვ. 42).

განვმარტოთ არეოპაგიტული გაგება სიყვარულისა. ავტორი გვეუბნება, რომ სიყვარული, როგორც არ უნდა იყოს იგი: საღმრთო, ანგელოზური, სულიერი, მშვინვიერი თუ ფიზიკური (ამსოფლიური) უნდა გავიგოთ როგორც ძალა შეერთებისა და შერწყმისა, რომელიც აღძრავს უზენაეს არსებებში მზრუნველობას ქვენა არსებებზე, თანასწორ არსებებს შორის იწვევს ურთიერთისადმი

⁴ საზღუარი აქ იხმარება „განსაზღვრების“ მნიშვნელობით, ისევე როგორც რუსთველთან: „ეინ საზღვარსა დაუსაზღვრებს“.

მეგობრობას, ხოლო უმდაბლესი არსებების ლტოლვას წარმართავს უფრო მაღლა მდგომი არსებებისაკენ.

ამრიგად, სიყვარულის არეოპაგიტული კონცეფციების ნაირგვარ ვარიაციებს ვხვდებით როგორც რუსთველის პოემაში, ისე ანტონი I-ის საღვთისმეტყველო ნააზრევში და პოეტურ შემოქმედებაში.

რუსთველის პოემაში გვხვდება ტერმინი „სახე“, რომლის სწორ ინტერპრეტაციაშიც დიდად გვეხმარება ანტონისეული განსაზღვრებები. რომელთაც იგი გვაძლევს „მზამეტყველებაში“. რუსთველთან „სახე“ იხმარება პირველსახის, ხატების, აგრეთვე მომავლის იდეალის მნიშვნელობით: „მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა“, „ჰე ღმერთო ერთო შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა“, „სახე დიდი დაეუსახე“, „ღმერთი მოგცემს წყალობასა, მისგან ზეცით შესახულსა“ და ა. შ.

ანტონი „სახეს“ შემდეგნაირად განმარტავს: „ერთად უკუე თქვეს წმიდათა მამათა არსებაი და ნათესავი და სახე და ბუნებაი და ხატოვანებაი და საქვემდებაროი და უსაყოველთაოესი და გუამი და ქუემდებარე და განუკვეთელი და კერძობითი და სათვითეულო ერთ და იგივედ თქვეს. რამეთუ პირველნი იგი ვითარცა საზოგადონი და ყოვლადნი, შემამტკიცებელნი ამით სათვითოეულოთანი; ხოლო მეორენი: არა საზოგადონი, არამედ თვითეულნი მისივე ერთისა საზოგადოსაგან შემტკიცებულნი თვისაგან მდგომად და თან-მეტომეთა თვისთაგან განუყოფლად“. (გვ. 173). ე. ი. „სახე“ ზოგადის აღმნიშვნელია, იგი არსების, ბუნების იდენტურად იხმარება, ეს იგივეა რაც დაახლოებით ლათინური genus. ხოლო III წიგნის I თავში ნათქვამია: „ხოლო პირველისა მის აუგებლისა ნათლისა მიერ თვისად ხატებად აღგებული ესე ბუნებაჲ ქმნილისა მეორისა ნათლისა არსებაი ვიდრემე არს გონიერი, მარადის მოძრავი, უსხეულოი, თვით ხელმწიფე მსახური ღვთისა, ესე იგი არს პირველისა მის ნათლისა; და მ ა დ ლ ი თ მი მ ღ ე ბ ე ლ ი ბ უ ნ ე ბ ა ს ა შ ი ნ ა უ კ უ დ ა ე ბ ი ს ა, რ ო მ ლ ი ს ა ა რ ს ე ბ ა ი დ ა ს ა ხ ე, საზღუარი მხოლო მან უწყის“ (ხაზი ჩვენი). ხოლო ფრაზებმა არ შეიძლება არ მოგვაგონოს რუსთველის სტრიქონი: „მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა“. ანტონის ამ განმარტებების მიხედვით კიდევ ერთხელ მტკიცდება ჩვენი მოსაზრება, რომ „სახე ყოვლისა ტანისა“ არის პირველქმნილი იდეალური სახე-სხეული, ზოგადი იდეა სხეულებრიობისა, პირველხატი კაცობრიობისა.

ამ პირველქმნილობას ცოდვითდაცემამდელს ანტონი საგანგებოდ აღნიშნავს: „ესე ყოვლად წმინდაი სახეი, რომელ არს ბუნებაი ნეტართა მათ გუამთა ზეცისა წესთმთავრობათა, არ მყოფობისაგან მყოფობად მოყვანებული იქმნა და აღეგო ხატისაებრ თვისისა დაუბადებლისა და აუგებლისა ნათლისა მიერ არსებად გოხიერად, რომლისა არსებისაგანი რომელიცა ზედა მდგომელად და მღველად სოფლისა ხელდებულ იქმნა პირველისა . მის ღმერთმყოფელისა ძალისა მიერ“ — ამრიგად ახასიათებს იგი ნათლის ანგელოზის პირველ სახეს. რომელიც შემდგომში დაეცა „სიბოროტედ მიმდრეკი“ (გვ. 163).

ახლა გავიხსენოთ, რომ ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთი ლაიტმოტივია არეოპაგიტული კონცეფცია ბოროტის უარსობისა:

„ვცან სიბოკლე ბოროტისა, კეთილია მისი გრძელი“,
„ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა“ და ა. შ.

ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში განმკვიდრდა ბოროტის უარსობის იდეა, ხოლო მწვალებელთა გარკვეული დაჯგუფებანი ღვთის მიერ შექმნილად თვლიდნენ ბოროტს, ხოლო ზოგნი თანაარსადაც (მაგ., მანიქეველნი).

ვნახოთ როგორ მსჯელობას იწონებს ანტონ კათალიკოსი ამ საკითხზე: „სხუამან ჰსთქუა: „ბოროტი არა არს დაუბადებელ, რათამცა ღმრთისა თანა იყო დაუსაბამოდ სიტყვისაებრ მწვალებელთასა. არცა ვითარმედ დაბადებულ არს, რამეთუ ყოველნი დაბადებულნი შეიქმნნეს ღვთისაგან და იგი თავადი სახიერ არს და კეთილ. და სახიერისაგან ბოროტის დაბადება შეუძლებელ არს. არამედ უგუამო და უკანასკნელ შემოსრულ არს ბოროტი, შემთხვევით მოკლებისაგან კეთილისა და არა ბუნებით გონებითა გუამოვნებისათა, არამედ თვითმფლობლად დაბადებულნი, რაოდენცა კეთილისგან მოაკლდებიან, ეგოდენ ბოროტი შემოვალს მათ ზედა. ვითარცა თუალსა ზედა ხედვისგან დაკლებულსა სიბრმეი (ბასილი დიდი)...“ (ღვთისმეტყველება, § 22).

„ავთანდილის ანდერძი“, ეს უკვდავი ჰიმნი მეგობრობისა, აგებულია საღვთო წერილისა და ეკლესიის მამების კონცეფციებზე. მეგობრობასთან დაკავშირებული რუსთველისეული აფორიზმები ლაკონიურად, კონდენსირებულად გვაძლევენ მამების მოძღვრებას მეგობრობაზე გენიალური პოეტური ფორმით.

ანტონი I-ის „ღვთისმეტყველების“ III ტომში მოცემულია ტრაქტატი „მეგობრობისათვის“, რომელიც არის აგრეთვე ერთგვარი „სუმმა“ საღვთო წერილში და წმინდა მამების ნაწერებში გამოთქმული აზრებისა მეგობრობის შესახებ. ანტონი როგორც პროზის პოეტი ამ ტრაქტატში გამოვლინდა მთელის სიდიადით: „იტყვის წერილი: მეგობრისა სარწმუნოისა არა რაი არს ნაცუალი და არცა საზომი სიკეთისა მისისა, ვითარმედ მეგობარი სარწმუნო წამალ ცხორებისა“ (ზირაქ. 6.15—16)...

„მეგობრობა, სიმტკიცე საზოგადოებისა ქრისტიანებისა და ქუეყანისა მოქალაქობისა. მეგობრობა, ციხე უბრძოლველი, გამოუღებელი მტერთა. მეგობრობა — საფუძველი და თვით ზღუდე დაურღვეველი. ქრისტესთვის უდაბნო-ისმოყვარეთა საზოგადოებისა. და ვიტყვი ვითარმედ სიმტკიცე ჰსჯულისა და სამკაული სარწმუნოებისა. მეგობრობა, განმხდელი მწუხარებისა, მომფარდელი სიყუარულისა, საჭურუელი მტერთა ზიმართ და სიხარული მოქალაქობისა. ნუგეშინისცემა ჭირუეულებისა. ძალი უძლურებისა. დამყენებელი განსაცდელთა. დაამება გულისა. და დანიშნუა უმწუერვალესისა სიყუარულია“.

ავთანდილის ანდერძში არის ერთი გამოთქმა, რომელიც ყოველთვის დავას იწვევდა რუსთველოლოგიაში. ეს გამოთქმაა „შერთვა ზესთ მწყობრთა მწყობრისა“, რომელიც ვეფხისტყაოსნის სხვადასხვა ვარიანტში სხვადასხვაგვარად იკითხება და სხვადასხვაგვარად არის მოცემული აქამდე არსებულ გამოცემებში. მკვლევართა შორის დავაა იმასთან დაკავშირებით, თუ რომელია სწორი: „მწყობრთა მწყობრისა“, „მწყობრთა წყობისა“ თუ „მწყობრთა მწყობრისა“. აქამდის არ იყო აგრეთვე დადგენილი თუ კონკრეტულად საიდან იღებს სათავეს ეს გამოთქმა, რომელი ძეგლიდან. ანტონის ღვთისმეტყველების II ტომში, ციტირებულია გრიგოლ ღვთისმეტყველისეული ეპიტაფია ბასილი დიდისა: „წარმიყუანე მე შენთანა ნეტარსა მაგას სამკვიდრებელსა და შემრთე მწყობრსა მას და განწყობილსა, რომელსა შენ განწყობად ხარ და იხარებ“ (სტახსა შა, რიცხუსა I, ღვთისმეტყველება, ტ. II, გვ. 128). დღემდე, ვგო-

ნებ, არცერთ მკვლევარს არ მიუქცევია ყურადღება იმ გარემოებისათვის, რომ ვეფხისტყაოსანის გამოთქმა „შერთვა ზესთ მწყობრთა მწყობისა“ გრიგოლ ღვთისმეტყველის ხსენებული ეპიტაფიიდან მოდის, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს რუსთველის კავშირს აღმოსავლური ეკლესიის მამების ტრადიციებთან.

ბასილი დიდისა და გრიგოლ ღვთისმეტყველის მეგობრობა პარადიგმად არის ქცეული ეკლესიის ისტორიაში. შემთხვევითი როდია, რომ გრიგოლისეული გამოთქმა იხმარა რუსთველმა ავთანდილის ანდერძში, სადაც აღვლენილია უქცნობი ჰიმნი მეგობრობისადმი, ქრისტიანული სიყვარულისადმი. ამრიგად გვეხმარება ანტონი I-ის მემკვიდრეობის შესწავლა რუსთველოლოგიის საკვანძო საკითხების გარკვევაში.

ახლა პარალელურად განვიხილოთ რუსთველის კიდევ ზოგიერთი აფორიზმი და ანტონისეული საღვთისმეტყველო განსაზღვრებანი და მაქსიმები:

რუსთველი:

„რასაცა გასცემ შენა, რაც არა დაკარგულია“.

„მიუც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები“.

ანტონი I: „იტყვის საღმრთო მოციქული, ვითარმედ მხიარულებით მისაცემელი უყუარს უფალსა“ (2, კორ. 9.7). „გრწმენინ უკუე ჩემი, ვითარმედ მიჰცემ რა გლახაკსა ნაკლულევანსა საჭიროებითისაგან ცხოვრებისა, მისაცემელსა მას მიიღებს ქრისტე ხელისაგან შენისა და დამტკიცებასა ამას ჩემსა დაამტკიცებს ოქროკალმითა ენითა თვისითა საღმრთო იოანე, მრჩეველი ვითარმედ, ხელი გლახაკისა არს ხელი ქრისტესი, რა მოწყალებასა მას ვიდრემდის აძლევ მას მიიღებს ხელი გლახაკისა, მაგრა აღიღებს ხელი ქრისტესი“ (ტ. II, § 273). /

როგორც ვიცი, „ვეფხისტყაოსანში“ განვითარებულია იდეა ღვთის მზრუნველობითი განგებისა, ანუ კეთილგანგებულებისა (თეოდიციისა), რაც განასხვავებს რუსთველისეულ კონცეფციას განგებისას ნეოპლატონიზმისგან. ამას არ აქცევენ ყურადღებას ის მკვლევარნი, რომელთაც სურთ რუსთველი ნეოპლატონიზმის მიმდევრად გამოაცხადონ. თეოდიციასთან დაკავშირებული გნომები: „ღმერთი მოგცემს წყალობასა, მისგან ზეცით შესახულსა“, „ღმერთსამცა ვით არ შეეძლო კვლა განკურნება წყლულისა, იგია მზრდელი ყოვლისა და ნერგულ-დათესილისა“, „ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა“, „ვცან სიმოკლე ბოროტისა კეთილია მისი გრძელი“, „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“ და ა. შ.

ახლა ვნახოთ ანტონისეული განმარტება ღვთის მზრუნველობითი განგებისა: „საზოგადო ვიეთმე განგებაი მზრუნველობითი ანუ მეურნეობითი უვრცელესსა შინა გამოხატვასა განიჰსჯების, თქმისაებრ საღმრთოისა წერილისა ვითარმედ ესრეთ იტყვის წიგნი: „და მოეხსენა ღმერთსა ნოესი და ყოველთა მხეტთა და ყოველთა საცხოვართა და ყოველთა მფრინველთა და ყოველთა ქუეწარმავალთა და რაოდენნი იყუნეს მისთანა კიდობანსა შინა და მოაწია ღმერთმან სული ქუეყანასა ზედა და მოაკლდა წყალი.“

მზრუნველობს ღმერთი საზოგადოდ რა ჰსცავს სისტემასა სოფლისასა, თვისსა მდგომარეობასა შინა, რომელსაცა შეჰქმნნა იგინი. ესე იგი არს არსებასა

თვითოეულსა უცვალეზელსა, იგივედ რა გვარსაცა შინა მოიყუანნა ყოფასა, ზეციერთაცა, ესე იგი ნაწილთა სამყაროისათა, ერთსა შინა სიმგრგულესა მყოფთა, სიმგრგულისა მათისა დასაბამითგან მტკიცედ დაცვითა. ესრეთ სახედ პლანიტთა თვისსა ზედა ღერძსა მავალთა, თვისსა ზედა მდგომარეობასა იგივედ დაცვითა, სახმარად ქუეყანისა და ზღვისა: ქუეყანასა ჰსცავს ჟამთა მიერ დღეთა, დღეთა და ღამეთა და დროთა წელიწადისაისა, ტაროსთა მიერ ჰაერსა შინა.

ხოლო მზრუნველობითი განგებაი კაცისა მიმართ რომელი აქუს ღმერთსა, უკეთილშობილეს არს სხუათაგან“ (§ 426).

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ აგრეთვე რუსთველის შემდეგი სტროფი:

„ყრმან უთხრა: მადლი ღმერთსა, შემოქმედსა არსთა მხადსა,
ვისგან ძალნი ზეცოური განაგებენ აქა ქმნადსა,
იგი იქმენ ყველაქსა, იღუმალსა, ზოგსა ცხადსა,
ხამს ყოელსა დაჯერება, ბრძენი სჯერა მოწვენადსა“.

ანტონის ხსენებულ პარაგრაფში რუსთველისეული თეოდიცეის იდეების გამოძახილის გარდა ერთი რამ იპყრობს ყურადღებას. ცნობილია, რომ ეკლესია ოფიციალურად აღიარებდა პტოლემესეულ გეოცენტრულ სისტემას, ხოლო ანტონმა, როგორც ვხედავთ, თავის კოსმოგონიაში პელიოცენტრული, კოპერნიკისეული სისტემის ელემენტები „შეაპარა“, ვინაიდან პლანეტების ღერძის გარშემო ბრუნვა და ორბიტით სვლა ახსენა. რაც სავსებით მოულოდნელი არ გახლავთ ამ საეკლესიო ოპოზიციონერისაგან*.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

* გაგრძელება შემდეგ ნომერში.

აკაკი ბაწორელი

ავგუსტინე და საქართველო

(ცნობები, დოკუმენტები, განმარტებანი)

I. პრეისტორიული საქართველო ავგუსტინეს ნაწერებში. მედეას ფენომენი

ავგუსტინეს (354—430) კოლოსალური ლიტერატურული შემოქმედება იმდენად მრავალფეროვანია, რომ მისი ყოველმხრივი გაანალიზება და შეფასება ჯერ კიდევ არ დამთავრებულა და საეჭვოა ოდესმე დამთავრდეს. შემოქმედი, რომლის უპირველესი თვისება უნივერსალიზმია, საზოგადოდ საუკუნეთა მანძილზე მთელი თაობების ფიქრისა და შესწავლის საგნად იქცევა ხოლმე. ჩვენი ნაშრომის პირველი ნაწილის გაცნობის შემდეგ ეს აზრი ქართველი მკითხველისათვისაც საესებით ნათელი გახდება.

ამჟამად, შრომის მეორე ნაწილში, ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ: პრეისტორიული საქართველოს ზოგიერთი მომენტის გამოხმაურება ავგუსტინეს ნაწერებში, ავგუსტინიზმის გამოძახილი ძველ-ქართულ მწერლობაში, ავგუსტინეს შეფასებათა მოკლე მიმოხილვა ქართული ფილოსოფიური და ლიტერატურულ-კრიტიკული მასალის მიხედვით, აღნიშვნა ავგუსტინეს ლანდის არსებობისა პეტრი იბერიელის ბიოგრაფიაში და, ბოლოს, ავგუსტინელთა ღვაწლი XVII—XVIII სს-ის საქართველოში. ეს საკითხები ჩვენში დღემდე არ ყოფილა სპეციალურად გაშუქებული.

ავგუსტინე კარგად იცნობდა კოლხეთში არგონავტების ლაშქრობის თქმულებას. თავის მთავარ ქმნილებაში „სალმართო სოფლისათვის“ („დე ცივიტატე დეი“, 413—427 წწ.) და „აღსარებებში“ („კონფესიონეს“, 401) იგი ჩამოთვლის ბერძნული მითოლოგიისა და ლეგენდების პერსონაჟებს: ტრიპტოლემეს (ტრიპტოლემოსს), კენტავრებს, კერბერს (კერბეროსს), ამფიონს, ანტეოსს, გორგონას, ოიდიპოსს, ორესტეს, პილადეს და სხვებს. მათ შორის ავგუსტინე ასახელებს ორ მითურ სახელს, რომლებიც არგონავტების თქმულების შესავლის პერსონაჟები არიან. იგი ამბობს, რომ ადამიანებმა შექმნეს „ზღაპარი“ „...ფრიქსესა და მისი დის ჰელეს შესახებ, რომლებიც ვერძზე მჯდომი მიფრინავდნენ“... („...de Phryxo et Helle ejus sorore, quod vecti ariete volaverint...“ (De civitate Dei, XVIII, 13)¹.

ავგუსტინეს ეს ფრაზა კარგად ამხელს ავტორის მიერ ბერძნული მითოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი ციკლის, არგონავტებზე თქმულების, ცოდნას. საერთოდ ავგუსტინე ჩინებული მცოდნე იყო ბერძნულ-რომაული მითოლოგიისა და პოლითეისტური რელიგიისა, კერძოდ ანტიკური ღმერთების პანთეონისა. ოდნავადაც არაა საეჭვო ისიც, რომ ავგუსტინე კოლხეთში არგონავტების ლაშქრობის შესახებ მითურ გადმოცემას სრული მოცულობით იცნობდა.

თვითონ თქმულების დასაწყისი მოკლედ ასეთია: ძველი საბერძნეთის ერთ-ერთი მხარის ბეოტიის ქ. ორქომენეში მეფობდა ქართა ღმერთის ეოლოსი ძე ათამანტი. პირველი ცოლისაგან, ღრუბელთა ქალღმერთ ნეფელესაგან, მას ჰყავდა ორი შვილი: ძე ფრიქსე (ფრიქსოსი) და ასული ჰელე. ათამანტმა უღალატა ნეფელეს და შეირთო მეფის კადმოსის ასული ინო. დედინაცვალმა შეიძულა გერები და გადაწყვიტა მათი დაღუპვა. ინომ ურჩია ორქომენელთ გაეხმოს სათესლე მარცვლეული, რის შემდეგ მათს ნაყოფიერ ველებზე ვერაფერი აღმოცენდა. ორქომენელებს შიმშილი ემუქრებოდა. მაშინ ათამანტმა გადაწყვიტა უწმინდეს დელფოსში ელჩები გაეგზავნა და ღმერთ აპოლონის მისნისაგან შეეტყუო მათი ველ-მინდვრების მოუსავლიანობის მიზეზი. ვერაგმა ინომ მოისყიდა დელფოსიდან დაბრუნებული ელჩები, რომლებმაც ათამანტს მისნის პასუხი ყალბად გადასცეს: ველები ნაყოფს მაშინ გამოიღებენ, თუ ღმერთებს შვილებს შესწირავო. ათამანტმაც გადაწყვიტა ორქომენესათვის უბედურების თავიდან ასაცილებლად თავისი საყვარელი ვაჟი და ასული ზვარაკად შეეწირა ღმერთებისათვის. როცა ყველაფერი გამზადებული იყო ფრიქსეს დასაკლავად, განოჩნდა ღმერთ ჰერმესის მიერ ნეფელესთვის ნაჩუქარი ოქროსსაწმისიანი ვერძი, რომელიც შვილების გადასარჩენად გამოეგზავნა დედას. ფრიქსე და ჰელე შესხდნენ ვერძზე და გაფრინდნენ ჩრდილოეთისაკენ (თუ აღმოსავლეთისაკენ). ზღვაზე გადაფრენისას შეშინებულმა ჰელემ თავი ვერ შეიმაგრა, ვერძიდან გადმოვარდა და წყლის ტალღებში ჩაიძირა. ზღვას ამის შემდეგ შეერქვა ჰელესპონტი ანუ „ჰელეს ზღვა“ (დღევანდელი დარდანელი). ოქროს ვერძმა, რომელზედაც უკვე მარტო ფრიქსე იჯდა, ფრენა განაგრძო და მდინარე ფასისის (ახლ. რიონი) მახლობლად, შორეულ კოლხიდაში დაეშვა, სადაც მეფობდა ღმერთ ჰელიოსის ძე აეტი, რომელმაც აღზარდა ფრიქსე. როცა ფრიქსე დავაუყადა, აეტმა მას თავისი ასული ქალკიოპე მიათხოვა, ვერძი ზევსს შესწირა, ოქროს საწმისი კი ომის ღმერთის არესის ქალაში ჩამოკიდა ხეზე და მცველად თვალმოუხუჭავი და ცეცხლისმფრქვეველი ურჩხული მიუჩინა.

ლეგენდა ფრიქსესა და ჰელეს შესახებ მთელს ძველ საბერძნეთში იყო გავრცელებული. თქმულების მიხედვით ოქროს საწმისის ისევ სამშობლოში დაბრუნებისათვის ილაშქრეს კოლხეთში არგონავტებმა თესალიელი უფლისწულის იასონის მეთაურობით, რომელმაც აეტის ასულის, მასზე შეყვარებულ „გრძნეულ“ მედეას დახმარებით შესძლო ძვირფასი ბეწვეულის წამოღება კოლხეთიდან და მედეასთან ერთად საბერძნეთში (იოლკოსში) ჩასვლა.

იასონის კოლხეთში მისვლის, მასზე მედეას გამიჯნურების და თქმულების სხვა დეტალების (და მათი ვარიანტების) მიმოხილვა საკმაოდ ცნობილია სპეციალურ ლიტერატურაში². ზემო ექსკურსი მხოლოდ ავგუსტინეს ფრაზის კომენტარია.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ავგუსტინეს „დე ცივიტატე დეი“ რუსულად ითარგმნა და დაიბეჭდა 1786 წელს. ზემოთ მოყვანილი ფრაზა ფრიქსესა და ჰელეს შესახებ რუსულად ასეა გადმოცემული: «... О фриксе и Елле его сестре, которые летали на овне», ხოლო ფრაზის კომენტარი ასეთია:

(5). О Фриксе и Елле. Брат и сестра, дети Афананта, Еолова сына, и Нефелы, которая, лишась ума, бежала в леса и пустыни. Афанант другую за себя взял жену, которая Фрикса и Еллу ненавидела; чего для всем женщинам в государстве приказала испортить жита, которое как скоро учинено, то аки бы во отвращение вреда посланы были

послы спросить о том Аполлона. Ина [так называли вторую Афамантову жену] тайно послам приказала, дабы они ответ такой привезли, что бог требует Нефелиных детей. Юнона, сожалея об оных, послала золотого овна, который бы их через море перевез. Елла, не могши на овне крепко держаться, свалилась в море, от чего оное море и названо Ел-леспонтом. Оную Нептун изнасиловал, и от того родил Пеона. Фриксе же Пропонтом и прочими местами пибыл в Колхиду. По выходе на землю овна принес Юпитеру на жертву, а руно золотое посвятил Марсу в храме, от себя построенном. Аполлоний же (იგვლისხმება პოეტი აპოლონოს როდოსელი — ა. გ.) в книге четвертой говорит, что не Марсу храм он построил, но Юпитеру бегства, Потом царствующему в Понте Эту дан был богов ответ таков, что тогда он умрет, когда чужестранцы, на корабле прибыв, похитят золотое руно. В следствие чего вознамерился он чужестранцев приносить жертву, и разпустил о том везде слух, дабы чужестранцы, убоявшись того, туда не приезжали. Притом храм оный оградил и приставил стражей, вызванных из Таврики, от коих все басни произошли. Ибо Таври по Руски волю, то и вымыслили стихотворцы, что стерегли оное руно волю; ибо стражи были сильны. А как они приближающихся убивали, то прославлены в баснях, аки бы огнем дышали. Подобно когда страж храма назывался Дракон, то стихотворцы чудных басен насаждали о Драконе змие³.

ეს კომენტარი იმ მხრივ საინტერესოა, რომ XVIII ს.-ში რუსი მკითხველი, სხვათა შორის, ავგუსტინეს თხზულებასთან დაკავშირებითაც გაცნობია არგონავტების თქმულებას, თუმცა ამ ლეგენდის შესახებ ძველ რუსულ მწერლობაში უფრო აღრეც გვხვდება ცნობები.

თქმულების რომელიმე ნაწილის გადმოცემა უკვე ნიშნავს მთლიანად ლეგენდის ცოდნას. ასე, მაგ. გოეთეც მოკლედ და ნაწილობრივ აგვიწერს „ფაუსტში“ არგონავტების ლაშქრობის მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდს. მაგ., „ფაუსტის“ მეორე ნაწილში, „კლასიკური ვალპურგიის ღამის“ ერთს მითოლოგიურ პასაჟში შეტანილია ბრძენი კენტავრის ქირონისა და ფაუსტის დიალოგი. ფაუსტი იგონებს არგონავტებს და ეკითხება ქირონს, თუ რომელს თვლის მათ შორის ყველაზე ღირსეულ და თვალსაჩინო გმირად. ისიც უპასუხებს, რომ ყველაზე გმირად იასონი მიაჩნია⁴.

არგონავტებზე თქმულების მთავარი და ყველაზე რთული პერსონაჟის, მედეას ფენომენს ანტიკური და საშუალო საუკუნეების გასაყარზე შეეხო ჭერ ავგუსტინე, მერე კი დანტე, — რენესანსის ეპოქის გარიჟრაჟის პირველი გენიალური მაცნე.

აკად. ნ. კონრადი მსოფლიო ლიტერატურის ქალთა სახეებს (ნიზამის შირინი, შექსპირის ჯულიეტა...) შორის უწინარესად მედეას მოიხსენიებს⁵. საესე-ბით გასაგებია ის ფაქტი, რომ კოლხეთის ამ ასულზე ბევრი მხატვრული ქმნილება შეიქმნა კერძოდ XVII—XVIII სს. დასავლეთ-ევროპულ ლიტერატურასა⁶ და მუსიკაში⁷. მედეაზე დაწერა დრამატული თხზულება XX ს.-ის დიდმა ესპანელმა მწერალმა მიგელ დე უნამუნომ (ჩვენი სია სრული არაა).

მაგრამ დღემდე ამ თემაზე შექმნილ დრამატულ ქმნილებათა შორის გადაულახავი მწვერვალის მნიშვნელობას ინარჩუნებს ევრიპიდეს (V ს. ძ. წ.) გენიალური ტრაგედია „მედეა“, რომელმაც დაჩრდილდა ბერძნულად და ლათინურად (სენეკა) დაწერილი პიესები აღნიშნულ თემაზე და რომელშიაც მედეა საკუთარი შვილების მკვლელობა გამოყვანილი. სპეციალურ ლიტერატურაში უკვე აღნიშნული და დასაბუთებულია, რომ ევრიპიდეს ტრაგედიამდე არგონავტებზე მითის არც ერთ მანამდელ ვერსიაში მედეა შვილების მკვლელად არ გვე-

ვლინება. ახსნილია ევრიპიდეს მიერ მედეას ბოროტ არსებად გამოხატვის მიზეზებიც⁸. იოლკოსში და კორინთოში მედეას ცხოვრების ხანას არ ეხება აპოლონიოს როდოსელის განთქმული „არგონავტიკა“, ძირითადი ლიტერატურული წყარო კოლხეთში არგონავტების ლაშქრობაზე. მიუხედავად ამისა, იყო ცდები ევრიპიდეს ტრაგედიის ფინალის ახსნისა იმ მოტივით, რომ შეიძლება ბერძენმა ტრაგიკოსმა ისარგებლა მის დროს არსებული და ჩვენამდე მოუღწეველი ერთ-ერთი ვერსიით, მაგრამ ასეთი შეხედულება ჩვენი ცოდნის დღევანდელ დონეზე გაზიარებული არაა. მეტიც: სავსებით დამაჯერებელი და უკანასკნელი სიტყვა ამ საკითხზე ეკუთვნის გამოჩენილ ამერიკელ მეცნიერს მ. გ. ჯეინსონს. იგი წერს: „ყველაზე უფრო ცნობილია ისტორია, გადმოცემული V ს. დასასრულს ტრაგიკოსი პოეტის ევრიპიდეს მიერ, რომელმაც გააცნო ათენელები ზოგიერთ პრობლემებს, რომლებიც გამომდინარეობენ ჩხუბისაგან ან, უფრო სწორად, გრძნეულ ქალთან გაყრისაგან, თანაც აღნიშნა, რომ დახშულ თემს შეუძლია გრძნეული ქალი უწოდოს რომელიც გინდა გამოსაცნობ და ბრძენ ქალს. ყოველ შემთხვევაში, ევრიპიდემ, ალბათ, პირველად აიძულა მედეა წინასწარგანზრახვით მოეკლა საკუთარი შვილები, როცა იასონმა მიატოვა იგი, და ზღაპრული გრძნეული ქალი, ყველა თავისი ხრიკითურთ, გარდაქმნა ოჯახური დრამის თვალსაჩინო მოქმედ პირად. არქაულ პერიოდში ხალხური ზღაპრის ფანტასტიკამ და შორეული ქვეყნებისა და ხალხების მიმზიდველობამ გაიმარჯვეს ძველ გმირულ თქმულებაზე. V ს-ის თეატრში იგი გადმოიღვარა უსაშინლეს ოჯახურ ტრაგედიად. ელინიზმის საუკუნეში ეგზოტიკისადმი მისწრაფებამ აღადგინა ყველაფერი ფანტასტიკური და ჯადოსნური და შეუზღუდავი რომანტიზმი განავითარა“⁹. ვფიქრობთ, ამ სიტყვებს ამჟამად არაფერი შეიძლება მიემატოს.

ჩვენი მკითხველისათვის უკვე ცნობილია, რომ ავგუსტინეს „აღსარებებს“ („Confessiones“, 397—401 წ.) ანალოგი არ მოეძებნება ანტიკურ ლიტერატურაში, როგორც გენიალური ადამიანისა და სტილისტის მიერ საკუთარი ინტიმური სულიერი ღალადისის ამსახველ დოკუმენტს და რომელმაც ეგზომ დიდი გავლენა მოახდინა ამ ჟანრის უდიდესი ნიმუშების აღმოცენებაზე. ეს გავლენა დღემდე გრძელდება (იხ. „ინტროდუქციო“ და მონოგრაფიის პირველი ნაწილი). ამ წიგნში მანიქეურ ცდომილებათა და გატაცებათა საკუთარი, ცხრაწლიანი, ისტორიის დახასიათებისას ავგუსტინე სხვათა შორის ღმერთისადმი მიმართვისას აღნიშნავს (III,6): «Vbi ergo mihi tunc eras et quam longe? et longe peregrinabar abs te, exclusus et a siliquis porcorum, quos de siliquis pascebam. quanto enim meliores grammaticorum et poetarum fabellae quam illa decipula! nam versus et carmen et Medea volans utiliores certe, quam quinque elementa, varie fucata propter quinque antra tenebrarum, quae omnino nulla sunt et occidunt credentem. nam versum et carmen etiam ad vera pulmenta transfero; volantem autem Medeam etsi cantabam, non asserebam, etsi cantari audiebam, non credebam: illa autem credidi»¹⁰.

„სად იყავ მაშინ ჩემთვის და რა სიშორეს? შენგან განშორებული დავებეტებოდი და რკოც კი არ მქონდა საკმელად, რომლითაც ღორებს ვკვებავდი. რამდენად უმჯობესია გრამატიკოსებისა და პოეტების არაკები, ვიდრე ეს მაზე. ვინაიდან გალექსილი სიმღერები მფრინავი მედეას შესახებ აშკარად უფრო სასარგებლოა, ვიდრე ამბავი ხუთი ელემენტისა, სხვადასხვანაირად რომ არიან

შეფერილნი „წყვდიადის ხუთი მღვიმისამებრ“, რომლებიც არსად არ არსებობენ, მაგრამ წარწყმედას კი უქადიან მას, ვინც ირწმუნა ისინი. ლექსებსა და სიმღერებს მე ქეშმარიტ საზრდოდ ვსახავ, და თუმცა მფრინავ მედეას კი ვკითხულობდი, მაგრამ არ ვამტკიცებდი ამ ამბის სინამდვილეს, ხოლო თუ ამნაირ სიმღერებს ვისმენდი, სარწმუნოდ არ მიმაჩნდა ისინი. ეს კი ვირწმუნე“ (ქართული თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძისა).

„აღსარებანის“ ეს პასაჟი ასახავს ავგუსტინეს სულიერი ცხოვრების იმ პერიოდს, როცა ავტორი უკვე დიდი ხნის წინ გამოეთხოვა თავის მანიქეურ და ნეობლატონისტურ გატაცებებს (ავგუსტინე ქრისტიანად მოინათლა მილანში 387 წელს, ხოლო „აღსარებანი“ დაწერილია 397—401 წწ.), რადგან ორივე აღნიშნული მოძღვრება — დუალიზტურია, და სავსებით მართალი იყო ავგუსტინეს მსოფლმხედველობის ჩინებული რუსი მკვლევარი, რომელიც წერდა: „იმიტომ კი არ გამოეთხოვა ავგუსტინე აღმოსავლურ დუალიზმს, რომ ელინურ დუალიზმში ჩაფლულიყო“¹¹. თავისი გონებრივი ძიებებისა და სულიერი კრიზისების ხანას იგი აღარებს ახალი აღთქმის გმირის, შინიდან გაქცეული და უმრწემესი, დაკარგული და ცოცხალი ქრისტის ყოფას. რომელმაც მამისაგან მიღებული ქონების წილი მეძავეებში გაფლანგა და შინ მიბრუნებამდე, მშვიერ-მწყურვალს ღორების საკვებ რკოსაც არ სთავაზობდნენ (შდრ. ლკ. 15,16: „გულით სურდა, რომ მუცელი ამოევსო რკოთი, რომლებსაც ღორები სჭამდნენ, მაგრამ არავინ აძლევდა“. იხ. „ახალი აღთქმა“, სტოკჰოლმი. ახალი ქართული თარგ., გვ. 185). აღსანიშნავია, რომ ყოფილ მანიქეველ ავგუსტინეს მედეას ცხოვრების ფანტასტიკური ფინალი უფრო მოსწონს, ვიდრე „ზღაპარი“ ხუთ ელემენტზე, ანუ „წყვდიადის ხუთ მღვიმეზე“. იგი გულისხმობს მანიქეურ მოძღვრებას სამყაროში ორი ქვეყნის — სინათლისა და წყვდიადის — არსებობასა და ურთიერთქიდილზე. ამ მოძღვრების დასაბამი ზოროასტრულ რელიგიაშია (მანიქეველთათვისაც მთავარია სიკეთისა და „სინათლის მოციქულის“ ორმუხდისა და ბოროტების ღმერთის არიმანის მარადიული ბრძოლა). ღმერთის სამეუფო შეიცავს ნათელ ეთერსა და ნათელ დედამიწას და თითოეული მათგანი ხუთი ელემენტისაგან, ანუ ეონებისაგან, შედგება, ასევე, ბოროტი არსების, ანუ „წყვდიადის თავადის“, სამეუფოც ხუთი ელემენტისაგან შედგება — პირქუში მღვიმეებისა. შხამიანი წყაროებისა, ნისლისა, ძლიერი ქარებისა და ყველაფრის ჩამოქმელი ცეცხლისაგან¹².

1. ავგუსტინე მანიქეველთა ორდენის იერარქიის დაბალ საფეხურზე იდგა (იგი ამ სექტაში auditor-ად ითვლებოდა). მიუხედავად ამისა, ავგუსტინე უდიდესი მცოდნეა ამ მოძღვრებისა (მანიქეველთა თხზულებებიდან ამონაწერებს დიდწილად ავგუსტინეს პოლემიკური ტრაქტატების მეშვეობით იცნობენ), რომლის განადგურებისათვის არავის იმდენი არ გაუკეთებია, რამდენიც მას. ქრისტიანულ სამყაროში მანიქეველობის ფართოდ გავრცელებას ავგუსტინემ დაუდო საზღვარი. ელინურ (პლოტინე, იამბლიხოსი, პორფირე...) და აღმოსავლურ (მანი) დუალიზმს ავგუსტინეს შემდეგ თვალსაჩინოდ აღარ გაუხარია საშუალო საუკუნეების დასავლეთში¹³, ისევე, როგორც ბიზანტიასა და საქართველოში. საწინააღმდეგო აზრის მტკიცება — ანტიისტორიზმია.

რომელ მხატვრულ ნაწარმოებს გულისხმობს ავგუსტინე, როცა „მფრინავი მედეას შესახებ გალექსილ სიმღერებს“ ასახელებს?

უწინარესად უნდა აღვნიშნოთ, რომ ავგუსტინეს პასაჟში თვითონ მედეაზე ცუდი არაფერია თქმული. როგორც ჩანს, ავგუსტინესათვის უცნობი იყო მითი კოლხი ასულის მიერ საკუთარი შვილების დახოცვაზე, მითი, რომელიც ევრიპიდეს ტრაგედიის შემდეგ გავრცელდა. ხომ ცნობილია, რომ იასონისა და მედეას იოლკოსიდან გაქცევისა და კორინთოში მათი ჩასვლის და იქ მომხდარი ამბების წესახებ არსებულ ვერსიას ევრიპიდეს პიესის მიხედვით გადმოსცემენ (მაგ. ნ. კუნი)¹⁴. თვითონ ლეგენდა კორინთოდან ათენში მედეას ჰაეროვანი ეტლით გაფრენის შესახებ მომდინარეობს ევრიპიდედან. რომლის ტრაგედიის ფინალში მედეა იასონს მუქარაზე მიუგებს:

*Toinnd'ochēma patros hēlios paler
Didōsin hēmin, erura polemias cheros.*

ეს ეტლი მომცა მამის მამამ ქელიოსმა მტრებისაგან
თავდასაცავად!¹⁵

ავგუსტინე ბერძნულს ზედმიწევნით არ ფლობდა და საეჭვოა (ყოველშემთხვევაში — ასე ჩანს მისი ნაწერების მიხედვით), რომ მას ევრიპიდეს დრამატული თხზულებანი, კერძოდ, „მედეა“ ორიგინალში წაეკითხოს, ამ ტრაგედიის ლათინური თარგმანი კი არ არსებობდა. მაგრამ ძალიან საფიქრებელია, რომ ავგუსტინეს წაკითხული ჰქონდა სენეკას „მედეა“, რომელიც სიუჟეტურად პირდაპირ იმეორებს ევრიპიდეს პიესას, ხოლო მთავარ პერსონაჟს ძალზე მუქ ფერებით ხატავს, სტოიციისტი სენეკა ავგუსტინეს ერთ-ერთი უსაყვარლესი ავტორი იყო ციცერონთან ერთად რომელ მწერალთაგან („დე ცივიტატე დეიში“ ავტორი მთელ რიგ პარაგრაფებს უძღვნის მას), მაგრამ მაშინ საკითხავია: რატომ მკაცრად არ კიცხავს ავგუსტინე. ეთიკის საკითხებში ეგზომ სასტიკი მსჯავრმდებელი, საკუთარი შვილების მკვლელ დედას, თუ მედეაზე ინფორმაცია მან სენეკას მიხედვით (ე. ი. არა უშუალოდ) მიიღო?

ამრიგად, „მფრინავ მედეას შესახებ გალექსილ სიმღერაში“ რომელ ავტორს (ან ავტორებს) გულისხმობს ავგუსტინე — ჯერჯერობით ჩვენთვის არაა გამორკვეული; მის შესახებ სპეციალური ლიტერატურის ხანგრძლივი შესწავლის დროს ჩვენ ეს საკითხი ვერ დავაზუსტებთ.

ავგუსტინე თავის სიკაბუჯის წლებში გატაცებული იყო თეატრით. მშობლიურ ქალაქიდან, თავასტადან (ხუმიდია, ჩრდ. აფრიკა, ახლანდელი სუკ-არასი) მეზობელ ქალაქ მადავრში გადასვლა რიტორიკაში სწავლის გასაგრძელებლად 365—366 წლებში აღინიშნა იქაური თეატრის¹⁶ სპექტაკლებზე დასწრებითაც. თუმცა კერძოდ „მედეასთან“ დაკავშირებით ამაზე მის „აღსარებებში“ არაფერია თქმული. ასევე, შეუძლებელია ავგუსტინე კართაგენის თეატრშიაც ხშირად არ ყოფილიყო 370—373 წლებში¹⁷. „დე ცივიტატე დეი“ აღსავსეა „თეატრალურ სანახაობათა“ შესახებ ვრცელი მსჯელობებით, რაც ერთგვარად მიუთითებს წარმართობის პერიოდში რომის თეატრით ავგუსტინეს გატაცებაზე (383—386 წწ. მას ეკავა პროფესურა რომსა და მილანში). პიპონში კი, მისი ეპისკოპოსობის წლებში (395—430), ამ ქალაქის თეატრალურ სანახაობებს ავგუსტინე არ დაესწრებოდა¹⁸. მაგრამ ხომ არაა სავარაუდო, რომ მადავრის, კართაგენის და

რომის თეატრების რეპერტუარში ევრიპიდესა და სენეკას ტრაგედიებიც იდგმებოდა? ელინისტურ აღმოსავლეთში, რომელიც შემდეგ რომის იმპერიაში მოექცა, კერძოდ ბერძენი და რომაელი ტრაგიკოსების პიესებიც იდგმებოდა (ე. ი. ფართო მოსახლეობისათვის გაუგებარ ენაზე). მაგრამ ჩვენთვის უცნობია, მიაღწია თუ არა ელინისტურმა ტრადიციებმა რომაულ აფრიკაში ა. წ. IV—V ს-ში. მაინც, მედეაზე ინფორმაციის ერთ-ერთი წყარო ასეთი სპექტაკლებიც უნდა ყოფილიყო ავგუსტინესათვის მითურ თქმულებებთან ერთად. ჩვენი მოსაზრება მარტოოდენ მიახლოებითი ვარაუდია და შემდგომ დაზუსტებას მოითხოვს.

ავგუსტინეს ბევრი ცრემლი დაუღვრია თავისი საყვარელი პოეტის ვერგილიუსის (70—19 ძ. წ.) პოემის „ენეიდას“ — იმ პასაჟების კითხვისას, რომელიც კართაგენის ქერივი დედოფლის დიდონას მიერ მოღალატე ტროელი გმირის ენეასთან გამოთხოვებისა, მოთქმისა და თვითდაწვის ეპიზოდებს ეხება (სიმღერა IV). ცნობილია, რომ „ენეიდას“ ეს ნაწილი დაწერილია აპოლონიოს როდოსელის (295—215 ძ. წ.) პოემის „არგონავტიკის“ მესამე წიგნის ზეგავლენით¹⁹, სადაც ბრწყინვალეაა გადმოცემული მედეაში სიყვარულის გრძნობის აღმოცენება და ამის გამო ტანჯვა.

„აღსარებებში“ ქრისტიანი ავტორი უკვე პირდაპირ აღარაფერს წერს მედეასადმი თანაგრძნობის გამო, როგორც ამას სჩადის წმინდა ავგუსტინეს თავისი მკვლევარი დანტე „ღვთაებრივ კომედიაში“. მაგრამ ის კი აბსოლუტურად უეჭველია, რომ მგრძნობიარე და ახალგაზრდა ავგუსტინეს ისევე ღრმად უნდა განეცადა მედეას ტანჯვები, როგორც იმავე პერიოდში განიცდიდა ვერგილიუსის დიდონას ბედს. აკი მედეას ფენომენთან დაკავშირებით იგი იძულებულია განაცხადოს: „ლექსებსა და სიმღერებს მე ჭეშმარიტ საზრდოდ ვთვლიო!“ (ამასთან ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ „აღსარებანი“ დაწერილია წარმართულ კულტურასთან ავგუსტინეს გამოთხოვების შემდეგ).

Confessione-ში ავგუსტინე თვითონაა ორი სამყაროს გასაყარზე მდგომი ერთ-ერთი უდიდესი პოეტი, რომელიც კი ჩვენს პლანეტაზე დაბადებულა. მიტომაც ავგუსტინესეული მოკლე და შთამაგონებელი ტრანსლაცია მედეას სახისა მომდევნო საუკუნეების მისამართით უაღრესად შთამბეჭდავი ფაქტია.

ავგუსტინეს ოქროს კალამმა რამდენჯერმე დაწერა მედეას სახელი მსოფლიო ლიტერატურის უდიდესი ქმნილებების ფურცლებზე. მაგრამ ავგუსტინე მარტო თავის „აღსარებებში“ როდი მსჯელობს მედეას, კერძოდ, ამ ლეგენდარული პერსონაჟის კორინთოდან ფანტასტიკური, გველშებმული ეტლით გაფრენის შესახებ. ეს მითური, არსებითად ევრიპიდედან მომდინარე, ვერსია კოლხი ქალის თავგადასავლის ერთ-ერთი ეპიზოდისა ავგუსტინემ გამოიყენა უფრო ადრეც, განთქმულ ფსიქოლოგიურ ტრაქტატში „თავისთავთან საუბარი“ („სოლილოქუია“, 2 წ., 386—7 წწ.). ამ თხზულებაში ავტორი თავისთავს განაწყობს ღმერთისა და სულის შესაცნობად, იგი გადმოსცემს საუბარს თავის შინაგან ხმასთან ანუ გონებასთან, რომელსაც დიალოგში აღნიშნავს სიტყვის პირველი ასოთი „გ“, ხოლო თავის სახელს ინიციალით „ა“ (—ავგუსტინე). ავტორს გადაუწყვეტია დაადგინოს ადამიანში ჭეშმარიტების, როგორც საღმრთო მადლის, არსებობა და ერთმანეთისაგან განასხვავოს ჭეშმარიტი, ყალბი და ტყუილი.

ყოველივე ეს ავგუსტინეს სპირდება ღმერთის შინაგან ჰერეტამდე ამალღებ-სათვის²⁰.

ავგუსტინეს საერთოდ ღრმად სწამს ჰეშმარიტების ჰვეყნად რეალური არ-სებობა, რომელიც, მისი შეხედულებით, შინაგანი ხედვით (ე. ი. გონებით, ra-tio) და ღმერთის დახმარებით მიიღწევა. ამიტომ ილაშქრებს იგი სკეპტიციზმის წინააღმდეგ ნაწარმოებში „აკადემიკოსების წინააღმდეგ“ („კონტრა აკადემიკოს“, 3 წიგნი, 386 წ.)²¹. „თავისთავთან საუბარში“ დასმულ და განხილულ საკითხს კი იგი დამატებით უბრუნდება საშინაო ჩანაწერებში, რომლის სახელწოდებაა „სულის უკვდავების შესახებ“ (1 წიგნად, 387 წ.)²².

რადგან „სოლილოქუიას“ ლათინური ტექსტისათვის თბილისში ხელი ვერ მიგვიწვდა (ჩვენთვის საჭირო ადგილი გამოცდილი მთარგმნელის დახმარებით რომ მიგვეწოდებინა მკითხველისათვის) ჯერჯერობით აქ სრულად მოგვაქვს მისი რუსული თარგმანი (თარგმნის თარგმნა კი უხერხულად მივიჩნიეთ.

«P[азум]. Называется ли что либо истинною кроме того, в силу чего является истинным то, что истинно? А [вгустин]. Нет. Р. Справедливо ли называется истинным только то что не есть ложно? А. Сомневаться в этом было бы безумием. Р. Не есть ли ложное то, что подделано под вид чего либо, и однакоже не есть то, на что является похожим? А. Действительно, я не знаю ничего другого такого, что охотнее всего назвал бы ложным. Но обыкновенно ложным называется и такое, что весьма далеко от сходства с истинным. Р. Кто это отрицает? Но все же оно представляет собою хоть не большое подражание истинному. А. Каким образом? Ведь, когда рассказывается, что охотнее всего назвал бы ложным. Но обыкновенно ложным называется и такое, что весьма далеко от сходства с истинным. Р. Кто это отрицает? Но все же оно представляет собою хоть не большое подражание истинному. А. Каким образом? Ведь, когда рассказывается, что Медее летала на крылатых змеях, рассказ этот не представляет собою подражания истинному; потому что то, что не существует, не может быть и предметом подражания для чего либо, что также быть и предметом подражания для чего либо, что также не существует. Р. Ты правильно говоришь; но забываешь, что то, что не существует вовсе, не может быть названо и ложным. Ведь если оно ложное, то оно существует, а если оно не существует, то оно не есть и ложное. А. Неужели этот невообразимо-чудовищный рассказ о Медее мы не назовем ложным? Р. Не назовем; ведь если бы он был ложным, разве он был бы чудовищным? А. Выходит что-то странное; неужели, когда мне скажут:

Змей огромный крылатых запряженных в ярмо*.

Я не назову это ложным? Р. Назовешь конечно: потому что здесь есть нечто, что можешь назвать ложным. А. Скажи, что такое? Р. Разумеется та мысль, которая высказывается самим стихом. А. Но какое же в ней заключается подражание истинному? Р. Она высказывается так, как бы Медее в самом деле это делала. Ложная мысль подражает истинным мыслям самым выражением своим. Будучи невероятною, она тем только подражает истинным мыслям; что так высказывается, и есть только ложная, но не лживая. если бы она рассчитывала на веру, оно подражала бы несомненно истинному. А. Теперь я понимаю, что есть большое различие между тем, что мы говорим и теми предметами, о которых что либо говорим, и соглашаюсь уже с тобою: потому что меня останавливало только это одно, именно, что то, что мы называем ложным, мы только тогда правильно называем ложным, когда оно представляет собою некоторое подражание истине»²³.

* Стих приводимый Цицероном, de Luvent, I, 19.

„Soliloquia“-ს მთელი ეს პასაჟი (რომელშიაც ერთ-ერთი ღრმა გნოსეოლოგიური და ფსიქოლოგიური საკითხია დასმული და მას აქ არ განვიხილავთ) აშკარად მიუთითებს იმ დიდ ინტერესზე, რასაც ავგუსტინე ახალგაზრდობიდანვე იჩენდა მედეას ფენომენისადმი. თუ მედეას ეტლით გაფრენის ეპიზოდი მას სი-ც რ უ ე დ მიაჩნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ავგუსტინე ოდესღაც (სახელდობრ თეატრითა და საერო პოეზიით გატაცების პერიოდში) მთელი არსებით არ იყო შეძრული მედეას ტრაგიკული ბედის შესახებ თხრობით. როგორც აღვნიშნეთ, ოდნავადაც არაა საეჭვო, რომ უაღრესად მგრძნობიარე ავგუსტინეს ისევე დაუღვრია ყოველივე ამის გამო ცრემლები, როგორც ვერგილიუსის „ენეიდას“ IV წიგნში მოთხრობილ დიდონას ცხოვრების ტრაგიკული ფინალის ამსახველი ტაეპების კითხვის წუთებში. მეტიც: მანიქეველთა მოძღვრების სიყალბესა და ქეშმარიტების ამქვეყნად ობიექტურად არსებობის საკითხებზე მსჯელობისას მას მუდამ თვალწინ უდგას კოლხი ქალის სახე, რასაც ვერ ვიტყვით ავგუსტინეს მხრივ სხვა ლიტერატურული სახისადმი ანალოგიური ინტერესის შესახებ მის დანარჩენ, უაღრესად ინტიმური ტონალობის მქონე, თხზულებებში.

II. ავგუსტინე და ავგუსტინიზმი ქართულ ლიტერატურაში

ავგუსტინიზმის ექო ძველ ქართულ მწერლობაში ბიზანტიურ-ბერძნული თეოლოგიური ლიტერატურიდან თარგმნილ ცალკეულ ნიმუშებსა თუ ფრაგმენტებში ისმის, უმთავრესად სასულიერო მწერლობის იმ დარგში. რომელიც „პოლემიკის“ სახელწოდებითაა ცნობილი (კ. კეკელიძე). აქა-იქ გვხვდება ლათინური პატრისტიკის დიდი წარმომადგენლის აზრების შემცველი მითითებანიც ცალკე ამონაწერების ან მთელი აბზაცების სახით. ქვემოთ მოკლედ მოვიხილავთ უკვე ცნობილ მასალას. ექსკურსი სრული არაა და მომავალში, როცა ქართულად თარგმნილი თეოლოგიური ძეგლები მთლიანად გამოიცემა, დარწმუნებული ვართ, მიმოხილვა და ანალიზიც უფრო სრული აღმოჩნდება. ეს კი, ვფიქრობთ, არცთუ შორეული მომავლის საქმეა.

ქართული სასულიერო პოლემიკის დარგში ავგუსტინეს ზოგიერთი მოძღვრების. კერძოდ ადამიანის თავისუფალი ნების შესახებ ჩვენამდე მოუღწევია ერთ თხზულებას, რომლის გამო კ. კეკელიძე წერს: „ავგუსტინიზმი. ჩვენს ძველ მწერლობაში შენახულა ერთი ვრცელი ტრაქტატი, რომელიც იოანე ოქროპირს მიეწერება და რომელსაც ეწოდება „თქუნილი ბადებულისათვის და წინამთვე განჩინებულისა კაცისა ზედა ღმრთისა მიერ კეთილისა და ბოროტისა ვითარმედ არარაჲ არს“. ეს თხზულება, რომელიც გამოცემულია პროფ. ივ. ჯავახიშვილის მიერ (მითითებულია: „ხრისტიანსკი ვოსტოკ“, II, 276—280—ა. გ.). გადმოთარგმნილია ბერძნულიდან მეათე საუკუნეზე გაცილებით ადრე და შეიცავს ტრაქტატს ნების თავისუფლების შესახებ, რასაც უარყოფდა ნეტარი ავგუსტინე; მას მიზნად აქვს დაამტკიცოს, რომ არ არსებობს წინასწარგანჩინება ღვთისა, რომლის ძალით ადამიანი ან კეთილი უნდა იყოს ან ბოროტი. თემა მეტად სერიოზულია, და მის შესახებ გაცხარებით კამათობდნენ ეგრეთ წოდებულ ორიგენისტთა და პელაგიანისტთა მწერლობაში. იოანე ოქროპირის თხზულებათა შორის ბერძნულ ენაზე ასეთი თხზულება ცნობილი არაა“²⁴.

ადამიანის ნების ღვთისგან დამოკიდებულების საკითხს ავგუსტინე საგანგებოდ ეხება უმთავრესად ორ თხზულებაში „თავისუფალი ნების შესახებ“ („დე ლიბერო არბიტრიო“, 388; 394—5) და „მადლისა და თავისუფალი ნების შესახებ“ („დე გრატია ეტ ლიბერო არბიტრიო“, 425 წ.). ამ საკითხს ვარჩევთ მონოგრაფიის პირველ ნაწილში ავგუსტინეს ეთიკურ მოძღვრებასთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, ავგუსტინე იცავდა უზენაესიდან მომდინარე დეტერმინიზმს ადამიანის მიერ კეთილის არჩევანის დროსაც, რაც აღმოსავლურ (მართლმადიდებლურ) ეკლესიას არ გაუზიარებია. ძეგლი, რომელზედაც კ. კეკელიძე წერს, მართლაც მიეწერება იოანე ოქროპირს, რაც შეცდომაა.

მოხსენებული ანტიავგუსტინური, პოლემიკური თხზულება ბერძნულიდან არის თარგმნილი. ქართული ტექსტი პირველად გამოაქვეყნა ივანე ჯავახიშვილმა 1914 წელს ჟურნალ „ხრისტიანსკი ვოსტოკში“²⁵. ტექსტს წინ უძღვის გამომცემლის მოკლე წინასიტყვაობა (გვ. 275—276). როცა მკითხველმა უკვე იცის ავგუსტინეს მოძღვრება ადამიანის ნების თავისუფლების შესახებ, ამ უკანასკნელის ღმრთისაგან დამოკიდებულებაზე და ასე თუ ისე ერკვევა ძველ ქართულში, იგი შედარებით ადვილად გაიგებს ტრაქტატის შინაარსს. „ხრისტიანსკი ვოსტოკში“ დაბეჭდილი ტექსტი ჩვენი თხოვნით გადმოწერა, ქარაგმების გახსნით, მანანა გიგინეიშვილმა. აი ისიც:

„თქმული წმიდისა იოანე ოქროპირისაჲ ბადებულისათჳს და წინამთჳე განჩინებულისა კაცსა ზედა ღმრთის მიერ კეთილისა და ბოროტისა, ვითარმედ—არა რაჲ.

მზავალნი კაცთაგანნი იტყუან, ვითარმედ წერილ არს კაცსა ზედა წინამთჳე განჩინებული ღმრთისაგან კეთილი და ბოროტი და თჳთ ვერას შემძლებელ არს საქმედ თჳნიერ, რომელი ღმერთმან უბრძანოსო პირველითგანვე და განაჩინოს, და ესრჳთ ჰგმობენ და აგინებენ ღმერთსა უმეტრებით და უგუნურად.

რამეთუ ღმერთმან დაჰბადა კაცი კეთილად და კელჴწიფუ ყო იგი თავსა თჳსსა ზედა და უჩუენა გზაჲ ცხოვრებისაჲ და გზაჲ წარწყმედლისაჲ, ვითარცა თქუა ღმერთმან წიგნსა შინა: „უკუეთუ ისმინოთ ჩემი, კეთილსა ქუეყანას შჴამდეთ“. იხილე, ვითარ თქუა ღმერთმა, ვითარმედ: „უკუეთუ ისმინოთ ჩემი“. არა განუჩინა კაცსა საქმედ კეთილისა.

და უკუეთუმცა ღმრთისაგან განჩინებულ იყო კეთილისა საქმჴ კაცსა ზედა, რაჲ უკუემცა მადლი აქუნდა მას კეთილისა საქმისათჳს? არა რაჲ. არამედ კაცი აუფლა და თავით თჳსით იქმს კეთილსა და ბოროტსა, არათუ განჩინებოთა ღმრთისაჲთა და არცა დაუწერიეს კაცსა ზედა, რაჲთამცა ჴმნა ბოროტი. ნუ იყოფინ!

აჲ უკუეთუ ეგრჳთ არს, თქმულისა მათისაებრ, ღმერთი უკუე უსამართლოდ სტანჯავს მონასა თჳსსა მისთვის, რომელი-იგი მან უბრძანა საქმედ და დაწერა მის ზედა. არა განუჩინებეს ღმერთსა ბოროტისა საქმჴ და არცა დაუწერიეს, არამედ უკელჴწიფებეს კაცი თავსა თჳსსა ზედა ყოფად კეთილისა და, თუ ენებოს, — ბოროტისა.

აჲ უკუე ნუ ვინ ჰგონებნ, ვითარმედ ღმერთსა კაცისათჳს უნებს ბოროტი. უკეთუ ჴმნეს კაცმან კეთილი, ღმრთისა მიერ იქს, და უკეთუ ჴმნეს ბოროტი, ეშჴაკისა მიერ იქმს და თავით თჳსით, რამეთუ ორე ინებოს კაცმან საქმჴ კეთილისა, ღმერთი შეეწევის მას ზედა და უკუეთუ ინებოს ბოროტისა, ეშჴაკი შეეწევის მას ზედა. ამისათჳს შემძლებელ არის კაცი თავით თჳსით შესლვად სასუფეველად და ჴოჯობეთა [დ].

და უკუეთუ ინებოს კაცმან სლვად გზასა ცხოვრებისა, უწყებულ არს მისა, რამეთუ სიყუარული არს, და გლახკეთა მოწყალებაჲ, და მარხვაჲ, და ლოცვაჲ, და სიწმიდჴ, და სიმდაბლჴ. რამეთუ უკუეთუ ყოველი კეთილი ჴმნეს კაცმან და მას ზედა აღუუენა და ამჴართავან იქმნა, არა შეიწირავს ღმერთი კეთილსა საქმესა მისსა, რომელი ჴმნა, რამეთუ ამჴართავანებაჲ არს თავი ყოვლისა ცოდვისაჲ.

და რომელსა ენებოს სლვად გზასა წარსაწყმედელისასა, რომელ არს ძჳრის-ქსენებაჲ და მანკიერებაჲ, რომელ არს კერპთმსახურებაჲ და რისხვაჲ, დასმენაჲ მოყუასისაჲ და ზაჴუვაჲ.

რომელნიმე კაცთაგანნი იტყუან, ვითარმედ: „გუნებაეს კეთილისა საქმჴ და სათნობაჲ, რაჲთა შევიდეთ სამოთხედ, და ვერ შეუძლეთ“. მ კაცი, ვითარ-უკუე სხუანი შემძლებელ არიან საქმედ კეთილისა და შენ ვერ შემძლებელ ხარ! რამეთუ ყოველმან კაცმან, რომელმან გულს

იდგინოს კეთილისა საქმე, ღმერთი მოატყუებს მას. და ყოველმან რომელმან გულს იდგინოს საქმე ბოროტისაჲ, ეშმაკი შესწევს მას.

მრავალნი კაცთაგანნი აჩუენებეს (sic) სახიერებასა და ღმერთსა არა სთნავს საქმე მათი და სხუანი ეჩუენებიან კაცთა სულელად და საქმენი მათნი სათნო არიან ღმერთისა და მრავალნი იყუნეს პირველად ძვრის-მოქმედ ღმერთა მათთა და უკანაჲსკნელი მათი იქმნა კეთილ და წმიდა და ღმერთი დაჭერებულ იქმნა მათგან.

რამეთუ მეძავი იგი პირველად იყო იგი ეშმაკისაჲ და უკუნაჲსკნელ იქმნა იგი ღმერთისად, და სოლომონ პირველად იყო ღმერთისაჲ და შემდგომად—ეშმაკისაჲ, და იუდა პირველად ღმერთისაჲ იყო და უკუნაჲსკნელ იქმნა ეშმაკისად.

ამისთვის, მძანო ჩემნო, არა ვთქუათ კაცისათვის ნეტარებაჲ ვიდრე სიყუდილადმდე და არა უღებ ვიქმნეთ სულთა ჩუენთა ცხოვრებისათვის, ვიდრე განსლუადმდე ჩუენდა ამირ სოფლით, რამეთუ პრეტუა ღმერთმან ეზეციელ წინაწარმეტყუელსა, ვითარმედ: „რომელსა ზედა ეპოო კაცი ღმრისა განსლვისა მისისასა ამირ სოფლით, მითუა განეიყიბო კეთილსა გინა ბოროტსა“.

რამეთუ მრავალნი კაცთაგანნი იხმნიან ქმასა მფრინველთასა. ვაჲ არს მშმნელთა, რამეთუ არნ ოდესმე პირუტყვ შუენიერი იხილის ეშმაკმან გინა ხენი, დასცის მას თუალი კაცისაჲ და მოკუდის და თქუან, ვითარმედ: „მან კაცმან თუალითა მოკლა იგი. რამეთუ ბოროტი იგი ეშმაკისა მიერ არნ და ყუნის კაცნი მიზეზად თუალსა კაცისასა“.

და ოდეს იხილის ეშმაკმან კაცნი მშმნელად და მგმობარად ღმერთისა, მაშინ დააჭერის მათ და ათქუშის ესევითარი და მსგავსი ამისი მრავალი. ღმერთმან, რომლისაჲ დიდებულ არს სახელი მისი, შექმნა კელითა თვისითა კაცი ხატად და მსგავსად თვისა, ვითარმეა უკუეთუ ბოროტად შექმნა იგი, ანუ ვითარ იყოს ესე გმობაჲ დამბადებელისა ზედა, რამეთუ იტყუან ვინმე, ვითარმედ ბოროტად დაჰბადო. ნუ იყოფინ ესე ღმერთისა!

რამეთუ ესე თქუა ღმერთმან დაბადებასა შინა, ვითარმედ: „ყოველი, რომელი დაჰბადა ღმერთმან,—კეთილად ფრიად. და უკუეთუ სთქუა, ვითარმედ: „ეშმაკი ვითარ ბოროტ არს“, გრქუათ შენ, ვითარმედ: „ღმერთმან ესეკა კეთილადვე დაჰბადა და ამპარტაენებთა თვისითა იქმნა იგი ბოროტ, რაჟამს-იგი განლაღნა დამბადებელსა თვისსა ზედა. ხოლო იყო იგი ვითარცა მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზნი და ნეტესით თვისით იქმნა იგი ბოროტ ეშმაკ“.

არა გიხილავს კაცი, რომელმან იხილის მდინარე მძაფრი და ძლიერი და ჰნებავენ მას წიაღსლუაჲ ამპარტაენებით და სილალით და ვერ შეუძლის და მოიშთვის იგი მას შინა? ნუუკუე სისხლი მისი კელთაგანვე მისთა იძიოსა დამბადებელმან?

გინათუ, რომელმან იხილოს მკეცა ბოროტი და ზუაობით ზედა მიუტდეს მას მოკლედ და იგი ძლეულ იქმნეს და შეკმულ მის მიერ. ნუუკუე სისხლი მისი არა კელთა მისთაგან იძიოსა ღმერთმან, ჰე, ჰეშმარიტად რამეთუ იძიოს?

ნუ ემსგავსებით ამათ, მძანო ჩემნო, და ნუ აღზუავნებით სილალით, რამეთუ სილალე და ამპარტაენებაჲ ეშმაკისაგან არს და არა ღმერთისაგან. უკუეთუ შეიპყრას კაცი მკეცმან უმეტრებით, გინა წარიღოს ღმერთმან თნიერ ცნობისა მისისა, მწკდობაჲ აქუს მას ღმერთისაგან.

და არა ევენს მათ, ვითარცა პირველთა მათ, ნუ იყოფინ! და უკუეთუ მოკლა კაცმან მოყუასი თვისი, ვერ შემძლებელ არს, ნუ იყოფინ, ესე საქმე ეშმაკისაგან არს და მან შემძლებელ-ყო იგი, ვინამთგან კაცმან იუფლა იგი თავსა თვისსა ზედა.

და არნ ოდესმე განსაცდელსა და ენებასა კორციელსა და სენსა ბოროტსა შევარდის კაცი ღმერთისა მიერ გამოსაცდელად მისა უმჯობესისა მისისათვის და სწავლისა. ხოლო რომელნი მორჩილ ექმნენ ეშმაკსა და ქმნენ ბოროტი, ღმერთმან მიაგოს მათ მისაგებელი სატანჯველი, იგი ჟოჯოხეთისაჲ.

და ნეტარ არიან, რომელნი უძლურ იქმნენ კორციითა და სულგრძელებით დაუთმონ სენსა მას მაღლობითა ღმერთისაჲთა და [შეიწყნარებენ], რამეთუ მის მიერ ყოველნი შეცოდებანი მისნი მიეტევნენ უფლისა მიერ მისისა. დაუთმეთ, საყუარელნო, სულგრძელებით, ნუ წარხუალთ უძლურებისათვის კითხვად და კურნებად გრძნელთა და მისანთა, არამედ მაღლობით შეიწყნარეთ ყოველი განსაცდელი მოძავალი, ვითარცა იობ მართალმან ღმერთისათვის შეიწყნარა ყოველნი ქირნი და დაქსნაჲ გუამისა მისისაჲ. არა მივიდა იგი კითხვად და კურნებად მისანთა და გრძნელთა და არცა შემლოცველთა და არცა წიგნის მწერალთა, რომელი-იგი ყელსა გამოაბიან.

რამეთუ ესე ყოველი ეშმაკისა ღონე არს კაცთა საცთურისათვის, რამეთუ რაჟამს კაცი დასნეულდეს, მისწრაფინ მისანთასა.

ვაჲ არს მათა, რომელნი შელოცვით კურნებასა ეძიებენ და წიგნის წერით — სიცოცხლესა, რომელი არა ბრძანა ღმერთმან საქმედ, არამედ განშორებად მისგან ჭერ-არს ჩუენდა, რაჲ ოდეს უძლურებაჲ და განსაცდელი შეგუბთხვოს.

რამათა ღმრთისა დამბადებელისა ჩუენისა მხეილტოდით და იგი მხოლოდ შემწე ვიყოთ და ვოლოცვიდეთ ეკლესიათა შინა მისთა და მეოხ ვიყოფდეთ წმიდათა მოწამეთა ტაძართა შინა მათთა სრულითა სარწმუნოებითა და ღმერთი არს მეურნალი ჩუენი.

უკუეთუ ინებოს, განჯუკურნეს, და, თუ ინებოს, დამიტევნეს უძლურებასავე შინა, რომელი მომცა ჩუენ უმჯობესისა ჩუენისათეს, ვითარცა მან უწყის. ჰმადლობდი ღმერთსა, რომელსა ჰნებავს განწმედად შენი ცოდუათაგან უძლურობითა მაგით შენითა.

რამეთუ რომელნი სენითა კორცთაჲთა გუემნის ღმერთმან, იგინი უყუარან მას, ვითარცა სობრძნესა სოლომონისა წერილ არს და ვითარცა თქუა მოციქულმან პავლე: „მსწავლის (sic) ჩუენ ღმერთი აქა, რამათა არა ვისწავლნეთ დღესა მას აღდგომისასა. გამოაჩინა აქა მოციქულმან და თქუა, რამეთუ რომელი განისწავლა ღმრთის მიერ განსაცდელითა აქა, არა იტანჯოს იგი საუკუნესა.

არა არს ზაკუეაჲ ღმრთისა თანა და არც ვის ტანჯეთ კუალად სატანჯველად მისცვალებს, რომელნი ჰმადლობენ მას, არამედ მცირედითა ამით უძლურებითა, რომლითა აქა ვიტანჯნეთ, შეგვნდობს და მოგვსპობს ჩუენ სატანჯველთა მათ საუკუნეთა.

ხოლო რომელნი მოკუდენ და არა შეეშთხვოს განსაცდელი აქა, მათვს იტყვს წიგნი: „ბოროტ არს სიკუდილი ცოდელითაჲ, არა არს ვითარცა სიკუდილი უძლურთაჲ, ვითარცა თქუა ღმერთმან ლაზარსათეს გლაზიასა და მდიდრისა მისთეს, ვითარმედ: „მიგილებიეს შენ კეთილი შენი საწუთროსა და მიიღი აქა სატანჯველი საუკუნოჲ კეთილთა მათ წილ“. და ლაზარე სიგლაზიასა და უძლურებისა მისისათეს შთაისუა წიაღთა აბრაჰამისთა და სუფევს იგი საუკუნოთა შინა კეთილთა უკუნისამდე.

და რომელნი უძლურ იქმნენ აქა კორცითა მცირედ და ჰმადლობდენ, საუკუნეთა მათ განსასუენებელთა ღირს იქმნენ.

და აქა განსუენებულნი და ნუკეულნი საქმლითა და სასუმლითა და ნებითა კორცთაჲთა საწუთროსა მცირედ ჟამ მივიდენ მერმესა მას საუკუნესა შიშვილსა, და წყურვილსა, და ბნელსა მას, და ტირილსა, და სატანჯველთა დაუღვენელთა, ვითარცა -იგი თქუა ღმერთმან ჩუენმან მან იესუ ქრისტემან, ვითარმედ გზაჲ იგი ცხორებად მიძყვანებელი იწრო და საჭირველ არს.

ხოლო გზაჲ იგი, რომელსა მიჰყავს წარსაწყმედელად, ვრცელ და ფართო არს იგი. აწ ვევედრნეთ უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა, რამათა შემრაცხნეს ჩუენ სახიერთა მათ მონათა თვსთა თანა, რომელნი განსწავნა განსაცდელითა საწუთროსა ამას და სუფევასა მას საუკუნესა ღირს ყვნა და რამათა მოგუმადლოს ჩუენ საქმედ ნებაჲ მისი და სათნოებაჲ.

რამეთუ მისიარს მეუღებაჲ, და კელმწიფებაჲ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ“²⁸.

ივ. ჯავახიშვილი ამ ძეგლის წინასიტყვაობაში წერდა:

«В пергаментной рукописи Синайского монастыря X века № 36, а по каталогу А. А. Цагарели № 84 имеется «Слово св. Иоанна Златоуста о том, что не существует никакого врожденного и предопределенного Богом человеку добра и зла» в древне-грузинском переводе. Скоро исполнится 12 лет, как я в бытность на Синае списал это интересное слово; как по содержанию своему и теме, так и по классическому языку перевода оно привлекло мое внимание: вопрос о врожденных в человеке качествах добрых и дурных интересовал меня с точки зрения мирозерцания древнегрузинских историков» (გვ. 275).

რამდენადაც ზოგ მათგანთან ეს თემა განხილულია, აუცილებელი იყო ცოდნა, რა შეხედულებანი იყო ამ მხრივ გავრცელებული ძველ საქართველოში პატრისტიკული ლიტერატურიდანო,—განაგრძობს ივ. ჯავახიშვილი და დასძენს:

«Я пытался отыскать оригинал в греческой патристической литературе, но пока безрезультатно: хотя мысль, изложенная в грузинском переводе слова, обычна для Иоанна Златоуста и можно указать на такие слова, как «Malum causa non est Deus». t. IX, 181; «Mala et bona et voluntate et ab initio sunt» t. IX, 541; «Mala cum permittit Deus». t. VII, 692,—но они не могут быть признаны оригиналами для грузинского перевода. Весьма возможно, что он представляет собою часть какой-нибудь гомилии из обширного экзегетического труда Иоанна Златоуста». (გვ. 275)

ჩუენი დიდი მეცნიერი ამბობს, რომ იოანე ოქროპირის მრავალრიცხოვან ნაწარმოებებში არასპეციალისტს გაუჭირდება ასეთ საკითხებში გარკვევა და ეს

საქმე ალბათ იმას გაუადვილდება, ვინც მსგავსი სათაურის მქონე ნაწარმოებს მიაგნებს იოანე ოქროპირის ნაწერებში (გვ. 276). შესავლის ბოლოს რუსულად თარგმნილია ძეგლის დასაწყისი და ბოლო სტრიქონები (გვ. 276).

იოანე ოქროპირი მეოთხე საუკუნის მოღვაწეა (318—404), ხოლო ავგუსტინე — უფრო გვიანდელი (354—430). როგორც ვთქვით, ადამიანის ნების თავისუფლებას ეძღვნება ძირითადად ამ უკანასკნელის ორი თხზულება. პირველი დაწერილია 388 და 394—5 წწ., მეორე კი — 425 წ. ნაკლებ. საფიქრებელია, იოანე ოქროპირს უშუალოდ ლათინურში სცოდნოდა პირველი (და ისიც თავისი ცხოვრების მიწურულს). კ. კეკელიძის კატეგორიული დასკვნით, იოანე ოქროპირის სახელით ასეთი ნაწარმოები ცნობილი არაა. მაგრამ შეიძლება თემამ, რომელსაც საგანგებოდ შეეხო ავგუსტინე, უფრო გვიან ბიზანტიურ პატრისტიკაში ნაწილობრივ მაინც პოვა გამოხმაურება, კერძოდ ქართულად თარგმნილი ტრაქტატის ორიგინალის სახითაც. აქ მოყვანილი ძეგლი იმდენად პოლემისტურია, რომ, ვფიქრობთ, მისი ანტიავგუსტინიზმი (ამ საკითხში) ძალზე თვალსაჩინოა, რაც ბიზანტიური ეკლესიისათვის უცხო არ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, აღბრუნებული საკითხის გადასაჭრელად ბერძნული და ლათინური პატრისტიკის ყველა ძეგლის ზედმიწევნითი შესწავლა იქნება საჭირო.

ავგუსტინეს თხზულებებიდან ციტატების დამოწმება ბიზანტიურ-ბერძნული საღვთისმეტყველო ნაწერების ქართულ თარგმანებში სპორადულია. ჩვენამდე მოღწეული მასალა მაინც საგულისხმოა. ასე, მაგალითად, მონოფიზიტობის წინააღმდეგ მიმართული პოლემიკური თხზულებების მიმოხილვისას კ. კეკელიძე სხვათა შორის აღნიშნავს: „ამგვარ შრომებს განეკუთვნება ერთი ანტიმონოფიზიტური კრებული, რომელიც შემონახულია ჩვენამდე უმნიშვნელო ფრაგმენტის სახით მეათე საუკუნის ხელნაწერში (Q 209). აქ თავმოყრილია ციტატები ბერძენ-რომაელ ავტორთა თხზულებებიდან. ამ ციტატების (მოყვანილნი არიან ცალკე თავების სახით) მიზანია გაგვივალისწინონ, რომ ქრისტეს პიროვნებაში ორი ბუნებაა: ღვთაებრივი და კაცობრივი. კრებულს თავიც აკლია და ბოლოც. თავში დაკარგულია 36 ციტატა (სათვალავი თვით კრებულშია), რამდენს უდრის დაკარგული ციტატების რიცხვი ბოლოში. ძნელია თქნას. შემონახულა ათი ციტატა (37—47) შემდეგი მწერლების თხზულებებიდან: კელესტინე პაპისა (422—432 წ.), აეტი კონსტანტინეპოლისა. ათანასე ალექსანდრიელისა (326—373 წ.), ამბროსი მედიოლანელისა (374—379 წ. ორი ციტატა), ავგუსტინე იპონელისა (V ს.), იოანე ოქროპირისა (318—404). კირილე ალექსანდრიელისა (412—444 წ.) და ტიმოთე კონსტანტინეპოლისა (460—482 წ.) მისი წერილიდან ლეონტი ისპერატორის (457—474 წწ.) მიმართ“²⁷. (ხაზგასმა ჩვენია. — ა. გ.).

გვაქვს ანალოგიური ციტაციის სხვა მაგალითებიც. მაგ., არ'ენ იყალთოელმა (XI—XII სს.) ბერძნულიდან თარგმნა ქრისტიანი არაბი მწერლის თეოდორე აბუკურას (VIII—IX სს.) ტრაქტატები და დიალოგები, რომლებიც ამჟამად გამოცემულია²⁸. ამ ციკლში შედის 10 სიტყვა. რომელთაგან ერთ-ერთში („სიტყვა“) მოყვანილია ადგილები, სხვათა შორის, ამბროსი მედიოლანელისა და თვითონ ავგუსტინეს ნაწერებიდან. ისინი თეოლოგიურ-პოლემიკური შინაარსისაა. ავგუსტინედან მოყვანილი ფრაგმენტი მოკლეა (დასახ. წიგნი, გვ. 72): „ავგუსტინესი. „მრჩობლი ბუნება იცნობა ქრისტესი: საღმრთოსა ვიტყვ მარა-

დის მყოფსა მამისა თანა და კაცობრივსა, რომლისა უფროს მამამ, თვინიერ ორ-
თაგანვე ერთი და არა ორნი, არამედ იგივე ქრისტე, რამთა არა ოთხება იყოს,
არამედ სამება ღმერთი“.

როგორც ვხედავთ, ავგუსტინეს მსჯელობა ეხება ქრისტეს ორბუნებოვანე-
ბის (ღვთაებრივისა და კაცობრივის) ერთიანობას და ღმერთის სამგვამოვანების
(ტრიინიტეტის) საკითხს, მისი ერთარსების აღიარებას, ფრაგმენტის
მთარგმნელი პირდაპირ, სიტყვასიტყვით იმეორებს ავგუსტინეს აზრს სამების
პრობლემაზე, რომელიც ეკლესიის დიდ მამას უდიდესი წვდომით აქვს გაშუქე-
ბული, არა მარტო თავის განთქმულ წიგნში „სამების შესახებ“ („დე ტრიინი-
ტატე“, 406—411), არამედ მონუმენტურ შრომაშიც „საღმრთო სოფლისათვის“
(„დე ცივიტატე დეი“, 413—427 წწ. იხ. რუს. თარგ., ნაწ. 4, 1786, გვ. 346—348,
389—393. შდრ. კიევის გამოც., წიგნი XXI—XXII, სათანადო თავები) და რამ-
დენიმე სპეციალურ ჰომილიაში.

აბუკურას სხვაგანაც აქვს დასახელებული „ავგუსტინე იპპონის ოპოლისაჲ“
ეკლესიის უდიდეს ავტორიტეტებთან ერთად (იქვე, 39).

მაგრამ ავგუსტინეს მოხსენება ძველ ქართულ ლიტერატურაში ამით არ ამ-
ოწმდება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი ძეგლი, რომელშიაც მისი სა-
ხელი და გამონათქვამებია მოყვანილი. ეს ძეგლია მსოფლიო მნიშვნელობის სა-
ეკლესიო-იურიდიული თხზულება „დიდი სჯულის კანონი“ (ე. წ. „14-ტიტლო-
ვანი ნომოკანონი 883 წლის რედაქციისა“), რომელიც ბერძნულიდან ქართუ-
ლად თარგმნა არსენ იყალთოელმა (XI—XII სს). იგი ამჟამად გამოცემულია (იხ.
„დიდი სჯულის კანონი“, გამოსაცემად მოამზადეს ე. გ ა ბ ი ძ ა შ ვ ი ლ მ ა,
ე. გ ი უ ნ ა შ ვ ი ლ მ ა, მ. დ ო ლ ა ქ ი ძ ე მ, გ. ნ ი ნ უ ა მ, თბ., 1975) და
წარმოადგენს „საეკლესიო სამართლის კანონთა კრებულს ან საეკლესიო სამართ-
ლის კოდექსს“ (გვ. 23). ამ მონუმენტურ თხზულებაში, რომელიც შეიცავს მსო-
ფლიო და ადგილობრივ საეკლესიო კრებათა კანონებს და „ავტორიტეტულ საეკლე-
სიო მოღვაწეთა ეპისტოლარული კანონმდებლობის“ (გვ. 6) ცალკეულ ნიმუ-
შებს, შეტანილია კართაგენის ადგილობრივი საეკლესიო კრების (419 წ.) 138 კა-
ნონი (იქვე). კარგად ცნობილია, რომ ამ კრების მონაწილე იყო ჰიპონის ეპი-
სკოპოსი ავგუსტინე (პოსიდიუსი, Vita Augustini, XIII.). კრება შედგა იმპე-
რატორის ჰონორიუსის (394—423) ბრძანებით და ბიზანტიაში თეოდოსი II-ის
გამგებლობის (408—450) პერიოდში.

არსენ იყალთოელის თარგმანში მოხსენებულნი არიან კართაგენის კრების
მონაწილე ის ეპისკოპოსებიც, რომლებიც ნუმიდიიდან ჩავიდნენ კართაგენში,
მაგ., ვალენტინე, პოსიდიუსი (ავგუსტინეს თანამოღვაწე 40 წლის მანძილზე
და მისი მდივანი და ბიოგრაფი), ალიპიუსი (თაგასტას ეპისკოპოსი და ავგუს-
ტინეს სიყრმის მეგობარი) და სხვ.

კართაგენის საეკლესიო კრების კანონები ლათინურად იყო შედგენილი.
ისინი სპეციალურად ბერძნულად უთარგმნიათ „დიდ ნომოკანონში“ შესატანად.
სხვადასხვა განჩინებისათვის კანონის ძალის მინიჭებას ადასტურებენ კრების
მონაწილე მწყემსმთავარნი, მათ შორის ავგუსტინე. აი, რამდენიმე ნიმუშიც
ავგუსტინეს მიერ ავტორიტეტული სიტყვისა და დასტურისა:

„და ესენი როს წაკითხულ იქმნეს, აღუსტინოს ეპისკოპოსმან ეკლესიისა
იპპონისა ნუმიდიკიელთა სოფლისამან თქუა: და ამისსაცა უქცეველად დაცუ-
სა აღვიარებთ ჩუენ, რომელი მოსწრაფებით გამოიძია კრებამან ნიკიისამან. ...

ყოველმან კრებამან თქუა: ყოველნივე ნიკიისა და კრებისა მიერ განსაზღვრებულნი ჩვენ ყოველთა სათნო-გუჩნან“ (გვ. 291).

ნიკიის I მსოფლიო კრების (325 წ.) მიერ გამომუშავებული რწმენის სიმბოლოს, რომელიც ათანასე ალექსანდრიელმა ჩამოაყალიბა, ავგუსტინე ეხება თავის სხვადასხვა ნაწერში და განმარტავს მათ. იგი უყოყმანოდ იზიარებდა აგრეთვე ნიკიის კრების სხვა დადგენილებებს რასაც კართაგენის ადგილობრივმა საეკლესიო კრებამაც (419 წ.) დაუჭირა მხარი. ნაწილი ამ დადგენილებებისა, შერჩეული 138 კანონის სახით, „დიდ ნომოკანონშიც“ არის შესული.

ავგუსტინემ კართაგენის კრებაზე სხვა საეკლესიო-საკანონმდებლო საკითხებზეც გამოთქვა თავისი ავტორიტეტული აზრი: ასე მაგ., რაიმე უწესოების გამო საეკლესიო მსახურის გაძევების („განკლის“) შესახებ „დიდ სჯულისკანონში“ აღნიშნულია კრების შემდეგი განჩინება:

„მათეს, რომელნი ღირსად უწესოებათა თვსთა საეკლესიო მსახურისაგან განკლილ იყვნენ.

ავღუსტინე ეპისკოპოსმან და პორტირიტისმან ნუმიდიკიელთა სოფლისამან თქუა: ამისი განსაზღვრებაჲ ჟერ-იჩინეთ, რამთა რომელნი ღირსად საქმეთა თვსთა ეკლესიით განიკადნენ, უკუეთუ ვინმე ეპისკოპოსმან ანუ ხუცესმან ზიარებად შეიწყნარნეს, თუთ იგიცა სწორისა მათისა პატივისა თანამდებად გამოჩნდეს და ეპისკოპოსისა თვისისა თანა კანონთამიერისა ბრალობისაგან ვერ განერეს.

ყოველთა ეპისკოპოსთა თქუეს: სათნო-გუჩნს ყოველთა“ (გვ. 295).

ნუმიდიელ ეპისკოპოსთა მიერ კართაგენის კრების სხვადასხვა აქტზე ხელისმოწერა „სჯულისკანონში“ რამდენჯერმეა აღნიშნული. მაგ.:

„ავღუსტინოს ეპისკოპოსმან იპპონისამან, პორტირიტისმან ნუმიდიელთა სოფლისამან აწინდელნი ესე ნაქმარნი წარვწერენ. პოსსიდი ეპისკოპოსმან კალამენისამან, პორტირიტისმან ნუმიდიელთა სამთავრომსამან აწინდელნი ესე ნაქმარნი წარვწერენ“ (გვ. 358.)

„აგრეთვე წარვწერეს ალუპი, ავღუსტინოს, პოსიდი, მარინოს და სხუათა ეპისკოპოსთა“ (358).

არსენ იყალთოელის „დიდი სჯულისკანონი“ მრავალი საუკუნის მანძილზე არეგულირებდა საეკლესიო ცხოვრების წესებს საქართველოში და ამ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ჩვენი სასულიერო ელიტისათვის ნეტარი ავგუსტინეს აზრი ზოგიერთ საკანონმდებლო საკითხზე კარგად ყოფილა ცნობილი.

ქართულად არსებობს ბერძნულიდან თარგმნილი ჰაგიოგრაფიული ძეგლი „საკითხავი დღესასწაულისათვის“, რომელიც ხელნაწერში ატარებს სათაურს „საკითხავი, თქუმული დღესასწაულთათვის, რომელი იგი მიეწერა იერუსალმდ ისტვნიანს მიერ, მეფისა მართლმორწმუნისა, ხარებისათვის და შობისა, მიგებებისათვის და ნათლისღებისა“. იგი რუსულად თარგმნა და გამოაქვეყნა კორნ. კეკელიძემ 1905 წ. (К. К е к е л и ძ ე, К вопросу о времени празднования Рождества Христова в древней церкви, Труды Киевской Академии, 1905, № 1. იხ. კიშენი, ტომი II, გამოსცა კორნ. კეკელიძემ, თბ., 1946, გვ. 64, სქოლიო 1; იქვეა აღნიშნული რომ „1944 წ. ეს „საკითხავი“ გამოაქვეყნა ილ. აბულაძემ, ენიმკი-ს მოამბე, XIV, 302—307“. ხელმეორედ ქართულად იგი დაბეჭდა კ. კეკელიძემ 1946 წ. „კიშენის“ II ტომში).

ბეგლის სათაურში ავტორად დასახელებულია ბიზანტიის იმპერატორი იუსტინიანე (გარდ. 565 წ. 87 წლისა), მაგრამ ეს საკითხი საცილობელია. კ. კეკელიძე წერს: „საკითხავი“ ეხება ქრისტიანული სამყაროსათვის ერთ დროს სადავოსა და მნიშვნელოვან საკითხს, სახელდობრ — როდის უნდა სრულდებოდეს ქრისტეს შობის დღესასწაული? ეს დღესასწაული ჩამოყალიბდა დაახლოებით მეორე საუკუნეში, მაგრამ სხვადასხვა ადგილას მას სხვადასხვა დროს ასრულებდნენ. რომსა და მასზე დამოკიდებულს დასავლეთის ქვეყნებში იმას დღესასწაულობდნენ 25 დეკემბერს, ხოლო საბერძნეთსა და აღმოსავლეთის საქრისტიანო ქვეყნებში — 6 იანვარს, ნათლისღებასთან ერთად“. „ეს გზა დღესდღეობით საკმაოდ გათვალისწინებულია მეცნიერებაში. ამის მიზეზი იყო უზარმაზარი რომის იმპერიის თანდათანობითი ქრისტიანიზაცია: 25 დეკემბერს, როგორც მზის მოქცევის დღეს, წარმართები დღესასწაულობდნენ „მზის დაბადებას“ (Dies natalis colis); ქრისტიანობა, როგორც ცნობილია, გავრცელებისა და პოპულარიზაციის მიზნით, ეპატრონებოდა წარმართულ დღესასწაულებსაც. ამიტომ მან შეითვისა ეს დღესასწაულიც და უწოდა მას დღესასწაული „ქრისტეს შობისა“, მით უმეტეს, რომ ქრისტეს მისი მიმდევრები ალეგორიულად „სიმაღლის მზეს“ უწოდებდნენ“ („კიმენი“, II, 64).

კ. კეკელიძის აზრით, „საკითხავი“ ქართულად თარგმნილია VII საუკუნეში. ჩვენი დიდი მეცნიერის აზრით, „საეჭვოა, რომ ეს თხზულება მის (იმპ. იუსტინიანეს. — ა. გ.) კალამს ეკუთვნოდეს; შეიძლება ის დაწერილი იყოს მისი ბრძანებით და მინდობილობით, და თუ ის უშუალო ავტორადაა გამოყვანილი, ეს იმიტომ, რომ თხზულებას მეტი ძალა, ავტორიტეტი და გავლენა მოეპოვებია. ნაწარმოები კომპილიატური ხასიათისაა, აღებული საკითხი იმაში გადაწყვეტილი და დასაბუთებულია ეკლესიის ისეთი მამების მოსაზრებებით და შეხედულებებით, როგორიც არიან გრიგოლ ნაზიანზელი, გრიგოლ ნოსელი, იოანე ოქროპირი და ნეტარი ავგუსტინე“ (იქვე, გვ. 66—67).

„საკითხავის“ ტექსტში ავგუსტინეს სიტყვები აღნიშნულ საკითხზე ორჯერაა მოყვანილი ასე:

1. „ნეტარი ავგუსტინოს, ეპისკოპოსი აფრიკეთისაჲ, შობისათჳს იოვანშსა (იგულ. ნათლისმცემელი, — ა. გ.) ესრე იტყჳს და აჩუენებს ჟამსა და დღეთა და ხარებასა მარიამისსა და შობასა ქრისტშსსა: „დღემ ესე იოვანშს შობისაჲ გამოვაჩინო, დასაბამი და დასასრული, რამეთუ ორი ჟერი არს მზისა ქცევამ წელიწადსა და სწორებაჲ დღეთაჲ ერთი ესე ქცევამ მზისაჲ დღეს არს, ოცდახუთსა ივნისსა, და ერთი იგი ქცევამ თთუესა დეკენბერსა ოცდახუთსა, რამეთუ რვით დღით წინა თთჳსთავითგან იანვარისაჲთ, თთუესა დეკენბერსა ოცდახუთსა, იშჳა ქრისტე მარიამისაგან ქალწულისა. და რვით დღით წინა თთჳსთავითგან აპრილისაჲთ, თთუესა მარტსა ოცდახუთსა, ეხარა მარიამს გაბრიელის მიერ და რვით დღით წინა თთჳსთავითგან ივლისისაჲთ, თთუესა ივნისსა ოცდახუთსა. იშჳა წმიდაჲ იოვანე, და რვით დღით წინა თთჳსთავისაჲთ ოკტონბერისაჲთ, თთუესა სეკდენბერსა ოცდაოთხსა, მუცლად ილო ელისაბედ იოვანე“ (ავგუსტინეს ეს სიტყვები შემოკლებით მოაქვს კ. კეკელიძეს აგრეთვე თავის ნარკვევში „ქრისტიანიზმი და მითრანიზმი“. იხ. „ეტიუდები“, 1945, ტ. II, გვ. 350).

2. იქვე მოყვანილია აგრეთვე ავგუსტინეს სიტყვები ნათლისღებასა და ქრისტეს შობის („განცხადების“) შესახებ:

„და იგივე ნეტარი ავგუსტინე ნათლისღებისა და განცხადებისა დღეთა გამოაჩინებს და იტყჳს ვითარმედ: „ნათლისღებისა წინა ათორმეტით დღით იშჳა“.

როგორც ჩანს, სამ უდიდეს თეოლოგთან (გრიგოლ ნაზიანზელი, გრიგოლ ნოსელი და იოანე ოქროპირი) ერთად ავგუსტინე ქართული ეკლესიისათვისაც უმაღლეს ავტორიტეტს წარმოადგენდა ამ საკითხში*.

აქვე დავუმატებთ, რომ კ. კეკელიძის წინასიტყვაობა, რომელიც „საკითხავის“ ტექსტს წინ უძღვის „კიმენი“-ს II ტომში, ცალკე სტატიის სახით არის შეტანილი მისივე „ეტიუდების“ XI ტომში (თბ., 1977, გვ. 124—127).

მაგრამ ბიზანტიურ-ქართულ ეკლესიას არ გაუზიარებია ავგუსტინეს მოძღვრება თავისუფალი ნების შესახებ, როგორც ეს ჩანს იმ ძეგლის ძველ ქართული თარგმანიდან, რომელიც პირველად გამოაქვეყნა ივ. ჯავახიშვილმა. ეს ფაქტი ჩანს აგრეთვე ბერძნულიდან ნათარგმნი სხვა თხზულებიდანაც, რომელიც აგრეთვე კ. კეკელიძემ გამოაქვეყნა. ეს ძეგლია „თეოფილე ეკონომის „ცხოვრება“, აღწერილი ევტიქიანოსის მიერ“ და „მოთავსებულია მეთერთმეტე საუკუნის აგიოგრაფის იოანე ქსიფილინოსის კრებულის ქართულ თარგმანში“ (კ. კეკელიძე). ტექსტი გამოქვეყნებულია კ. კეკელიძის „ეტიუდების“ VI ტომში (თბ., 1960, გვ. 264—275). მას წინ უძღვის ვრცელი შესავალი, რომელშიაც განხილულია „შინაარსი თხზულებისა“, „იდეოლოგია თხზულებისა“, „როდის ცხოვრობდა თეოფილე“ და „ავტორი თხზულებისა, დრო მისი დაწერისა“ (გვ. 256—262). თხზულებაში თეოფილეს ცხოვრების ეპიზოდების თხრობის ფონზე გატარებულია ის აზრი, რომ „არ არსებობს ისეთი ცოდვა, რომელიც ადამიანმა ვერ მოინანიოს და რომელიც ღმერთმა არ აპატიოს“ (იქვე, გვ. 258). ეს საკითხები, როგორც კ. კეკელიძე მართებულიად წერს, „შორეულ წარსულში, მწვავედ აღელვებდნენ საზოგადოებას“ (იქვე), კ. კეკელიძე ასკვნის, რომ „ავტორი ამ შემთხვევაში ემხრობა ორიგენის მოძღვრებას, რომელიც თავის დროს ოფიციალურად დაგმობილ იქნა. ამავე დროს ის ემიჯნება მეორე ფილოსოფოსის, აგვისტინეს მოძღვრებას „წინასწარ განჩინების“ შესახებ, რომლის მიხედვით ადამიანის ცხოვრების გამოსწორებაში მის ნებისყოფას და სურვილს, მაშასადამე, სინანულს კი არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, არამედ ღვთის მადლს, რომელიც წინასწარ აღგენს, ვინ უნდა გამოსწორდეს და ცხონდეს და ვინ წაწყდეს“ (გვ. 258—259).

ამ თავის დასაწყისში ჩვენ მოკლედ აღვნიშნეთ ავგუსტინეს ცნობილი შეხედულებანი ადამიანის თავისუფალი ნების შეზღუდულობაზე და ამ სფეროში ღვთაებრივ დეტერმინიზმზე. კ. კეკელიძის მიერ გამოქვეყნებული ტრაქტატი ცხადყოფს, რომ ეს პრობლემა, რომლის გაშუქებას ავგუსტინემ რამდენიმე ტრაქტატი და საპოლემიკო ეპისტოლე მიუძღვნა (კერძოდ ორიგენეს წინააღმდეგაც), ქართულ სინამდვილეშიაც დიდ ყურადღებას იპყრობდა.

თეოფილეს მოღვაწეობის დროს საკითხის გარკვევისას კ. კეკელიძე სხვათა შორის მიმართავს შემდეგს არგუმენტაციას: „ის ვერ იცხოვრებდა უადრეს მეხუთე საუკუნისა, რადგანაც, ერთი მხრით, ის დაკავშირებულია აგვისტინიზმის (V ს.) საკითხებთან, მეორე მხრით — მესამე მსოფლიო კრების (431 წ.) ფორმულასთან „ღმრთისმშობლის შესახებ“. (გვ. 260). მართლაც, ნაწარმოებში გადმოცემულია, როგორც მარიამის „ღმრთისმშობლობის“ („თეოტოკოს“) უარის-

* დამახასიათებელია, რომ ერთ-ერთ ქართულ ლიტურგიულ ძეგლში X საუკუნისა (?) ეკლესიის დიდ მამათა (ათანასე ალექსანდრიელი, ბასილი დიდი, გრიგოლ ნაზიანზელი, ამბროსი მელიტანელი და სხვ.) მოხსენიებულია „[ა]ვგუსტინე“-ც (იხ. Н. Я. Марр, Описание груз. рукописей Синайского монастыря, Л.-д. 1940, გვ. 77).

მყოფელთა საწინააღმდეგო, ისე ადამიანის მიერ ცოდვის ინდივიდუალურად გამოსყიდვის შესაძლებლობის იდეა, რაც ეწინააღმდეგება ავგუსტინეს რიგორიზმს ამ საკითხში. რაც შეეხება ძველის შემდგენლის ვინაობის საკითხს, კ. კეკელიძე მას მეექვსე საუკუნის უცნობ მწერლად თვლის (გვ. 26).

კ. კეკელიძეს ეკუთვნის ჩინებული ნარკვევი „ცნობები სიბილასა და მისი წიგნების შესახებ ძველ ქართულ ლიტერატურაში“ („ეტიუდები“, II, გვ. 130—150). ჩვენი მეცნიერი წერს, რომ სიბილა „ეწოდებოდა ძველ საბერძნეთში ქალებს, რომელნიც ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდნენ და ყველას, ვინც კი მიმართავდა, მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ და ბედილბალს უთვალისწინებდნენ. ამ „წინასწარმეტყველებათ“, რომელთაც „ორაკულს“ ეძახდნენ, ისინი წარმოსთქვამდნენ მეტად დაჭიმულს, ექსტაზურ მდგომარეობაში, მთელი სხეულის გრეხით და პირზე დუჟმორეულნი. ჩვეულებრივ ფანტაზია დედაკაცს მოსავს ნიჭით (ავტორი სქოლიოში იმოწმებს საბას „ლექსიკონის“ სიტყვებს: „ს ი ბ ი ლ ა — ქალწულ-წინასწარმეტყველი“. — ა. გ.), მის მისნურ უნარს ხსნიან იმიტ, რომ ის საზოგადოდ უფრო ახლო დგას ბუნებასთან, და მის პიროვნებაში ემოციური საწყისი ინტელექტუალურს სჭარბობს. ქალი, მისი მგრძნობიარე ბუნების გამო, სხვადასხვა ერს მიჩნეული ყოლია შუამავლად ღმერთსა და კაცს შორის. თავის „ორაკულებს“ სიბილა წარმოსთქვამდა ხოლმე ბუნდოვნად და ორაზროვნად, მათი გაგება კი ყველას თავისებურად შეეძლო, როგორც ეს ვიცით უფრო მეტად დელფის პითიას მაგალითიდან, იმ პითიას, რომელიც არსებითად სიბილა იყო (იმოწმებს ფ. ზელინსკის. — ა. გ.)“ (II, 130). სიბილას კულტს გამოუწვევია სიბილათა გამრავლება, აღრიცხულია 19 ასეთი ორაკული. კ. კეკელიძე შემდეგ განაგრძობს: „ის ორაკულები ანუ წინასწარმეტყველებანი, რომელნიც წარმოუთქვამს სხვადასხვა დროის სიბილას, შემდეგში ჩაუწერიათ, საფიქრებელია მცირე აზიაში, და ამ გზით წარმომდგარა საგანგებო კრებული წარმართული სიბილინური ორაკულებისა“ (გვ. 131). შემდეგ ასეთი კრებულები გავრცელებულა რომაელთა და ებრაელთა შორისაც. 405 წელს იგი დაუწევით იმპ. ჰონორიუს (ჰონორიუსის) კარნახით, მაგრამ ქრისტიანთა შორის „სიბილას სახელი და მისი „წინასწარმეტყველებანი“ დიდი ავტორიტეტით იყვნენ მოსილი“ (იქვე). „მეორე თუ მესამე საუკუნიდან ამ სახელით გაჩნდა მრავალი ლექსი, ტრაქტატი და თქმულება, რომელიც წარმოადგენს შემდეგი დროის ებრაულ-ქრისტიანულ გადმოცემათა გადამღერებას. აქ სიბილას პირში ჩადებულია მოსეს სჯულის დებულებანი, წარმართული პოლითეიზმისა და კერპების განქიქება, მესიანური და ეროვნული მოლოდინი ებრაელებისა. ამ წიგნებში, რომელნიც Libri Sibyllini-ის სახელით არიან ცნობილნი და რომელთა რიცხვი 14-მდე აღწევს, შეუტანიათ ყველა თითქმის ადგილი სახარებიდან, რომლითაც „წინასწარმეტყველებია“ ქრისტეს დაბადების, ჯნება-აღდგომის და ზეცად ამაღლების ამბები. გატაცება სიბილათი და მისი ქრისტიანული „წინასწარმეტყველებით“ იქამდე მიდიოდა, რომ ადრინდელ საშუალო საუკუნეებში სიბილას ეკლესიებში ხატავდნენ, როგორც წინასწარმეტყველს, იმ ბიბლიურ წინასწარმეტყველთა რიცხვში, რომელთაც ქრისტეს ამბები წინასწარ მოასწავეს (ავტორს სქოლიოში აღნიშნული აქვს: „1. მიქელ ანჯელომ 1508—1509 წლებში სიქსტეს კაპელის კერზე ვატიკანში ბიბლიურ პირებთან ერთად დახატა ხუთი სიბილა: სპარსეთის, ერიტრეის, ლიბიის, კუმისა და დელფისა“. — ა. გ.). ეს ყალბი, post factum შეთხზული, „წინასწარმეტყველებანი“ პირველ საუკუნეებში არა ერთსა და ორ ეკლესიის მამას ნამდვილად მიაჩნდა. ასე, მაგალითად, ნამდვილად სთელი-

დნენ მათ იუსტინე მოწამე, ლაქტანცი, ავგუსტინე, იერონიმე; გრიგოლ ღვთისმეტყველი ამბობდა, რომ სიბილას წინასწარმეტყველებანი, მართალია, ღვთის შეგონებით არ არიან წარმოთქმულნი, მაგრამ ამოღებულნი არიან ებრაელთა „საღმრთო წერილიდან“. მათი სინამდვილე არ ეეჭვებოდა ისეთ განათლებულ კაცსაც კი, როგორიც ორიგენი იყო — და ა. შ. (II, 132—133).

კ. კეკელიძე საგანგებოდ გამოყოფს ქართულად თარგმნილ ერთ ძეგლს, რომლის შესახებ წერს: „განსაკუთრებული გულმოდგინებით სიბილას წიგნები გამოყენებული უნდა იყოს ერთს აპოკრიფულ ნაწარმოებში, რომელსაც ეწოდება: „თარგმანი დაბადებისათვის ცისა და ქუეყანისა“. ეს აპოკრიფი, რომელიც ქართულადაცაა ნათარგმნი, საფიქრებელია, ლეონტი მროველის მიერ (სქოლიოში ნათქვამია: „2. ...თხზულება ქართულად გამოცემულია ე. თაყაიშვილის მიერ, ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლისა, გვ. 786—846“.—ა. გ.), წარმოადგენს Compendium-ს ან შემოკლებულ გადმოცემას მთელი ბიბლიური ისტორიისას ქვეყნის გაჩენიდან ღვთისმშობლის მიძინებამდე“ (II, 136). კ. კეკელიძე გადმოცემს ამ ძეგლის ერთი პასაჟის სიუჟეტს, რომელიც შეიცავს ადამის წინასწარმეტყველურ სიტყვებს შვილისადმი მესიის (ქრისტეს) ამ ქვეყნად გამოცხადების შესახებ და ამბობს, რომ „ეს ვრცელი „წინასწარმეტყველება“ ქრისტეს შესახებ, რომელიც შედგენილია post factum, სახარებათა თქმულების ნიადაგზე, სიბილინურია. ის შეტანილია ამ აპოკრიფულ თხზულებაში სიბილას წიგნებიდან ან უშუალოდ, ან რომელიმე სხვა აპოკრიფული ნაწარმოების (როგორც, მაგალითისათვის „ადამის წიგნი“) მეშვეობით. ეს წინასწარმეტყველება ძალიან მოგვაგონებს ნეტარი ავგუსტინეს მიერ ლაქტანცის თხზულებებიდან ამოკრეფილს და მთლიანი სახით წარმოდგენილს სიბილინურ ადგილებს, სახელდობრ: „ურწმუნოთა და უკეთურთა მიეცეს იგი, ხელითა ბილწითა სცემდნენ ღმერთსა და პირთაგან არაწმიდათა ნერწყვდენ მას. მან მისცეს მათ წმიდა ზურგი თვისი მოსაწყლველად, და ყურიმლისცემისა მიმღებელი სდუმდეს, რათა არავინ სცნას, ვითარი სიტყუაჲ მოსრულ არს ზრახვად ქუეყნიერთა თანა. და გვრგვნითა ეკლისიაჲთა გვრგვნოსან იქმნეს, ნაცვლად საკმელისა ნავლელი მისცენ მას და წყურვილსა მისსა ასუან მას ძმარი, არა სტუმართშეწყნარებისა დაუგონ მას ტაბლაჲ. კაცნო უგუნურნო ვერა სცანთ თქუენ უფალი თქუენი, ეკლისა გვრგვნითა შეამკეთ ის და მწარე ნავლელი განუზავეთ მას. კრეტსამბელი ტაძრისაჲ განიპოს და დღესა ნათელსა ღამე ჩამოწვეს რამოდენ ეამ. მაშინ ქუესკნელისაგან გამოსული მოვალს ნათელსა მხიარულსა, მაჩვენებელი პირველისა მის აღდგომისა სახისა“ (De civitate Dei XVIII, 23)“ (II, 136).

ავგუსტინეს თხზულებაზე მითითების გამო უნდა ვთქვათ, რომ სიბილას შესახებ ცნობებს მართლაც ვხვდებით ამ თხზულების („დე ცივიტატე დეი“) XVIII თავის XXIII პარაგრაფში. ავგუსტინეს აზრით (ლაქტანციუსის მიხედვით) ბევრი სიბილა ყოფილა, ხოლო კერძოდ ერთის, ერთრეის სიბილას შესახებ კი ამბობს, რომ მან ქრისტეს შესახებ ბევრი საყურადღებო იწინასწარმეტყველა. ორიგინალში აღნიშნული პარაგრაფის სათაურია:

„Caput XXIII.—De Sibylla Erythrae, que inter alias Sibyllas cognoscitur de Christo evidentialia multa cecinisse“ („De civitate Dei“, XVIII, 23).

ძველ რუსულ თარგმანში იგი ასეა გადმოცემული:

„О Сивилле Ерифрийской, которая между прочими Сивиллами много о Христе ясного и откровенного предсказала“ (Избр. Соч. Бл. Августина.. М., 1786, ч. III, с. 396—400).

სიბილინური წინასწარმეტყველებით უხეად უსარგებლოა ერთ უცნობ ავტორს ჰაგიოგრაფიული ძეგლისა, რომელსაც ეწოდება „წამება წმიდისა მამისა პროკოპესი“. მისი წინამეტაფრატული რედაქცია ქართულად უთარგმნია „ექვთიმე ათონელს მამის სიცოცხლეში“ (კეკელიძე, ეტ. II, 134). თხზულების დაწვრილებითი ანალიზისა და შინაარსის გადმოცემის შემდეგ, კ. კეკელიძე სხვათაშორის აღნიშნავს: „ამ ნაწარმოებს დართული აქვს ბოლოში შვიდსტრიქონიანი ლექსი აკროსტიხით *Σαυβή* (VIII, 244—250). რაც ამ ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების ქართულ თარგმანში გადმოცემულია როგორც „ჯუარცმული“. ეს აკროსტიხული ნაწარმოები, ნეტარი ავგუსტინეს ცნობით, ეკუთვნის ერითრეის სიბილას, ის, მართალია, უხეიროდ და უაკროსტიხოდ, მის დრომდეც ყოფილა თარგმნილი, ხოლო აკროსტიხით და უფრო გამართულად ის უთარგმნია მისთვის მის მეგობარს ფლაბიანეს (Decivitate Dei. XVIII, 23)“ (II, 141). აქაც მითითებულია „დე ცივიტატე დეი“-ის სწორედ ის ადგილი, რომელიც ზემოთ იყო ჩვენს მიერ მოხსენიებული. მაგრამ იგი არ შეიცავს რაიმე ცნობას ავგუსტინეს მეგობარ ფლაბიანეზე (ხომ არ იგულისხმებოდა ავგუსტინეს ერთ-ერთი მეგობარი ნებრიდიუსი?).

ბოლოს ერთი ბიბლიოგრაფიული ცნობის გამოც.

ქართულ ფილოლოგიაში აღნიშნულია, რომ გიორგი ავალიშვილს (1769—1850) რუსულიდან ქართულად უთარგმნია „იორონიმეს თქმული“ და „ავგუსტინეს „საუბე ფსალმუნის“ (ტ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI—XVIII სს.), თბ., 1960, გვ. 234, შენ. 1. მითითებულია — „S ფონდის ხელნაწერები: 303 (გვ. სნგ-სნდ), 1731, 4011“. მაგრამ S ფონდის 303 ხელნაწერის „გვ. სნგ-სნდ“ არ შეიცავს „იორონიმეს თქმულს“. არც ავგუსტინეს „საუბე ფსალმუნს“. ხელნაწერის აღნიშნული გვერდები თავდება „ორი შოტლანდიური სათემო სიმღერადს“ ავალიშვილისეული თარგმანით („ოჰ! უკეთუცა...“ შდრ. „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“, ტ. I, 1960, გვ. 353). ხელნაწერთა სხვა კატალოგებშიაც ვერ მივაკვლიეთ „ფსალმუნის“ ავალიშვილისეულ ქართულ თარგმანს.

ავგუსტინეს „საუბე ფსალმუნის“ რუსულად ითარგმნა 1786 წელს (იხ.: «Карманная псалтир Блаженного Августина». «Избр. сочинения Блаженного Августина, Епископа Иппонийского», М., 1786, ч. IV, გვ. 596—603). იგი წარმოადგენს ავგუსტინეს მიერ 394(?) — 424 (?) წწ. შედგენილ ორიგინალური ლოცვების კრებულს.

მაშასადამე, ძველ ქართულ მწერლობაში ავგუსტინეს მოხსენება და ზოგი მისი გამონათქვამის ციტირება შემთხვევითი არაა. მოყვანილ მაგალითებს შეიძლება დაემატოს შემდეგი: მაგ., ნათარგმნ ლეი რასინის „მადლის“ შენიშვნებში მისი სახელი მოიხსენება ბოსუესა და სხვათა გვერდით (იხ. „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“, ტ. I, თბ., 1959, კოლ. S. ხელნაწ. № 274, შენ. 4.). ერთი „დოგმატიკური კრებულის ფრაგმენტში“ (იხ. ქართულ ხელნ. აღწერ., თბ., 1957, Q კოლექცია, № 209, გვ. 231) აღნიშნულია: „თქმული წმიდისა ავგუსტინე არქეპისკოპოსისაჲ ჯორცითა მოსლვისათჳს მეორედ მაცხოვრისა ჩუენისა. — ნუსადა აცილობა მას, ვითარმედ: ვითარ, ანუ ვინა მოვიდეს ქრისტე“. ერთ ხელნაწერში („ლოცვანი და განზრახვანი კათოლიკური“), რომელიც იტალიურიდან სომხურად უთარგმნიათ, ხოლო სომხურიდან ქართულად 1730 წ., აღნიშნულია: „წა ავგუსტინე იტყვის: სრულიად გულსა შინა ჩვენსა იესო განწონილ

იყოს, რომელი ჩემთვის სრულიად დამსჯელობით იქმნენ ჯვარსა ზედა“. (იხ. „ქართულ ხელნაწ. აღწ.“, ტ. 1, თბ., 1969, S კოლექცია, № 4982, გვ. 294—295, 11 შენიშვნაში, წიგნის გვ. 295).

ავგუსტინეს აზრი ზუსტადაა გადმოცემული, მაგრამ ამ საკითხში ჰიპოთიზის ეპისკოპოსი იმეორებს მასზე ადრე გამოთქმულ აზრებს, განსაკუთრებით მოციქულ პავლეს ეპისტოლეებიდან.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ავგუსტინეს და ავგუსტინიზმის შესახებ მსჯელობის ნიმუშები და სათანადო ციტაციები ძველ ქართულ ლიტერატურაში კიდევ შეიძლება დაიძებნოს. ასევე, ჯერ კიდევ შესასწავლია XIX ს-ის ქართულ მწერლობაში ნეტარი ავგუსტინეს მოხსენების ან მისი ცალკეული გამონათქვამების მოყვანის მაგალითები. ზოგადად კი შეიძლება ითქვას, რომ მთლად მდიდარი მასალა ამ მხრივ ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. მხოლოდ პლატონ იოსელიანის (1809—1875) რუსულად დაბეჭდილ ნაშრომებში გვხვდება დიდი თეოლოგის სახელი. ყველაზე შთამბეჭდავია მისი ციტაცია ავგუსტინეს სიტყვებისა წიგნში „დალისტანს მოგზაურობის ჩანაწერები“ (1862). მთიელების ბუნების დახასიათების დროს იგი აღნიშნავს:

„Если бы к этой вере души пламенной горца, присоединились твердые начала христианского человеколюбия и враголюбия, горцы явили бы из себя совершенных людей. «Дай мне христиан, исполняющих учение Евангелия», говорит Августин, «и я укажу вам небо на земле»²⁹.

რაც შეეხება ავგუსტინეს ფილოსოფიას, ჩვენს დროში მას საგანგებოდ შეეხო მოსე გოგიბერიძე თავის „ფილოსოფიის ისტორიაში“³⁰. ესაა პირველი, შედარებით ვრცელი, მიმოხილვა ავგუსტინეს ცხოვრებისა და მსოფლმხედველობის საკითხებისა. ავტორს გათვალისწინებული აქვს პატრისტიკის უდიდესი წარმომადგენლის ფილოსოფიური მემკვიდრეობის მნიშვნელობა საშუალო საუკუნეების დასავლეთისა და აღმოსავლეთის აზროვნების ისტორიაში, თავისი დროისათვის კარგად აქვს გადმოცემული ავგუსტინეს მოძღვრება ტრინიტეზე, ადამიანის თავისუფალი ნების შესახებ, ავგუსტინესეული კონცეფცია ისტორიის ევოლუციისა და სხვა. ზოგირამ ჩვენი ისტორიკოსის მსჯელობიდან დღეს უკვე მოძველებულია (ზოგან — მკრებელურიც), მაგრამ არაერთი მისი მოსაზრება ამჟამადაც ინარჩუნებს გარკვეულ ღირებულებას და ისინი დამოწმებული გვაქვს ნაშრომის პირველ ნაწილში.

ავგუსტინეს შესახებ მსჯელობენ: შალვა ნუცუბიძე (ზოგიერთს თავის შრომაში და ცალკე წერილებში), კ. ბაქრაძე, გ. ჯიბლაძე და ქართული ფილოსოფიის ახალი თაობის წარმომადგენლები. საგანგებოდ ვრცელი ადგილი ეთმობა ავგუსტინეს მოძღვრებას 1981 წელს დაბეჭდილ ორ შრომაში საშუალო საუკუნეების ფილოსოფიაზე³¹. ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში კი ავგუსტინეს, როგორც ხელოვანს, არაერთხელ შეხებია ამ გამოკვლევის ავტორი თავის ფილოლოგიურ-ლიტერატურულ ნარკვევებსა, ესეებსა და წერილებში (მაგ., სტატიაში „ლევ ტოლსტოის მხატვრული მეთოდის შესავალი“³² და ნარკვევში „ავგუსტინე ჰიმნოგრაფიისა და ლექსთწყობის საკითხებზე“)³³.

* დასასრული შემდეგ ნომერში.

შენიშვნები

1. De civitate Dei, XVIII, 13; შდრ. იგივე თავი და პარაგრაფი ამ ქმნილების რუსულ თარგმანებში (1786 წ. გამოც., XVIII, 13, გვ. 385 და ქიევის გამოცემაში).
2. აკაკი ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, 1. გამოკვლევა.
2. ბერძნული ტექსტები — ქართული თარგმანებითა და შენიშვნებით, თბ., 1964; თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976; სიმონ ყაუხჩიშვილი, რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ, თბ., 1964; Н. А. Кун, Легенды и мифы древней Греции, М., 1954 (რამდ. გამოც.; არსებობს ქართული თარგ. თბ., 1965). აკაკი გაწერელია, დანტე და პრეისტორიული საქართველო („ლიტერატურული საქართველო“, 1970, 22 მაისი, გვ. 2. იგივე: „რჩეული ნაწერები“, თბ., 1977, ტ. 1, გვ. 86 — 99; ფრანგ.: „Bedi Kartlisa“, P., 1973, გვ. 124—136). J o ſ c l Schmidt, Dictionnaire de la mythologie grecque et romaine, P., 1965; მითოლოგიური ლექსიკონი, შეადგინა ნოდარ გაფრინდაშვილმა, თბ., 1972.
3. Избранные сочинения Блаженного Августина..., М., 1786, ч. III, გვ. 483. აქვე დავემატებთ, რომ ამ წიგნის კომენტარებში ავგუსტინეს მიერ ძველი სპარსეთის მეფის, აქემენიდ კიროსის შესახებ მსჯელობის გამო აღნიშნულია: «(I) К и р Царь Персидский. Он был сын Маяданы, дочери Астиага Мидского Царя и Камбиза, незнамого человека. Киром назван от Кира, Алванской и Иверской реки, близ которой он воспитан» (იქვე, გვ. 490). ამ ლეგენდის დასაბამი ჩვენთვის უცნობია.
4. Goethe, Faust. Insel-Verlag, Leipzig, 1960, გვ. 348—34 ; შდრ. Гете, Фауст, Пер. Б. Пастернака; იოსან ვოლფგანგ გოეთე, ფაუსტი. ტრაგედია, თარგმანი დავით ონიანუილისა, თბ., 1962, გვ. 400. (სათანადო კომენტარები იქვე, გვ. 613—614). სპეციალურად ამ საკითხს ამუშავენს ლევან ბრეგაძე.
5. Н. Конрад, Восток и Запад, М., 1972, гв. 429.
6. Н. К. Орловская, Грузия в литературах Западной Европы XVII—XVIII веков, Тб., 1965.
7. მაგ. ქერუბინის ოპერა „მედეა“ (იხ. ანდრო წულაძე, „საბჭოთა ხელოვნება“, 1980, № 6.
8. ა. ურუშაძე, დასახ. თხზ., გვ. 38—41. ავტორის აზრით, სადავო არაა, „ლეილი“ შეიღების დახოცვის ამბავი რომ ევრიზიდეს გამონაგონია“ (გვ. 40 შდრ. ჩვენი „დანტე და პრეისტორიულ საქართველო“, იხ. ზემოთ № 2).
9. М. Г. Джеймсон, Мифология древней Греции («Мифология древнего мира», пер. с английского, М., 1977, гв. 243). კრებული სრულდაქტორი ი. მ. დიკონოვი ინგლისურად დაბეჭდილ ამ კოლექტიურ ნაშრომს „ენიკალურს“ და ძველი ქვეყნის მითოლოგიის „თითქმის ამოწურავ“ წიგნს უწოდებს (იქვე, გვ. 3). მასვე ეკუთვნის სიტყვები: „არცთუ იშვიათად ასეთი ტექსტის ერთი სტრიქონის იქეთ ივარაუდება წლები და წლები მეცნიერთა რამდენიმე თაობის შეუპოვარი, გულმოდგინე შრომითა“ (იქვე). კრებული პირველად გამოიცა ნიუ-იორკში 1961 წელს.
10. St. Augustine's Confessions. With an English Translation by William Wats, 1631, In tu volumes, Cambridge, Massachusets Harward University Press. Book III, VI, გვ. 118 (ლათინური ტექსტი) და გვ. 119 (ინგლ. თარგმანი). ავგუსტინეს „აღსარებანის“ რუსული თარგმანი რამდენჯერმე დაიბეჭდა. ჩვენს ხელთა შემდეგი გამოცემები: 1. Блаженного Априлия Августина, Иппонийского Епископа Исповедения ... М., 1787; 2. Творения Блаженного Августина, Епископа Иппонийского, изд. третье. Киев, 1914. (არსებობს ამ წიგნის ბრიუსელისეული ფოტოტიპური გამოცემაც. „აღსარებანი“ წიგნში უჭირავს 45—442 გვ.); 3. Исповедь Блаженного Августина, епископа Иппонского («Синодологические труды», М., 1978, т. 19, гв. 71—227; примеч., гв. 228—264). ეს უკანასკნელი თარგმანი კრიტიკულად დადგენილი ტექსტის მიხედვითაა შესრულებული და, სპეციალისტების აზრით, უაღრესად ზუსტად. ვრცელ შენიშვნებში გათვალისწინებულია მეცნიერების უკანასკნელი მიღწევები ავგუსტინეს ამ ძეგლის თითქმის ყველა ნიუანსის შესახებ.
11. Е. Трубецкой, Религиозно-общественный идеал Западного христианства в V-м веке. Часть I. Мирозерцание Блаженного Августина, М., 1892, гв. 41.
12. იქვე, 33.

13. ავგუსტინეზე მანიქეიზმის ზეგავლენის შესახებ და შემდეგ დიდი თეოლოგის ბრძოლაზე მანიქეველობისა და მანიქეველთა (მაგ., ფავსტუსის, ფორტუნატუსის და სხვ). წინააღმდეგ ე. ტრუბეცკოს დასახ. შრომის (გვ. 33—41) გარდა, იხ. Вл. Соловьев, Манихейство Энци. словарь Брокгауза и Эфрона, т. XVIII, 541—543; К. Скворцов, Августин Иппонийский, как психолог, Киев, 1870, გვ. 8—13; В. Попов, Личность и учение Блаженного Августина, том I, ч. 1—2, Сергиев-Посад, 1916; John J. O'Meara, The Young Augustine. An Introduction to the Confessions of St. Augustine, London and New-York, 1980 (2 ed. გვ. 61—79: Chapter IV: Manicheism). Stanly Romaine Hopper. The Anti-manichaean Writings (in: Battenhouse. A companion to the Study of St. Augustine. Oxford, 1955, გვ. 148—171; მოკლე, მაგრამ ჩინებული დახასიათება ავგუსტინეს ანტიმანიქეური ნაწერებისა (დაწერ. იხ. „ბიბლიოგრაფია“ ჩვენი მონოგრაფიის წიგნურ გამოცემაში).

14. Н. А. Кун, Легенды... М., 1954, გვ. 241—244.

15. Euripide, tome I (Le Cyclope—Alceste—Médée—Les heraclides), Texte établi et traduit par Louis Merider, P., 1925, გვ. 172. ქართულ თარგმანშიეს ადგილი შემდეგნაირად არის გადმოცემული:

სულერთი არის, ხელს ვერ შემახებ,
ისეთი ეტლი უძღვნია ჩემთვის
ჩემს მამის მამას პელოოს ღმერთსა
მტრის ხელისაგან დასაღწევად.

(ევერიკიდე, მედეა. თარგმანი ძველი ბერძნულიდან პანტელეიმონ ბერაძისა, თბ., 1969, გვ. 79).

16. თეატრი არსებობდა მადაგრში, მისი ნანგრევების სურათი დაბეჭდილია პ. მარუს წიგნში (Henri Marrou, Saint Augustin et l'augustinisme, P., 1955, გვ. 13).

17. კართაგენს, სადაც ავგუსტინე რიტორიკაში თავის განსწავლის დასამთავრებლად ჩაეიდა 370 წ. შემოდგომაზე (373 წელს კი უკვე თვითონ ასწავლიდა რიტორიკას ამ ქალაქში) დიდი თეოლოგი უწოდებს „ახალ ბაბილონს“, ზოგი იმდროინდელი მწერალი კი „სამეძაო სახლს“, „მეორე რომს“ და ა. შ. ახალგაზრდა ავგუსტინე კართაგენის თეატრის ხშირი სტუმარი იყო.

18. პიპონის თეატრის შესახებ და მისი სურათი იხ. წიგნში: Said Dahmani, Hippo Regius, Alger, 1973, გვ. 76.

19. Андре Боннар, Греческая цивилизация, Пер. с франц. т. III. М., 1962, გვ. 308.

20. Soliloquia lib. 2 (386—7 წწ.), Migne, PL, t. 32; ინგლისური თარგმანი: I. H. Burleigh, Augustine: Earlier Writings, L., 1953; რუსული თარგმანი სათაურით: Монологов две книги. Творения Блаженного Августина, Изд. третье, Киев, 1914, გვ. 227—298, ესარგებლობთ ბრიუსელის ფოტოტიპური გამოცემით.

21. Contra academicos lib. 3. (386 წ.). Migne, PL., t. 32. ინგ. თარგ.: Burleigh, Op., cit., რუს. თარგმ.: Против академиков (Творения... К., 1914, გვ. 1—104).

22. De immortalitate animae lib. 1. (387 წ.), Migne, PL., t. 32; რუს. თარგმ.: О бессмертии души, одна книга (Творения..., 1914, გვ. 292—324).

23. Творения..., გვ. 287—289. ავგუსტინეს თხზულებათა დათარიღებისას ვეყარებით პ. მარუს მიერ დადგენილ ქრონოლოგიას: H. Marrou, Op. cit., გვ. 183—186.

24. კორნელი კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1941², გვ. 444—445; შდრ. მისივე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1980, გვ. 185. (სხვათა შორის, კ. კეკელიძე ავგუსტინეს იმოწმებს პავლე მოციქულის აპოკრიფული თხზულების შესახებ მსჯელობისას, იხ. ტ. I, 1941², გვ. 410).

25. И. Джавахов, Слово св. Иоанна Златоуста «О вражденном и предопределенном добре и зле», в древнегрузинском переводе («Христианский Восток», т. I, Вып. II, СПб, 1914, გვ. 275—280.

26. ძეგლის პუბლიკაციასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: მეორედ ეს ძეგლი გადაიბეჭდა წიგნში: ივ. ქავთახიშვილი, სინის მთის ხელნაწერების აღწერილობა, თბ., 1947, ხელნაწერი № 36 (=ალ. ცაგარლის „პამიატნიკი“...-ს № 84). აქ დაბეჭდილია 74—83 გვ. მაგრამ ძეგლი 1914 წელს რომ დაიბეჭდა პირველად „ხრისტიანსკი ვოსტოკ-ში“, გამომცემლებს ეს გამოჰპარვიათ. ამასთან მეორე პუბლიკაცია ზოგიერთ სერიოზულ სხვაობას შეიცავს, ამიტომ ჩვენ

პირველ გამოცემას ეყრდნობით. ხსენებულ სხვაობათა შესახებ კი იხ.: ი. მეგრელიძე. Арабская азбука с древнегрузинской транскрипцией, Журн. «Этнография Востока», т. VIII, გვ. 38 (ლიდი სქოლო, სადაც ნაჩვენებია, როგორი უზუსტობანი გაპარვით ტექსტის მეორედ გამოცემლებს). სინას მთისავე ქართული ხელნაწერების ნ. მარსელის აღწერილობა დაიბეჭდა ი. მეგრელიძის რედაქციით, 1940 წ. (Н. Я. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, М.—Л., 1940).

27. კორნელი კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1980, გვ. 488—489.

28. თეოდორე აბუჯურა, ტრაქტატები და დიალოგები, თარგმნილი ბერძნულიდან არსენ იყალთოელის მიერ, ტექსტის გამოცემა, გამოკვლევა, საძიებლები და ლექსიკონი ლეილა დათიაშვილისა, თბ., 1980.

29. Платон Иосселиани, Путевые записки по Дагестану в 1861 году, Тифлис, 1862, с. 38.

30. მოსე გოგიბერიძე, ფილოსოფიის ისტორია, ტ. I, თბ., 1941, გვ. 227—233.

31. იხ. შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორიის პრობლემები, ნაწილი I, თბ., 1981; Джохадзе Д. В., Стыжкин Н. И., Введение в историю Западно-Европейской средневековой философии, Тб., 1981.

ძველ ქართულ ლიტერატურაში ავგუსტინეს ხსენებასთან დაკავშირებით აქ დავუმატებთ შემდეგს. ვატიკანის ძეგლების თვალთვლების დროს სულხან-საბა ორბელიანი ჰყვება: „შევედით სასუფეველის მსგავს ეკლესიაში... საკურთხეველს უკან წმინდა პეტრეს სკამია, მაღლა, რომ ზედ პეტრე მოციქული მჯდარა. ოთხსაღმის პეტყველს ხელთ უპყრიეს: გრიგოლ დიოლოლოს, წმინდა ამბროსის (მედიოლანელი.—ა. გ.), წმინდა ჯერასიმეს და წმინდა აგვისტინეს“ („მოგზაურობა ევროპაში“. სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, I, გვ. 62). მაღლაზე 8 დეკემბერს საბას უნახავს ნათლისმცემლის ეკლესიისაკენ მიმავალი სხვადასხვა ორდენის წევრთა პროცესია, მათ შორის ავგუსტინეს („ავგისტინისა“) ორდენის წევრების სელაც (იქვე, 237.)

32. „საუნჯე“, 1978, № 4.

33. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1983, № 3.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ლიტერატურის თეორიის განყოფილება

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ბარამიძემ

ზურაბ კიანაძე

ფარნავაზის სიზმარი¹

ლეონტი მროველის ავტორობით ცნობილი ტექსტი, რომელსაც სათაურად უზის „ცხოვრება ფარნავაზისი“, როგორც გარკვეულია, წარმოადგენს კომპოზიციურად შეკრულ, ერთ მთლიან ნაწარმოებს (4,79—93). მას აქვს თავისი დასაწყისი („მას ჟამსა იყო ჭაბუკი ერთი მცხეთას ქალაქსა შინა, რომელსა ერქუა სახელი ფარნავაზ“) და დასასრული („და მოკუდა ფარნავაზ და დაფლეს წინაშე არმაზისა კერპისა“). ამ ორ ცხოვრებისეულ სამანს შორის მოქცეულია სავსებით რეალისტური თხრობა — ამბავი ფარნავაზის გამარჯვებისა უზურპატორ აზონზე, ერთიანი საქართველოს აშენებისა, ქართველთა პირველი მეფის კულტურულ-სახელმწიფოებრივი ღვაწლისა. ამ თავისთავად დასრულებულ ტექსტში ჩართულია ერთი, ასევე დასრულებულსიუჟეტისანი მონაკვეთი თავისი დასაწყისითა და დაბოლოებით, სულ, დაახლოებით. თხუთმეტი წინადადება, რომელიც, როგორც დამოუკიდებელი ტექსტი, შეიძლება საკუთრივი ანალიზის საგანი შეიქნას. ამ სიუჟეტს ის თავისებურება აქვს, რომ მისი ამბავი ორგზის არის გადმოცემული — ერთხელ სიზმარში (ანუ სიმბოლური სახით). მეორედ ცხადში. აი, ეს ორნაწილიანი მონაკვეთი:

I. „...ჭირ უჩნდა ფარნავაზს დატევება საყოფელსა მამათა მისთასა. არამედ შიშისაჲან დიდისა დაამტკიცა წარსლვა.

მაშინ იხილა ფარნავაზ სიზმარი. რეცა იყო სახლსა შინა უკაცურსა და ეგულვებოდა განსლვა და ვერ განვიდა. მაშინ შემოვიდა სარკუმელსა მისსა შუქი მზისა და მოერტყა წელთა მისთა და განიზიდა და განიყვანა სარკუმელსა მას. და ვითარ განვიდა ველად, იხილა მზე ქუემდაბლად. მიჰყო კელი მისი, მოჰყოცა ცუარი პირსა მზისასა და იცხო პირსა მისსა. განიღვიძა ფარნავაზ და განუკვირდა და თქუა: სიზმარი იგი ესე არს: მე წარვალ ასპანს და მუნ კეთილსა მივეცემი“.

II. „ხოლო მას დღესა შინა განვიდა ფარნავაზ და ნადირობდა მარტო. და დიუნა უყო ირემთა ველსა დიდომისასა. და ივლტოდეს ირემნი ღირღალთა შინა ტფილისისათა. მისდევდა ფარნავაზ, სტყორცა ისარი და ჰკრა ირემსა. და მცირედ წარვლო ირემმან და დაეცა ძირსა კლდისასა. მივიდა ფარნავაზ ირემსა ზედა. და დღე იგი მწუხრი ვარდახდა და დაჯდა ირემსა მის თანა. რათამცა დაყო მუნ დამე და დიღუულმცა წარვიდა. ხოლო კლდისა მის ძირსა ქუაბი იყო, რომლისა კარი აღმოქმნულ იყო ქვითა ბუელად და სიძუელითა შეჰქმნოდა დარღუევა შენებულსა მას. მაშინ დაასხა წვიმა მძაფრი. ხოლო ფარნავაზ აღმოიღო ჩუგლუგი და გამოარღვია კარი ქუაბისა მის, რათამცა მუნ შიგა დაიმშრალა

¹ წაკითხულია მოხსენებად თბილისის სახ. უნივერსიტეტში პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეის და ბაღების 90 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე 1980 წლის 10 დეკემბერს.

წვიმისაგან მისგან და შევიდა ქუაბსა მას. და იხილა მუნ შინა განძი მიუწოდ-
მელი, ოქრო და ვეცხლი და სამსახურებელი ოქროსა და ვეცხლისა მიუწოდ-
მელი. მაშინ ფარნავაზ აღივსო სიხარულითა და მოეგონა სიზმარი იგი“
(6,21—2).

თ. მანმა თავის რომანში „იოსები და მისი ძმები“ ფარაონის წყვილ სიზ-
მარს. რითაც მოსწავებელი იყო შვიდი მოსავლიანი და შვიდი უმოსავლო წე-
ლიწადი, „სახელმწიფო სიზმრები“ უწოდა, რადგან მის სწორად განმარტებაზე
იყო დამოკიდებული ეგვიპტის კეთილდღეობა. ასევე შეიძლება ვუწოდოთ ფარ-
ნავაზის სიზმარს „სახელმწიფო სიზმარი“, რადგან ისიც მოასწავებ-
და არა მხოლოდ მისი დამსიზმრებლის პირად კეთილდღეობას, არამედ მთელი
ქვეყნის მომავალს, მის ბედს. ფარაონი ეგვიპტის პატრონი იყო. მაგრამ ვინ
იყო ფარნავაზი, რომელსაც შეიძლება დასიზმრებოდა და კიდევაც დაესიზმრა
სახელმწიფო მნიშვნელობის სიზმარი? ვინ არის ფარნავაზი, რომ მის ქვეყნო-
ბიერებაში ამგვარი სიზმრის „გამოჩეკა“ გახდა შესაძლებელი? სხვანაირად:
როგორ პიროვნებად წარმოიდგენს მას ავტორი ანუ ის ანდრეზი. რომელიც სა-
ფუძვლად უდევს ავტორისეულ მონათხრობს?

ისტორიულ პლანში ფარნავაზი მცხეთელ მამასახლისთა შთამომავალია,
რაც ხდის მას მცხეთის (ქართლის) პოტენციურ პატრონად. მაგრამ რეალური
პლანის წიაღ იხილება მითოსურ-ზღაპრული ქარგა: როგორც ახალი დინასტიის
თაურმდგენი, როგორც ქვეყნის ბედის მცვალებელი, — იგი არაჩვეულებრივი
წარმოშობის კაცი უნდა იყოს: მისი წარმოშობის ამბავში უნდა იკითხებოდეს
ანალოგიური ღვაწლის მოქმედ პიროვნებათა ანდრეზი. ეს კიდევ იკითხება.
მაგრამ ანდრეზული მოტივები საკმაოდ შესუსტებულია, თუ მთლიანად სახე-
ცვლილი არა. ე. წ. სასწაულებრივი შობის ანარეკლი უნდა იყოს არაშემთხვე-
ვითი დეტალი მისი ბიოგრაფიიდან: ფარნავაზის მამა უცნობია, ანდრეზმა არ
იცის მისი სახელი. ფარნავაზს ბიძის მხრიდან გვაცნობენ: „და იყო იგი ძმისწუ-
ლი სამარისი“. ფარნავაზის მამა რეალურად არსებობდა და იგი მოკლულია
ქვეყნის მიმტაცებლის მიერ. ეს ვითარება თავისთავად გვკარნახობს, რომ ფარ-
ნავაზის ამბავში ამოვიკითხოთ ერთი განსაზღვრული ტიპის ზღაპრული (თუ ეპი-
კური) სიუჟეტი, რომლის პერსონაჟებია დედა და მისი უმამო შვილი, რომელ-
საც უზურპატორის მიერ წართმეული აქვს მემკვიდრეობითი უფლებები; ქერი-
ვი დედა თავისი ობოლი შვილითურთ გადაიხვეწება ქვეყნიდან. ჯადოსნური
შემწის წყალობით სამართლიანობა აღდგება და ობოლი ქაბუკი იბრუნებს და-
კარგულ უფლებებს. ამგვარივეა ფარნავაზის ცხოვრების ქარგა. რაკი ფარნავა-
ზის ამბავი ანდრეზული ყაიდისაა, უზურპატორი აზონი წარმოშობით უსათუოდ
უცხო ტომისა უნდა იყოს და არა ფარნავაზის თვისტომი, როგორც ეს უფრო
აღრეული ტექსტიდან, „მოქცევაჲ ქართლისაჲდან“, ჩანს (10, 320). ლეონტი
მროველის ტექსტში ანდრეზული ლოგიკით აზონი მაკედონელია, ალექსანდრეს
თვისტომი.

მივუბრუნდეთ თავად ტექსტს. ჩვენი ყურადღების საგანი — ეს ორნაწი-
ლიანი მონაკვეთი (ფარნავაზის სიზმარი და ცხადი) კიდევ ორ ქართულ საისტო-
რიო ნაწარმოებში გვხვდება პარაფრაზის სახით, სახელდობრ, ვახუშტის თხზუ-
ლებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსი“ (7,55) და იოანე ბატონიშვილის
„ისტორია ქართლისაში“ (3,131). ესენი, როგორც პარაფრაზული ტექსტები,
არაფერს იძლევიან ანდრეზული რეალიების მხრივ. უფრო საგულისხმოა ამ მო-
ნაკვეთის ძველი სომხური თარგმანი, რომელიც დედნის ხანიდან ერთი საუკუ-

ნის შემდეგ არის შექმნილი (8,29—30). ეს თარგმანი რამდენიმე პუნქტში ლუდ-ნის თავისებურ ინტერპრეტაციას წარმოადგენს და გამოყენებული გვექნება ტექსტის ანალიზისას.

ერთი ამბის ორი ნაწილი — სიზმარი და ცხადი — სასწორივით არის გაწონასწორებული. ამ წონასწორობას ქმნის შესატყვისობა სიზმარ-ცხადის პერსონაჟებს, რეალიებსა და მოქმედებებს შორის. ამოვარიდოთ ტექსტს ეს ელემენტები სათანადო სომხური ვარიანტების ჩვენებით:

I. **სიზმარი:** 1. ფარნავაზი უკაცურ სახლში (სომხ. „ძალიან ვიწრო სახლში“); 2. მზე, მისი შემწეობა, მზის პირისპირ დგომა; 3. მზის ცვარი (სომხ. მზის ოფლი) და მისი ცხება ფარნავაზის მიერ.

II. **ცხადი:** 1. ფარნავაზის სანადიროდ გასვლა ველად; 2. ირემი (სომხ. ნადირი, მხეცი) და მის კვალზე სვლა; 3. გამოქცევა (სომხ. „ფართო“) და განძი.

ფარნავაზის სიზმარზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად გავიხსენოთ ის რეალური მდგომარეობა, რომელიც შეადგენს სიზმრის მასალობრივ საფუძველს და სიმბოლურად არის მასში ასახული. ქვეყანაში შექმნილი სიტუაცია ამგვარად არის გადმოცემული: „...და იყო შიში და ძრწოლა მას ზედა. და ვითარ განმრავლდა შიში აზონისი მათ ზედა, რქუა ფარნავაზს დედამან მისმან: შვილო ჩემო, დაუტევე საყოფელი მამათა შენთა და წარმიყვანე მამულსა ჩემსა ასპანს, ძმათა ჩემთა თანა, და განერე შენ ცოცხალი კელისაგან აზონისა. და დაამტკიცეს განზრახვა ესე, წარსლვა ასპანისა. **ჭირ უჩნდა** ფარნავაზს დატევა საყოფელსა მამათა მისთასა, არამედ შიშისაგან დიდისა დაამტკიცა წარსლვა“ (6,21).

ჩვენ ეხედავთ ფარნავაზს უკიდურეს გასაჭირში, საიდანაც ერთადერთი გამოსავალია სამშობლოდან **გასვლა**; თითქოს ეს არის მისი ხსნა. ფარნავაზს დაესიზმრება საკუთარი თავი **უკაცურ სახლში**, საიდანაც, როგორც სამშობლოდან, გასვლა უნდა, მაგრამ ვერ გასულა. სიზმარში ასახულია მისი ყოყმანი — გავიდეს თუ არა ქვეყნიდან, რომელიც მისთვის მტრულია აზონის გამო; ვინაიდან რა არის უკაცური სახლი თუ არა საშიში, მტრული ქვეყანა? მისი შეჭირვებული, თითქმის უიმედო მდგომარეობა იწვევს სიზმრისეულ ხატს უკაცური სახლისას. ამიტომაც ბუნებრივია, რომ გამოღვიძებული ფარნავაზი უკაცური სახლიდან თავდაღწევის შთაბეჭდილებით იმედიანად დაასკვნის: „სიზმარი იგი ესე არს, მე წარვალ ასპანს...“ ასპანს ამ შთაბეჭდილებაში ისევე უპირისპირდება აზონისგან დაპატრონებული ქვეყანა, როგორც უკაცურ სახლს — ველი, სადაც მზემ გაიყვანა იგი (მაგრამ, როგორც ვიცით, ეს სიზმარი სრულიად საწინააღმდეგოს მოასწავებდა).

ამრიგად, **უკაცური სახლი** არის ის ქვეყანა, სადაც არის მტერი და არ არის შემწე, სადაც **მარტოა** ჭაბუკი ფარნავაზი. რა შეესატყვისება სომხურ თარგმანში „უკაცურ სახლს“? სომხური თარგმანი დედნის თარგმანების შესანიშნავ მაგალითს გვაძლევს: სომხურ ტექსტში ვკითხულობთ: „იხილა სიზმარი, ვითომც იდგა **ძალზე ვიწრო სახლში**“ (8,29). სომხურის **ვიწრო** ზედმიწევნით ზუსტად, გარკვეული აზრით, დედანზე უფრო მკვეთრად ასახავს ფარნავაზის **შევიწროებულ** მდგომარეობას საკუთარ ქვეყანაში და მორალური ხასიათის სიძნელეს იქიდან წასვლისას („ჭირ უჩნდა ფარნავაზს დატევა...“).

ვიწრო მნიშვნელოვანი მითოლოგიური სემანტიკის შემცველია. „რიგვედის“ ერთ-ერთ ჰიმნში ნათქვამია: „მითრამ მოუპოვა ადამიანებს **ფართობა იწროებაში**, სამკვიდრებელისკენ გასასვლელი“ (16,20). ძველინდური ჰიმნის ეს

ადგილი კარგად გამოხატავს ფარნავაზის სიზმარში (უფრო მის სომხურ ვარიანტში) შექმნილ ვითარებას: ფარნავაზი ვიწრო სახლიდან გამოჰყავს მზეს (მზიური ღვთაებაა მითრაც) და გაჰყავს სიფართოეში, ველად, ე. ი. უფართოებს გზას, უხსნის სასიცოცხლო სივრცეს, ხელახლა ბადებს მას (და ბადებს მეფედ, როგორც ქვემოთ გახდება ცხადი), რაც გამოხატულია სივიწროვიდან სიფართოეში გასვლის ბუნებრივი სიმბოლიკით; ამასვე ვკითხულობთ ფორმულის სახით ლავარიანში²: „...ყრამამან რამ დაუტევის სიიწრე საშოაჲსა და იხილის ფართებაჲ და ნათელი სოფლისაჲ“ (3-ა, 153). ეს დაპირისპირება (სიიწრე-ფართება), როგორც მეტაფორა, მეტად ვრცელ სფეროს მოიცავს: მასში შეიძლება ამოვიკითხოთ ან მისი საშუალებით გამოვხატოთ სოციალური, ეკონომიკური, სულიერი, თუნდაც ფიზიოლოგიური (მაგ., სისხლძარღვების შევიწროება-გათართობა) ასპექტები. აი, ადგილები ფსალმუნებიდან, სადაც შემკვრივებულად არის გადმოცემული ეს მრავალმნიშვნელოვანი მეტაფორა: „ჩემს სივიწროვეში განმიფართე მე“ (4,2); „სივიწროვეებში შევღაღადე უფალს, სიფართოვეში ხმა გამცა უფალმა“ (118,5). და ბოლოს, ეს მეტაფორა, როგორც მითოლოგემა, გულისხმობს კოსმოგონიურ ასპექტს, რასაც ადასტურებს ზემოთ მოყვანილი რიგვედული ჰიმნის ნაწყვეტი და ერთი ადგილი იოანეს სახარებიდან, სადაც მოძღვარი ასე მიმართავს მოწაფეებს: „სოფელსა ამას იწროებით იყვნეთ (ვარ. კირი გაქუსთ), არამედ ნუგეშინისცემულ იყვნეთ, რამეთუ მე ვსძლიე სოფელსა“ (16,33). აშკარაა, რომ „სოფლის ძლევა“ ამ კონტექსტში კოსმოგონიური აქტის ბადალი მოქმედებაა, მით უმეტეს, თუ მისი სუბიექტი არის ღვთიური სიტყვა, ისეთივე ღვაწლია, რასაც სჩადის მითრა და მზე ფარნავაზის სიზმარში. სამივეგან ღვთიური არსების (სიტყვა, მითრა, მზე) მოქმედება ადამიანის ხსნახთან არის დაკავშირებული.

(აქვე უნდა შეინიშნოს, რომ სომხური ტექსტის „იწრო სახლს“ თავისი საპირისპირო აქვს: ფარნავაზი გამოდის სიზმრის ვიწრო სახლიდან და შედის ცხადის ფართო გამოქვაბულში. „ფართო“, რომელიც არ მოიპოვება ქართულ დედანში, არ არის შემთხვევითი და აშკარად გამოწვეულია „ვიწროს“ არსებობით).

მზე — მხსნელი, დემიურგი — ფართო გზას უხსნის ფარნავაზს, ამოჰყავს იგი ქვესკნელიდან ანუ შავეთიდან — ამგვარი გააზრებაც შეიძლება მიეცეს ვიწრო და უკაცურ სახლს სამზეოსა (სადაც მზე „ქვემდებლად“ დგას) და კაცთა სამკვიდრებელის საპირისპიროდ, რადგან „ვიწრო“ რეალურადაც მითოსის მეტაფორულ ენაზეც ბნელის² იგივეობრივია, ისევე, როგორც ერთმანეთის ზიარი ბუნებისაა „ფართებაჲ და ნათელი სოფლისაჲ“, — ამოჰყავს და დასვამს ველზე, ფართო ადგილზე და თავად მის პირისპირ დადგება.

მზეს თავისი ორეული ჰყავს ცხადში. ეს არის ირემი, რომელსაც მისდევს ველად სანადიროდ გასული ჰაბუკი. ირემი მზიური ცხოველი, მზე და ირემი ერთმანეთს ენაცვლებიან სიზმარ-ცხადში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის არსება, რომელიც ცაში მზედ იხილვება, დედამიწაზე რქაბორჯღალა ირმის სახით დადის. ამ მითოლოგემის ძალით არის, რომ ერთ ქართულ ზღაპარში ირმისთვის ნასროლი ტყვია მზეს ხვდება; სხვაგან: მზისკენ, მზის დედისკენ მიმავალი გზა

² ფარნავაზის სიზმრის მოსალოდნელ ფოლკლორულ ვარიანტებში „უკაცურ სახლს“ შეიძლება შეენაცვლოს „ბნელი სახლი“ ან „უღრანი ტყე“.

ირმის რქებზე გადის: თამარის ციკლის ანდრეზში: მზის სხივისგან თამარი შობს ლაშას, რომელსაც ზრდის ირემი (5,366). ამიტომ შენთხვევითი არ არის, რომ ჩვენს სიუჟეტში ირემი თითქოს მზის გზას გაივლის. მზე და ირემი ერთად დაასრულებენ სრბას; როდესაც დაეცემა დაქრილი ირემი, მაშინ ჩახდება მზეც: „და მცირედ წარვლო ირემმან და დაეცა ღირსა კლდისასა. მივიდა ფარნავაზ ირემსა ზედა და დღე იგი მწუხრი გარდახდა...“

იმ არსებამ, რომელმაც ფარნავაზი სიზმარში უკაცური სახლიდან გამოიყვანა. ახლა ცხადში ირმად გამოცხადებულმა გამოქვაბულთან მიიყვანა. სადაც მისი მეფური დიდება ინახებოდა. მაგრამ ფარნავაზი ვერ მიაგნებდა ვანსს, თუ ერთი გარემოება არა: მზემ არა მხოლოდ იხსნა ფარნავაზი, არამედ მზის ცვარის ცხებით თავის ბუნებას აზიარა. მზის ცვარი ანუ ნამი, ზღაპრების მზის პირის ნაბანი განმაცოცხლებელი, მკვდრებით აღმადგინებელი ნივთიერებაა. „გათენებისას წამოვა ცვარი, ეს არის მზის პირის ნაბანი...“, — ამბობს ზღაპარი. ამ ცვარის ცხებით დედისერთა ვაჟი, რომელიც მკვდარი წევს ულრან ტყეში. ერთ გაუქმებულ საყდარში (რომელიც აშკარად „უკაცური სახლის“ ვარიანტია), უნდა გაცოცხლდეს, როგორც ფარნავაზი გაცოცხლდა.

მაგრამ ფარნავაზი არა მხოლოდ გაცოცხლებულია მზის ცვარის ცხებით, არამედ ცხებულია, როგორც მეფე, რაც უთუოდ წინასწარმოსწავებს მის მომავალ მეფობას. ამრიგად, მზისცვარი დასახულია როგორც განმაცოცხლებელი სუბსტანცია და მირონი ერთსა და იმავე დროს. ამ აზრის საუკეთესო დადასტურებაა 132-ე ფსალმუნის სიტყვები, სადაც ერთ სემანტიკურ წყებაშია მოქცეული მირონი — ცვარი — სიცოცხლე:

„როგორც რჩეული მირონი, თავიდან წვერებზე ჩამოდენილი,
აპარონის წვერებზე, მისი შესამოსლის კალთებზე ჩამოდენილი.
როგორც ხერმონის ცვარი, სიონის მთებზე ჩამოდენილი,
რადგან იქ უფალმა კურთხევა და უკვდავება ბრძანა“.

ამ კონტექსტში ის ცნობილი ფაქტიც უნდა იქნეს გახსენებული, რომ მეფედ კურთხევა, რომლის შუაგულური მომენტიცაა მირონცხება (იგივე განბანება, ოლონდ ზეთით). ნათლისღების მსგავსად მეორედ შობად არის მიჩნეული ძველი კულტურის ხალხებში. მაგრამ ადამიანი მეორე ვერ დაიბადება, თუ არ მოკვდა. იგი ჯერ კვდება (რიტუალურად) და განცოცხლებასთან ერთად ხელახლა იბადება. შობა და განცოცხლება ერთდროული რიტუალია: სამეფოდ გამზადებულს განბანენ ახალშობილივით, ზეთს ცხებენ, თავზე ოქროს ფეშხუმს დაადგამენ, რის შემდეგაც მეფედშობილი ასრულებს საგანგებო, აუცილებელ რიტუალს — სიმბოლურად გადის მზის გზას (17,77), ნიშნად იმისა, რომ იგი, როგორც მეფე, მზის წილი შეიქნა. კვდომა-განცოცხლების სიმბოლიზმის შემცველ საკორონაციო რიტუალს ფარნავაზი თითქოს სიზმარში გაივლის: კვდება, ცოცხლდება, ხელმეორედ იბადება, ცხებული ხდება. მზისცვარი ფარნავაზის სახეზე გარდაიქმნება მეფურ დიდებად, მაგრამ ცხადში იგი (მზისცვარი) თავს იჩენს ოქროს სახით³, ოქრო კი თავის მხრივ, უკვე ამ სიუჟეტის გარეთ, გარდაიქმნება (გადაიცვლება) სამეფო გვირგვინად — მზის სხივის ნივთიერ გამოხატულებად. „ფარნავაზის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „ანტიოქოს შეიწყნარა ძღვენი მისი... და წარმოსცა გვირგვინი“.

³ იხილეთ ხალხი ოქროს „მზის ცრემლებს“ უწოდებს (14, 46).

ახლა დავსვათ კითხვა: ვისია მიწაში ჩაფლული განძი, ვის ეკუთვნის ოქრო? პასუხი ასეთია: განძი მას ეკუთვნის, ვისაც ეკუთვნის ის მიწა, სადაც დამარხულია განძი, ე. ი. განძი ქვეყნის პატრონისაა. ამას გვიდასტურებს ვახუშტი ბატონიშვილის მიერ ფიქსირებული ჩვეულება ფშავ-ხევსურთა: „...ვერცა ფშავი, ვერცა ჭევსური, უკეთე იშოვნოს ოქრო ან ვეცხლი, ვერარაიდ იჴმარებენ თავისად, არამედ მიუძღუნის ლაშას ჯუარსა“ (7,533). აღიარებენ რა ლაშარის ჯვარს თავიანთი ქვეყნის პატრონად, საყმოს მიაქვს მისთვის ოქრო-ვერცხლი არა მხოლოდ როგორც საპატიო ძღვენი, არამედ როგორც მისი კუთვნილი განძი. ამ ყმათა ჩვეულება ჰგავს იმ სიმბოლურ მოქმედებას, რომელსაც ასრულებენ მოგვები, ბეთლემის ბაგაში შობილისთვის რომ მიაქვთ ოქრო, გუნდრუკი და მური. რადგან ის ყრმა დავით მეფის მოდგმის არის, „მეფე ჰურიათაი“, ცხებული.

განძი ქვეყნის მეფეს ეკუთვნის, რადგან იგი მეფის, მისი წინაპრის მიერვე არის დამარხული ძველ დროში. ის განძი, რომელიც ფარნავაზმა იპოვნა, ისეთივე თილისმისმისი უნდა ყოფილიყო, როგორც არჩილ სტეფანოზის ძის (VIII ს-ის I ნახ.) მიერ დაფლული საგანძური, რომლის შესახებ ჟუანშერი წერს: „და დასუა მას ზედა ტილისმი, რათა ვერავინ შეუძლოს გამოღებად“ (6,233). ფარნავაზი განძით სავსე გამოქვაბულამდე ირემმა მიიყვანა, მაგრამ ირემი არ გამოუჩნდებოდა მას, თუ რომ იგი არ ყოფილიყო მზის წილი, მზისცვარცხებული; მასზე იყო გადმოსული მეფური დიდება ანუ ფარნა (ან ჰვარნა „ბრწყინვალება“, „შარავენდი“)⁴, რაც ქმნის მის სახელს ფარნა-ვაზ (1,499).

ფარნავაზს, როგორც განძის მფლობელს და ამ ფლობით თავისი ძველი უფლების და უფლობის აღმდგენელს, მორჩილების დამადასტურებელი, ალბათ ტრადიციული, სიტყვებით მიმართავენ ქუჩი: „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა და შენ გმართებს უფლობა ჩემი...“.

დამატება I. ერთ ქართულ ზღაპარში დაღუპული მონადირის შვილი, თავდაც მონადირე, მოკლავს ირემს, რომელიც სახლში მიტანისას გაცოცხლდება და ბეწვიდან თვალ-მარგალიტს ჩამოიბერტყავს. ღარიბი და შევიწროებული დედაშვილი მდიდრდება, ობოლი ჰაბუკი ამ ქვეყნის ხელმწიფე ხდება (12.173). ფარნავაზიც მონადირეა („მონადირე კელოვანი“), შესაძლოა. შვილი დაღუპული მონადირისა, რომლის უსახელობა ტექსტში არ უნდა იყოს შემთხვევითი.

დამატება II. ფარნავაზ-აზონის ურთიერთობა, რომელიც თუმცა არ არის გაშლილი ლეონტი მროველის თხზულებაში, აგებულია იმავე ქარგაზე, რაზეც საულისა და დავითის ურთიერთობაა აგებული. „მივიდა დავითი საულთან და მსახურად დაუდგა. ძალზე შეიყვარა იგი საულმა და თავის საჭურველთმცირთველად დანიშნა იგი“ (I მეფ. 16,21). თუ საულთან დაახლოების საბაბი დავითის მუსიკოსობა იყო, ფარნავაზი „მონადირეობისათვის მისითა იქმნა მეცნიერ აზონისა და შეიყვარა იგი აზონმან მონადირეობისათვის“ (6,21). საულში ეჭვი და შური აღიძვრის დავითის მიმართ (I მეფ. 18.8); საული დევნის მას, დავითი ფილისტიმელთა ქვეყანაში გადაიხვეწება მისი შიშით. ასეთივე ბედი უნდა მოელოდეს ფარნავაზსაც. ამაოდ არ აფრთხილებს მას დედამისი: „შვილო ჩემო, ეკრძაღე აზონს და ნურა-რას იჩინებ თავისა შენისა სიკეთესა, ნუ უკუე მოგკლან შენ“ (იქვე) და ურჩევს, რადგან ეს არის ერთადერთი გამოსავალი: „შვი-

⁴ დადასტურებულია ამ ირანული სიტყვის სემანტიკური კავშირი მზის გამომხატველ სიტყვებთან (1,512; 2,116).

ლო ჩემო, დაუტევე საყოფელი მამათა შენთა და წარმიყვანე მამულსა ჩემსა ასპანს ძმათა ჩემთა თანა და განერე შენ ცოცხალი კელისაგან აზონისა“ (6,21). თუმცა ერთხელ უკვე დედა-შვილმა განიცადა დევნილება, ისინი აზონის შიშით გადახვეწილნი იყვნენ ძურძუკეთში. ფარნავაზი, ისევე როგორც დავითი, რომელიც სამეულ წინასწარმეტყველმა საულის მეფობაშივე სცხო მეფედ, ცხებუ-ლია მზისცვარით, რაც წინასწარ მოასწავებდა მის გვირგვინოსნობას.

დამატება III. რა არის **მზისცვარი**? შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მზის-ცვარი როგორღაც გულისხმობდეს რძეს, რადგან ეს ორი საგანი — **მზე** და **რძე** — მითოსურ პლანში გაიგივებულია, რისი მიზეზითაც ენა ცდილობს სიტყვიერადაც გააიგივოს ისინი. ხევსურულ დიალექტში „რძეს“ ჩვეულებრივ ეწოდება **ზისცვარი**, რომელიც შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც „სძის ცვარი“ და როგორც „მზის ცვარი“⁵; ინგილოურ დიალექტში ერთმანეთს დაემთხვა რძისა და მზის სახელწოდებები — **ზემ** ორივეს ნიშნავს. ასევე მეგრული ბჟა რძეც არის და მზეც. შესაძლებელია, ეს დამთხვევები ფონეტიკურ ნიადაგზე იხსნებოდეს, მაგრამ არ უნდა გამოირიცხოს დამატებითი მიზეზიც: ფონეტიკური კანონი შეიძლება მივიჩნიოთ არხად, რომლის საშუალებითაც ენა ქმნის მითოსურ რეალობებს. მეგრულ „ბჟასთან“ დაკავშირებით გავიხსენოთ მეგრული ეტიმოლოგიური თქმულება: ქვრივი დედაკაცი ძროხას წველიდა; მზე და მთვარე ძირს („ქვემდაბლად“) ჩამოვიდნენ, ახლოს მიადგნენ მწველავ ქალს და ყურება დაუწყეს. გამწყრალმა ქალმა ახალი ფუნა ესროლა ორვეს: მზემ რძით ჩამოიბანა პირი და ცაში ავიდა. ამის შემდეგ მზესა და რძეს ერთი სახელი — **ბჟა** ქვიაო, — ასკვნის თქმულება. გარდა ამისა თქმულება იმასაც გვამცნობს, რომ მზეს რძე სცხია პირზე, და ეს უნდა იყოს სწორედ მისი ცვარი, **მზისცვარი**.

მზე-რძის ფორმალური პარალელიზმისათვის საინტერესოა ხევსურული სასტუმარმასპინძლო ორსტრიქონიანი ლექსი:

„ცხვარი დაწველე მინდორში, სუ შავი ცხვრისა რძე არი,
თქვენამც ძე ნუ დაიღუეს. სანამ ე ცა და მზე არი“ (9, № 501).

ამ ორი საგნის მითოსური ერთბუნებოვნობის ინტუიტიური წვდომის მაგალითს ვხედავთ ო. ჩხეიძის რომანში „ცხრაწყარო“ (თბ., 1980): „...და ელაჟ-და რძეცა, თითქოს ხელები აელვარებდა, თითქოს და რძე აელვარებდა, მზესაცა განა, თვითონ მზესაცა... შეჰყურებდნენ და იყნოსავდნენ **მზით დამთვრალ რძესა**... გამკრთალიყო თუ მოეშალა სხივსა სინათლისა, დილის მზის სხივსა, **რძესა მზიანსა**, გახურებული ფერდობების რძესა, მზით გაღეშილი ბალახის რძესა... და გადმოდიოდა **ნაღებიცა მზედა**, მზის ნატეხებად გადმოდიოდა...“ (გვ. 142—3).

მზისა და რძის ერთბუნებოვნობას გვიდასტურებს რიგვედის ერთი ჰიმნი, სადაც წევრთა პარალელიზმის საშუალებით არის გამხელილი ეს მითოსური კეშმარიტება. ჰიმნოგრაფი მიმართავს ინდრას:

„შენ ჩაყენე თბილი ნოტიოში,
შენ აიყვანე მზე ცაში“ (15, 25)⁶.

⁵ იხ. თ. ჩხეიძე, *მშვენიერი მძლევალი* (11,133).

⁶ სხვაგვარი ამოკითხვით: „შენ ჩაყენე მოხარშული უშში“. რიგვედას მითოსურ-მეტა-ფორულ ენაზე „მოხარშული“ გულისხმობს „რძეს“, ხოლო „უში“ — „ძროხას“.

სადაც „თბილი“ ნიშნავს „რძეს“, ხოლო „ნოტიო“ — „ფურს“. ეს ორი სტრიქონი გვაუწყებს, რომ ის, რაც ფურში რძეა, ცაში იგი მზის სახით იმყოფება. აქვე უნდა შეინიშნოს, რომ ცა, თავისი ბუნებით ნოტიო სივრცე, მაგრამ მხურვალე მზის მატარებელი, ფურის სახითაც არის წარმოდგენილი (როგორც ამას აშკარად გვიმოწმებს ეგვიპტური მითოლოგია). ასეთ შემთხვევაში მზე უშუალოდ იქნება გაიგივებული ციური ფურის რძესთან.

დამატება IV. ირემ-მზის, კერძოდ, რძე-მზის მითოლოგმა უცხო არ არის სომხური ფოლკლორისთვის: „ფურირემი რძეს არ ზოგავს ჩემი ბიჭუნასთვის, ზემოდან მზე უნათებს ჩემს ბიჭუნას, დღისით ძიძობას უწევს“ (13, 112). მიუხედავად ამისა, ფარნავაზის სიზმრის სომხურ თარგმანში „ირემს“ რატომღაც ენაცვლება „ერე“ — ნადირი, ნებისმიერი მძოვარი ცხოველი⁷. შესაძლებელია, ამით იყოს გამოწვეული, რომ სომხურ თარგმანში ფარნავაზი მზეს სწმენდს არა ცვარს, არამედ ოფლს (ჭირტ), რაც საბოლოოდ არღვევს დედნისეულ სემანტიკურ რიგს: **მზე — მზისცვარი — ირემი**. სომხური **მზე — მზის ოფლი — ნადირი** ვერ ქმნის რაიმე მითოლოგიურ სისტემას. ამასთანავე თარგმანში სრულიად წაშლილია ფარნავაზის სახე, ვითარცა „მზისცვარით ცხებულისა“.

დამატება V. ფარნას („მეფური დიდების“) კავშირი ოქროს ფლობასთან რომ შემთხვევითი არ არის, ამას გვიდასტურებს ერთი ცნობილი ირანული თხზულება ფალაური ხანისა — „არდაშირ პაპაქის ძის საქმეთა წიგნი“, სადაც მოთხრობილია სამეფო დინასტიის შეცვლის ამბავი ირანში. დარიოსის შთამომავალი არდაშირი იმით აღიღგენს თავის კანონიერ უფლებას მეფობაზე, რომ ოქროს ნივთებს მოსტაცებს თავის სუზერენს, როსლის კარზეც იგი იზრდებოდა. გაქცეულ ყრმას თან გაჰყვება ირანის მეფეთა დიდება — ფარნა ლამაზი ვერძის სახით, იმის ნიშნად, რომ მის ბატონს ჩამოსცილდა მეფობა და არდაშირზე გადავიდა (2,46). ასევე მიატოვა მეფობის მადლმა აზონი, რაც რეალურად გამოიხატა მისგან ქვეყნის მკვიდრი ხალხის განდგომაში: „...მაშინ ყოველნი ქართველნი განუდგეს აზონს, ხოლო სპანი, რომელ დარჩეს აზონს, ვერღა მიენდო მას... და წარვიდა აზონ...“ (6,23).

დამატება VI. ცხადია მზისა და ოქროს მითოსური იგივეობა, მაგრამ ქართულ ფოლკლორში დასტურდება კავშირი რძესა და ოქროს შორისაც, ისინი ერთი ბუნებისანი არიან, როგორც მზის წილნი. თამარს, ამბობს ერთი თქმულება, თეთრი და ყვითელი წინდის ჩხირები რძეში ჩაცვენია და რძე ოქროსა და ვერცხლის ზოდებად გადაქცეულა (5,375). ასევე გარდაიქმნა ფარნავაზის ამბავში მზისცვარი ოქროს განძად.

ლიტერატურა

1. ანდრონიკაშვილი მ., ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966.
2. არდაშირ პაპაქის ძის საქმეთა წიგნი, ფალაურიდან თარგმნა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო თეო ჩხეიძემ, თბ., 1975.
3. ახვლედიანი გ., ფოლკლორი XIX საუკუნის ქართველ ისტორიკოსთა ნაშრომებში, „ხალხური პოეზია და პროზა“ (ქართული ფოლკლორი, VII, თბ., 1977).
- 3-ა. ბალავარიანის ქართული რედაქციები, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., 1953.

⁷ ამ ფაქტზე ყურადღება მივაქცევინა ზ. ალექსიძემ.

4. ბარამიძე რ., ქართული საისტორიო პროზა, თბ., 1971.
5. კოტეტიშვილი ვ., ხალხური პოეზია, თბ., 1961.
6. ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955.
7. ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973.
8. ქართლის ცხოვრების სომხური თარგმანი, გამოსცა თარგმანითურთ ილია აბულაძემ, თბ., 1953.
9. შანიძე ა., ქართული ხალხური პოეზია, თბ., 1931.
10. შატერდის კრებული, თბ., 1979.
11. ჩხენკელი თ., შვედური მძლევაძი, „ცისკარი“, 1971, № 2.
12. ხალხური სიბრძნე I, თბ., 1963.
13. Армянская средневековая лирика, «Советский писатель», М., 1972.
14. Ростокская Л., Золото Перу, в сб.: «Культура Перу», М., 1975.
15. Blair Ch. J., Heat in the Rig Veda and Atharva Veda, New Haven, 1961.
16. Gonda J., Loka. World and Haeven in the Veda, Amsterdam, 1966.
17. Hocart A. M., Kingship, London, 1970.

З. Г. КИКНАДЗЕ

СОН ПАРНАВАЗА

Резюме

В статье дан анализ текста с самостоятельным законченным сюжетом из «Жития Грузии» («Картлис цховреба»), в частности, из главы летописи, известной под заглавием «Жизнописание Парнаваза». Героем повествования является первый по летописной традиции царь объединенного Грузинского государства, наделенный чертами мифического и сказочного персонажа — сироты, впоследствии спасителя страны, чудесным образом нашедшего сказочный клад и изгнавшего узурпатора, убийцу своего отца. Между Парнавазом и узурпатором Азоном прослеживаются отношения, общие по схеме с библейским рассказом о Сауле и Давиде.

Два эпизода — сон Парнаваза и повествование в реальном плане — взаимообусловлены; в них встречаются существа, предметы и явления, которые односущны в мифологическом аспекте как элементы общих мифологем: безлюдный дом-преисподняя (дом мертвых) — пещера (место клада); Герой в безлюдном доме — умерший Герой; Солнце — Олень; «солнечная роса» — золото-золотая царская корона; помазание росой — воскрешение Героя Солнцем — помазание на царство — получение царского достоинства — «фарны», что и отразилось в имени Героя.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ძველი აღმოსავლეთის ენების განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

И. М. ВЕШАПИДЗЕ

ВЗАИМОЧЕРЕДУЮЩИЕСЯ ГЛАГОЛЬНЫЕ ОСНОВЫ СО ЗНАЧЕНИЕМ «БЫТЬ» В БАСКСКОМ ЯЗЫКЕ

1

1. Глагол «быть» в баскском языке, в той его форме, которая называется эускára батúа, букв. «единый баскский», супплетивно объединяет в себе несколько основ, а именно: z(a),га, di и te-, которые распределяются, чередуясь по наклонениям (в спряжении) и грамматическим числам субъектного лица.

Рассмотрим каждую основу отдельно. В пределах однолично-непереходного ряда (а здесь речь пойдет только об этом ряде) основа z(a), которая в определенных условиях встречается в виде lz(a) используется в эускára батúа только для форм единственного числа, а также того условного наклонения, которое имеет префикс ba- «если (бы)». Ср.:

Таблица 1

лицо	изъявительное наклонение		условное наклонение с префиксом ba-
	настоящее время	прошедшее время	
1. ni	na-i-z	n-in-lz-en	ba-n-in-lz
2. hi	ha-i-z	h-in-lz-en	ba-h-in-lz
3. hura	da	z-en	ba-l-i-lz

Иначе говоря, в формах множественного числа того же ряда этих же наклонений данная основа уже не используется (ср. ниже вторую таблицу), хотя она широко выступает как в единственном, так и во множественном числе т. наз. условного второго наклонения: pin-lza-ke «то я был бы», hin-lza-ke «то ты был бы», gin-lza-ke «то мы были бы», zin-lza-ke «то вы были бы» и т. д.

Как мы видим, во всех приведенных формах (после таблицы 1) основа za/tza имеет обязательно гласный [a]. Последний везде отсутствует, однако, в формах той же 1-ой таблицы. Чем это объяснить? Объяснение подсказывается конечным положением данной основы в формах первой таблицы в двух крайних столбцах форм и ее положением перед суффиксом с начальным гласным в среднем столбце: такое положение, очевидно, обусловило падение гласного [a] данной основы в формах первой таблицы, тогда как повсюду вне этих форм он сохранился.

В том же положении и в тех же формах после утраты конечного [a] могла наступать очередь и для утраты конечного [z] той же основы в составе формы, где в таком случае ничего от самой основы не осталось бы.

Такая чисто теоретическая возможность для формы 3 л. ед. ч. *da* «(он) есть» представится нам уже вероятной, если мы учтем положение данной формы среди других, т. е. ее место в системе:

pa-i-z ← **pa-i-za*
ha-i-z ← **ha-i-za*
da ← очевидно ← **da-(i)-za*

На вероятность той же возможности в данном случае указывает и то, что *d-* или *da-* здесь является бывшим префиксом; ср. с одной стороны префикс *pa-* или *p-* в *paiz*, *ha-* или *h-* в *haiz* (и далее *p-* в *pintzen*, *h-* в *hintzen* и т. д.), а с другой стороны, префикс *da-* или *d-* в спряжении других глаголов: *da-tor* «(он) приходит», *da-bil* «(он) уходит» и т. д. Ведь если в виде *da* «он есть» мы имеем бывший префикс, то последний должен был когда-то к **чему-то** префигироваться, ибо как можно представить себе иное, т. е. чтобы префикс сделался самостоятельной формой спряжения, вошел в него на правах отдельной формы?

Положение об утрате основы *za* формой *da* «он есть» (по чисто позиционным причинам) должно также импонировать тем, кто в этой форме собственно префиксальной частью считает только согласный, рассматривая гласный /а/ как соединительный или как какой-либо морф-уточнитель. Ведь префикс без огласовки тем более не мог войти в спряжение на правах самостоятельной формы, соединительный же гласный префикса должен был некогда этот префикс с **чем-то обязательно соединять**.

Итак, в единственном числе наст. вр. индикатива баскский глагол «быть» ранее имел, вероятно, спряжение вида: **pa-i-za*, **ha-i-za*, **da-(i)-za*, но основы *za/tza* этой парадигмы, как сказано выше, мы уже не находим в продолжении этой же парадигмы во множ. числе, ср.:

Таблица 2

лицо	изъявительное наклонение		условное с префиксом <i>ba-</i>
	настоящее время	прошедшее время	
1. <i>gu</i>	<i>ga-ra</i>	<i>giñ-en</i>	<i>ba-giñ-a</i>
2. <i>zu</i>	<i>za-ra</i>	<i>ziñ-en</i>	<i>ba-ziñ-a</i>
3. <i>haik</i>	<i>di-ra</i>	<i>zi-r-en</i>	<i>ba-li-ra</i>

На месте основы *ga/tza* здесь, как видим, выступает основа, которая как таковая выделяется, таким образом, и по соотношению со средним и правым столбцами второй таблицы, и по соотношению с **paiza*, **haiza*, **daiza*. Общий вывод: в спряжении баскского глагола «быть» имеются основы *za/tza* и *ga*, которые чередуются между собой по числу, т. к. одна используется в формах единственного, а другая — в формах множественного числа. Супплетивно соединяясь, они дают полную парадигму глагола «быть» в настоящем времени индикатива.

Выше мы видели, что основа *za/tza* содержится не только в парадигме, представленной левым столбцом нашей первой таблицы, но и в остальных ее парадигмах. По месту в системе основа множ. числа *ga* также

должна содержаться не только в парадигме левого столбца нашей таблицы второй, но и в формах остальных ее парадигм. Однако этой основы в остальных парадигмах здесь почти нигде нет¹.

Спрашивается, как объяснить это противоречие? На наш взгляд, всякий, кто убежден в системной природе или системном характере организации языка, может объяснить это противоречие только тем, что основа га в двух наших правых парадигмах (опять-таки) когда-то была, но впоследствии исчезла, причем исчезла, конечно, по причинам вновь комбинаторно-позиционного характера. Но в таком случае эти причины должны быть обнаружимы.

На наш взгляд, эти причины как раз и в самом деле несложно обнаружить, поскольку видно, что независимо от парадигмы, т. е. вообще от морфологического фактора, основа га присутствует после гласного [a] или [i]: *ga ga*, *di ra*, *zi re n*, *ba li ga*, и отсутствует после согласного, которым всегда является [ŋ]: *gi ñ e n*, *ba gi ñ a*, и т. д.; фонологические условия, способные объяснить отсутствие в ряде форм элемента [a], здесь, следовательно, имеются и, что еще важнее, эти же условия способны объяснить присутствие элемента га в исключительных случаях *zi re n*, *ba li ga*, тогда как морфологическое объяснение последних за счет, допустим, их значения третьего лица не находится, не оказывается возможным. Вывод: в *gi ñ e n*, *ba gi ñ a* и т. п. был некогда элемент га, но он исчез через ассимиляцию [r] предыдущим носовым.

Следует учесть здесь и то, что согласный [r] не мог удержаться после [n] по законам баскской комбинаторной фонетики, что же касается самого [n] в интервокале после [i]: *gi ñ e n* и т. д., то он мог палатализироваться по многим и самым разным, насколько мы можем судить, причинам и, в частности, он должен был палатализироваться в случае своего происхождения из [*np] ← [*nr]. Наконец, предлагаемая реконструкция имеет, думаем, два дополнительных подтверждения: 1) с ее помощью мы можем объяснить элемент [a] конечный в правом столбце как остаток от га²; 2) бискайские и гипускоанские формы *gi ñ a n* и *zi ga n* вместо *gi ñ e n* и *zi re n* других диалектов, как показывает конечный [a] этих форм, должны происходить скорее всего из **gi ñ a-e n*, **zi ñ a-e n*, где вновь восстанавливается тематический [a], который можно объяснить как остаток основы га. Кроме того, есть бискайская форма *zi ga n* (вместо *zi re n*), вероятно, сохраняющая (a) элемента га: **zi-га-e n* > *zi-га-n*//*zi re n*, как **za-e n* > *za n*//*ze n* («был»). И есть форма *z-i ñ a-le-e n* «вы(многие) были» (рядом с *z-i ñ e n*) «вы(один) были», где, как это совершенно ясно, соседство последующего согласного [t] позволяет сохраниться тематическому [a] после (n), тогда как в

¹ В одном случае и только в одном данная основа поразительно, требующим особого объяснения, образом, однако все же появляется и в остальных парадигмах: этот случай—3 лицо: *zi-r-e n* и *ba-li-га*.

² В отличие от конечного [a] основы за ед. ч. наст. вр. индикатива (*paiz* и др.), конечный [a] здесь в *ba-gi ñ a* и т. п. не пал, но это и понятно: ср. хотя бы тот факт, что его падение поставило бы в конец фонему [n], что невозможно.

z-iñ-en этого (a) нет в силу, очевидно, его соседства с последующим [e] суффикса -en.

Таким образом:

ba-g-iñ-a ← *ba-g-in-na ← *ba-g-in-ra
 ba-z-iñ-a ← *ba-z-in-na ← *ba-z-in-ra
 g-iñ-en ← g-in-a-en ← *g-in-na-en ← *g-in-ra-en
 z-iñ-en ← *z-in-a-en ← *z-in-na-en ← *z-in-ra-en

откуда видим, в частности, что потеря тематического [a] при исчезновении основы га имела место тогда, когда [a] оказывалось в положении перед другим гласным — суффикса.

II. Оставаясь в пределах того же однолично-непереходного ряда форм, обратимся теперь к другим наклонениям, а именно — сослагательному и повелительному. В единственном числе для образования форм этих наклонений используется основа di, ср.:

Таблица 3

лицо	сослагательное наклонение		повелительное наклонение
	настоящее время	прошедшее вр.	
1. ni	na-di-n	n-en-di-n	—
2. hi	ha-di-n	h-en-di-n	ha-di
3. hura	da-di-n	z e-di-n ³	be-di

Во множ. числе для образования форм тех же наклонений используется основа te, ср.:

Таблица 4

лицо	сослагательное наклонение		повелительное наклонение
	настоящее время	прошедшее вр.	
4. gu	ga-i-te-z-en	g-in-te-z-en	—
5. zu	za-i-te-z-en	z-in-te-z-en	za-i-te-z
6. haik	da-i-te-z-en	z-i-te-z-en	bi-te-z

Понятно, что это вновь означает чередование основ /di и te/ по грамматическим числам, т. к. первая выступает в единственном, вторая во множественном числе.

Итак, в одной паре основы /za и га/ чередуются по числам в своей группе наклонения, в другой паре основы чередуются по числам же в др. группе наклонений. Но это значит, что одна из этих пар чередуется с другой парой уже по группе наклонений. Все это можно представить в виде следующей схемы или таблицы (№ 5), которая является главной или обобщающей и для всей нашей данной работы:

³ Есть еще форма ledin — условно-сослагательного наклонения.

Таблица 5

чередование по наклоне- ниям		чередование по числу	
		единственное	множественное
	изъявительное условное	ZA	RA
	сослагательное повелительное	DI	TE

Самое существенное, что должна показать эта таблица, состоит в том, что рассмотренные основы чередуются одновременно по числу (в одной и той же группе наклонений) и по группе наклонений (в пределах одного и того же, либо единственного, либо множественного числа): по числу основа *za* чередуется с *ga* в пределах первой группы наклонений, а основа *di* чередуется с *te* в пределах второй группы; по наклонениям основа *di* чередуется с основой *za* в пределах единственного числа, а основа *ga* с основой *te* в пределах множественного числа.

Функциональный смысл этих чередований, как и обычно при син-
плетивизме основ состоит в том, чтобы способствовать различению
грамматических значений, в данном случае — значений чисел и накло-
нений (или, что то же, форм по наклонениям). Совершенно особым
является, конечно, вопрос о том, как все это возникло или сложилось
исторически.

III. Выявляемая система чередований даже в пределах одного и
того же однолично-непереходного ряда и одного и того же эускьяра ба-
тъя ограничивается теми наклонениями, которые указаны у нас выше
в таблице 5 и не действует за их пределами, главным образом благо-
даря элементу *te*. Так, в первом и втором потенциалисах элемент *te*,
имея абсолютно те же позиционные характеристики, что и в наклоне-
ниях таблицы 5, и по-прежнему напрашивался на интерпретацию в ка-
честве основы, уже не оказывается характерным только для множе-
ственного числа, ср.:

Таблица 6

лицо	потенциалис первый	потенциалис второй
1. ni	na-i-te-ke	n-in-te-ke
2. hi	ha-i-te-ke	h-in-te-ke
3. hura	da-i-te-ke	l/z-i-te-ke
4. gu	ga-i-te-z-ke	gin-te-z-ke
5. zu	za-i-te-z-ke	z-in-te-z-ke
6. haik	da-i-te-z-ke	l/z-i-te-z-ke

Кстати, отметим, что поскольку в системе чередований, как было по-
казано, основа *te* характерна для повелительного и сослагательного на-
клонений, близких вообще между собой, то первый и второй потенциали-
сы тоже могли бы быть сближены с сослагательным и повелительным на-
клонениями по элементу *te*. Еще в одном наклонении, т. наз. втором
условном, тот же элемент *te* присутствует в финитных формах уже наря-
ду с основой *tza* ед. ч. и основой *ga* мн. ч.

Таблица 7

условное второе			
лицо	единственное число	лицо	м множественное число
1. ni	n-in-tza-te-ke	4. gu	g-iñ-a-te-ke
2. hi	h-in-tza-te-ke	5. zu	z-iñ-a-te-ke
3. hura	l-i-tza-te-ke	6. haik	l-i-ra-te-ke

Здесь элемент *te* можно было бы рассматривать как вторую основу и тогда объединение основ в данной парадигме можно было бы объяснять за счет объединения в данном наклонении двух модальных значений. Впрочем, и в качестве служебного тот же элемент оказался бы здесь объединенным с другим (*ke*), что может иметь аналогичную причину (хотя в любом случае возможны и простые редупликации и т. п.) Наконец, вспомним, что элемент *te* широко известен в баскских финитных формах как показатель мн. числа. Спрашивается, не является ли он таковым и в наклонениях таблицы 5? В актуальном срезе, однако, этот элемент здесь может быть вовсе не тем, чем он был исторически. Кроме того, вещественное тождество основы *te* и множителя *-te* разрешает предполагать, что один из них происходит от другого — в результате исторического переосмысления, но об этом надо говорить отдельно.

Кафедра новогрузинского языка Тбилисского государственного университета

Представил академик АН Грузинской ССР Ш. В. Дзидзигури

Ю. В. ЗЫЦАРЬ

О БАСКСКОМ ГЛАГОЛЕ «БЫТЬ»*

(комментарии к однотемной статье И. М. Вешапидзе)

И. М. Вешапидзе принадлежат исследования в области картвельских языков, в частности — монография «Глагольные приставки в грузинском языке», Тбилиси, 1968. Его статья, публикуемая вместе с настоящей, «Взаимочередующиеся глагольные основы со значением «быть» в баскском языке» (ниже ВЧОБ) является его первой работой в баскологии, но она высоко оценивается таким специалистом по баскскому глаголу, как П. де Иррисар, и мы увидим сами, каких результатов удастся ему достигнуть.

Не останавливаясь на истории и состоянии конкретных изучаемых вопросов, сам И. М. Вешапидзе при этом, однако, не выделяет своего вклада, как бы предоставляя это сделать кому-либо другому. И это-то обстоятельство в первую очередь и побуждает меня к настоящей комментарию, в котором предполагаю, впрочем, не только маркировать филиацию идей и осветить состояние проблем, но и попытаться представить последние в достаточной полноте и сложности. Мои расхождения во мнениях с И. М. Вешапидзе будут касаться, в сущности, лишь деталей, и уже поэтому они не смогут умалить достоинств его статьи.

1. В баскском глаголе «быть» мы должны, полагаю, выделять вокализованную основу за даже в том случае, если исходить только из самой именной (собственно причастной) его формы *izan* «быть», «бывший», так как /i-/ здесь является префиксом причастия, ср. *i-bill-i* «идти», «ушедший», а /-n/ является суффиксом причастия, ср. *e-ta-n* «давать», «отданный», где, как и в *i-za-n*, основа двухфонемна. Именно так, собственно, и принято думать (ср. обычное членение в работах Р. Лафона, Л. Мичелена и др). Именно поэтому оказывается неожиданным и, несмотря на некоторые попытки, необъясненным до сих пор гласный /i-/ в финитных формах *pa-i-z*, *ha-i-z* «я-есть», «ты-есть», а та мысль, что /-z/ в этих формах <за вследствие падения конечного /-a/ (ВЧОБ, I) является вполне естественной. Если привлечь адресатный или, в иных терминах, двухлично-непереходный ряд, который в комментируемой статье не рассматривается, то и здесь мы повсюду в гипускоанских формах встретимся с вокализованной основой *za/tza*: *pa-tza-i-o* «я-есть-для-него», *ha-tza-i-o* «ты-есть-для-него», *za-i-o* «он-есть-для-него», *ga-tza-z-ki-o* «мы-есть-для-него»; *pin-tza-i-o-n* «я-был-для-него», *gin-tza-z-ki-o-n* «мы-были-для-него»; *pa-tza-ki-o-n* «чтобы-я-был-для-него», *ga-tza-z-ki-o-n* «чтобы-мы-были-для-него»; *pin-tza-i-o-ke* «то-я-был-для-него-бы», *gin-tza-z-ki-o-ke* «то-мы-были для-него-бы»; *ba-pin-tza-ki-o* «если-я -был-для-него-бы», *ba-gin-tza-z-ki-o* «если-мы-были-для-него-бы»; *pa-tza-ki-o-ke* «я-быть-для-него-могу», *ga-tza-z-*

* В рецензии члена Академии Баскского языка П. де Иррисара работа получила оценку как исключительная для всего будущего баскологических исследований.

ki-o-ke «мы-быть-для-него-можем», nin-tza-ki-o-ke-n «я-быть-для-него-мог»: gin-tza-z-ki-o-ke-n «мы-быть-для-него-могли» и т. д.

В отличие от za/tza элемент га в составе, например, geга «мы-есть», zeга «вы-есть», di-га «они-есть» и т. д. неясен уже по его статусу, т. е. неясно уже, что это такое? Если это тоже основа, то каково ее отношение к za/tza? В силу каких обстоятельств она присутствует здесь наряду с первой? и т. д. Правда, поскольку речь идет о глаголе бытия, которой в других языках обычно отмечен печатью супплетивизма, то давно уже высказана та мысль, что и здесь мы имеем просто супплетивное объединение двух основ, а в силу наличия элемента га в трех приведенных формах плюраля естественно всегда было думать, что эти супплетивные основы имеют в данном случае дистрибуцию именно по числу: za/tza принадлежит сингуляру, га - плюралю. В подобной очень общей форме такая мысль — при всей ее простоте и притягательности — сильно нуждается, однако, в подтверждениях, собственно, в действительном доказательстве. И здесь-то мы и **оказываемся** у одного из исходных для нас пунктов.

Недавно, впрочем, этого вопроса коснулся в одной из своих неизменно важных работ Нильс Хольмер.¹ Правда, всего лишь в сноске, он пишет, что «баск. giñan «мы-были», ziñan «вы-были», видимо, восходят к *ginpan, *zipan — так же, как она «сюда» восходит к *on-га, направлятельному падежу от *on «этот», «здесь»². К сожалению, при этом остается неясным, из какой формы хотя бы выведен элемент га в составе *ginpan, *zipan (ср. zigan «они-были»?), тем более, что аналогия с on-а здесь не совсем уместна, так как корневой характер /г/ в составе направлятельного суффикса -(г)а является, как известно, по меньшей мере недоказанным. Более того, здесь остается неясным и то, принадлежит ли выведение данных праформ *ginpan, *zipan самому Н. Хольмеру, или же он просто приводит их, как нечто ставшее уже общепринятым.

Все же при любых обстоятельствах выведение указанных только что праформ для нас очень важно и показательно и, конечно, оно должно опираться на форму di-га «они-есть» в исходе указанной уже тройки наст. времени, а также на zi-га-n «они-были», которое как бы перекидывает мостик от diга к giñan (<*gin-га-n), ziñ-a-n (<*zip-га-n) (правда, и этих форм без рассмотрения всех относящихся сюда фактов недостаточно для полного доказательства).

